კვირის პალიტრა

მზე

N41(122) 10/X.-16/X.2002

ფასი 60 თ.

1168
2002

96

დაჩრდილავს თუ არა „ოლიგარქი“ „კუკარაჩას“

ბადრი პატარკაციშვილი: „საქართველოს 3/4-ის ყიდვა რომ შემეძლოს...“

ბედი კაცისა — უსინათლო ძმის თვალებად ქცეული და

ცისანა სეფიაშვილი: „არ ვიყავი მზად სიყვარულისთვის“

„მე ჩავიდინე საშინელება, რომელიც არ უნდა ჩამედინა“

თურმე თბილისში არსებობს სამი თინეიჯერი გოგონასგან შემდგარი როკ-ჯგუფი, რომელიც სუსტი სქესის ნარმომადგენელთათვის საკმაოდ მძიმე და „უხეშ“ მუსიკას ასრულებს. ერთ „უცნაურ და ახირებულ“ ინგლისელს კი ამ გოგონათა როკ-ტრიო ნისლიან ალბიონზე მიუნვევია...

გვ. 12

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲘ
№41 (122)
10 - 16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 2002
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲝᲛᲝᲑᲐᲜᲐ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ!..“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
„ᲠᲣᲡᲔᲑᲛᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲑᲝᲛᲑᲔᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲛᲐᲓᲚᲝᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐᲡ...“ 6
ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ
ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 3/4-ᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝᲡ...“ 7
ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ: „ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ – ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲘᲗ...“ 10
ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ROCK WOMAN – ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲛᲑᲠᲘᲝᲜᲘ ᲐᲜᲣ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲗᲐ ᲠᲝᲙ-ᲢᲠᲘᲝᲛ ᲜᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲚᲑᲘᲝᲜᲘ ᲓᲐᲘᲙᲧᲠᲝ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲨᲐᲒᲡ 20-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ 14
ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ
ᲞᲐᲠᲘᲖᲔᲚᲘ ᲨᲠᲔᲓᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲡ ᲒᲕᲘᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲙᲚᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲘᲗ ᲘᲠᲗᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲡ 16
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲨᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 18
ᲝᲯᲐᲮᲘ
ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ ᲘᲧᲝ“ 18
ᲝᲗᲮᲤᲔᲚᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ
ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ? 22
ᲑᲔᲓᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ
„ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲛᲐᲜᲐᲮᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘ!..“ 24
ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ
ᲯᲐᲜᲡᲣᲦ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ: „ᲛᲔ ᲩᲐᲕᲘᲓᲘᲜᲔ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲔᲓᲘᲜᲐ“ 26
ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲫᲐᲠᲦᲕᲗᲐ ᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲗ 200000 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ – ᲠᲐᲡ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ?! 29
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 31

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 3/4-ᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝᲡ...“

...ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲔᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐ. ᲪᲣᲓᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲬᲧᲔᲜᲐ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲣᲛᲐᲚᲐᲕᲡ.

7

ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ ᲘᲧᲝ

ᲪᲘᲡᲘ ᲛᲝᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲡᲝᲡᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ – ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲐ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ, ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲓᲘ ᲪᲘᲡᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡᲐᲪ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲡ ᲛᲔ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲐᲤᲐᲡᲔᲑ.

18

ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲨᲐᲒᲡ 20-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ



„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲘᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲣᲨᲐᲒᲝᲡᲗᲐᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲮᲚᲐ-ᲨᲔᲛᲝᲮᲚᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲤᲘᲖᲣᲚᲘ ᲰᲣᲡᲔᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲦᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲛᲐ, ᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲬᲐᲣᲙᲘᲓᲐ, ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲘᲖᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲮᲣᲠᲔᲑᲡ.

14

ᲯᲐᲜᲡᲣᲦ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ: ᲛᲔ ᲩᲐᲕᲘᲓᲘᲜᲔ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲔᲓᲘᲜᲐ



ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ, ᲓᲐᲕᲘᲫᲐᲮᲔ: „ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ!“ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲡᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲔᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲘ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲪᲐᲪᲝ-ᲛᲔᲗᲥᲘ, – ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ. ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲯᲐᲜᲣᲙᲘ, ᲐᲛᲝᲓᲘ – ᲘᲪᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ „ᲞᲔᲩᲔᲜᲘᲔᲑᲘ“ ᲒᲕᲐᲥᲕᲡᲝ! – ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲫᲐᲮᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲡᲛᲐ. ᲡᲣᲚ ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲛᲘᲡᲣᲚᲘ. ᲐᲕᲔᲓᲘ. „ᲞᲔᲩᲔᲜᲘᲐ“ ᲕᲭᲐᲛᲔ, ᲩᲐᲘᲪ ᲓᲐᲕᲚᲘᲔ.

26

მოდის სამყარო
წინდა – ქალის გარდერობის შეუცვლელი ატრიბუტი 32
შეუცნობელი სამყარო
კოსმოსური სტუმარი 33
საფეხბურთო მინდვრებზე
ფიფა წესების დახვეწას განაგრძობს, ფეხბურთელები კი ტრავმებს იშუშებენ და მომავალ კარიერაზე გრუნავენ 34
ვარსკვლავი
თია კარერე: „უმამაკაცოდ ცხოვრება არ შემიძლია...“ 36
ეკრანს მიღმა
ორლანდო ბლუმი – ელფების პრინცი 38
მოგზაურის დღიურები
ამერიკული თავგადასავლების ძიებაში „სულიკოს“ თანხლებით... 39
რომანი
რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (გაგრძელება) 42
ავტო 46
ფავორიტები
„ლოს-ანჯელეს ლეიკერები“ ზედიზედ მეოთხედ გაჩემპიონებას აპირებს 48
ქართველები
ლეგენდარული ბატონიშვილი 50
აქეთური-იქითური 52,54
ჯანმრთელობა
- როგორ შევარჩიოთ ხარისხიანი შამპუნი 56
- კითხვა-პასუხი 58

ტაქარი
ვირწმუნოთ თუ არა სიზმრის? 59
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 60
სკანვორდი 61
ჰოროსკოპი
კვირის (14-20 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62
ტესტი
ქალებისთვის: ხართ თუ არა მგრძნობიარე? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

„ღმერთო, ერთი წამით მაინც დამანახვე, როგორია ჩემი ცოლ-შვილი!..“

ოჯახში მისული ვცდილობდი, სიბრმავე არ შემემჩნია. პასუხი რამდენიმე დღის შემდეგ უნდა შემოეთვალათ. ყველას ვეუბნებოდი – უარს გვეტყვიან, აბა ბრმას, გიჟის მეტი, ვინ გამოჰყვება-მეთქი? – მაგრამ შევცდი. ინგა თანახმა იყო.

24

როგორ შევარჩიოთ ხარისხიანი შამპუნი

თმის მოცულობის გაზრდა, მტვრისადმი მისი მდგრადობის გაძლიერება, თმის გამაგრება, აღდგენა და კვება, ამა თუ იმ შამპუნით მართლაც შესაძლებელია, მაგრამ იმისათვის, რათა ცრუ რეკლამაზე არ წამოეგოთ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი...

56

თია კარერე: შამამაკაცოდ ცხოვრება არ შემიძლია...



ეროტიკული ტანგო შვარცენეგერმაც, რომელიც მანამდე დიდად არ გამოირჩეოდა ქორეოგრაფიული მონაცემებით, იმდენად მგზნებარედ შეასრულა, რომ ხალხში უმალ გავრცელდა ხმები, თიასა და არნის რომანის შესახებ.

36

ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები

მამაკაცი ნინის დააშტერდა: ნეტავ, ეს ჩიტუნია საიდანღა მოგვიფრინდა?

– ეს ჩემი ძმისწულია, – უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა შალვა ბიბიამ, თუმცა, მამაკაცს რესტორნის კარი მაინც თავაზიანად შეუღო: მობრძანდით, ბატონო გოგი.

42

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„დედა რომელია, დედა?!"

ცნობილ ლექსზე დაწერილი ცნობილი სიმღერის ცნობილი მისამღერი ყველას გეხსომებათ:

„ქუთაისი ქალაქია
ინდუსტრიის მშენებელი,
წყალტუბო კი მხარე არის
მისი დამამშვენებელი!"

იმის მიუხედავად, რომ მკვლევართა მტკიცებით, ეს ე.წ. მისამღერი მერე „მიაწებეს" გალაკტიონის ბრწყინვალე სტრიქონებს, სიმართლის მარცვალი მასში მაინც იყო, ანუ მაშინდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ — „სოციალისტური რეალიზმის " პრინციპებს ეხამებოდა — „ქუთაისში ცხრა თუ ათი „საკავშირო მნიშვნელობის" ქარხანა მუშაობდა, — საავტომობილოდან დაწყებული და ლითოფონის ქარხნით დამთავრებული (ნეტავ, „ლითოფონი" რა არის?).

ახლა, ქუთაისელებმა და, განსაკუთრებით, მათმა „ენამზე" გუბერნატორმა არ იფიქრონ, რომ მაინცდამაინც მათ სამი ათას ხუთასწლოვან ქალაქს „ვუწყობ პროვოკაციას", არა, — უბრალოდ მინდოდა, თქვენთვის შემეხსენებინა, რომ საქართველოში „ცხონებული" კომუნისტების ეპოქაში, ყველა ქალაქსა თუ რეგიონს თავისი „სპეციფუნქცია" და დანიშნულება ჰქონდა: რუსთავი ფოლადთან და მილებთან ასოცირდებოდა; ბათუმი — ციტრუსთან და გემებთან; კახეთი — ღვინოსთან, სამეგრელო — ჩაისთან; აფხაზეთი — ასასი წლის მოცეკვავ-მომღერალ ბერიკაცებთან და რუს ტურისტებთან; გურია — შევარდნაძესთან და ა.შ.



ახლა ნუ ვიკამათებთ, ის დრო სჯობდა თუ დღევანდელი, უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, მილების გადანაჭრებს კი გაღატაკებული მოსახლეობა მიწიდან თხრის და ჯართში აბარებს; ბათუმში გემის ნასახიც აღარ არის, ყოველ შემთხვევაში ისეთის, რომელიც საქართველოს დროშით დაცურავს ან მსოფლიოს რომელიმე პორტში „ზალოგში" არ იყოს ჩადებული, კახეთის ყურძენი საზამთროდ „იქცა", სამეგრელო ცნობილი „აქციების" შემდეგ ჯერჯერობით მხოლოდ ნაოხართან და ნაპარტახალთან ასოცირდება, აფხაზეთი — სისხლთან, ომთან და ქართველების ქვეშაფსიობასთან, გურიაც კი აღარ „ასოცირდება" შევარდნაძესთან, რადგან შევარდნაძე მთელი საქართველოს „სახედ" იქცა!.. სამაგიეროდ, მრავლად გვყავს მინისტრი, მისი მოადგილე, ადგილობრივი „მიკროპარლამენტის" წევრი, მებაჟე და სხვა „წარმატებული ბიზნესმენი" — ძირითადად 18-30 წლის ჯელეები, რომელთა ავტორიტეტი პირდაპირპროპორციულია მათი ჰალსტუხის სიდიდისა.

რატომ გავაკეთე ახლა, ეს — როგორც სკოლაში გვასწავლიდნენ, — „შედარებითი დახასიათება?" იმიტომ, რომ როგორც საქართველოს შიგნით, მის ქალაქებსა და კუთხეებს, ასევე „საერთაშორისო თანამეგობრობაში" თვით საქართველოს, უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია, დანიშნულება, სახე და ადგილი. რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ? „მსოფლიოს ბელელს" კანადას უწოდებენ, „მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარ დამცველს" — ამერიკის შეერთებულ შტატებს, „თანამედროვეობის ინტელექტუალურ-ტექნოლოგიურ ტვინს" — იაპონიას; „სამყაროს კულტურულ და სულიერ კერას" — ევროპას (ერთიანდება ის ხალხი და ჩვენც ერთად მოვიხსენიოთ); „კაცობრიობის გენოფონდის მარაგს" — ჩინეთს და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველა „კარგი სათაური" „დაკავებულია"!

სად არის გამოსავალი?! სად და ხალხურ სიბრძნეში. აბა, გაიხსენეთ ქართული — „დედას ავადმყოფი ბავშვი უფრო უყვარსო" და რუსული — **Нет семьи без урода** ე.ი. რა?! რა და ის, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი — „დებილი ბავშვის" ადგილი, რომელსაც ყველაფერი ეპატიება, რომელიც ჩაისვრის — დაბანენ, მოშივდება — აჭმევენ, იტირებს — მიეფერებიან და ა.შ.

„დედას" კი მაინც ვეყვარებით, „მსოფლიო ოჯახის" სრულუფლებიანი წევრიც ვიქნებით და სხვაზე მეტიც გვეპატიება...

P.S. დებილი იმის დებილია, რომ ყველაფერს ვერ ხვდება. არადა, ზემოთ რომ ვთქვი — „ჩაისვრის — დაბანენ, მოშივდება — აჭმევენ, იტირებს — მიეფერებიან"-მეთქი, მთლად მასეც არ არის საქმე: იტირებს — მიეფერებიან, კიდევ იტირებს — კიდევ მიეფერებიან, კიდევ, კიდევ იტირებს და... დებილების სახლში ჩაბარებს დედამისი...

P.P.S. „დედა რომელია, დედა?!"

პროვოკატორი

ჩააბნელებენ თუ არა თბილისს?

— ამჟამად რა ეტაპზეა „ეი-ი-ეს თელასისა“ და საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკება? რა დათმობაზე შეუძლია წასვლა „ეი-ი-ეს“ თელასს, რომ ქალაქი სრულ ჩაბნელებას გადაურჩეს?

ირაკლი მელაშვილი,
„ეი-ი-ეს თელასის“ ლობისტი:

— ჩაბნელების საფრთხე, რომელიც ქალაქს 3 ოქტომბრიდან ემუქრება, თუკი მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, რეალურია. „ეი-ი-ეს თელასი“ საბითუმო ბაზართან არანაირ ულტიმატუმზე აღარ წავა. ერთადერთი დათმობა, რასაც ჩვენი მხრიდან ადგილი ექნება, არის ის, რომ მათ თანხის გადახდის რამდენიმე ვარიანტს ვთავაზობთ: ვალები გაიქვითოს, ოღონდ დარჩენილი თანხის საფასურად შემოიტანონ ბუნებრივი აირი რუსეთიდან, ან ფული იმ კრედიტიდან გადაიხადონ, რომელსაც მსოფლიო ბანკიდან აიღებენ... მთელ ამ აჟიოტაჟს ერთი ახსნა აქვს: ერთ-ერთ ხელშეკრულებაში, რომელიც „ეი-ი-ეს მტკვარს“ ეხება, წერია: თუკი ამ ბლოკის მიმართ დავალიანება 40 მილიონზე ნაკლებია, მაშინ „ეი-ი-ეს თელასი“ ვალდებულია, ეს ბლოკი აამუშაოს. საბითუმო ბაზარს ამ ბლოკის მიმართ აქვს 50 მლნ ლარის ვალი. „ეი-ი-ეს თელასს“ კი, საბითუმო ბაზრის მიმართ 26 მლნ ლარის დავალიანება აქვს. ეს ვალები რომ გაიქვითოს, მაშინ საბითუმო ბაზარს „ეი-ი-ეს მტკვრის“ 24 მლნ დარჩება.

ელიზბარ ერისთავი,
ენერგომარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე:

— ჯერჯერობით ელექტროენერგია თბილისს არ შეუწყდება. გადავწყვიტეთ, ეს პირობა ძალაში იყოს მანამდე, სანამ მოლაპარაკებები გაგრძელდება. წარმოქმნილი დავის შედეგია ის, რომ შეფერხდა წინასწარ დაგეგმილი ტარიფის გაზრდა, რომელიც 1 ოქტომბრიდან უნდა შესულიყო ძალაში. ტარიფის გაზრდის შესახებ დადგენილება სემეკმა იუსტიციის სამინისტროდან უკან გამოიწვია და არ დაბრუნებს მანამდე, სანამ „ეი-ი-ეს თელასი“ ხელს არ მოაწერს საბითუმო ბაზართან ურთიერთშედარების აქტს. ეს იმის შედეგია, რომ ტარიფის 1,3 თეთრით გაზრდის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთ პუნქტში „ეი-ი-ეს თელასი“ საბითუმო ბაზრის მიმართ დავალიანების გასტუმრების პირობას იღებს. ამ პირობის შესრულებამდე ტარიფი არ გაიზრდება. მემორანდუმი ასევე ავალდებულებს „ეი-ი-ეს-ს“, აამუშაოს „ეი-ი-ეს მტკვრის“ მე-9 ენერგობლოკი, რაზეც „ეი-ი-ეს მტკვარი“ უარს აცხადებს, სანამ საბითუმო ბაზრისგან არ მიიღებს 50 მილიონამდე ლარს. ასე რომ, მოლაპარაკებები გრძელდება... ■

ვინ იქნება პერსონა ნონ-გრატა?

— დემოკრატიული კოალიცია, სადაც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა, მოითხოვს — რუს პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთ ჯგუფს საქართველოში ჩამოსვლა აეკრძალოს. რამდენად სერიოზულია ეს მოთხოვნა და მოუტანს თუ არა მისი განხორციელება რაიმე სიკეთეს საქართველოს?

დავით ზურაბიშვილი,
„თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი:

— ვფიქრობ, ეს საკითხი ჩვენ არ უნდა დაგვეყენებინა. მაგრამ რადგან ეს საქართველოს ხელისუფლებამ აქამდე არ გააკეთა, ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, ასეთი განცხადების გაკეთება ჩვენს თავზე აგვეღო. ნებისმიერი სახელმწიფოს ელემენტარული მოვალეობაა, დაიცვას საკუთარი ღირსება. მაგალითად, ჟირინოვსკის რომ ვუთხრათ უარი საქართველოში შემოსვლაზე, ეს იქნება სიმბოლური ჟესტი, მკაფიო მინიშნება და სიგნალი, რომ ეს არის ქვეყანა, რომელიც შეურაცხყოფად იღებს იმ ტონს, რომლითაც ის საქართველოზე საუბრობს. თუკი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩვენს განცხადებაზე დადებით რეაგირებას მოახდენს, მაშინ საქართველოში შემოსვლა პირველ რიგში, აეკრძალებათ: რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს, რუსეთის ფედერაციის სათათბიროს წევრს ვლადიმირ ჟირინოვსკის, რუსეთის გენშტაბის უფროსს ანატოლი კვაშნინს და ყველა იმ პირს, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და შეურაცხყოფს სახელმწიფოს ღირსებას. ■

5 ოქტომბერს მორიგი მუსიკალური სეზონი იწყება

— რა პროგრამით გახსნის წლევანდელ სეზონს ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სიმფონიური ორკესტრი და როგორ ხვდება იგი თავისი დამფუძნებლის 100 წლის იუბილეს?

ვახტანგ მაჭავარიანი, *ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი:*

— ეს სეზონი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. 2002-2003 წლის მთელი მუსიკალური სეზონი ევგენი მიქელაძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნება. თუმცა, გულდასაწყვეტია, რომ უსახსრობისა და დარბაზის უქონლობის გამო, ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საკადრისად ვერ აღვნიშნავთ. 5 ოქტომბერს წლევანდელ სეზონს ვერდის „რეკვიემით“ გავხსნით. ორკესტრთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგებიან ბათუმის კაპელა და სოლისტები — პაატა ბურჭულაძე, ბადრი მაისურაძე, მაყვალა ქასრაშვილი და თეა დემურიშვილი. შემდეგ გაიმართება ცნობილი ქართველი მევიოლინის, მარინა იაშვილის საიუბილეო კონცერტი. ამას მოჰყვება ვერდის უკანასკნელი ოპერა „ფალსტაფი“ ექვსი მომღერლის, მათ შორის ორი დიდი ვარსკვლავის — გიუნტერ ფონ კანენის და მარტინ კრენცლეს მონაწილეობით. შესრულდება რეპერტუარი, რომელიც არასოდეს შესრულებულა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ეს არის რიჰარდ შტრაუსის „მეტამორფოზები“, ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“ და სხვა. ამით გვინდოდა, გაგვეგრძელებინა მიქელაძის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია — საქართველოსთვის ახალი ნაწარმოებების შესრულება-პოპულარიზაცია. სეზონი უკვე იხსნება, მაგრამ ორკესტრს კიდევ ბევრი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ „რეკვიემს“ ოპერის თეატრი უმასპინძლებს. კულტურის მინისტრი კი ცდილობს დაგვეხმაროს, მაგრამ ჩვენი პრობლემები ისე შორიდან და იმდენად „ზემოდან“ მოდის, რომ მისი გადაწყვეტა მხოლოდ კულტურის მინისტრის დონეზე ვერ მოხერხდება. მთელი ეს წლები პრეზიდენტს ჩემი ნახვა არ უნდოდა, ახლა კი მე არ მინდა მისი ნახვა. ახლა „ღირსების ორდენი“ შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი — არ მინდა: ღირსებაყრილი ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელს „ღირსების ორდენი“ არაფერში სჭირდება... მიუხედავად პრობლემების სიმრავლისა, ორკესტრი კონცერტისთვის მზად არის და ვფიქრობ, არავის დატოვებს გულგრილს. ■

მოამზადა ნანა ქიბიშაურმა

„რუსეთის გარკვეულ წრეებში გაღიზიანებას იწვევს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია...“

რუსეთი საქართველოს ახალ სიურპრიზს უმზადებს. ვლადიმირ ჟირინოვსკი ახმაურებს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შემუშავებულ გეგმას, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრება-დაქუცმაცებას ისახავს მიზნად. ამ საიდუმლო გეგმის მიხედვით ცენტრალური მთავრობის იურისდიქციის ქვეშ მხოლოდ თბილისი და ქუთაისი დარჩება, მათი ხელმძღვანელები კი რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნებიან. ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდებიან: აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი, ოსეთი და მესხეთი. პანკისში „იჩქერიის რესპუბლიკა“ შეიქმნება, გარდაბანი-მარნეულის ტერიტორიას „ახალი აზერბაიჯანი“ დაერქმევა, სამცხე-ჯავახეთი კი სომხეთს გადაეცემა. ჟირინოვსკიმ ამ დოკუმენტზე ხელმოსაწერად საქართველოს პრეზიდენტი მოსკოვში მიიწვია და რაც მთავარია, განაცხადა, რომ ამ გეგმის შესახებ ინფორმირებულია რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც!.. ჟირინოვსკის ამ განცხადებას საქართველოს უშიშროება მაინცდამაინც სერიოზულად არ აღიქვამს, ვინაიდან თავად ჟირონოვსკის არასერიოზულ პოლიტიკოსად მიიჩნევს.

— იზიარებს თუ არა ასეთ დამოკიდებულებას უშიშროების სამინისტრო?

***ნიკა ლალიაშვილი**, უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:*

— ჟირინოვსკი არ მიეკუთვნება იმ პოლიტიკოსთა რიგს, ვისი განცხადებებიც შეიძლება სერიოზულად იქნას აღქმული და რომელსაც სერიოზული, შინაარსიანი კომენტარი სჭირდება ან რაიმე რეაგირება უნდა მოჰყვეს. თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ვერ დავადასტურებ. რაკი ჟირინოვსკი ამბობს ამას, ეს არ ნიშნავს, რომ მართლაც ასეა. თუმცა, იმას რომ, რუსეთს საქართველოს დანაწევრება-დაქუცმაცების სურვილი მართლაც შეიძლება ჰქონდეს. არ გამოვრიცხავ. რუსეთის გარკვეულ წრეებში (ძირითადად სამხედრო წრეებს ვგულისხმობ), გაღიზიანებას იწვევს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ორიენტაცია. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულნი იქნებიან იმაში, რომ ეს კურსი როგორმე შეიცვალოს და დასავლეთისკენ ჩვენი სწრაფვა შესუსტდეს. ■

„იტერამ“ განაცხადა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო თანხა დღესდღეობით არა აქვს“

— მოლაპარაკებები რუსული კომპანია „იტერას“ მიერ „თბილგაზის“ შესყიდვისა და ერთობლივი საწარმოს — „იტერა-ჯორჯიას“ შექმნის შესახებ შეწყდა. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ამაყად აცხადებს, რომ ეს მისი ძალისხმევის წყალობით მოხდა. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

***გიორგი ისაკაძე**, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე:*

— მოლაპარაკებები მთელი ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა იმისთვის, რომ ჩამოყალიბებულიყო ოპტიმალური ხელშეკრულება და ამის შემდეგ მხარეებს ერთობლივად ემუშავათ დედაქალაქის გაზის მეურნეობის გასამართავად. მთელი ამ ხნის განმავლობაში პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი იურისტები. საქართველოში „იტერას“ შემოსვლა დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ხელშეკრულების ძირითადი პრინციპების შეთანხმებისას გაჩნდა საჭიროება, რომ შეგვეთანხმებინა პრინციპული საკითხებიც, ისეთი, როგორიცაა ვთქვათ, ინვესტირება და ა.შ. ამასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ინტერესთა შეჯერება ვერ მოხერხდა და მთავრობამ მიიღო ოპტიმალური გადაწყვეტილება — ისევ და ისევ, დედაქალაქის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ასე რომ, საკაშვილი აქ არაფერ შუაშია. ჩემთვის გაურკვეველია „იტერას“ გარშემო ამტყდარი აჟიოტაჟიც, რადგან რეალური დოკუმენტი ჯერ არც კი არსებობდა.

„იტერას“ წინაშე ქართულმა მხარემ კონკრეტული საკითხი დააყენა: შეძლებდა თუ არა „იტერა“ ინვესტირებას თბილისის ქსელის რეაბილიტაციისთვის. დაახლოებით სამიოდე კვირის წინ, „იტერამ“ ტექნიკური მისიაც კი გამოგზავნა თბილისში სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, საჭირო,



სავარაუდო თანხის დასადგენად — ანუ იმის შესამოწმებლად, თუ რა მდგომარეობაშია დღეს გაზგამანაწილებელი ქსელი. მდგომარეობა კი უმძიმესია. ამ დასკვნის საფუძველზე „იტერამ“ განაცხადა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო თანხა დღესდღეობით არა აქვს. საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას არასდროს განუცხადებია, რომ მოლაპარაკების დროს ქართული მხარე მზად არის, „იტერას“ ნებისმიერ პირობას დათანხმდეს. ჯერ ძირითად პრინციპებზე უნდა შევთანხმებულიყავით — ეს არის ქსელის გადარჩენა, უწყვეტი გაზმომარაგება და შესაბამისად უსაფრთხო გაზმომარაგებით თბილისელების მაქსიმალურად უზრუნველყოფა. ეს კი თავისთავად რეაბილიტაციას ითვალისწინებს. რადგან ვერ მოხერხდა თანხების გამოძებნა, რეალურად აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავი შეიკავა ერთობლივი საწარმოს შექმნისაგან. თუმცა „იტერა“ რჩება საქართველოს ერთ-ერთ სერიოზულ პარტნიორად და ეს შემოიფარგლება მხოლოდ იმ გაზგამანაწილებელი კომპანიებით, რომელიც დღეს „იტერას“ ეკუთვნის. ამის გარდა, არსებობს საკმაოდ სერიოზული ბიზნეს-პროექტი რუსთავის გაერთიანება „აზოტთან“ მიმართებაში, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება. ■

მოამზადა ნინო ჯავახიშვილმა



„რუსებმა კვლავ რომ არ დაგვბომბეს, ამერიკელებს უნდა ვუმადლოდეთ და არა ქართულ დიპლომატიას...“

დსთ-ის სამიტი, რომელიც პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ისტორიულად მონათლა, დასრულდა. შევარდნაძე-პუტინის შეხვედრამ, რომელზეც საქართველოში გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ, პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. შედეგებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრით კმაყოფილია, როგორც პუტინი, ისე შევარდნაძე. რას შეიძლება ველოდოთ უახლოეს ხანში რუსეთისგან, რომლის პრეზიდენტიც 11 სექტემბრის მუქარანარევი განცხადების შემდეგ, კიშინიოვის სამიტზე შედარებით გულმოწყალე ჩანდა? ამ კითხვით პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს მივმართეთ.

ნინო ჯავახიშვილი

— ბატონო სოსო, რეალურად რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეთანხმებას, მაშინ, როცა ამ შეხვედრიდან სულ რამდენიმე საათში, რუსეთმა ჩვენი საჰაერო სივრცე ისევ დაარღვია?

— თუ ვინმე ფიქრობდა, რომ კიშინიოვის სამიტის შემდეგ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ერთხელ და სამუდამოდ დარეგულირდებოდა, ცდებოდა. სამიტს არ შეეძლო, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა ან გაეუარესებინა, ან საბოლოოდ მოეგვარებინა. ეს შეთანხმება ერთნაირად სჭირდებოდათ საქართველოს პრეზიდენტსაც და რუსეთის პრეზიდენტსაც. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, შეიძლება, ეს რუსეთის პრეზიდენტს უფრო აძლევდა ხელს. 11 სექტემბრის მუქარა ლოგიკურ გაგრძელებას მოითხოვდა. როგორც კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს აგრძნობინა, რომ ამ მუქარის რეალიზაციის საშუალებას არ მისცემდა, პუტინმა გადაწყვიტა, ლამაზად გამოსულიყო იმ ჩიხიდან, რომელშიც თავისი გაუაზრებელი განცხადებების გამო, თავადვე მოექცა. საამისოდ ერთადერთ საშუალებად კი ის მიიჩნია, რომ სამიტზე განეცხადებინა: ჩემი მუქარა უკან არ მიმაქვს, ის ძალაში რჩება და თუ საქართველო კარგად არ მოიქცევა და ყველა თავის დანაპირებს არ შეასრულებს, მაშინ განვახორციელებო.

— დანაპირებში პუტინი რას გულისხმობდა? შევარდნაძის სიტყვას, რომ მალე რუსეთს, საქართველოში დაკავებულ 8 ჩეჩენ მეომარსაც გადასცემს? და კიდევ ერთი კითხვა: თუ შეთანხმება 7 ოქტომბერსვე დაირღვეოდა, რატომლა მიეცა ამ შეხვედრას ისტორიულის შეფასება?

— დანაპირებში მხოლოდ 8 ჩეჩენის ექსტრადიციას არ გულისხმობდა. არის სხვა საკითხებიც, რაზედაც პრეზიდენტები შეთანხმდნენ, — ვთქვათ, საზღვრის ერთობლივი პატრულირება. პატრულირების რამდენიმე ფორმა არსებობს. ბუნებრივია, რუსეთი თავის ინტერესებს დაიცავს, საქართველო ეცდება, რომ პატრულირება მისთვის მისაღები ფორმით ჩატარდეს. ესეც წარმოშობს გარკვეულ წინააღმდეგობებს ქართულ და რუსულ მხარეებს შორის. პუტინს სურდა, ხმამაღლა ეთქვა, რომ ამერიკელების არ ეშინია, უკან არაფერზე დაიხევს და ზოგიერთი პოლიტიკოსივით რაიმე გადაწყვეტილების მიღების დროს ოკეანის გაღმა არ გაიხედავს. შევარდნაძეს კი სურდა განეცხადებინა, რომ პუტინის მუქარა ომის დაწყების შესახებ, საქართველოს ღირსებისთვის შეურაცხმყოფელი და დაუშვებელია და რომ საქართველოს შეუძლია ამ საფრთხის ნეიტრალიზება — თუნდაც დროებით. აი, ამიტომ, ის არასერიოზული განცხადებები და შეფასებები, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი, ისტორიული ხანა დაიწყება, — მითია. მითია ისიც, თითქოს პუტინმა შევარდნაძე ბეჭებზე დასცა... მოკლედ, ამ შეხვედრის ისტორიულად მონათვლა, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია. მოხდა დროებითი დაზავება — ეს არის და ეს...

— პუტინსა და შევარდნაძეს შორის მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება, ყველანაირი ოფიციალური დოკუმენტის გარეშე მოხდა. ამაზე რას იტყვით?

— არც ეს მომხდარა შემთხვევით. პუტინს უნდა, გახსნილი დაიტოვოს ხელფეხი და როცა დასჭირდება, თავის გენერლებთან თავის გასამართლებლად თქვას — შევარდნაძემ კიდევ ერთხელ მომატყუაო... პუტინმა ისეთი შავი პიარი გააჩაღა საქართველოს წინააღმდეგ, რომ უცებ 180 გრადუსით ვერ შემოტრიალდებოდა. ამიტომაც „გაგვიხარა გული“: მე კი ვაპირებდი საქართველოს დაბომბვას, მაგრამ ჩამოვიდა შევარდნაძე, რაღაცები მთხოვა, „აპირებები მომცა და დაბომბვის მოტივი აღარ არსებობსო. ეს რას ნიშნავს? რისთვისაც ვბომბავდით, ის უკვე შესრულდაო.

— პუტინის ასეთი გულმოწყალება, რუსეთისთვის 5 ჩეჩენ მეომრის გადაცემამ ხომ არ გამოიწვია?

— არავითარ შემთხვევაში. ჩეჩნები რომ არ გადაეცათ, მაინც ასე მოხდებოდა. რუსეთში ჩეჩნების ექსტრადიციასთან დაკავშირებითაც უამრავი კითხვა ჩნდება. დღესაც არ ვიცით, სინამდვილეში ვინ იყვნენ ეს ჩეჩნები. ან რას ნიშნავს ჩეჩენი ქალბატონების მუქარა არა შევარდნაძის, არამედ საქართველოსა და ქართველების მისამართით — საქართველო რასაც მიღებს, ნახავსო, — რომ გაიძახიან? ეს უკვე თავხედობაა. ჩვენ ისინი შევიკედლეთ, რამდენი უბედურება ვიწვნიეთ ამის გამო და ახლა აქეთ გვემუქრებიან.

— მსგავსი განცხადება გელაევმაც გააკეთა და ისიც დაგვემუქრა: ქართველები პასუხს აგებენ რუსეთისთვის ჩეჩნების გადაცემის გამოო...

— ამიტომაც ვამბობ, რომ ჩეჩნების ექსტრადიცია იყო ქართული დიპლომატიის კატასტროფული შეცდომა. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ ჩეჩნეთიდან ლტოლვილები უნდა შეგვეფარებინა, ოღონდ — მხოლოდ ბავშვები, ქალები და მოხუცები. ჩვენ კი ყველა შემოვუშვით და მერე, როცა გვაიძულეს 5 ბოევიკის გადაცემა, ორმაგი დარტყმის ქვეშ აღმოვჩნდით. რა გამოვიდა? — ახლა არც რუსეთია მადლობელი და არც ჩეჩნეთია კმაყოფილი იმით, რაც მოხდა. ეს არის ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის პირდაპირი შედეგი. ამას უნდა ვუმადლოდეთ ქართულ დიპლომატიას, რომელიც არ იწუხებს თავს, რომ მოსალოდნელი შედეგები წინასწარ გათვალოს. ყველამ დაიმახსოვროს, რომ საქართველო არც წითელი ჯვარია და არც სხვა რომელიმე ჰუმანიტარული ორგანიზაცია... კიშინიოვის სამიტს რეალური შედეგები უკვე მოჰყვა — ეს არის ჩეჩნებთან ურთიერთობის დაძაბვა და რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის არგაუმჯობესება. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ქართული დიპლომატია ამ დიდი თამაშიდან წაგებული გამოვიდა. იმას, რუსებმა კვლავ რომ არ დაგვბომბეს, ამერიკელებს უნდა ვუმადლოდეთ და არა ქართულ დიპლომატიას. ■

კინოთეატრ „ამირანში“, ცნობილი რუსი რეჟისორის, პაველ ლუნგინის „ოლიგარქის“ პრემიერაზე მისული პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მსახიობები და ჟურნალისტები მოუთმენლად ელოდნენ, როდის ნახავდნენ ფილმს, რომელზეც მის გამოსვლამდე კარგა ხნით ადრე, უამრავი ჭორ-მართალი ითქვა და დაიწერა. ასეთი ინტერესი იმან გამოიწვია, რომ ფილმში მთავარი გმირის, პლატონის პროტოტიპი ბორის ბერეზოვსკია, ხოლო მისი მეგობრის, ლარის პროტოტიპად — ბადრი პატარკაციშვილს მიიჩნევენ. ლარის როლს ლევან უჩანეიშვილი ასრულებს. ფილმის პრემიერა თბილისამდე, შვეიცარიასა და მოსკოვში გაიმართა.

რომან რცხილაძე, ბადრი პატარკაციშვილი, ლევან უჩანეიშვილი

ბადრი პატარკაციშვილი:

საქართველოს 3/4-ის ყიდვა რომ შეეძლოს...

ლელა ჭანკოტაძე

ფილმის პრემიერაზე ბადრი პატარკაციშვილი და ლევან უჩანეიშვილი ერთად მოვიდნენ. ლევანს ეშინოდა, რომ ძალიან ნერვიულობდა; გვთხოვა — სანამ ფილმის ჩვენება არ დამთავრდება, ნურაფერს მკითხავთო. თავად **ბადრი პატარკაციშვილი** კი, იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და ჩვენი ცნობისმოყვარეობა ცოტათი მაინც დაეკმაყოფილებინა. ცუდი რესპონდენტი ნამდვილად არ აღმოჩნდა, თუმცა, მაინც ადვილად გაღიზიანდა და ზოგიერთი კითხვის გამო წყენა არც დაუმალავს.

— ბატონო ბადრი, შეგიძლიათ, წინასწარ შეაფასოთ ფილმი?

— ფილმს ვერ შევაფასებ, იმიტომ, რომ მთლიანად არ მინახავს. ჯერ მხოლოდ ფრაგმენტები მაქვს ნანახი. თუ იმ რეცენზიებით ვიმსჯელებთ, რომელიც შვეიცარიასა და რუსეთში დაიწერა, ძალიან საინტერესო უნდა იყოს.

— შვეიცარიაში ფილმის პრემიერას არ დასწრებიხართ?

— არა. თუმცა ვიცი, რომ იქ ღია ცის ქვეშ გაიმართა „ოლიგარქის“ პრემიერა. ექვსი ათასი მაყურებელი თავსხმა წვიმაში უყურებდა ფილმს და არ დაშლილა.

— და მაინც, როგორ შეაფასებთ ფილმის სიუჟეტს?

— „ოლიგარქში“ ასახულია დრო, რომელიც გასული საუკუნის ბოლო პერიოდის რუსეთში მიმდინარე მოვლენებს ასახავს. ეს გზა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკამ გამოიარა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ფილმი ყველასთვის საინტერესო იქნება. რუსული ბიზნესი არაფრით განსხვავდება ქართული ბიზნესისგან. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წელიწადი გვაშორებს ერთმანეთისგან. ჩემი აზრით, ეს ზუსტად დროის ის მონაკვეთია, რომლითაც საქართველო ეკონომიკურად ჩამორჩება რუსეთს.

— რატომ დაუკავშირდა ფილმი „ოლიგარქი“ ბორის ბერეზოვსკისა და თქვენს სახელებს?

— მიმაჩნია, რომ ბერეზოვსკი და ბადრი, ამ ფილმში მხოლოდ იმიტომ გაჩნდნენ, რომ წიგნი, რომლის მიხედვითაც ამ ფილმის სცენარი შეიქმნა, ჩვენი ჯგუფის წევრმა ოური დუბოვმა დაწერა. ჩვენს ადგილას შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც იმ დროს, აქტიურად მონაწილეობდა ახალი რუსეთის მშენებლობაში. ამიტომ არ მიმაჩნია, რომ ფილმის გმირების პროტოტიპები ჩვენ ვართ. მათი „პროტოტიპები“ მთლიანად რუსული ბიზნესი და რუსი ბიზნესმენები არიან.

— ლევან უჩანეიშვილს იმდენად ენდეთ, რომ უფლება მიეცით, ეთამაშა გმირი, რომელიც თქვენს სახელთან გაიგივდა?

— ლევანს ჩემთვის ნებართვა არ უთხოვია. ის არც ჩემს როლს თამაშობს და, ცხადია, ვერც ვენდობოდი, რადგან არ ვიცნობდი. თუმცა მიმაჩნია, რომ ბრწყინვალე მსახიობია. მოხარული ვიქნებოდი, თუ ის ჩემს როლს ითამაშებდა, მაგრამ ამ ფილმში „ჩემი როლი“ არ არსებობს.

— ლევანის რომელიმე ფილმი თუ გაქვთ ნანახი?

— „კუკარაჩა“. ეს ფილმი ძალიან მიყვარს.

— „ოლიგარქი“ თუ არ მოგეწონებათ, გული დაგწყდებათ?

— არა. მე გული დამწყდება შემოქმედებ-

ით ჯგუფზე, რადგან მიმაჩნია, რომ ისეთ შემოქმედებით ჯგუფს, რომელმაც „ოლიგარქი“ შექმნა, ცუდი ფილმი არ უნდა გაეკეთებინა.

— სანამ გადაღებები დაიწყებოდა, სცენარს იცნობდით?

— კი, რა თქმა უნდა.

— თანახმა იყავით, რომ ამ სცენარის მიხედვით ფილმი გადაეღოთ?

— ჩემთვის ეს არავის უკითხავს.

— თქვენი მხრიდან არანაირი დაფინანსება არ ყოფილა?

— რა თქმა უნდა, არა. მე თვითონ ჟურნალისტად ვთვლი თავს და არა მგონია, თქვენთვის ამის მოსმენა სასიამოვნო იყოს. ერთხელ უკვე დამისვით შეკითხვა. თუ მიგაჩნიათ, რომ მე სკლეროზი მაქვს, გარწმუნებთ, რომ არ მაქვს.

— გავრცელებული ინფორმაციით, ბერეზოვსკიმ 30 მილიონი გადიხადა, „ოლიგარქი“ კარგი ფილმი რომ გამოსულიყო. ამ ინფორმაციას თქვენამდე არ მოულწევია?

— მე ამ თემაზე არასდროს ვამახვილებ ყურადღებას, რადგან ზუსტად იმავეს ლაპარაკობს მთელი ჟურნალისტური კორპუსი ბადრიზე, რომელმაც იყიდა 3/4 საქართველო. საქართველოს 3/4-ის ყიდვა რომ შემეძლოს და რომ შეიძლებოდეს ამის გაკეთება, ნამდვილად შეკუმშნდი ხალხს ნორმალური ცხოვრების პირობებს — არა ყიდვით, არამედ ინვესტიციებით. ყველა ქართველს და ყველა აქ ჩამოსულს უნდა ჰქონდეს იმის აზრი, რომ რაც შეიძლება მეტი ინვესტორი მოიზიდოს, რათა ინვესტორებმა მართლა რაღაც იყიდონ აქ. რადგან ერთადერთი, რაც საქართველოს გადაარჩენს, ეს არის ეკონომიკური აღმავლობა.

— თუ აპირებთ, ქართველ კინორეჟისორებს დაეხმაროთ და ქართული კინოს აღორძინებას შეუწყოთ ხელი?

— არ ვიცი, ვინ დაეხმარა რუსეთში ამ კინოფილმის გადამღებ ჯგუფს. მე მგონია, რომ მათ თვითონ მოძებნეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფილმის გადაღების საშუალება. რაც შეეხება ქართულ კინოს — ყველანი ვალდებულები ვართ, რომ დავეხმაროთ. აუცილებლად დავეხმარები, რითიც შევძლებ.

— თქვენი საყვარელი ქართული ფილმი რომელია?

— თითქმის ყველა ქართული ფილმი, რომელიც ბავშვობაში მინახავს, ჩემთვის საყვარელია, ვერც ერთს ვერ გამოვყოფ.

— რომელიმე კინოგმირისთვის თუ მიგიბაძავთ?

— ყველას ვბაძავდი. პირველ რიგში კი, გიორგი საკაძესა და ბაში-აჩუკს.

— შეგიძლიათ, გამიმხილოთ თქვენი ოცნება, რომელიც საქართველოს უკავშირდება?

— ჩემი ოცნება ძალიან მოკრძალებულია: მინდა, რომ საქართველოში ხალხმა იცხოვროს იმის შესაბამისად, რაც მას ეკუთვნის. ჩვენს ხალხს კი ნამდვილად ეკუთვნის იმაზე მეტი, რაც დღეს აქვს.

— რა შეგრძნება გეუფლებათ, როცა გრძნობთ, რომ აქ შეკრებილი ხალხი იმედის თვალით შემოგყურებთ? ალბათ ეს კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობას ბადებს...

— არა. მე მგონია, ეს არის, სამწუხაროდ, უკმაყოფილების გრძნობა — იმის გამო, რომ მეტის გაკეთება არ შეგიძლია...

როგორც კი მოწვეულმა სტუმრებმა ჰოლიდან დარბაზში გადაინაცვლეს, სცენაზე ლევან უჩანეიშვილი ავიდა. მან თქვა, რომ დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, ამ საღამოს სიზმარში ხედავდა... 1984 წლის შემდეგ თბილისში ჩემი ფილმის პრემიერა არ გამართულაო...

„ოლიგარქი“ იწყება საოცარი სიღარიბისა და გამწარებული ჟურნალისტი გოგონას სახის კადრებით, რომელიც ცდილობს ოლიგარქს (პლატონს) ინტერვიუ ჩამოართვას. კოკისპირულ წვიმაში მოხვედრილი, ის ისეთივე მძიმე დღეშია, რა დღეშიც ხშირად, თავად ბადრი პატარკაციშვილი აგდებს ჟურნალისტებს... პლატონისთვის მთავარი, ცხოვრებაში ბიზნესი, კრიმინალი და მეგობრებია. მისთვის არ არსებობს სიტყვა „არა“. მას არავინ ეუბნება „არას“... პლატონის როლს ცნობილი მსახიობი, ვლადიმირ მაშკოვი ასრულებს, რომელიც ფილმში საოცრად ჰგავს ანტონიო ბანდერასს. საოცარი ჟესტიკულაციით, შემართებითა და ჟინით მღერის ლევან უჩანეიშვილი, რომელიც მეგობრებთან ერთად გამარჯვებული ბრუნდება ტოლიატის მანქანათმშენებელი ქარხნიდან,



კოტე ყუბანეიშვილი



ვახტანგ რჩეულიშვილი

საიდანაც მან და მისმა მეგობრებმა კანონიერი ქურდის დახმარებით მანქანებით დატვირთული მთელი ეშელონი წამოიყვანეს... ეს მართლაც დაუიწყარი კადრია, რომელიც გამორჩეულად დასამახსოვრებელია ამ ფილმში.

„ოლიგარქს“ ამშვენებს მარია მირონოვაც, რომელსაც სურათშიც მარია ჰქვია. ის ჯერ პლატონის საყვარელი ქალი, შემდეგ — ცოლია... ისინი ერთმანეთს მატარებელში გაიცნობენ. შამფურებით ხელში პლატონი თავისი კუპესკენ მიემართება და ამ დროს, თვალს მოჰკრავს გრძელთმიან, ლამაზ გოგონას, რომელიც სიგარეტს ამოლებს, თავის კუპეში კი, პოლიტიკოსი ქმარი ელოდება...

მარია პლატონისგან ბიჭს ვაჩენს. პლატონი ამ ამბავს რვა წლის შემდეგ, შემთხვევით შეიტყობს. ის დაინახავს სამინებლიდან გამოსულ ნამინარევ ბავშვს, რომელიც დედას ეძახის, და მიხვდება, რომ ეს მისი შვილია.

ლარი (ლევან უჩანეიშვილი) ფილმში ძალიან გვიან ჩნდება. ის ჩვეული გამომეტყველებით მიდის პლატონთან და საკანდიდატო დისერტაციის დაწერას სთხოვს, რის სანაცვლოდაც, ცხადია, ფულს ჰპირდება. როგორც ჩანს, თანხა იმდენად სოლიდურია, რომ პლატონი ეუბნება: პირდაპირ სადოქტორო დისერტაციას დავიწერო, რაზეც ლარი პასუხობს: საკანდიდატო მირჩევნია — თბილისში მეტისმეტად ჭკვიანები არ უყვართო... პლატონი მდიდრდება, სახელს იხვეჭს და სწორედ ლარის დახმარებით, ოლიგარქი ხდება. ლარი მისი თვალებია, „კრიშა“, ზოგჯერ კი — ხელებიცაა. პლატონი მართლაც ძალზედ ჭკვიანია, თითქმის ნამდვილი გენიოსია...

სანახაობრივად ფილმის მეორე ნაწილი საგრძნობლად სჯობს პირველს. პირველ ნაწილს წითელ ზოლად გასდევს სიღარიბე. რუსებს უჭირთ. ერი სვამს მხოლოდ არაყს, ჭამს შემწვარ კვერცხს და ცხოვრობს კრიმინალების შიშით... მეორე ნაწილი გამდიდრებული პლატონის განცხრომით ცხოვრე-

ბისა და ბიზნესში მოპოვებული გამარჯვებების ასახვას ეთმობა. ოლიგარქს დაბადების დღეზე (ის 44 წლის ხდება) საჩუქრად უძღვნიან ვირს, ცხენსა და ცოცხალ ადამიანს — უზარმაზარ პარკში ჩასმულ „ძის რუსეთს“ გადასცემენ... ფილმში სისხლიც იღვრება, საქმეებსაც არჩევენ და ინტრიგების ქსელსაც ხლართავენ. ჩანს, რომ ბიზნესი კრიმინალის გარეშე არ არსებობს. სწორედ ამან დაბნია ქართული ბომონდი: „ოლიგარქის“ დამთავრების შემდეგ, არც აღტაცებული მყურებელი ჩნდა და არც ვინმეს მოუნდომებია საქმარი სიტყვების თქმით თავის მოწონება. თუმცა, ფილმის შეფასებისას ყველამ მაინც ორაზროვანი განცხადება გააკეთა და პირუთვნელ შეფასებას თავი აარიდა.

კოტე ყუბანეიშვილი:

— ჩემი აზრით, ამ ფილმში მოგონილი ისტორიაა, რათა დაიფაროს სიმართლე, მაგრამ საინტერესოდაა მოგონილი და სიმპათიურადაა გაკეთებული. ამ ფილმში ჩანს, რომ ფულიანი ხალხი საჭიროა, ოღონდ კარგი ფულიანი ხალხი. გარკვეული სიმპათიებიც კი გამიჩნდა მთავარი როლების შემსრულებელთა მიმართ. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთ მთავარ როლს ლევანი თამაშობს.

ვახტანგ რჩეულიშვილი:

— ფილმი ძალიან მომეწონა. რუსულ-ფრანგული ფილმია და ალბათ ამან განაპირობა მისი მაღალი ხარისხი. საინტერესოდაა გაკეთებული და ასახული ბოლო ათი წლის რეალობა. ამ ფილმს ისეთივე დატვირთვა აქვს, რაც ფორდ კოპოლას „ნათლიას“. სარეკლამო ხასიათიც აქვს, მაფიის რეკლამაცაა. გმირები სიმპათიას იწვევენ. ცხოვრებაში ბერეზოვსკიმ რომ ვინმეს სიმპათია გამოიწვიოს, მეეჭვება. თანაც ლევან უჩანეიშვილი ნამდვილად უფრო სიმპა-

ვანო ჩხარტიშვილი

ზაზა შენგელია

თიურია, ვიდრე პატარკაციშვილი.

ვანო ჩხარტიშვილი:

— ფილმი შთამბეჭდავია. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩანს ის სირთულეები და რეალობა, რომელიც რუსეთში ბიზნესის განვითარებას უკავშირდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ძალიან ხშირად, ოლიგარქიის ცნებას ცუდ კონტექსტში სვამს და უარყოფით დატვირთვას აძლევს. ალბათ დადგება დრო და ოლიგარქების მიმართ დამოკიდებულება და საზოგადოებრივი აზრი შეიცვლება. სინამდვილეში, ოლიგარქია არის ბიზნესის განვითარება და ჭიდილი სხვადასხვა ფორმაციას შორის. ამ ფილმიდან ჩანს, რომ ბიზნესი არის ის ძალა, რომელიც განავითარებს ნებისმიერ ქვეყანას. ძალიან კარგი იქნება, თუ გადაიღებენ ფილმს იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა ბიზნესი საქართველოში და ვინ რა როლი შეასრულა ამ საქმეში.

ზაზა შენგელია:

— წინააღმდეგობრივი ფილმია. ნაჩვენებია ახალი აზროვნების მოსვლა რუსეთში და მე მგონი, მაქსიმალურად არის მიახლოებული დოკუმენტალისტიკასთან. ფაქტია, რომ მთავარი მოქმედი გმირი ძალიან ნიჭიერი კაცია და მან უმძიმესი გზა გაიარა, რათა საკუთარი თავი გადაერჩინა. ეს მოგონილი ამბავი არ არის, ეს რეალობაა. ბოლო კადრი ფაქტობრივად, პროტესტია იმის მიმართ, რაც რუსეთში ხდება. თავად პატარკაციშვილის ახალი სახეც დავინახე. ამ ფილმში ის ბრძენია, გაწონასწორებული, რისკიანი, სამართლიანი და კრიმინალური. ასე რომ, ამ ფილმში მე ვნახე დოკუმენტური მასალა, რომელიც გამოდგება მთელი ეპოქის შესაფასებლად. ფილმი კარგადაა გაკეთებული, თუმცა, რამდენიმე ეპიზოდი მეცნო ფილმიდან „ერთხელ ამერიკაში“. მაგალითად: ნაგვის მანქანა, მანქანების გამოყვანა ქარხნიდან. თუნდაც ის, რომ მოქმედი გმირები ბავშვობის მეგობრები არიან, თანაც — ერთად იბრძვის ოთხი მეგობარი.

რამაზ ჩხიკვაძე:

— ძალიან რთულია, გიპასუხოთ კითხვაზე, თუ როგორ მომეწონა ფილმი. ფილმი ნორმალურია, მაგრამ ასეთ ფილმებს ხშირად ვხედებით. ცუდს ვერ ვიტყვი, მაგრამ ახალი ვერაფერი ვნახე. მსახიობებიც თავიანთ საქმეს აკეთებენ, ნორმალურად თამაშობენ. ლევანმაც მეტი რა ქნას — თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ მე რომ მისი შესაძლებლობები ვიცი, მინდა, სხვანაირ როლში ვნახო — უფრო სერიოზული კუთხით დავინახო. ლევანმა უკვე სხვა როლები უნდა ითამაშოს, დროა, სათქმელი თქვას.

„ამირანის“ ფოიეში გამართულ „ალაფურშეტს“ წუნს ნამდვილად ვერ დასდებდით. ღამის ორ სათზე, როგორც იქნა, ***ლევან უჩანეიშვილსაც*** *ვესაუბრეთ:*

— ლევან, კმაყოფილი ხართ?

— ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ფილმი მომეწონა. კარგი იქნება, თუ ეს პრემიერა საფუძველს დაუდებს იმ ტრადიციის განახლებას, როცა ფილმის გამოსვლამდე ეწყობოდა ხოლმე მისი პრემიერა.

— დღეს განსაკუთრებით ხომ არ ნერვიულობდით?

— პრემიერაზე ყოველთვის ვნერვიულობ — არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ქვეყანაში ტარდება. რა თქმა უნდა, დღეს განსაკუთრებულად ვინერვიულე, რადგან პრემიერას ჩემი ქართველი მეგობრები და კოლეგები ესწრებოდნენ.

— ბადრი პატარკაციშვილის ცხოვრებას თუ გაეცანით, სანამ გადაღებები დაიწყებოდა?

— არა. ჩემი მიზანი ნამდვილად არ იყო ბადრის „კოპიო“ გამეკეთებინა, რადგან ნებისმიერი კარგი „კოპიო“ ყოველთვის ორიგინალზე ცუდია.

— როგორ გგონიათ — ლარი დაჩრდილავს კუკარაჩას?

— ამას დრო გვიჩვენებს.

■


რამაზ ჩხიკვაძე

ნინო ჯავახიშვილი

„ცხოვრება არა ერთი დღით, არამედ – შორეული პერსპექტივით...“

ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას 10 ყველაზე ჯიუტი სახელმწიფო მოხელის გამოსავლენადაც რომ ჩაეტარებინა გამოკითხვა (გახსოვთ ალბათ ორიოდე თვის წინ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელედ ლევან მამალაძე რომ დასახელდა), დარწმუნებული ვარ, ქვემო ქართლის რწმუნებული არც მაშინ დაუთმობდა ვინმეს ლიდერობას... ბატონ ლევანთან შეხვედრას უკვე რამდენიმე თვე, ამაოდ ვცდილობდით. ჩვენი „ურთიერთობა“ მხოლოდ მედიატორის მეშვეობით ხერხდებოდა და ყოველთვის ერთი და იგივე ფრაზა მესმოდა: იცით, ბატონი ლევანი ძალიან დაკავებულია და იქნებ, რამდენიმე დღეში დაგვიკავშირდეთ?.. ეს „რამდენიმე დღე“ რამდენიმე თვედ იქცა. სიმართლე გითხრათ, დეკლარანტის კომენტარების გარეშე არ ვაპირებდით მისი ცხოვრება-ქონების დეკლარირებული (და თუ გნებავთ, არადეკლარირებული) პასაჟების გამომზეურებას იქამდე, ვიდრე გაბეზრებულმა მედიატორმა „შეპარვით“ არ გამიმხილა, რომ თურმე ბატონ ლევანს ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ სურდა!..

დოსიე:

ლევან მამალაძე თბილისში 1968 წლის 17 იანვარს დაიბადა. დაამთავრა ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორია. 1998 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ჯიშთაშორისი შეჯვარების მეთოდით პროდუქტიულობის ამაღლება მეცხოველეობაში“. 1994 წლიდან არის პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში. მარიკა ქავთარაძე მეუღლეზე 8 წლით უმცროსი – 26 წლის გახლავთ. მამალაძეებს სამი შვილი ჰყავთ: უფროსი – ანამარია 6 წლისაა, ნიკოლოზი – 5 წლის, ხოლო მესამე მემკვიდრის სქესი ვერც დავადგინე: ბატონ ლევანს ისეთი გაკრული ხელით შეუვსია დეკლარაცია, რომ ვერაფრით ამოვიკითხე სახელი. მხოლოდ ის შევიტყვე, რომ უმრწემესი მამალაძე ამა წლის 10 ოქტომბერს ერთი წლის ხდება.

რამდენლარიან ბეჭედს უძღვნის საჩუქრად ლევან მამალაძე მეუღლეს?

გუბერნატორის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დეკლარირების მასშტაბებში (და არა მხოლოდ დეკლარირების მასშტაბებში) მწირი ნამდვილად არ არის. მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს იმ გრაფაში, რომელშიც დეკლარანტმა თავისი და ოჯახის წევრთა საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება უნდა მიანიშნოს, ერთადერთი რთული ქვეწყობილი წინადადება ჩაუწერია: ვცხოვრობ სახლში, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, – მის ხელქვეითს ბინის პრობლემა სათავისოდ და საშვილიშვილოდ კი არა, მგონი, საშვილთაშვილოდაც კი გადაუჭრია: მის და ვინმე ვერიკო პაიჭაძის ერთობლივ საკუთრებაში ირიცხება 40.000-ს ლარად შეფასებული ბინა ვაჟა-ფშაველაზე, „ატენის“ (ანუ ვაკეში, ატენის ქუჩაზე მდებარე) ბინა კი, რომლის თანამესაკუთრეებადაც მეუღლესა და შვილებს მიუთითებს, 150.000-ად უღირს. დეკლარანტის საკუთრებაშია აგრეთვე 5.000-ად შეფასებული მიწის ნაკვეთი სოფელ ხევში (ჩოხატაურის რაიონში), 15.000-ად შეფასებული მიწის ნაკვეთი გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისში. რაც შეეხება მიწის ნაკვეთს დაბა ბახმაროში, რომელიც სწორედ წლეულს შეუძენია დეკლარანტს, – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – იმ გრაფაში, რომელშიც მისი საბაზრო ღირებულებაა ჩაწერილი, დეკლარანტს სულ 360 ლარი მიუნიშნებია! როგორც ჩანს, დაუდევრობისა თუ გულმავიწყობის გამო, ბატონ ლევანს სულ მცირე, ერთი ნულის მიწერა მაინც გამორჩენია... ეტყობა, მისთვის 360 ლარისგან ბევრით არაფრით განსხვავდება 3.600 ან გნებავთ, 36.000... მამალაძის სახელზეა გაფორმე-

მარიკას კუთვნილებაშია 6.000-იანი ბეჭედი, რომელიც საყვარელ მეუღლეს უჩუქებია მისთვის და 5.000-იანი როიალი, რომელიც ალბათ მზითევში მოჰყვა რწმუნებულის თანამეცხედრეს.

სად ინახავს ფულს ქვემო ქართლის რწმუნებული?

რაც შეეხება ანგარიშებს ქართულ თუ უცხოურ ბანკებში – ბატონ ლევანს ამ მხრივ საქმე დასაკვეხნად მართლაც არა აქვს: მარიკა ქავთარაძეს ბანკ „ქართუში" 2.424 (ლარი თუ დოლარი, დეკლარაციაში არსადაა მინიშნებული და ამიტომაც მკითხაობა მოგვიწევს – რას გულისხმობს ბატონი დეკლარანტი, მშობლიურ ვალუტას თუ „მწვანეებს"...) ღირებულების ვიზა-ბარათი აქვს, ხოლო საბერძნეთის ერთ-ერთ ბანკში მის ანაბარზე 3.408 დოლარი (!) ირიცხება. აქედან მიღებული შემოსავალი ძალიან მწირია – სულ 58 დოლარი... პრეზიდენტის რწმუნებული 12.000 ლარისა და 5.000 დოლარის მფლობელი გახლავთ (იგულისხმება ნაღდი ფულადი თანხა), მარიკა ამ მხრივაც მეუღლეზე

ბატონი ლევანის წლიური შემოსავალი კი, ხელფასის სახით, სულ 3.005 ლარია. მარტივი არითმეტიკიდან თუ გამოვალთ, ეს თანხა თვეში არც მეტსა და არც ნაკლებს – ზუსტად 250 ლარსა და 40 თეთრს შეადგენს.

გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია: ის 26.000 ლარსა და 22.000 დოლარს ფლობს... ასეთი ცოლი ალბათ ბევრ მამაკაცს შეშურდებოდა...

ლევან მამალაძეს ნიანგებზე ნადირობა თურმე 40.000 დოლარი უჯდება...

მარიკა ქავთარაძე 2000 წელს გახსნილი საწარმოს – „კავკასიის მოდის სახლის" პარტნიორი გახლავთ და საკმაოდ სოლიდური შემოსავალი აქვს. ლევანი კი, გარდა იმისა, რომ საქვეყნო და საერო სამსახურში დგას, დოცენტიცაა და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტშიც მუშაობს – ლექციებს უკითხავს მომავალ თაობას. მარიკას საწარმოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, წელს 18.000 ლარს აღწევს. ბატონი ლევანის წლიური შემოსავალი კი, ხელფასის სახით, სულ 3.005 ლარია (როგორც პრეზიდენტის რწმუნებული, წელიწადში 1.980 ლარს, ხოლო როგორც ლექტორი – 1.025 ლარს იღებს) – ეს არის და ეს! მარტივი არითმეტიკიდან თუ გამოვალთ, ეს თანხა თვეში არც მეტსა და არც ნაკლებს – ზუსტად 250 ლარსა და 40 თეთრს შეადგენს. ამას მეუღლის არცთუ ისე მცირე შემოსავალი – თვეში დაახლოებით 1.500 ლარი ემატება. 1.750 ლარი ცოტა ნამდვილად არ არის, მაგრამ ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ მეუღლესაც 6.000-ლარიანი ბეჭედი მიართვა საჩუქრად (თანაც მხოლოდ ამ ერთი ყბადაღებული ბრილიანტის ბეჭდის ამარა ხომ არ იქნება დარჩენილი ქალბატონი მარიკა) და საკუთარ თავსაც არანაკლები საჩუქარი უძღვნა – ვთქვათ, კატერი (კატერი წლეულს 14.000 ლარად გაუყიდია დეკლარანტს). ბატონ ლევანს თურმე ძალიან უყვარს ცურვა, ცხენოსნობა, ფარიკაობა, მთის სლალომი, მოგზაურობა და ა.შ. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ნიანგებზე ნადირობა 40.000 დოლარი უჯდება, – თუმცა, ამას ნუ დავუჯერებთ: მოგეხსენებათ – რას არ იტყვის შურიანი კაცის ენა... იმასაც ამბობენ, საუკეთესო ჯიშის, ძვირად ღირებული ცხენები ჰყავსო, მაგრამ ბატონი გუბერნატორი, ბუნებრივია, ამასაც უარყოფს და ჩვენც რა უფლება გვაქვს, ხალხში მოარულ ხმებს დავუჯეროთ და არა დიდი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეს?!. სხვათა შორს, ხალხში იმასაც ლაპარაკობენ, რომ ლევან-ფაშად წოდებული რწმუნებულის ფინანსური ინტერესები „საქგაზში" დევს, „კვარციტშიც" და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასაც აფინანსებსო... ისევ და ისევ გავიმეორებთ – მერე რა, რომ ლაპარაკობენ, ვინ – დაიჯერებს, ვინ კიდევ – არა...

პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ლევანი ინტერვიუზე ცივ უარს არ გვტკეცდა, ვეცდებოდით, ჭორ-მართალი შეძლებისდაგვარად მასთან ერთად გაგვერკვია, გაგვეგო – მართლა დადის თუ არა მოცალეობის ჟამს ნიანგებზე სანადიროდ, რა თანხას შეადგენს მისი ყოველდღიური ჯიბის ფული, რაში ხარჯავს დაუნანებლად ფულს მდიდარი მოხელე, რამდენად ძვირად ღირებული საჩუქრებით უხარებს გულს მეუღლეს და ა.შ. სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მოგვეცა. რას ვიზამთ? – თუ ბატონ ლევანს არ სურს საკუთარ ცხოვრება-ქონებაზე საუბარი, ეს მისი პრობლემაა, თუმცაღა – უმნიშვნელო, ყურადღების მიღმა დასატოვებელი პრობლემა, რომელიც ძილს ნამდვილად არ უფრთხობს დეკლარანტს...

დაბოლოს: ქვემო ქართლის რწმუნებულის ცხოვრებისეული კრედოა: „ცხოვრება არა ერთი დღით, არამედ – შორეული პერსპექტივით..." – და უნდა ითქვას, რომ ამ პრინციპს საუცხოოდ ახორციელებს კიდეც... ■

ნდობის ტელეფონი
ჯონსულტასია
ინტიმი (18 წლიდან)
822 009 005
„ბგოი", „ჯეოსული",
„ქეგაკომი" – 0,70 ლ.
თბილისი – 0,45 ლ.
რაიონები – 0,65 ლ.

ალექსი რეხვიაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ მუსიკალურ სივრცეში „პოპსა“ გამეფებულა და ესტრადის დასაპყრობად საჭირო ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად (რა თქმა უნდა, ფინანსებთან და „შოუ-ბიზნეს-წრეებში“ მოტრიალე გავლენიან მფარველთან ერთად) კომპიუტერული ფონოგრამის ფონზე პირის დაღება ითვლება, არსებობენ ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენში ყველაზე ნაკლებად პოპულარულ, „ანდერგრაუნდულ“ მუსიკას ასრულებენ. ისინი სარდაფებსა და ძველისძველი აპარატურით კუსტარულად მოწყობილ პატარ-პატარა სარეპეტიციო სტუდიებში ისე, მხოლოდ „საკუთარი ჭიის გასახარად“ თავგამოდებით ცდილობენ სამოცდაათიანი წლების ჰარდ-როკის, პანკისა თუ თანამედროვე ექსტრემალური მეტალის სხვადასხვა ფორმის მიბაძვით დაკვრას. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არაფერია. თურმე თბილისში არსებობს სამი თინეიჯერი გოგონასაგან შემდგარი როკ-ჯგუფი, რომელიც სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის საკმაოდ მძიმე და „უხეშ“ მუსიკას ასრულებს. აი, ერთ „უცნაურ და ახირებულ“ ინგლისელს კი, იმის მაგივრად, რომ იგი ჩვენი რომელიმე „ყველაზე გემოვნებიანად ჩაცმული“ ან თუნდაც „ყველაზე სექსუალური“ მომღერლის ნომინაციაში გამარჯვებული „ვარსკვლავით“ დაინტერესებულიყო, ნისლიანი ალბიონის საკმაოდ პრეტენზიული მსმენელისათვის კონცერტების ჩასატარებლად, სწორედ ამ გოგონათა როკ-ტრიო მიუწვევია...

როკ-ჯგუფი „ემბრიონი“ სამი წლის წინ, ნინო ლეშჩენკომ (გიტარა, ვოკალი), მაკა ბაქრაძემ (ბასი) და სოფო ფრუიძემ (დრამი) ჩამოაყალიბეს. „ალბათ ჯგუფს „ემბრიონი“ იმიტომ დავარქვით, რომ პატარები ვიყავით, — ამბობს მაკა ბაქრაძე, — სხვათა შორის, ძალიან ბევრი ადამიანი გვხვდება, მათ შორის უფროსებიც, რომლებმაც არ იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა“.

თავიდან გოგონები შედარებით მსუბუქ მუსიკას ასრულებდნენ და როგორც თავადვე ამბობენ, ინსტრუმენტებზე დაკვრას სწავლობდნენ. შემდგომში კი, „ემბრიონის“ საშემსრულებლო სტილი, ჯგუფის წევრების მუსიკალური გემოვნების შესაბამისად დაიხვეწა და ჟღერადობაც მნიშვნელოვნად დამძიმდა. ტრიო ამჟამად ასრულებს მუსიკას, რომელიც ერთდროულად თანამედროვე მეტალის, ე.წ. ალტერნატიული როკისა და ჰარდ-როკის ელემენტებს შეიცავს, თუმცა, მას ვერც ერთი კონკრეტული მიმდინარეობის ჩარჩოში ვერ მოვაქცევთ.

ქართული „ROCK WOMAN-მოძრაობის“ პირველი ემბრიონი

ანუ თბილისელ გოგონათა როკ-ტრიომ ნისლიანი ალბიონი დაიპყრო

— რომელი ჯგუფის ან შემსრულებლის მიბაძვა გსურდათ, როდესაც „ემბრიონი“ ჩამოაყალიბეთ?

მაკა:

— მიბაძვით, არავის მიბაძვა არ გვსურდა. მუსიკით ჩვენს გატაცებას თავიდან უფრო გართობის სახე ჰქონდა, შემდეგ უკვე სერიოზულად დავინტერესდით. ისე კი, თითქმის სამივეს ერთნაირი მუსიკალური გემოვნება გვაქვს. მოგვწონს: „რედ ჰოთ ჩილი პეპერსი“, „გუანოპსი“, „ბლექ-საბათი“, „დიპ პარპლი“, „ლედ ზეპელინი“, „დრიმ თიატრი“. სოფოს ძალიან მოსწონს აგრეთვე ჯგუფი „მეგადეთი“. ეს ის ჯგუფებია, რომელზეც როკის ყველა მოყვარული იზრდება.

ნინო:

— ეს მუსიკა ჩვენ უბრალოდ სიამოვნებას გვანიჭებდა. ერთხანს ძალიან ვიყავი გატაცებული ჯენის ჯოპლინითაც.

მაკა:

— საერთოდ მუსიკას ყოველთვის უფრო მეტ დროს ვუთმობდით, ვიდრე სხვა საქმეს. შემდეგ, როდესაც პერსპექტივა გაგვიჩნდა, მივხვდით, რომ მთავარი ჩვენთვის მუსიკა იყო.

— და მაინც, საქართველოში თუ ვინმე თქვენს ასაკში „მუსიკოსობას“ გადაწყვეტს, პოპულარობის მოსაპოვებლად უმეტესწილად მსმენელთა ფართო წრისათვის მისაღები ფონოგრამის გაკეთებასა და

ნინო, მაკა და სოფო

კლიპის გადაღებას ცდილობს. თქვენ კი, ქართული მუსიკალური ბაზრისათვის უჩვეულო გზა აირჩიეთ.

ნინო:

– ჩვენ ყოველთვის ცოცხალ მუსიკას ვაფასებდით. მამაჩემი თავად როკ-მუსიკის მოყვარულია და ამან ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა.

მაკა:

– საშინლად ვერ ვიტანთ ფონოგრამას. მე ჩემმა უფროსმა ძმამ შემაყვარა როკი. სოფოს მამაც ბითლომანია. სამივე ჩვენთაგანის ოჯახი ძალიან არის დაინტერესებული „ემბრიონის“ საქმიანობით. ამიტომ ყოველნაირად ხელს გვიწყობენ.

— ინგლისში გამგზავრებამდე, საქართველოში თუ ატარებდით კონცერტებს?

– ორი წლის წინ ფესტივალ „მატარებელში“ მივიღეთ მონაწილეობა. გამოსვლები გვქონდა აგრეთვე კლუბ „ათინათში“ და „ელიტ კლუბში“. საერთოდ ჩვენ ისეთ მუსიკას ვასრულებთ, რომ კონცერტზე ფონოგრამით მისი გამოტანა არ შეიძლება. ამასთან ერთად ვცდილობთ, რომ ისეთ კონცერტში არ მივიღოთ მონაწილეობა, სადაც სხვა ჯგუფები ან შემსრულებლები ფონოგრამით გამოვლენ.

— ახლა კი, ჩვენი საუბრის მთავარ თემაზე გადავიდეთ. მიამბეთ, როგორ მოხვდით ინგლისში.

– „სოფთ ეჯექთის“ გიტარისტი გია ქარჩხაძე ჩვენი მეგობარია. იგი ფესტივალ „მატარებელზე“ გავიცანით და ეს ორი ჯგუფი ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. გიას ჩვენს ამჟამინდელ ინგლისელ მენეჯერთან, მარკ ტოლესთან მიმოწერა ჰქონდა და მას მოსასმენად „ემბრიონის“ სიმღერები გაუგზავნა. სიმღერების მოსმენის შემდეგ, მარკი ძალიან დაინტერესდა „ემბრიონის“ შემოქმედებით, ამიტომ უფრო ახლოს გასაცნობად თბილისში ჩამოვიდა. მან აქ ჩამოსვლის შემდეგ გადაწყვიტა ჩვენი მენეჯერობა, ამავე დროს ინგლისში წასვლა და ფესტივალში მონაწილეობაც შემოგვთავაზა. რა თქმა უნდა, ჩვენც დავთანხმდით. ბრიტანეთში ერთი თვის წინ გავემგზავრეთ და იქიდან რამდენიმე დღის წინ დავბრუნდით.

ნინო:

– პირველი კონცერტი ლივერპულში, კლუბ „კავერნში“ გავმართეთ, იქ სადაც ერთ დროს „ბითლზი“ გამოდიოდა ხოლმე. ეს ჩვეულებრივი კონცერტი იყო და ფესტივალის ეგიდით არ ტარდებოდა. მაყურებელმა პირველივე შეხვედრაზე ძალიან თბილად მიგვიღო, თუმცა, ინგლისს ძალიან პრეტენზიული მსმენელი ჰყავს. მათ დაუმსახურებლად შეიძლება ტაში არ დაგიკრან.

14 სექტემბერს დაიწყო და სამი დღე გრძელდებოდა ფესტივალი – In The City („ქალაქში“). ვიდრე ინგლისში წავიდოდით, ჩვენ მიერ გაგზავნილმა ჩანაწერებმა სხვადასხვა ჯგუფის 500 ჩანაწერს შორის გაიმარჯვა და 50 საუკეთესოს შორის მოხვდა. ამგვარი კონკურსი ინგლისში რეგულარულად ტარდება და მასში ისეთი ჯგუფები და შემსრულებლები მონაწილეობენ, რომლებსაც არ ჰყავთ მენეჯერი, არ გააჩნიათ ფინანსები და ა.შ. შემდეგ კონკურსში გამარჯვებულებს, ფესტივალზე გამოსვლის უფლება ეძლევათ. ამ გამარჯვებულ 50 ჯგუფთან ერთად, ცალკე სპეციალურად მოწყობილ სცენაზე გამოვდიოდით. ჩვენ მათ შორისაც გავიმარჯვეთ და ფესტივალის საუკეთესო ჯგუფად გვაღიარეს. ისინი ჩვენთან ერთად გამოვიდნენ „კავერნში“. როგორც გამარჯვებულმა ჯგუფმა, ფესტივალი ჩვენ დავხურეთ, ამჯერად უკვე ლონდონის კლუბ „უოთერ ედში“. მანამდე კი, კონცერტი მანჩესტერშიც გავმართეთ.

მაკა:

– ლონდონში გვქონდა კიდევ ერთი კონცერტი – კლუბ „საუნდ რეფაბლიქში“, რომელშიც MTV-ის „ანფლაგტებს“ იღებენ ხოლმე, თუმცა, ჩვენი ეს გამოსვლა ფესტივალთან დაკავშირებული არ ყოფილა. ცოცხლად დავუკარით მანჩესტერის მუსიკალური რადიოს ეთერში, რომელსაც „რადიო ვან“ („პირველი რადიო“) ჰქვია. ლონდონში კი, რადიო „ბი-ბი-სი“-ს მივეცით ინტერვიუ. ჩვენ შესახებ სტატიები და ჩვენი ინტერვიუები ჟურნალ-გაზეთებშიც დაიბეჭდა.

— საინტერესოა, რას აპირებთ სამომავლოდ?

– ერთი თვის შემდეგ, ჩვენი მენეჯერი თბილისში ჩამოვა და შემდეგ ერთად გავემგზავრებით ლონდონში, სადაც „ემბრიონის“ რეპერტუარიდან რამდენიმე სიმღერას ჩავწერთ, რომელსაც რადიოეთერის მეშვეობით დაატრიალებენ. გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს კიდევ ორი კონცერტის ჩატარება ლონდონში.

— რომელიმე ხმის ჩამწერ კომპანიასთან კონტრაქტსაც ხომ არ გააფორმებთ?

– გვაქვს რამდენიმე სერიოზული შემოთავაზება ხმის ჩამწერი სტუდიებიდან. უნდა ავირჩიოთ, თუ ვისთან გავაფორმებთ კონტრაქტს, რომლის პირობებზეც ჩვენი მენეჯერი იზრუნებს.

— ვინ წერს „ემბრიონის“ კომპოზიციების მუსიკასა და ტექსტს და რა თემებზე მღერით?

ნინო:

– მუსიკასაც და ტექსტსაც მე ვწერ. ჩემი ტექსტები ნაკლებად ეხება სიყვარულის თემას. ჩვენ უფრო შინაგან სტრესებზე, ადამიანურ პრობლემებზე, ჩვენ მიერ სამყაროს აღქმაზე ვმღერით.

— რატომ აირჩიეთ სასიმღეროდ მაინცდამაინც ინგლისური და არა ქართული ენა?

– მიგვაჩნია, რომ ქართული ენის ჟღერადობა არ მოუხდება იმ მუსიკას, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ.

— როგორ მოიქცეოდით იმ შემთხვევაში, თუ ვთქვათ, რომელიმე ხმის ჩამწერი კომპანია მუსიკალური სტილის შეცვლას შემოგთავაზებდათ „ემბრიონის“ შემდგომი ფინანსური წარმატების მიღწევის მიზნით?

მაკა:

– თუ ისეთ იდეას შემოგვთავაზებენ, რომელსაც ჩვენი შემოქმედებისათვის სასარგებლოდ მივიჩნევთ, აუცილებლად გავითვალისწინებთ, მაგრამ თუ არ მოგვწონება, არ დავთანხმდებით.

— მაგრამ თუ მუსიკალური სტილის შეცვლა, თქვენი ფინანსური წარმატების გარანტია იქნება?

– მაინც არა მგონია, რომ შეცვალოთ. მაშინ, რაღა აზრი ექნება ჩვენს შემოქმედებას?.. ■

საზღვრის დამრღვევის მკვლელობისთვის გუშაგს 20-წლიანი პაციმრობა ემუქრება

უზენაეს სასამართლოში, ზაზა სახვაძის საქმის სამსჯავრო გამოძიება დაიწყო. 22 წლის განსასჯელს, ფიზული ჰუსეინოვის, დამამძიმებელი გარემოებით ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედება ბრალად. ინციდენტმა, რომელიც „წითელი ხიდის" საგუშაგოსთან 2001 წლის 5 მარტს, ქართველ მესაზღვრეებსა და აზერბაიჯანელ მოქალაქეებს შორის მოხდა, დიდი შეხლა-შემოხლა და დაპირისპირება გამოიწვია. ფიზული ჰუსეინოვის მკვლელობით აღშფოთებულმა, აზერბაიჯანში მცხოვრებმა რამდენიმე ასეულმა ადამიანმა დაარბია და ცეცხლი წაუკიდა, როგორც სასაზღვრო საგუშაგოს, ასევე საბაჟო დეპარტამენტისა და სავიზო სამსახურის ჯიხურებს, გაანადგურა ინვენტარი და დოკუმენტაცია. გამძვინვარებულმა ხალხმა რამდენიმე მესაზღვრის ცოცხლად დაწვაც კი განიზრახა, რისთვისაც ისინი ჯიხურში გამოკეტეს და შურის საძიებლად ცეცხლი წაუკიდეს. ამ ინციდენტის დროს ქართველი მესაზღვრეები შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს.





განსასჯელი ზაზა სახვაძე

ხათუნა მაღრაძე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტი 2001 წლის 5 მარტს მოხდა. დილის 10 საათზე, ზაზა სახვაძემ, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის საგუშაგოს რიგითი ჯარისკაცი იყო, აზერბაიჯანის მხრიდან მომავალი ოთხი ადამიანი შენიშნა. აღნიშნული პირები საგუშაგოს გვერდის ავლით ცდილობდნენ საზღვრის გადმოლახვას. როგორც საქმის მასალებში ვკითხულობთ, სახვაძემ დააცადა მათ მოახლოება და, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოშვების სანაცვლოდ, ორი აზერბაიჯანული შირვანი მოსთხოვა (1 შირვანი 4,5 ლარს უდრის), რაზეც საზღვრის დამრღვევებისგან უარი მიიღო. ბრალდების მხარე ირწმუნება, რომ ქრთამის მიცემაზე უარით განაწყენებულმა სახვაძემ, ავტომატი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და მასთან პირისპირ მდგომი ფიზული ჰუსეინოვის მიმართულებით გაისროლა. ყელის არეში მიყენებული ჭრილობისგან ჰუსეინოვი ადგილზე გარდაიცვალა, მისი თანმხლები პირები კი, შეშინებულები გაიქცნენ აზერბაიჯანის საზღვრის მიმართულებით. ზაზა სახვაძე შემთხვევის ადგილზევე დააპატიმრეს. თუმცა, განსასჯელმა არც წინასწარი ძიების დროს და არც ბრალდებულად დაკითხვის პერიოდში არ ცნო თავი დამნაშავედ. მისი ჩვენების თანახმად, აღნიშნული ფაქტი სულ სხვა მიზეზის გამო მოხდა, კერძოდ: როდესაც მან შენიშნა, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიიდან მომავალი პირები საზღვრის უკანონოდ გადმოლახვას ცდილობდნენ, მიუახლოვდა მათ და 5-6 მეტრის მანძილიდან უბრძანა, შეჩერებულიყვნენ. ამის მიუხედავად, უცნობებმა გზა განაგრძეს.

მზირის (მოსიარულე გუშაგის) შემდეგი მოთხოვნა, მისთვის პასპორტების წარმოდგენა იყო, რის საპასუხოდ, საზღვრის დამცველი, მასთან ყველაზე ახლოს მდგარმა ახალგაზრდა კაცმა სიტყვიერად შეურაცხყო, შემდეგ ჯიბიდან ერთი აზერბაიჯანული შირვანი ამოიღო და გაუწოდა. როგორც ზაზა სახვაძე აცხადებს, მან ფულის აღებაზე უარი განაცხადა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საგუშაგოზე გაყოლა მოსთხოვა. საზღვრის დამრღვევები, ბუნებრივია, ამაზე არ დათანხმდნენ, მზირის ჩამოცილებასა და გზის გაგრძელებას შეეცადნენ, რასაც მათი მხრიდან ქართველი მესაზღვრის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფაც მოჰყვა. ამის შემდეგ, ზაზა სახვაძემ ქამრიდან მჭიდი ამოიღო და ავტომატზე დაამაგრა, რათა ჰაერში

განსასჯელის ადვოკატი
რუსუდან ლელაძე

გამაფრთხილებელი გასროლა მოეხდინა. როგორც განსასჯელი ამბობს, მან ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ მოახერხა, რადგან აწ გარდაცვლილმა ჰუსეინოვმა ავტომატის ლულას ჩაავლო ხელი და თავისკენ მოქაჩა. ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი გასროლა, რამაც ფიზული ჰუსეინოვის სიცოცხლე შეიწირა.

დაზარალებული მხარის ადვოკატი, მარინა ხაჩიძე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ დაკავების მომენტში ზაზა სახვაძეს მართლაც აღენიშნებოდა ძალადობის დამადასტურებელი ნიშნები. კერძოდ, მას შემოხეული ჰქონდა ტანსაცმელი. ამ გარემოების გათვალისწინებით, ქალბატონი მარინა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლო გამოძიების პროცესში მოხდეს ზაზა სახვაძის მიმართ წაყენებული მუხლების გადაკვალიფიცირება.

განსასჯელის ადვოკატი, რუსუდან ლელაძე კი აცხადებს, რომ განზრახ მკვლელობისა და ქრთამის გამოძალვის ბრალდება, რეალურ გარემოებას არ შეესაბამება. მისი თქმით, წინასწარ გამოძიებაში წაყენებული ბრალდებები, რომელიც ძირითადად, დაზარალებული მხარის მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობა, არ შეიძლება მტკიცებულებად იქნას მიჩნეული, ვინაიდან აღნიშნულმა პირებმა თავად დაარღვიეს კანონი, რაც საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოლახვაში გამოიხატა და რის გამოც ისინი ჩვეულებრივი დამნაშავეები არიან, ამ დანაშაულის დაფარვის მიზნით კი, ყალბ ჩვენებებს იძლევიან. ნიშანდობლივია ისიც, რომ თითოეული მათგანის ჩვენება ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივია. რაც შეეხება მკვლელობის მოტივს, ადვოკატი დაბეჯითებით აცხადებს, რომ სახვაძე მხოლოდ ინსტრუქციით გათვალისწინებულ გამაფრთხილებელ გასროლას მოახდენდა, ჰუსეინოვს თოფის ლულა თავისკენ რომ არ მოექაჩა.

საქმის მასალებში კიდევ ერთი ნიშანდობლივი გარემოებაა მოცემული, რომელიც მკვლელობის იარაღს ეხება. მომხდარი ფაქტის შემდგომ განვითარებული მოვლენების გამო, ავტომატი საგრძნობლად დაზიანდა, ამიტომ ბალისტიკურმა ექსპერტიზამ ზუსტად ვერ დაადგინა, თუ რა ვითარებაში მოხდა გასროლა და რამდენად გამართული იყო მანამდე, სანამ მოწყობილი ხანძრის დროს ცეცხლში მოხვდებოდა. ამგვარი საეჭვო და გაურკვეველი გარემოება, ჩვეულებრივ, სასამართლო პროცესზე განსასჯელის სასარგებლოდ მოქმედებს. თუ ასე არ მოხდა, 22 წლის ყოფილ მესაზღვრეს მინიმუმ, ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ■

ᲙᲣᲑᲐᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲟᲐᲜᲢᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ

გუანტანამოში განთავსებულ ამერიკულ სამხედრო-საზღვაო ბაზაზე, სადაც 598 ტუსაღი თალიბი და „ალ-ქაიდელი“ ჰყავთ დაკავებული, საბადრაგო ქვედანაყოფის სერჟანტი, სპარსეთის ყურის ომის ვეტერანი, 31 წლის რაიან ფორეიკერი დაიკარგა. უკანასკნელად ის რამდენიმე დღის წინ, შუაღამისას ნახეს. „ბოროტმოქმედებისა ან თვითმკვლელობის ვერავითარი კვალი ვერ აღმოვაჩინეთ“, — განაცხადა მომხდართან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში ვიცე-პოლკოვნიკმა ბილ კოსტელომ. თუმცა, ბაზის ტერიტორიის მიღმა, ოკეანის ნაპირთან, კლდის კიდეზე, ფორეიკერის სამოქალაქო ტანსაცმელი — შარვალი და მაისური უპოვიათ. სააგენტო „როიტერის“ ცნობით, ბაზის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ სანაპირო წყლებში ჩატარებული საძიებო სამუშაოების შედეგად შეუძლია დაბეჯითებით განაცხადოს: სერჟანტის გაუჩინარებაში პატიმრების ხელი არ ურევია. ■

ᲗᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲰᲔᲥᲛᲐᲗᲘᲐᲠᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲑᲘᲜ

ავღანეთის აღმოსავლეთით, კუნარის პროვინციაში, თალიბებმა და ქვეყნის ყოფილი პრემიერის, გულბედინ ჰექმათიარის დაჯგუფების — „ჰეზბ-ე-ისლამის“ ბოევიკებმა სამხედრო ალიანსი შექმნეს. ალიანსი, კუნარის, პაქტიისა და პაქტიკის პროვინციებში განთავსებული ამერიკული სამხედრო დაჯგუფებების წინააღმდეგ, ტერორისტ-კამიკაძეთა მეშვეობით, ტერორისტული აქტების მოწყობას გეგმავენ. საინტერესოა, რომ ამის შესახებ სააგენტო „ასოშიეიტედ პრესის“ რეპორტიორს, თავად ჰექმათიარის ერთ-ერთმა თანაშემწემ, სალაუდინ საფიმ შეატყობინა. მისი თქმით, ალიანსი, რომელმაც „ლაშქარ ფედაიან-ე-ისლამი“ („ისლამისტ წამებულთა ბრიგადა“) დაირქვა, ფულსა და იარაღს „ალ-ქაიდასგან“ და ირანიდან იღებს. „ირანს სჭირდება ჰექმათიარი — მათ ხომ საერთო მტერი — შეერთებული შტატები ჰყავთ“, — აღნიშნა სალაუდინ საფიმ. მან აგრეთვე დასძინა, რომ ახალ სამხედრო დაჯგუფებას, მულა ომარის ყოფილი მოადგილე, მაულვი აბდულ ქაბირი, თალიბთა დროინდელი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ნორ ჯალილი და იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ჯალილ შინვარი ხელმძღვანელობენ. ■



ვარიზელი ფრედი სკოლებს გვიშენებს და კლინიკის გადალეგით ირითებს თავს

„დაღლილი მე მივალ სახლში. არ არის შუქი ქალაქში, არ არის შუქი ჩემთან სახლში... აღარ მაქვს სანთელი, აღარ მაქვს სინათლე, აღარ მაქვს „ზაჟიგალკა“...“ — ასე მოსთქვამს აქაურ გაჭირვებაზე — უშუქობასა და უგაზობაზე ფრანგი ფრედ პაიანი. და მაინც, 7 წლის წინ საქართველოში ერთი წლით ჩამოსული ფრედი ვერა და ვერ ელევა თბილისს. ის კი არა და, ამ 7 წლის მანძილზე, ჯგუფის — „შუქი მოვიდა“ შექმნაც მოასწრო, რამდენიმე სიმღერის ჩაწერაც და წარმოიდგინეთ, დაოჯახებაც კი. იმის შესახებ, თუ რატომ ჰქვია ჯგუფს „შუქი მოვიდა“ და რა აძლებინებს ახალგაზრდა პარიზელ კაცს თბილისში, თვითონ ფრედი, მართალია, დამტვრეული, მაგრამ მაინც ქართულით მესაუბრა.

ნინო ჯავახიშვილი

— ფრედ, ინტერვიუზე შესათანხმებლად რომ დაგირეკე, ერთხელ ქობულეთში იყავი, მეორედ — გორიდან მიპასუხე. გარუჯული არ ხარ, რაიონებში გასვლითი კონცერტები ხომ არ გქონდა?

— არა, ქობულეთსა და ბათუმში მეუღლესთან ერთად დასასვენებლად ვიყავი წასული, თუმცა გარუჯვა მაინცდამაინც ვერ მოვახერხეთ. წვიმები იყო, თან დიდი ხნითაც არ ვყოფილვართ. გორში კი სამსახურებრივ საქმეებზე გახლდით. გორის ზემოთ არის კონფლიქტური ზონა — ერედვის თემი, სადაც ქართული იურისდიქციაც ვრცელდება და ოსურიც. შვეიცარიული ფონდის დაფინანსებით იქ ამჟამად სკოლას და მედპუნქტს ვაშენებთ და კიდევ — მთის წყარო ჩამოგვყავს სოფელში, რომელსაც წყალი არა აქვს. 7 წლის წინ, საქართველოში სწორედ ამგვარი პროექტების განსახორციელებლად ჩამოვედი. ჰუმანიტარული ორგანიზაციის — „საფრანგეთის სახალხო დახმარების“ პრეზიდენტი ვარ. ერთი წლით ჩამოვედი და ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ აქ ამდენ ხანს დავრჩებოდი.

— მერე, არ გენატრება ხოლმე საფრანგეთი, მეგობრები, ახლობლები?

— როგორ არ მენატრება, მაგრამ... იქ მყავს მშობლები, და, სიძე, პატარა დისშვილი. ხშირად ტელეფონით ვუკავშირდები ხოლმე ოჯახის წევრებს, ზოგჯერ კი ერთი ან ორი თვით ჩავდივარ. აქ ძალიან კარგია... კარგი ხალხი ხართ ქართველები. არც მთლად აზიელები და არც ევროპელები, სადღაც შუაში ხართ... აქ მზეც ძალიან თბილია, საფრანგეთში არ არის ასეთი... როდესაც გავიგე, რომ საქართველოში უნდა მეცხოვრა ერთი წლით, პირველივე კითხვა, რამაც თავში გამიელვა, ის იყო: ნეტავ, თუ ცივა-მეთქი იქ?

— პარიზში როგორ ცხოვრობდი? იქაც მღერიდი თუ საქართველომ და ქართველებმა აგამღერეს?

— 15 წლის ასაკიდან მშობლებზე დამოკიდებული აღარ ვიყავი, საკუთარი შემოსავალი მქონდა — 3-4 წლის ბავშვების ზედამხედველი ვიყავი, ყურადღებას ვაქცევდი და ვართობდი მათ. ბავშვობიდანვე ვოცნებობდი მომღერლობაზე. როდესაც დავბადებულვარ, თურმე პალატაში დედაჩემის გვერდით მარჩიელი ბოშა ქალი იწვა და მას უწინასწარმეტყველებია, რომ ხულიო იგლესიასივით ცნობილი მომღერალი გავხდებოდი. დედაჩემისგან მოყოლილი ეს ამბავი სულ მახსოვდა. როდესაც წამოვიზარდე, გიტარაზე დავიწყე დაკვრა, 16 წლის ასაკში კი მე და ჩემმა ნათესავმა ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ და „პიფ და სპრუჩი“ დავარქვით. პიფ — ქართულად ნიშნავს ცხვირს; ბავშვობაში „დიდცხვირას“ მეძახდნენ და პიფი აქედან წამოვიდა. სპრუჩი არაფერს ნიშნავს, თუმცა აღიქმება, როგორც პატარა. ჯგუფის მეორე მთავარი წევრი იყო ჩემი ძმა — პატარა იყო და ამიტომაც დავარქვით ჯგუფს „პიფ და სპრუჩი“ — ანუ „დიდცხვირა და პატარა“. საფრანგეთში ჯგუფის რამდენიმე სიმღერა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პარიზში ძალიან ჩვეულებრივად ვცხოვრობდი. ყოველ დილით მეტროთი მივდიოდი სამსახურში, მერე — „პატარა ჭამა“, ძმაკაცები, გართობა, სახლში მისვლა და ძილი...

— როგორც ჩანს, ძალიან დაკავებული არ ყოფილხარ? ზარმაცი ხომ არა ხარ?

— მიყვარს უსაქმურობა, კარგია...

— უსაქმურობა გიყვარს?! აქაურობისთვის ყოფილხარ დაბადებული...

(ფრედი ჩემს ტკბილ-მწარე ხუმრობაზე იცინის, მისი მეგობარი კი სასწრაფოდ მარკვევს სიტუაციაში: ზარმაცი სულაც არ არის, პირიქით — უბრალოდ, როდესაც ოფისში არ ზის და რაიმე სხვა საქმეს აკეთებს, ამას უსაქმურობას მიაწერსო.)

— რაიმე მსგავსება თუ აღმოაჩინე ფრანგებსა და ქართველებს შორის?

— კი, ბევრი რამით ვგავართ ერთმანეთს — ფრანგული ღვინო, ისევე, როგორც ქართული, ცნობილია. იუმორის არაჩვეულებრივი ნიჭი გვაქვს ფრანგებსაც და ქართველებსაც...

— ახლა ის მითხარი, როდის და როგორ შეიქმნა „შუქი მოვიდა“ და

რატომ მაინცდამაინც „მოვიდა“ და არა, ვთქვათ, „შუქი წავიდა“?

— ჯგუფი 2 წლის წინ შეიქმნა. შემთხვევით გავიცანი ნიაზ დიასამიძე, მერე — ზუმბა, „მთვარის კლუბის“ წევრები და ეტყობა, ჩემში ძველმა გატაცებამ იმძლავრა... თავდაპირველად „მთვარის კლუბთან“ და ნიაზისთან თანამშრომლობას ვაპირებდით, მაგრამ მერე გადავწყვიტეთ, რომ საკუთარი მუსიკალური პროდუქცია მიგვეწოდებინა მსმენელისთვის. იმ დროს ელექტროენერგიის დეფიციტი იყო და ყოველგვარი გრაფიკის გარეშე, შუქი როდის მოდიოდა და მიდიოდა, ვერ ვიგებდით. ნათურა რომ აინთებოდა, ყველა გახარებული ყვიროდა: „ურა“, შუქი მოვიდაო!.. ერთ კურიოზსაც გეტყვით, თუ ამას კურიოზი ჰქვია: ჩემმა მეუღლემ რამდენიმე თვის წინ გლანდების ოპერაცია გაიკეთა და სანამ ოპერაცია დამთავრდებოდა, შუქი სამჯერ ჩაქრა! წარმოგიდგენიათ?.. მოდი და ნუ გაგიხარდება შუქის მოსვლა და ნუ წამოიყვირებ: შუქი მოვიდაო!.. მოკლედ, ეს შეძახილი ჯგუფს სახელწოდებადაც შემორჩა.

— ამბობ, რომ თქვენი სიმღერები ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური პირობებისგან მოჭარბებული ემოციების ამოძახილია. მერე როგორ იღებს მსმენელი ამას?

— სხვათა შორის, ბევრს ძალიან აღიზიანებს, დუხჭირ და გაუსაძლის ყოფაზე რომ ვმღერით. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ აგრესია გამოუხატავთ: ეს ფრანგი ვინ არის, ასეთ რამეებს რომ მღერის, დაგვცინის და კრიტიკას აკეთებსო!.. არ მესმის, ასე რატომ ამბობენ?! დასაცინი რა გჭირთ? ძალიან მიყვარხართ! ენა რომ ვისწავლე და ქართულად რომ ვლაპარაკობ, ეს რა, ამაზე არ მიანიშნებს? იუმორის ნიჭი თუ არ გაქვს კაცს, მაშინ გაგიჭირდება სიმღერის ტექსტის მსუბუქად აღქმა.

— ისე, საინტერესოა, მაინც ვინ წერს ასეთ ორიგინალურ ტექსტებს?

— ჯგუფში ოთხნი ვართ და შეიძლება ითქვას, რომ ტექსტებს ყველა ერთად ვწერთ ხოლმე.

— ახლახან გადაიღეთ კლიპი სიმღერისთვის „მინიბუსის ზაზა“. ორიოდე სიტყვით ამ კლიპის შესახებ გვითხარი რაიმე.

— კლიპის რეჟისორი ნიაზ დიასამიძეა. ეს ნიაზის პირველი ნამუშევარია. თითქმის ერთ დღეში გადავიღეთ, თან ვქეიფობდით და თან ვმუშაობდით. გვინდა, მეორე სიმღერისთვისაც, რომელსაც „მარიჟნი“ ჰქვია, გადავიღოთ კლიპი, მაგრამ ძვირი ჯდება და ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ.

— ფრედ, ქართული ვინ გასწავლა? არ გაგიძნელდა?

— ძმაკაცებმა. თარჯიმანიც მეხმარებოდა. ახლა, როგორც ხედავ, ყველაფერს ვამბობ, რაც მინდა.

— ისე, ძმაკაცები ქართულ, ტრადიციულ სუფრასთან დათრობაშიც ხომ არ გეხმარებიან ხოლმე?

— არა, ხშირად არ ვსვამ ხოლმე ღვინოს, წყალი მირჩევნია.

— რატომ? ღვინო არ გიყვარს?

— ღვინოც მიყვარს და ქეიფიც. მაგარი მსმელი ვარ, ლოთი... სერტიფიკატიც კი მაქვს ამის დამადასტურებელი (იცინის)... სუფრის და ღვინის არ მეშინია, მაგრამ ოცდამეათე სადღეგრძელომდე დაუთრობლად მიღწევა, ცოტა არ იყოს, ძნელია. ერთხელ გურჯაანში ისე ვიქეიფე და ისე დავთვერი, თვალები რომ გავახილე, აღმოჩნდა, რომ ლამის ძროხასთან ვიყავი ჩახუტებული. იქ როგორ მოვხვდი, ვერ გეტყვი... ცუდი ღვინო იყო. უფრო ზუსტად — ცუდი კი არა, მაგარი და მაგრადაც დაგვათრო. თქვენებური საჭმელებიც ძალიან მომეწონა, ყველაზე მეტად კი ხაჭაპური — აჭარულიც, ოსურიც, იმერულიც... აი, ხედავთ, აქამდე ამხელა მუცელი კი არ მქონდა — ეს სულ ქართველების ბრალია...

— თბილისში ახალშერთულ მეუღლესთან ერთად სად ცხოვრობ? ნაქირავებ ბინაში?

— დიახ, ერთი ძველი ბინა ვიქირავეთ და მე თვითონ გავარემონტე. სახლის პატრონს დავპირდი, ევროპულ სტილზე გავარემონტებ-მეთქი, იფიქრა: ევრორემონტს ჩაატარებსო და დამთანხმდა. მე კი კედლები, ზოგი ყვითლად შევღებე და ზოგიც — მწვანედ, რაღაც გიჟურად გამოვიდა. ეს ნამდვილად არ არის ევრორემონტი! არ ვიცი, როგორ გადავურჩები სახლის პატრონს...

— ფრედ, მომიყევი, შენ და მარიმ როდის გაიცანით ერთმანეთი და როგორ დაქორწინდით?

— მარი პრინოვა თბილისელია, ქართულიც კარგად იცის და საცივსაც კარგად აკეთებს. პროფესიით სტომატოლოგია, მაგრამ ახლა არ მუშაობს. სად არის თბილისში სამუშაო?! 5 წლის წინ შემთხვევით გავიცანი და მაშინვე მომეწონა, როგორც კი დავინახე.

— მერე, სიყვარული მაშინვე აუხსენი? საერთოდ, ფრანგი მამაკაცები როგორ ხიბლავთ ქალებს, მათი სიყვარულის მოსაპოვებლად აქტიურობთ?

— აბა, როგორ! ვაქტიურობთ ხოლმე, როცა ვინმე მოგვეწონება.

— უფრო კონკრეტულად? რაში გამოიხატება თქვენი აქტიურობა? ქალის გამო საგმირო საქმეებს სჩადიხართ ხოლმე?

— როგორ და სიყვარულზე ველაპარაკებით, გრძნობებს გამოვხატავთ. თუმცა, მე პირადად, დღემდე არ მითქვამს მარისთვის: მიყვარხარ-მეთქი. სიტყვები არაფერს ნიშნავს — მთავარია გრძნობა!..

— სიტყვაც არ გითქვამს მარისთვის, სიყვარულიც არ აგიხსნია და აბა, როგორლა დაგთანხმდა?

— (იცინის) როგორ! უნდოდა და!.. არ მომწონს, როცა ქალის მოსაპოვებლად რამდენიმე თვე და წელი იბრძვი. დიდი სიყვარული ხომ უბრალოდ და თავისდა უნებურად ჩნდება და რატომ უნდა იბრძოლო?! ჯერჯერობით გადასაწყვეტია, სად ვიცხოვრებთ და სად ვიმუშავებთ, ამიტომაც, შვილის გაჩენას არ ვჩქარობთ. შეიძლება, რომ ის პროგრამა, რომელსაც ახლა გორში ვახორციელებთ, ბოლო იყოს და საფრანგეთში დავბრუნდე.

— მარიც გამოგყვებათ საფრანგეთში? არ გაუძნელდება აქაურობის დატოვება?

— რა თქმა უნდა, მარიც გამომყვება — ფრანგები ცოლებს არსად არ ტოვებენ! ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის ფბის წიგნაკიდან:

1. ვარკეთილს ადრე ვერკეთილი ერქვა.
2. ვისკის დასამზადებლად ტორფია საჭირო.
3. ნატო ვაჩნაძე ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

4. ინდირა განდი საქართველოში არის ნამყოფი.
5. „მამლუქი“ არაბული სიტყვაა და თეთრ მონას ნიშნავს.
6. მამიშლარი და მამიშლო დმანისის რაიონის სოფლებია.
7. წლის საუკეთესო კუტიურიეს ოქროს სათითეთი აჯილდოებენ.
8. როდესაც გვრიტები ბუდეს აშენებენ, კრუხობს ორივე მშობელი.
9. კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი ვლადიკავკაზშია დაბადებული.
10. ხარიპარია, ცისკრის ვარსკვლავის ძველი ხალხური სახელწოდებაა.
11. ლექსი „მე მეზმანება ისევ თბილისი“ მანდელშტამის დაწერილია.
12. აკაკი ხორავას, თამბაქო კბილის ფხვნილისთვის განკუთვნილ კოლოფში ჰქონდა ჩაყრილი.
13. შოტლანდიაში მწყემსები კურდღლის სოროებში ქვების ჩაყრით ერთობოდნენ. ასე გაჩნდა ამქვეყნად გოლფი.
14. გამჭვირვალე გამოსახულებას ქაღალდის ფულში ჭვირნიშანი ჰქვია.
15. მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი პატრის ლუმუმბას სახელობის იყო.
16. გორილას, თითის ანაბეჭდები ისეთივე უნიკალური აქვს, როგორიც ადამიანს. სისხლის ანალიზი მიკროსკოპის ქვეშ არაფრით განსხვავდება ადამიანის სისხლისაგან.
17. საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა.
18. „პოლიტიკა სიცრუესთან და დემაგოგიასთან წილნაყარი რამეა,“ — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში მიხეილ ქვლივიძემ.
19. მარაბდის ბრძოლაში 10000 ქართველი დაიღუპა. მათ შორის იყო თავადი ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები რუსთველი და ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი და შვიდი ჩოლოყაშვილი.
20. საქართველოს მეფის, გიორგი პირველ-

ქისანა სეფიაშვილი: ეს ყველაზე ბედნიერი იყო

სულ ცოტა ხნის წინ, ქართულმა შოუბიზნესმა ცისანა სეფიაშვილის მეორედ გაბედნიერება იზეიმა. ამის მიზეზი კინორეჟისორ ლევან ზაქარეიშვილის ვაჟთან — სოსო ზაქარეიშვილთან მისი დაქორწინება გახლავთ. 28 სექტემბერს, რესტორან „არაგვში“ ბედნიერი წყვილის უახლოესი მეგობრები შეიკრიბნენ. ცისის მეჯვარე, ბასა ფოცხიშვილი იყო. „არც გრანდიოზული ქორწილი მქონია და არც ჩემს მეულლეს ჰქვია სერგო, როგორც ზოგიერთ ჟურნალში დაიბეჭდა“, — აღნიშნა მომღერალმა. პროფესიით ეკონომისტი სიძე, ეროვნულ ბანკში მუშაობს. არ უყვარს ჟურნალისტებთან ურთიერთობა. საინტერესოა, რით მოიხიბლა კომპანია „არტ-იმედის“ მომღერალი?

ნინო მჭედლიშვილი

— ცისანა, სად გაიცანით ერთმანეთი?

— ერთმანეთს შარშან ზაფხულში, ლიკანში შევხვდით. ივლისის შუა რიცხვები იყო. შინ რემონტი გვქონდა და შვილთან ერთად, დაუგეგმავად მომიწია დასასვენებლად წასვლამ. ეს ბედისწერა უფრო იყო, რომლისაც ყოველთვის მჯეროდა. ერთ კოტეჯში ვისვენებდით. სულ თხუთმეტიოდე დამსვენებელი იყო, მათ შორის სოსო და მამამისი. ჩემი მობილური ტელეფონი არ იჭერდა ქვედა სართულზე და მათთან მქონდა დატოვებული. ყველა დარეკვაზე კიბეზე ავრბოდი და იქიდან ვლაპარაკობდი. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას მითხრეს: კარგი ხალხი ვართო... ასე დავმეგობრდით მე და სოსო. თავიდან არც მიფიქრია, რომ ჩვენი შეხვედრები თბილისშიც გაგრძელდებოდა. აქაც ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ არანაირ გრძნობებზე არ იყო საუბარი, უბრალოდ ვმეგობრობდით. მერე, ნელ-ნელა მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. ერთ მშვენიერ დღეს, სოსომ ისეთი ლამაზი სიურპრიზი მომიწყო, მივხვდი, რომ ეს მეგობრობა აღარ იყო.

— რა სიურპრიზი იყო?

— არის ისეთი რაღაც, რაც მხოლოდ ჩემია და სოსოსი...

— რით მოიხიბლეთ?

— ალბათ იმით, რომ დროულად გამოჩნდა. ისეთ დროს, როცა არ მინდოდა, არ ველოდებოდი და არ ვიყავი მზად სიყვარულისთვის.

უბრალოდ, მარტო ყოფნა მინდოდა. უცბად გამოჩნდა მეგობარი, რომელთანაც მსიამოვნებდა ურთიერთობა. სოსო საყრდენი იყო ჩემთვის. საერთოდ, მამაკაცი მეგობარი უფრო გიდგას გვერდით, როცა დისკომფორტს განიცდი. ალბათ მეგობრობამ გამიადვილა მისი შეყვარება. როცა გადავწყვიტეთ, რომ ცხოვრება ერთმანეთისთვის დაგვეკავშირებინა, გვინდოდა, ქორწილი სოსოს დაბადების დღეს – 30 სექტემბერს გადაგვეხადა, მაგრამ რადგან ეს დღე არასაქორწილო აღმოჩნდა, 28-ში დავნიშნეთ. თუმცა, ქორწილამდე ვერ მოვიცადეთ და თვე-ნახევრით ადრე – 14 აგვისტოს გავყევი ცოლად.

— ამ ბინაში ვინ და ვინ ცხოვრობთ?

– მე, სოსო და ჩემი შვილი, გიორგი.

— გიორგისა და სოსოს ურთიერთობა როგორ აეწყო?

– ძალიან კარგად. შვილი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. მე არასოდეს ვიქნები იქ, სადაც ის დისკომფორტს იგრძნობს და ცუდად იქნება. აქედან გამომდინარე, მე ვიცოდი, რაზე მივდიოდი და რაზე მიმყავდა ჩემი შვილი.

— ქართველი მამაკაცების უმრავლესობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალწულობის ინსტიტუტს...

– ამ თემაზე საუბარი არ გვქონია. ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერი მეგობრობით დაიწყო. მერე გადაიზარდა სიყვარულში. აღმოჩნდა, რომ ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი და უნდა შევქმნათ ოჯახი.

— ეი. ეს საკითხი მეორეხარისხოვანი აღმოჩნდა თქვენთვის?

– დიახ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე აზიატია.

— რაში გამოიხატება მისი აზიატობა? ეჭვიანია?

– ეჭვიანია, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მიმიცია მისთვის ეჭვიანობის საბაბი. მამაკაცი ყოველთვის უნდა იყოს ეჭვიანი და ფრთხილი. ეს მისი ყველაზე დიდი პლუსია. ქალს სიამოვნებს კიდეც ყოველთვის ყურადღების ქვეშ ყოფნა, მაგრამ ქალი არასოდეს არ უნდა ეჭვიანობდეს. მან უნდა იცოდეს თავისი ფასი. მე არ ვეჭვიანობ. ან რატომ უნდა ვიეჭვიანო?!.

— საქორწინო მოგზაურობაში არ ყოფილხართ?

– რამდენიმე დღე, სანამ შევუღლდებოდით, ქობულეთში ვიყავით. გვინდა, საახალწლოდ წავიდეთ სადმე. ახლა არც მე და არც სოსოს არ გვეკუთვნის დასვენება.

— რას საქმიანობს თქვენი მეუღლე?

– ეკონომისტია. მუშაობს ეროვნულ ბანკში. ისე, რომ გვეთხოვა შვებულება, არც „არტ-იმედი" გვეტყოდა უარს და არც ეროვნული ბანკი, მაგრამ ჯერჯერობით არ გვაქვს ამის დრო. ორივეს, ბევრი საქმე გვაქვს.

— გათხოვებამ შენი პროფესიული გეგმები ხომ არ

ფრანგული კოსმეტიკური ფირმა „დერმაჯეტიკსი" ელიტარულ და საქმიან ქალბატონებს გთავაზობთ სახის კანის მოვლის სამკურნალო ნატურალურ კოსმეტიკას.

რომელიც მოგიგვარებთ კანის ყველა პრობლემას. გაგისწორებთ ნაოჭებს სახესა და თვალის ირგვლივ. სახის კანის სამფენოვანი წმენდა მისტიკური ნიღაბით, რომელიც მოგაშორებთ ჭორფლს, ლაქებს, გამონაყარს.

სხეულის პრობლემური ადგილების დაპატარავება ანტიცელულიტური მალამოებით. ორსულობის შემდგომი ღარების გასწორება პლასტიკური ოპერაციის ეფექტით. შესაძლებელია ბინაზე მომსახურებაც.



☎ 61-00-14 საღამოს
893-34-34-59 ლია

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

ლის მეუღლე და ბაგრატ მეოთხის დედა მარიამი ვასპურაკანის მეფის სენაქერიმ მეორის ასული იყო.

21. სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ თავის მემუარებში რიბენტროპი წერდა: რუსი ხალხი თავის გამარჯვებას უნდა უმადლოდეს მხოლოდ სტალინის რკინისებურ სიმტკიცეს, ურყევ ნებისყოფასა და ჰეროიზმს. თუ კი სტალინი ოდესმე ჩამივარდება ხელში, ყველანაირ პატივს მივაგებ და მშვენიერ გერმანულ ციხედარბაზს ვუბოძებ, მაგრამ არასოდეს გავათავისუფლებ.

22. ჰერეთის მოსახლეობა ლეკებმა გაამაჰმადიანეს. იანგალი ახლად მოქცეულს ნიშნავს და აქედანვე წარმოიშვა სახელწოდება საინგილო.

23. ტრადიციისამებრ, სამურაები ბრძოლის დროს ერთ გრძელ და ერთ მოკლე დაშნას იყენებდნენ. გრძელს კატანა ერქვა, მოკლეს – ვაკისაში

24. ზაქარია ფალიაშვილის „დაისი" ხალხმა აღფრთოვანებით მიიღო, მაგრამ საბჭოთა კრიტიკამ კომპოზიტორი იმის გამო გაკიცხა, რომ ოპერის მეოთხე აქტში ლოცვა-კურთხევა და ზარების რეკვა ისმოდა.

25. მკვდარ ზღვასთან განლაგებულ ისრაელის ავიაბაზაზე უახლესი მოდელის თვითმფრინავის გამოცდის დროს, როდესაც თვითმფრინავი დასაფრენი ზოლისკენ მიემართებოდა, ნავიგაციის კომპიუტერი უეცრად გაითიშა. ეს ინციდენტი დაწვრილებით იქნა შესწავლილი. ლაბორატორიულ პირობებში ბევრჯერ მოხდა სიტუაციის მოდელირება, მაგრამ თვითმფრინავის ელექტრონიკაში წუნი ვერ აღმოაჩინეს. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინეს ამ ინციდენტის მეტად ბანალური მიზეზი. როგორც ცნობილია, მკვდარი ზღვა განლაგებულია ზღვის დონიდან 400 მეტრით ქვემოთ. დაშვებისას, როდესაც თვითმფრინავი ნულოვან ზღვარს კვეთდა, ხდებოდა ნულზე გაყოფა, რასაც კომპიუტერი შეცდომად აღიქვამდა და ავტომატურად ითიშებოდა. თვითმფრინავი ამერიკული იყო და მისი შექმნის დროს არავის უფიქრია, რომ იგი ნულოვან სიმაღლეზე იფრენდა.

■

შეცვალა?

— არა. ხელი არ მეშლება არაფერში. უფრო დავმშვიდდი. დრო კარგად გადავანაწილე. დიდ დროს ვუთმობ სოსოს და ბავშვს. ექვს საათამდე სოსო სამსახურშია. მანამდე, მე სიმღერის ჩაწერაც შემიძლია, ბავშვის ინგლისურზე წაყვანასა და საოჯახო საქმესაც ვასწრებ. ექვსის მერე ერთად ვართ. ან კონცერტი მაქვს, ან სტუმრად მივდივართ. მოკლედ, საღამო ჩვენია.

— როგორი დიასახლისი ხარ?

— ერთადერთი, რაც მიყვარს, ეს საჭმლის კეთებაა. დანარჩენი არაფერი მიყვარს — არც სახლის დალაგება, არც რეცხვა, არც დაუთოება. მყავს ქალი, რომელიც მეხმარება და საქმეს მიიოლებს. სადილებს მე ვამზადებ.

— კმაყოფილია მეუღლე შენი კულინარიით?

— ჯერ არ უთქვამს — ეს რა უგემური კერძი მოამზადეო?! პირიქით, სულ ამბობს — ცისანას გემრიელი ხელი აქვსო. არა მგონია, გულს მიკეთებდეს.

— სოსოს მშობლებმა როგორ მიგიღეს?

— ნორმალურად. სოსო და მამამისი ერთად გავიცანი. ამიტომ მეგობრული დამოკიდებულება მაქვს ლევანთან. ახლაც ხუმრობენ ხოლმე სოსოს მშობლები. დედას სწყინს, რატომ მეძახი მე მარინა დეიდას და ლევანს — ლევანსო...

— როგორ მიიღო სოსომ ცისანა, როგორც მომღერალი?

— ჩემი მეუღლე აზიატ მამაკაცთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლისთვისაც არსებობს გარკვეული კრიტერიუმები. მე მანამდეც არ გამოვსულვარ სცენაზე იმ ფორმაში, საკუთარი თავისთვის და ჩემი ოჯახისთვის შეურაცხყოფა რომ მიმეყენებინა. მით უმეტეს, დღეს არ გავაკეთებ ისეთ რაღაცას, რომ სოსოს შეურაცხყოფა მივაყენო. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, ის არის, რომ ან სოსოს თანხლებით წავალ გასტროლებზე, ან მხოლოდ თბილისში გამოვალ სცენაზე *(იცინის)*. ეს ჩვეულებრივი მომენტია. ამაზე პროტესტსაც არ გამოვთქვამ.

— საერთოდ დამთმობი ხასიათი გაქვს?

— არა. საკმაოდ რთული ხასიათი მაქვს. სოსომ ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბრისას აღნიშნა კიდეც, რომ მას სწორედ ჩემი მტკიცე ხასიათი ხიბლავს. ორივეს ჩვენ-ჩვენი პრინციპები გვაქვს. უბრალოდ ანგარიშს ვუწევთ ერთმანეთს.

— ამ ერთი წლის მანძილზე არ გიჩხუბიათ?

— ძალიან ბევრჯერ. როცა ადამიანი არ გიყვარს და არ გაღელვებს, იმას ვერც ეჩხუბები. მისგან არაფერი გწყინს. ჩხუბი ყოველთვის ხდება, მთავარია, დროულად შერიგდე.

— და რამდენ ხანში რიგდებით ხოლმე?

— ძალიან მალე. საღამოს დადგომასაც არ ველოდებით. ვჩხუბობთ და მაშინვე ვრიგდებით.

— რას ეტყოდი შენს თაყვანისმცემელს?

— ძალიან მიყვარხართ ყველა. დიდი მადლობა იმისთვის, რომ გიყვარვართ, დიდი მადლობა მათაც, ვისაც არ ვუყვარვარ, — იმიტომ, რომ არ შეიძლება, ყველას უყვარდე. მე ვეცდები, ყველაფერი ლამაზი და ახალი შემოგთავაზოთ.

იმის გამო, რომ ცისანას მეუღლეს არ უყვარს ჟურნალისტებთან ურთიერთობა, დედამისს ვესტუმრეთ შინ. მართალია, ქალბატონმა **მარინა ხატიაშვილმა** *ცოტა დაიმორცხვა — უხერხული იქნება ჩემგან, ცისანაზე საუბარიო, — ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ უარით ვეღარ გამომისტუმრა და გამესაუბრა.*

— ქალბატონო მარინა, როგორ გაიცანით ცისანა?

— ცისი მოჰყავდა ხოლმე სოსოს სახლში, თუმცა — ხშირად არა. თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მანამდე, შორიდან ვიცნობდი ცისისაც და მის ოჯახსაც. ყოველთვის მომწონდა ის, როგორც ქალი და როგორც მომღერალი. სასიამოვნო სანახავია ცისი სცენაზე. თუმცა, მის სიმღერას მე ვერ შევაფასებ. არაობიექტური ვიქნები, იმიტომ, რომ ცისი უკვე ჩემიც გახდა.

— როდის მიხვდით, რომ თქვენი შვილი შეყვარებული იყო?

— თვითონ მითხრა: შეყვარებული ვარ და ცოლი უნდა მოვიყვანოო.

— როგორია შეყვარებული სოსო?

— საერთოდ, კარგი ხასიათი აქვს. ვამჩნევდი მხოლოდ იმას, რომ დიდხანს საუბრობდა ღამღამობით ტელეფონით და დიდ დროს ატარებდა ცისისთან.

— როგორ მიიღეთ განათხოვარი რძალი?

— ეს თვითონ სოსოს გადასაწყვეტი იყო. ჯერ ერთი, დრო ძალიან შეიცვალა და ერთეულებსღა აინტერესებთ ეს საკითხი. ალბათ ყველაფერს თავისი სილამაზე აქვს. ყველაფერში რაღაც აზრი დევს. პირადად მე, ძალიან ვცდილობ, ჩემს შვილებს ყველანაირად გავუგო და გვერდში დავუდგე.

სოსოს და, **ანა ზაქარეიშვილი:**

— ყველაზე ადრე, ცისანა მე გავიცანი, მაგრამ მათი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ ყველაზე ბოლოს გავიგე. მეგობრები მეუბნებოდნენ და არ მჯეროდა, იმიტომ, რომ სოსო მე არასდროს არაფერს მიმალავდა. გაზეთებს ვქექავდი, რაიმე ინფორმაცია რომ შემეტყო. ჩემს დაბადების დღეზე დავუახლოვდი ცისანას. ის ჩემთვის ძალიან კარგი მეგობარია. ერთმანეთს ვგავართ ხასიათით. უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. არავის ვეტყვი იმას, რასაც ცისანას ვეტყვი...

მარინა ხატიაშვილი
და ანა ზაქარეიშვილი

როგორ ვუმკურნალოთ სიმსუქნეს

XXI საუკუნეში ჭარბი წონის პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო და ეპიდემიის მასშტაბს მიაღწია. მეცნიერები ღიმილით ამბობენ, რომ დღევანდელი საზოგადოება სიმსუქნეს ისეთივე სიმწვავით ეკიდება, როგორც გარემოს დაცვას, ავთვისებიან დაავადებებსა და მოსალოდნელ ატომურ აფეთქებას. ამ თემის ირგვლივ ჩნდება უამრავი შეკითხვა, რომელზე პასუხსაც „ნივთიერებათა ცვლის და კვებითი ქცევის კორექციის“ განყოფილების ექიმი-ენდოკრინოლოგი, ნინო დოლიძე, გაგცემს.

— რა არის კალორაჟი?

— ყველა საკვები პროდუქტი ენერგიის მატარებელია. მარტივად რომ ვთქვათ პროდუქტს ენერგოშემცველობა განსაზღვრავს მის კალორაჟს. „პროდუქტების პირამიდა“ ასახავს, თუ როგორ არის გადანაწილებული კალორაჟი სხვადასხვა სახის საკვებზე.

ცილა, ცხიმი და ნახშირწყალი, ვიტამინებსა და მიკროელემენტებთან ერთად საკვები რაციონის აუცილებელი კომპონენტებია. შეეცადეთ, რომ პროდუქტების შეძენისას შეძლებისდაგვარად გაეცნოთ ინფორმაციას მათი შემცველობის და კალორიულობის შესახებ.

— რა არის სხეულის მასის ინდექსი?

— მარტივი ფორმულა გაგცემთ იმის პასუხს თუ რამდენად ჭარბია თქვენი წონა, იმყოფებით თუ არა იმ „რისკ-ჯგუფის“ კონტინგენტში, რომლისთვისაც აუცილებელია წონის დაკლება, თუ წონა თქვენთვის მხოლოდ ესთეტიკურად არასასიამოვნო პრობლემაა. გამოთვალეთ თქვენი სხეულის მასის ინდექსი:

სმი = წონა (კგ) / სიმაღლე (სმ) / სიმაღლე (სმ) X 10,000.

შედეგი არ უნდა აღემატებოდეს 25-ს. მაღალი ციფრები იმის მიმანიშნებელია, რომ თქვენ წონა სხვადასხვა დაავადების წარმოშობის რისკ-ფაქტორია.

— როგორ უნდა შევარჩიოთ სათანადო დიეტა?

— ნებისმიერი ადამიანი ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ფსიქოლოგიური ტიპის მიხედვით სხვადასხვანაირად რეაგირებს გარკვეული ტიპის დიეტებზე. ამიტომ უმჯობესია დიეტა, ანუ რაციონალური კვების სქემა შეირჩეს პროფესიონალების დახმარებით.

წონაში კლებისას შექმნილი პირობები და გარემო ორგანიზმისათვის ნაკლებ სტრესული უნდა იყოს, ამიტომ კვების რაციონი და მიღებული პროდუქტების რაოდენობა არ უნდა იწვევდეს გამუდმებული უკმარისობის შეგრძნებას. ამასთანავე არსებობს ჯანმრთელობის მდგომარეობა, როდესაც წონაში დაკლება რეკომენდებული არ არის. მაგ. ორსულობა, ლაქტაცია, ორსულობის შემდგომი პერიოდი. ამ დროს ერთადერთი გამოსავალი, წონის შენარჩუნებაა, რაც არანაკლებ რთულია, რადგან ამგვარ სიტუაციაში წონის მატებისკენაა მიდრეკილი. დღეს უკვე ყველამ კარგად იცის, რომ ზედმეტ კილოგრამებს და ამის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს თავიდან აგვაცილებს ჯანსაღი კვების პრინციპი. შეეცადეთ პროფესიონალების დახმარებით ისწავლოთ თქვენი დღიური კალორაჟის გამოთვლა. ეცადეთ, რომ 24-საათიანი კვების სქემაში ცხიმის შემცველობა არ აღემატებოდეს 40-50 გ-ს. მისაღები საკვები პროდუქტები გადაანაწილეთ 3-4-ჯერად კვებაზე, არასოდეს გამოტოვოთ საუზმე, რადგან ორგანიზმი ენერგიის ხარჯვის სიგნალს სწორედ საუზმის შემდეგ იღებს. შეეცადეთ, რომ დღის მანძილზე მისაღები კალორაჟი არ იყოს 1200 კილოკალორიაზე მცირე.

— რა ტემპითაა გამართლებული წონაში დაკლება?

— წონის დაკლება ფიზიოლოგიურად ოპტიმალურია, თუ ის საწყისი წონის 10-15% შეადგენს 6-8 თვის მანძილზე. წონის სწრაფი დაკლების შემთხვევაში გასათვალისწინებელია „რიკოშეტის“ ან „პინგ-პონგის“ სინდრომი, რაც დაკლებული წონის სწრაფადვე აღდგენას გულისხმობს. წონაში სწრაფად კლებას თან ახლავს არა მხოლოდ სიმსუქნის თანმხლები სამედიცინო პრობლემები (ჰიპო ან ავიტამინოზი, ცილოვანი შიმშილი, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, საკვერცხეების დისფუნქცია), არამედ მრავალი კოსმეტიკური ხარვეზი: ცელულიტი, ნაოჭები, ჭიმები და კანის ელასტიკური კომპონენტების მოდუნება.

— როგორ შევინარჩუნოთ წონა?

— დასავლეთის წამყვანი ენდოკრინოლოგები ამბობენ, რომ წონის კლება პრობლემა არ არის, მთავარი პრობლემები წონის შენარჩუნებას უკავშირდება. ამ შემთხვევაში კვებითი ქცევა თავის ჩვეულ

ემირთვით ნაკლები ცხიმის შემცველი პროდუქტები

რიტმს უბრუნდება, ხოლო ორგანიზმი „დანაკლისის ანაზღაურებას“ ცდილობს. სწორედ ამიტომაა აუცილებელი, რაციონალურად შერჩეული დიეტის პროცესში შეიმუშაოთ და შეინარჩუნოთ სწორი კვება.

ძალიან საინტერესო ფაქტები მოწმობს, რომ კვებითი ქცევა მხოლოდ ინდივიდის მიერ არ არის გამომუშავებული, ის გაცილებით მასშტაბური ხასიათისაა. თვალსაჩინოებისათვის გადავხედოთ სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებულ და წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ კვებით თავისებურებებს: ინგლისელები არასოდეს ვახშმობენ გვიან, ამით ამაყობენ და დასცინიან ამერიკელებს, რომელთაც გვიანი ვახშმის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ; ფრანგები ხორცის მაღალკალორიულ კერძებთან ერთად აუცილებლად დაბალკალორიულ, ახალი ბოსტნეულის გარნირს მიირთმევენ. საინტერესოა, რომ სკანდინავიის ქვეყნებში ბავშვებს ტკბილეულით მხოლოდ კვირა დღეს უმასპინძლდებიან, ეს ტრადიცია იმდენად დამკვიდრდა, რომ ბავშვებს კვირის მანძილზე ტკბილეულის მოთხოვნილება არც კი გააჩნიათ.

— ამართლებს თუ არა შიმშილი?

— შიმშილის პირობებში ორგანიზმი საკმაოდ სწრაფად კარგავს წონას, მაგრამ

წონის ხელმეორედ მატების რისკის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია, თანაც წონის „რიკოშეტული“ მატება ამ დროს 1-2-ჯერ უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. შიმშილი ორგანიზმისათვის ექსტრემალური სიტუაციაა, როდესაც არა მხოლოდ ცხიმი იკარგება, არამედ განლევა კუნთოვანი მასაც, რაც კოსმეტიკურად კიდევ უფრო რთულ ამოცანებს წარმოშობს.

— გამართლებულია თუ არა სიმსუქნის მედიკამენტური მკურნალობა?

— წონის კლება ხანგრძლივი პროცესია და პაციენტის აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. სიმსუქნესთან ბრძოლა ყოველთვის მედიკამენტების გარეშე იწყება. რასაკვირველია, საუკეთესო არჩევანი მაინც კვების რეგულაცია და ზომიერი ფიზიკური დატვირთვაა, მაგრამ მოგვიანებით გახდომის ეფექტურობისთვის შეიძლება ფარმაცევტული საშუალებებიც შერჩეს (პაციენტთან შეთანხმებით). სიმსუქნის სამკურნალო პრეპარატები, რომელსაც მადის დაკარგვის (ანორექსიის) ეფექტი აქვს, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გამო, ნაკლებად მისაღებად გვეჩვენებოდა. 1999 წელს ბაზარზე გამოჩნდა ახალი პრეპარატი „ქსენიკალი“, რომლის მოქმედების არეალი კუჭ-ნაწლავის ტრაქტია. „ქსენიკალი“ თრგუნავს ცხიმების დამშლელ ფერმენტებს და აფერხებს ცხიმების შეწოვას. თვითონ პრეპარატი სისხლში პრაქტიკულად არ შეიწოვება და ამიტომ არ გააჩნია ცენტრალური მოქმედების გვერდითი მოვლენები. იგი წარმატებით გამოიყენება ჰიპოკალორიულ დიეტასთან ერთად კომპლექსურ მკურნალობაში.

აღსანიშნავია, რომ „ქსენიკალის“ გამოყენება ხანგრძლივად შეიძლება, რაც წონის შენარჩუნების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია. პრეპარატი უზრუნველყოფს წონის სწორედ იმ ტემპით დაკლებას, რომელიც ფიზიოლოგიურ ნორმებს შეესატყვისება და ნაკლებად სტრესული კვების რეჟიმთან შეთანხმების საშუალებას იძლევა.

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
„სამკურნალო კაბინეტი“, ნივთიერებათა ცვლის და კვებითი ქცევის კორექციის განყოფილება.
ქავთარაძის ქ. 16, VII სართული
ტ: 30-99-11
ფარმაცევტული კომპანია „ჰოფმან-ლა როშ“, ბაზელი, შვეიცარია.
წარმომადგენლობა საქართველოში:
გაგარინის ქ. 16.
ტ: 37-99-20 (14-17 სთ.) R

რა უნდა ვიცოდეთ კატების შესახებ?

ბრიტანული კატა

ნანა ქიბიმაური

შეიძლება ითქვას, რომ კატების შესახებ ყველაზე მეტი და ყველაზე ძველი ინფორმაცია, ძველ ეგვიპტეში მოიპოვებოდა. ფარაონების მმართველობის დროს კატას კანონი იცავდა. ვინც მას, თუნდაც უნებლიეთ მოკლავდა, სიკვდილით ისჯებოდა. ასევე სიკვდილით სჯიდნენ მათ, ვინც კატას მოიპარავდა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში გაყიდდა. ომიც კი მოხდა სპარსეთსა და ეგვიპტეს შორის ამ ცხოველის გამო. ამ ომის დროს, სპარსელებმა ჯარისკაცებს უბრძანეს, რაც შეიძლება მეტი კატა დაეჭირათ და სამშობლოში წაეყვანთ. როცა ბრძოლა შეწყდა, ეგვიპტელებმა ქალაქში კატები ვეღარ ნახეს. კვლავ სალაშქროდ დაიძრნენ და სპარსელების ქალაქს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ბრძოლა ვერ წამოიწყეს, რადგან შიშობდნენ, რომ შეტაკებების დროს, კატები არ დაშავებულიყვნენ. ამის გამო დამარცხდნენ კიდეც.

უფრო მეტსაც გეტყვით: ეგვიპტელები მკვდარ კატას სამარხს უგებდნენ. სამარხებში ვირთაგვას უდებდნენ და რძით სავსე ჭურჭელს უდგამდნენ. ნაპოვნია კატის 55 მუმია. ისტორიულ წყაროებში ნათქვამია, რომ ადამიანები, კატის სიკვდილის გამო, გლოვის ნიშნად წარბებს იპარსავდნენ. ეგვიპტეში არსებობდა კატების ქალაქი, რომელსაც ბუბასტირი ერქვა. ნილოსის ნაპირზე გაშენებულ ამ ქალაქში 300 ათასამდე კატის მუმია აღმოაჩინეს. ყოველი წლის ოქტომბრის ბოლოს, კატის პატივსაცემად, ბასტატის სამდღიანი დღესასწაული იმართებოდა.

ცნობილია მუსლიმანების განსაკუთრებული დამოკიდებულება კატების მიმართ. ასეთი თქმულებაც არსებობს: ერთხელ, წასასვლელად გამზადებულ მოციქულ მუჰამედს თავის ტანსაცმელზე, დაძინებული კატა უპოვია. ცხოველი არ გაულვიძია, ტანსაცმლისთვის ის ნაწილი მოუჭრია, რომელზეც კატას ეძინა და ისე წასულა.

ზოგიერთი რელიგია კატას ალქაჯებისა და სატანის განსახიერებად მიიჩნევდა. შიშის ზარს განსაკუთრებით შავი კატა სცემდათ, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო. დღეს, მარტო ამერიკაში ეს ცხოველი 90 მილიონ ადამიანს ჰყავს. შარშან ამერიკელებმა კატის კლონირებაც კი მოახერხეს. როგორ გრძნობენ თავს საქართველოში კატები? რა ჯიშებია ჩვენში გავრცელებული და როგორ უნდა მოვუაროთ მათ?

ვესაუბრებით ***ვერა სოკოლოვას****, ადამიანს, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული საქართველოში მრავალი უნიკალური ჯიშის კატის შემოყვანა.*

ვერა სოკოლოვა

— ქალბატონო ვერა, საქართველოში უფრო ძაღლის კულტია, ვიდრე კატის, ეს ხელს არ გიშლით ძვირად ღირებული უნიკალური ჯიშების გავრცელებაში?

— ბოლო წლებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ძალიან ბევრი კატის მოყვარული ცხოვრობს. თბილისში უბრალოდ ისეთი პოლიტიკური სიტუაცია იყო, რომ კატის ახალი ჯიშების გამოყვანაზე, თუ სხვა ქვეყნებიდან შემოყვანაზე არავინ ფიქრობდა. ამიტომ 12 წლით ჩამოვრჩით სხვა ქვეყნებს. ამ წლების განმავლობაში მსოფლიოში ძალიან ბევრი ახალი ჯიში გავრცელდა. ამერიკელებმა გამოიყვანეს ეგზოტიკური ჯიშის კატა, რომელსაც „ეგზოტი" დაარქვეს. ახალ ჯიშს მიეკუთვნება სპარსული პეკინესიც, რომელსაც გრძელი ბეწვი აქვს, მაგრამ სპარსული კატებისთვის დამახასიათებელი მიჭყლეტილი ცხვირის ნაცვლად, ჩვეულებრივი გრძელი ცხვირი აქვს. ეს კატები სახით ოდნავ ჰგვანან პეკინესის ჯიშის ძაღლებს. შეიძლება ითქვას, რომ თბილისი არის სიამის კატის ქალაქი. აქ ეს ჯიშია ყველაზე პოპულარული. საერთოდ, კი, ჩვეულებრივი, მოკლებეწვიანი ე.წ. სახლის კატებია გავრცელებული.

— რა თვისებებით გამოირჩევიან ის უნიკალური ჯიშები, რომლებიც თქვენ საქართველოში სანაშენედ ჩამოიყვანეთ?

— სანაშენედ ჩამოყვანილი მყავს შოტლანდიური ყურებჩამოკიდებული კატა, ბრიტანული კატა, ეგზოტი და პეკინესი. საერთოდ დღეს გავრცელებული პოპულარული ჯიშებიდან, ყველაზე ალერსიანი არის სპარსული კატა. მას დივანის კატასაც ეძახიან. ეს არის ხელოვნურად გამოყვანილი ჯიში, ისევე როგორც ეგზოტი. ამ ჯიშის კატები მომეტებულ ყურადღებას საჭიროებენ, ვიდრე ბუნებრივი ჯიშის კატები, მაგრამ გაცილებით ადვილად დასამორჩილებლები არიან. სპარსული და ეგზოტი შეგიძლიათ დასვათ

დივანზე და 5 საათის მანძილზე ელაპარაკოთ. 5 საათის განმავლობაში ივჯდება და სიამოვნებით მოგისმენთ. მას ადამიანის ხმა და მასთან კონტაქტი სიამოვნებს. ბრიტანულს ძალიან ძლიერი ენერგეტიკული ველი აქვს. მას შეიძლება „მკურნალიც“ ვუწოდოთ, ბრიტანულ კატას შეუძლია დაარეგულიროს ადამიანის წნევა და სასურველია ის ჰიპერტონიით დაავადებულ ადამიანებს ჰყავდეთ სახლში. როგორც ამბობენ ბრიტანეთში, უძველესი დროის ციხესიმაგრეებში ხშირად სახლდებოდნენ მოჩვენებები და ავსულები. აი, ამიტომ იქაურ სასახლეში აუცილებელი იყო ბრიტანული კატა, რომელსაც პირველს უშვებდნენ სახლში. ბრიტანული კატა წმენდს იმ ტერიტორიას, სადაც იმყოფება. ძალიან ბევრ ქვეყანაში, დღესაც ბავშვის აკვანს დგამენ იმ ადგილას, სადაც კატა დაწვება. იმიტომ, რომ ეს ცხოველი სუფთა ადგილს ირჩევს დასაძინებლად. სასურველია ეს უფროსებმაც გაითვალისწინონ და თავიანთი საწოლი იქ დადგან, სადაც კატა დაწვება. ამ რჩევის გათვალისწინებისას, მათ მშვიდი ძილი და კარგი სიზმრები გარანტირებული ექნებათ. ნებისმიერ ჯიშის კატას აქვს თვისება, დაამშვიდოს ადამიანი. ალბათ ამიტომ იყო, რომ ის პირები, ვისაც დაძაბული ცხოვრება ჰქონდათ, დაძაბულობის მოხსნას კატების მეშვეობით ახდენდნენ. მაგალითად, მეფეებს ყოველთვის მუხლზე ესვათ კატა, ძნელი წარმოსადგენია კარდინალი კატის გარეშე და ა.შ.

— ძალიან ბევრს პანიკური შიში აქვს ამ ცხოველის ბეწვის მიმართ...

— ამ ეჭვს არანაირი საფუძველი არ აქვს. არსებობს სპეციალური ნემსი, რომელიც ცხოველს უკეთდება და ამის შემდეგ მისი ბეწვი აღარ არის საშიში. კატა უნდა დაბანოთ მხოლოდ კატებისთვის განკუთვნილი შამპუნით. თვეში ერთხელ ან ორ თვეში ერთხელ. ცხოველების მოყვარულთ უნდა ახსოვდეთ, რომ ის, რაც შეიძლება ძაღლისთვის, არ შეიძლება კატისთვის. მას ძალიან ნაზი კანი აქვს. დუსტი, დიხლოფოსი და სხვა ასეთი საშუალებები, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოთ კატასთან. მისი კანიდან პირდაპირ სისხლში გადადის ეს შხამი და შეიძლება მისი მოწამლვა და სიკვდილიც კი გამოიწვიოს. საერთოდ, კატა ძალიან სიცოცხლისუნარიანი ცხოველია. ის თუ დაბადებიდან 1 თვის განმავლობაში არ დაიღუპა, მერე უკვე უმუშავდება დამცავი იმუნიტეტი და ადვილად ეგუება ნებისმიერ პირობებს. საერთოდ კი, ის სითბოს მოყვარული ცხოველია.

— როგორი უნდა იყოს კატის რაციონი?

— კატა მტაცებელი ცხოველია. მისთვის აუცილებელია ხორცი. ძროხის ხორცი ჯერ უნდა გაიყინოს, შემდეგ უმად მივცეთ; ქათმის ხორცი, მხოლოდ შემწვარი, თევზი კი აუცილებლად ოკეანის უნდა იყოს. კატას უყვარს მოხარშული კვერცხიც.

— ვალერიანის სუნიც ჰყვარებია...

— ვალერიანი ადამიანს ამშვიდებს, კატას კი პირიქით, — აღაგზნებს. შეიძლება ითქვას, რომ ვალერიანის ნაყენის სუნზე კატები კაიფობენ... თუ კატა სახლში ავეჯს ფხაჭნის ან რომელიმე ამოჩემებულ ადგილს ასობს კლანჭებს, ამის თავიდან ასაცილებლად სწორედ ვალერიანის მეთოდს იყენებენ. დაფაზე აფარებენ უხეშ ქსოვილს და ამ ქსოვილზე უსვამენ ვალერიანით დასველებულ ხელს. კატა აუცილებლად მივა ამ დაფასთან. მერე ჩამოხსნიან ამ ქსოვილს, მაგრამ კატას ის სუნი ახსოვს და ამის შემდეგ მხოლოდ იმ ადგილას მივა და ფხაჭნის დაფას.

— თქვენ დაკვირვებით კატებს ბავშვები უფრო უყვართ, მამაკაცები თუ ქალები?

— დედალ კატებს მამაკაცები უფრო უყვართ. გაიხდიან თუ არა ისინი ფეხსაცმელს, მაშინვე ამ ფეხსაცმელზე წვებიან. მათ უყვართ მამაკაცის სუნი. მამალ კატებს კი, პირიქით — ქალებთან ყოფნა ურჩევნიათ.

— ეჭვიანობა თუ იციან?

— არის ჯიში, რომელმაც იცის ეჭვიანობა და შურისმაძიებელიც კი არის. ასეთია სიამის კატა. არც არის გასაკვირი — სიამის კატა ველური ჯიშისაა. თუმცა კატებშიც, ისევე როგორც ადამიანებში, ყველა თვისება ინდივიდუალურია. კატა შეიძლება აგრესიული გაიზარდოს, თუ ადამიანი მას ხელით ეთამაშება. ხელით მხოლოდ უნდა მოეფეროთ, თამაშისათვის კი სპეციალური ჯოხი უნდა გამოიყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელის მკვეთრი მოძრაობების დროს, რასაც თამაშისას ექნება ადგილი, კატას თავდაცვის რეფლექსი უმუშავდება, საბოლოო ჯამში კი, ამ რეფლექსის ხშირი ამუშავება აგრესიამდე მიდის.

— როგორ დავსაჯოთ კატა, თუკი ის ისე არ იქცევა, როგორც ჩვენ გვინდა?

— აუცილებელია, შინაურ ცხოველს ესმოდეს, მისგან რას ითხოვენ. თუ ისე არ მოიქცა, როგორც გვინდა რომ იქცეოდეს, გაზეთს ვახვევთ სიგრძეზე და ვარტყამთ ცხვირის წვერზე — ეს ადგილი ყველაზე მტკივნეულია. 3-ჯერ, 4-ჯერ ამგვარად დასჯის შემდეგ, ის უკვე დაიმახსოვრებს, რატომ ისჯება.

— სისუფთავის, ტუალეტის შესახებ რა გვეტყვით? როგორ მივაჩვიოთ წესრიგს?

— სისუფთავე და მისი მოთხოვნილება კატას გენეტიკურად გადაეცემა. როგორიც იყო მისი მშობელი, ისეთივეა ისიც. თუ სუფთა მშობლები არ ჰყავდა, ადამიანის მცდელობას აზრი არ ექნება.

— შეჯვარებისას გამიგია, რომ ახლო ნათესავების დაწყვილება ცხოველებშიც არ გვაძლევს ჯანმრთელ შთამომავლობას.

— ეს ასეა. არ შეიძლება და-ძმის, ან დედის და შვილის შეჯვარება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მამისა და შვილის შეჯვარება, თუმცა, ასეთ დაწყვილებასაც იშვიათად მივმართავთ.

— გამოფენები და დამთვალიერებლები... რას იტყვით, ამ დროს მაინც რომელი ჯიშისკენ იხრება ხალხის სიმპათია?

— სპარსული ჯიშებისკენ. სხვათა შორის, საქართველოში სპარსული კატების ორი მშვენიერი წარმომადგენელი ცხოვრობს — ორი მსოფლიო ჩემპიონი. პირველი, 2000 წელს გამარჯვებული სოლომონია, მეორე — ცეზარი კი, შარშან გახდა ჩემპიონი. რაც შეეხება გამოფენებს, წლეულს თბილისში მოზარდ მაყურებელთა თეატრში 12-13 ოქტომბერს რიგით IV საერთაშორისო გამოფენა მოეწყობა. უკრაინიდან ჩამოვა სერგეი ჟიგულინი, რომელიც მსოფლიო ფედერაციის მსაჯია. მოკლედ ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ორი დღის განმავლობაში საინტერესო ადამიანებს და ეგზოტიკურ ცხოველთა სამყაროს უმასპინძლებს. ყველა მსურველს შეუძლია წამოიყვანოს კატა და იბრძოლოს ყველაზე მშვენიერი კატის ტიტულის მოსაპოვებლად. ■



სპარსული კატა „ცეზარი“ ჩემპიონია

ხარაგაულის რაიონის სოფელ წიფაში მცხოვრებ 32 წლის უსინათლო მალხაზ ბანცაძის ყველა იცნობს. სოფელში ხშირად ველოსიპედით მოსეირნეც უნახავთ. შარშან კი, იმის მომსწრენიც გახდნენ, სახურავიდან თოვლს რომ ყრიდა. მეზობლები ღიმილით მისი ქორწილის დღესაც ხშირად იხსენებენ: შუა ქეიფის დროს, ელექტროგაყვანილობა დაზიანებულა, სიძეს კი სკამზე შემდგარს შეკეთება დაუწყია. ამის დანახვაზე, იქით პატარძალს წასვლია გული, აქეთ თურმე მაყრიონი გარბოდა შეშინებული.

დიანა ჭანკოტაძე

„ღმერთო, ერთი წამით მაინც დამანახვე, როგორია ჩემი ცოლ-შვილი!..“

თავიდან თავის მოკვლა ვიფიქრე, მაგრამ ისედაც გამწარებული მშობლები შემეცოდნენო, — გაგვიმხილა მასთან სტუმრად მისულებს მალხაზმა. მისი მშობლები შვილის უბედურებას მშობიარობის დროს ექიმების მიერ მიყენებულ ტრავმას აბრალებენ.

— მალხაზ, როგორ ფიქრობ, მართლა ექიმების ბრალია შენი მდგომარეობა?

— დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ, ჩემი მშობლები სწორედ მათ ადანაშაულებენ, რადგან ე.წ. მაშებით ვარ დაბადებული, და სავარაუდოდ, მარცხენა თვალიც დამიზიანეს. თავიდან თითქოს არაფერი მეტყობოდა, მაგრამ ერთი წლისას სიელმე დამეტყო და ოპერაცია დამჭირდა. ექიმებმა გლაუკომის დიაგნოზი დამისვეს და თითქმის განკურნებული გამომიშვეს. მართლაც ორივე თვალით კარგად ვხედავდი, რომ არა ის საბედისწერო დღე.

— მოდი, გაიხსენე, რა მოხდა იმ დღეს?

— თოთხმეტი წლისა ვიყავი, მერვე კლასში. ერთ პარასკევ დილას ჩვეულებრივად წავედი სკოლაში. სამი გაკვეთილი ისე დამთავრდა, არაფერი მიგრძნია, მაგრამ მომდევნო გაკვეთილზე შევატყვე თავს, რომ კარგად ვერ ვიყავი. თანდათანობით კი კედელზე გაკრული მსხვილად ნაწერი ილია ჭავჭავაძის ფრაზები ვეღარ გავარჩიე, ბოლოს, მთლიანად სიბნელემ მოიცვა ყოველივე. ისე წამოვედი, არაფერი მითქვამს. მოვდიოდი ვარაუდით, თვალწინ რაღაც წყვდიადი მედგა და მეგონა, რომ უფსკრულში გადავიჩეხებოდი, მაგრამ რაღაცნაირად ვცდილობდი, თავი შემეკავებინა. ამ დროს თურმე ჩემი უფროსი და, მეზობლისგან მოდიოდა და გაოგნებული მომჩერებოდა — რა სჭირსო? ის კი არა და, გაბრაზებულა — ნამდვილად მთვრალიაო. სახლში ასე წვალებით მივედი და ვიგრძენი თუ არა, რომ ეზოში შევდგი ფეხი, ღრიალი მოვრთე — მამა მიშველე-მეთქი! უკნიდან ჩემი და მომადგა ყვირილით, ხალხიც გამოცვივდა და, როგორც იქნა, ოთახში შემიყვანეს. მეზობლის მანქანით სასწრაფოდ თბილისში გამომაქანეს და ორთაჭალაში, თვალის კლინიკაში დამაწვინეს. პროფესორმა საფოიანმა გამსინჯა თუ არა, მაშინვე თქვა: მარჯვენა თვალზე ბადურა ჩამოეშალაო. მანვე გამიკეთა ოპერაცია და მხედველობაც დამიბრუნდა. საავადმყოფოში ორი თვე ვიწექი, იქიდან გამოწერილი კი გამაფრთხილეს, მზესა და სიმძიმის აწევას მოვრიდებოდი. მე ჩემი ბავშვური წინდაუხედაობით მზეზეც ვიდექი და სიმძიმესაც შევეჭიდე, ამიტომ მეორე თვალზეც გადამივიდა და ექვს თვეში სამუდამოდ დავბრმავდი. ამჯერად მოსკოვში წამიყვანეს, ექიმმა პუაროვმა გვითხრა: თბილისში ისეა ოპერაცია გაკეთებული, აქ გამეორებას აზრი არა აქვს — სულერთია, უშედეგო იქნებაო. ჩამოვედით გულდამძიმებულები. ჩემი მშობლები დღე და ღამე ტიროდნენ და მპირდებოდნენ, რომ ყველაფერს გაყიდდნენ და მაინც მომარჩენდნენ.

თავიდან თავის მოკვლა ვიფიქრე, მაგრამ ისედაც გამწარებული მშობლები შემეცოდნენო (ოდესა 1989წ)

— ამის მეტი ოპერაცია აღარ გაგიკეთებია?

— კი. 1989 წელს, მოლდოვაში წამიყვანეს კერძო ექიმბაშთან, მაგრამ უშედეგოდ. იქ ვიღაცამ გვირჩია: ოდესაში კარგი პროფესორია და აუცილებლად მოგარჩენსო. ჩვენც ხავსს ვეჭიდებოდით და სამი თვე ოდესაში ვიწექი. არც ამ ოპერაციამ მიშველა. ჩემს მშობლებს პროფესორმა უთხრა, რომ ჩემი ავადმყოფობა მკურნალობას არ ექვემდებარებოდა და წვალებას აზრი აღარ ჰქონდა. თუმცა, შეიძლებოდა დროთა განმავლობაში, თვითონ აღდგენილიყო ბადურა, მაგრამ ეს მხოლოდ სასწაულით თუ მოხდებოდა. სხვა რა გზა გვქონდა? — დავბრუნდით სოფელში. ახლა სალოცავებს მიაშურა დედაჩემმა, მაგრამ დღითი დღე, თანდათანობით მაკლდებოდა თვალის სინათლე და ვეღარაფერს ვხედავდი.

— სოფელში დაბრუნებული, ალბათ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდებოდი?

— იმ დღიდან მოყოლებული, როცა მერხზე ვიჯექი და უცბად დავბრმავდი, თავს ყოველთვის ერთადერთი რამით ვიიმედებდი, რომ აუცილებლად მოვკვდებოდი და ამით მეშველებოდა კიდეც, ამიტომ თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, ისე მეჭირა თავი. ოდესიდან დაბრუნებული, უკვე თვითმკვლელობის გეგმასაც ვადგენდი. მინდოდა, როგორღაც გავპარულიყავი სახლის უკანა ბაღში და თან დანა წამელო. ვხედებოდი, რომ ჩემთვის ცხოვრება აღარაფერი იყო და უფუნქციო სხეულით მხოლოდ შევაწუხებდი ყველას, მაგრამ თანდათანობით ჩემს გამწარებულ მშობლებზე დავიწყე ფიქრი, მოთქმა-გოდებაში რომ ათენ-აღამებდნენ. ჩემი უმცროსი და, დალი კი მეფიცებოდა: ოღონდ გამაგრდი და მე გვერდიდან არასოდეს მოგშორდები, სულ მთლად შენი თვალები არა ვარ? — როგორც გინდა, ისე გამომიყენეო. მართლაც, არც ერთი წუთით არ მშორდებოდა. საჭმელსაც ის მაჭმევდა, ეზოშიც დავყავდი და ღამით ჩემს ფეხებთან ეძინა მოკუნტულს. ყველაზე მეტად ის მეცოდებოდა, რადგან ჩემს სიკვდილს ვერ გადაიტანდა. ვიფიქრე, რომ უფლება არ მქონდა, ახლობლებისთვის სიცოცხლე გამემწარებინა. თანდათანობით მივეჩვიე ჩემს მდგომაროებას,

ბებიაქალმა რომ მომახარა – ბიჭი შეგეძინაო, – მაშინვე ის ვკითხე – ბრმა ხომ არ არის-მეთქი?.. (მალხაზი ინგასთან და დალისთან ერთად)

თუ ამას მიჩვევა ჰქვია...

— ამ სოფელში ალბათ შენთვის ყველაფერი ნაცნობია...

– რა თქმა უნდა. უკვე 18 წელია, ორივე თვალით უსინათლო ვარ, მაგრამ ყველაფერი მახსოვს და აქ ყველგან მარტო დავდივარ. მხოლოდ მაშინ, თუ სადმე სხვაგან წასვლა მინდოდა, დავადებდი ჩემს დას მხარზე ხელს და მივყვებოდი. სახლში ყველა საოჯახო საქმეს მე ვაკეთებ: ვუვლი საქონელს, ვჩეხ შეშას, ვხვეტ სახურავიდან თოვლს, ელექტროგაყვანილობის შეკეთებაც შემიძლია. ზაფხულობით კი უბანში ველოსიპედითაც ვსეირნობ. ერთი სიტყვით, აქ არაფერი მიჭირს, მაგრამ როცა სტუმრად მივდივარ, ერთი სიცოცხლე მაკლდება. ნათესავები, რომლებიც აღარ მახსოვს, ვცდილობ, ხელის მოსმით გამოვიცნო, როგორები არიან. ჩემს მშობლებს ბოლო დროს სახეზე ნაოჭები მოუმრავლდათ. ჩემი და, დღემდე გასათხოვარი იყო ჩემ გამო, ხოლო როცა საკუთარი ოჯახი შევქმენი, მითხრა: ახლა ისეთი ადამიანის ხელში ხარ, არაფერი მოგაკლდებაო, – და გათხოვდა. თუმცა, ჩემთან განშორება ძალიან გაუჭირდა, მან ხომ მთელი ახალგაზრდობა მე შემომწირა და ოდესღაც დადებული ფიცი – შენი თვალები ვიქნებიო, – პირნათლად შეასრულა.

— მოგვიყევი შენი დაოჯახების შესახებ.

– ცოლის მოყვანას ადრე ვერავინ

მიხსენებდა, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალი ყოფილა და მეც დაოჯახებაზე დავიწყე ფიქრი. ამის შესახებ, დალის გავუმხილე, ისიც გახარებული დატრიალდა. მიიკითხ-მოიკითხა და ერთ ჩვენს ახლობელს კარგი ნათესავი აღმოაჩნდა. თავიდან ვიფიქრე, არავინ გამომყვება-მეთქი, მაგრამ ინგა ისე დამიხასიათეს, რომ განგებას დავმორჩილდი. მის დასანიშნად რომ მივდიოდით, გული მიკვდებოდა, მაგრამ ჩემმა დამ მითხრა: ნუ ნერვიულობ, თუ ეს არ მოხდება, ღმერთი არ გაგწირავსო... სოფელ ბერძენაულამდე ისე ჩავედით, ხმა არ ამოგვიღია, ოჯახში მისული კი ვცდილობდი, სიბრმავე არ შემემჩნია, თუმცა ხალხის სიბრალულით აღსავსე სახეებს თითქოს ვხედავდი კიდეც. პასუხი რამდენიმე დღის შემდეგ უნდა შემოეთვალათ. ყველას ვეუბნებოდი – უარს გვეტყვიან, აბა ბრმას, გიჟის მეტი, ვინ გამოჰყვება-მეთქი? – მაგრამ შევცდი. ინგა თანახმა იყო. სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექით, ხან ვტიროდით, ხან ვიცინოდით. ჩემს დას ვუთხარი: აბა, შენ იცი; მართალია, ბრმა ვარ, მაგრამ არც მთლად უშნო ქალი მინდა-მეთქი! მანაც დამამშვიდა – მე მომენდეო – და ქორწილიც გადავიხადეთ. ვისმენდი, როგორ გვლოცავდა ხალხი და ვფიქრობდი: „ღმერთო, რა დაგიშავე ასეთი? ნუთუ, ჩემს ცოლს ვერასოდეს დავინახავ?!“ მაგრამ მაინც მადლობელი ვარ – ბედი იმაში მაინც მქონია, ღვთისნიერი ადამიანი რომ მყავს გვერდით.

— სახელმწიფოსაგან რაიმე დახმარებას თუ იღებ?

– მხოლოდ თოთხმეტ ლარს, როგორც ყველა პენსიონერი. მშობლები ალბათ მალე მუშაობას ვეღარ შეძლებენ, მე კი მომიწევს ამ ფულით ოჯახის რჩენა, სხვა ხომ არაფერი შემიძლია. ის კი არა და, ჩემს პატარა გიორგის რა მოვუხერხო, იმას ვფიქრობ დღე და ღამე.

ყველას ვეუბნებოდი – უარს გვეტყვიან, აბა ბრმას, გიჟის მეტი, ვინ გამოჰყვება-მეთქი? – მაგრამ შევცდი. ინგა თანახმა იყო

— რა ხნისაა?

– ორი თვის წინ გავხდი მამა და წელში ერთი-ორად გავიმართე. ბებიაქალმა რომ მომახარა – ბიჭი შეგეძინაო, – მაშინვე ის ვკითხე – ბრმა ხომ არ არის-მეთქი?.. დღემდე სულ ვნერვიულობდი, მაგრამ ჩემებმა მითხრეს – ისეთი ცისფერი თვალები აქვს, დაუნახავი არაფერი რჩებაო, – და მეც დავმშვიდდი. დარდისაგან დალეული ჩემი მშობლები, თითქოს ხელახლა დაიბადნენ, მე კი მხოლოდ სასწაულს ველოდები.

— ყველაზე მეტად, რატომ გინდა ამ სასწაულის მოხდენა?

– მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი შვილი დავინახო. ვერავინ წარმოიდგენს, რას ნიშნავს, გყავდეს ცოლ-შვილი და ვერასოდეს დაინახო. ვეფერები ბავშვს და ვნატრობ: „ღმერთო, სულ ერთი წამით მაინც დამანახვე, როგორია ჩემი გიორგი და მერე, თუ გინდა, მომკალი კიდეც!“ ახლობლების უნახაობას უკვე მიჩვეული ვარ და თითქოს არაფერია, მაგრამ ბავშვი, რომელიც დღითი დღე იზრდება, წარმოსახვითაც არ შემიძლია დავინახო, რადგან აღარც ჩემი თავი მახსოვს და არც ცოლი მინახავს ოდესმე. ძნელია იმის მოსმენა, როცა მეუბნებიან: ნახე, როგორ იცინის, როგორ ტირისო... მაგრამ ვინ იცის – იქნებ ოდესმე, ჩემი ექიმის მიერ ნავარაუდევი სასწაული ერთი წუთით მაინც ახდეს! იმედის გარდა ამქვეყნად არა დამრჩენია რა...

■

ჯანსუღ ჩარკვიანი: მე ჩავიდინე საშინელება, რომელიც არ უნდა ჩამედინა

ჯანსუღ ჩარკვიანი საქართველოს პარლამენტის წევრია, მე კი მისთვის პოლიტიკის შესახებ არაფერი მიკითხავს, რადგან ჩემთვის გაცილებით საინტერესოა პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი და არა პოლიტიკოსი...

ბატონი ჯანსუღი 1931 წლის 30 სექტემბერს დაიბადა. დაამთავრა თბილისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება.

ბატონ ჯანსუღს, მის მშობლებსა და ბებია-ბაბუებს ძალზედ უცნაური — ძირითადად ბერძნული წარმოშობის სახელები დაარქვეს: მამას — ავდიდი, ბიძას — კანდიდი, ჯანსუღი სპარსულად სიყვარულში დამწვარს ნიშნავს... ბატონი ჯანსუღი მართლაც სიყვარულში დამწვარი კაცია. მას დღემდე წმინდა სიყვარულით უყვარს ქალბატონი ირმა ჩხაიძე.

ლელა ჭანკოტაძე

— ბატონო ჯანსუღ, იმედია კარგი ბავშვობა გქონდათ.

— საერთოდ, ჩემი ღრმა რწმენით, როცა ხანში შესული ადამიანი ამბობს — ცუდი ბავშვობა მქონდაო, ის ან „დედიკოს ბიჭია“, ან მდიდარი. აი, ასეთებს ჰქონდათ ცუდი ბავშვობა, ბავშვობა არის: ეზო, ქუჩა, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ჩხუბი, ტრამვაიდან გადმოხტომა, ლახტის თამაში, თავის გატეხა, ბიჭობა, ძმობა და გოგოს სიყვარული, ნაყინს ან შოკოლადს როგორ შეიძლება შეადარო ეს ყველაფერი?! მე მშვენიერი ბავშვობა მქონდა.

— რომელ უბანში ცხოვრობდით?

— „ზემელზე“. იქ დავიბადე და ვიზრდებოდი თორმეტ წლამდე. ზემელს ეახლნენ ვიღაც გერმანელს, რომელსაც იქ აფთიაქი დაუარსებია და ვატმანს აძლევდა ფულს, რომ ტრამვაი აფთიაქთან გაეჩერებინა და დაეძახებინა: „ზემელი!“ ასე უთქვამდა ის კაცი თავის აფთიაქს სახელს. სინამდვილეში მე ვცხოვრობდი ვერის აღმართის გვერდით. სკოლაშიც იქვე შევედი. ფილარმონიის წინ რომ სკოლაა, უწინ ქაჯაიას სკოლას ეახლნენ. ჩემი პედაგოგი იყო ნინო სუხიაშვილი, რომელმაც „ეროვნულად ამიბნია“ გონება.

— რას გულისხმობთ?

— ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ვეცდები დაგიმტკიცოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჭაბუკისთვის ეროვნულობას. ამ ქალბატონმა იცოდა, რომ მე ლექსებს ვწერდი. რვა წლის ვიყავი, როცა „ჩამავლო“ ლექსის წერისას. ექვსი წლის გოგო იყო ნატო, სწორედ ის გოგო მომწონდა და მას მივწერე:

„მიყვარს ნატო, მაგრამ მარტო...“

ამის შემდეგ ჩემი მასწავლებელი სულ სხვანაირად მექცეოდა. კვირაში ერთხელ გამოვყავდი ხოლმე დაფასთან და ვაჟას ლექსს მათქმევინებდა ხოლმე:

„დაჯანგებულხარ, გორდო,
დაგიბებია ქარქაში.
სადა გყავს, ძმაო, ჰაფრონი,
დაგაწყებინოს ომაში...“

უცბად დამიძახებდა ხოლმე მასწავლებელი: ჯანუკი, ბიჭო, ორივე ხელი ქარქაშთან მაგრად მოუჭირე — ვითომ ხანჯალი გიკიდიაო... აი, ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის ბავშვური ეროვნულობა, რომ უკვე თორმეტი წლის ასაკში, რამდენიმე ბიჭმა ომში წასვლა გადავწყვიტეთ. საბჭოთა კავშირი გერმანიასთან ომობდა, ბიჭები შევხვდით ერთ კაპიტანს, რომელმაც „პოლკის შვილებად“ გაგვაფორმა. მოხდა ისე, რომ ერთი ჩვენგანი დარჩა. სწორედ მან უთხრა ჩვენს მშობლებს: ომში გაიპარნენო. მანქანით გამოგვეკიდნენ და კასპში დაგვეწივნენ. ახლაც მახსოვს, როგორ გვეფერებოდნენ და როგორ გვცემდნენ მშობლები. გვეფერებოდნენ სიხარულით, რომ გვიპოვეს და საქართველოდან გასვლა ვერ მოვასწარით, ხოლო იმის გამო, რომ გაპარვა გავბედეთ, ყურებს გვაგლეჯდნენ.

— ეჰ. გასახსენებელი ბევრი გაქვთ?

— ვერასდროს ვიხსენებ, ვის ჰქონდა ჩვენთან კარაქიანი პური, თუმცა დიდი სიღარიბე და სიღატაკე იყო ირგვლივ. რა თქმა უნდა, უფრო მეტად გვიჭირდა,

გიგა ლორთქიფანიძესთან

ვიდრე ახლა, მაგრამ ქართველი მათხოვარი მენახოს — არ მახსენდება. ლუკმის გამყოფების ქვეყანა იყო — ძმა ძმას უყოფდა ლუკმას და მეზობელი — მეზობელს. ჩვენს ოჯახში ხშირად ვაკეთებდით ბორშჩს. არ შეიძლებოდა ჩვენი სახლიდან ბორშჩის სუნი გასულიყო და მაშინვე დედაჩემს ის მეზობლისთვის არ გაეყო. მახსოვს, ნათესავებთან სადილად რომ მივდიოდით ხოლმე, ვისაც რა ჰქონდა ის მიჰქონდა თან. ჩვენც თუ რამე გვქონდა სახლში, წავიღებდით ხოლმე... ხელს არავინ გაიშვერდა. მათხოვრობა დიდი სირცხვილი იყო. ვინ იკადრებდა?!

— ტრამვაიდან გადმოხტომა ახსენეთ.

— ყველაზე მაგრად, სწრაფად ტრამვაი №5 (ზემოთ, ვაკისკენ დადიოდა) „მიერეკებოდა“ თავდაღმართში, „კომუნისტის“ რედაქციის წინ და ძნელაძის ქუჩაზე. ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით, შევხტომოდით და შესაბამისად, გადმოვმხტარიყავით ტრამვაიდან. ერთხელ გადმოვხტი და თავი გავიტეხე. დასისხლიანებული „ზემელის“ აფთიაქში შემიყვანეს. თავი გადამიხვიეს და ისევ ქუჩაში გამოვვარდი. იქვე ახლოს ჩემი ტოლი, ძალიან კარგი ბიჭი ცხოვრობდა, რომელსაც ჩემი საქციელი და ჩემი ბიჭური ცხოვრება მოსწონდა. სულ მბაძავდა. მას გარეთ არ უშვებდნენ. რომ დამინახა, თავი სისხლიანი ბინტით მქონდა გადახვეული, იმ საწყალმაც შეიხვია თავი. აი, ამდენად დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ტრამვაიდან გადმომხტარიყო. არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ბავშვს გასაქანი უნდა მისცე.

— ბატონო ჯანსუღ, მამუკას აღზრდის დროს რა პრინციპებით ხელმძღვანელობდით? ის თავისუფლება, რაც თქვენ ბავშვობაში გქონდათ, მამუკასაც თუ მიეცით?

— მამაშვილობა მიბაძვაა — შვილი გბაძავს. მამუკა რომ მიყურებდა, სულ სუფრას ვუჯექი და მოქეიფე კაცი ვიყავი. მამუკას უფრო მეტი მოსდის, მაგრამ ის მორიდება, რაც მამამისს, ბაბუამისს, იმის მამას ჰქონდა, მამუკასაც აქვს. მე ცხოვრებაში ერთხელ ჩავიდინე საშინელება, რომელიც არ უნდა ჩამედინა. მამუკა მაშინ მეცხრე-მეათე კლასელი იყო. წყნეთში დავინახე — ბიჭებთან ერთად მოდიოდა და სიგარეტს ეწეოდა. მივედი. ჩემ გვერდით ბიჭები არიან და დამანებე თავიო, — მთხოვა. მე მაინც უხეშად მოვექეცი... ხელიც კი ვკარი... ასე ბავშვს ვერ გამოასწორებ, სჯობს, აუხსნა, მაგრამ სულ გინდა, რომ კარგად იყოს, ჯანმრთელად, არაფერი შეეშალოს და ამიტომაც, მოგდის ხოლმე ზედმეტი. თუმცა, ის თავისუფლება, რომელიც ბავშვს უნდა ჰქონდეს, მამუკასთვის არასდროს წამირთმევია. შვილის მაქებარი კაცი ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. პირიქით, — რაც ნაკლი აქვს, პირველ რიგში იმას ვეუბნები. მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ მამუკა ქართულს მღერის და ქართულად მღერის. მომწონს მისი ქართული სიმღერა. ამის გამო მომწონს ნანი ბრეგვაძე, მერაბ სეფაშვილი, მომწონდა გოგი დოლიძე. როცა მერაბს დავინახავ, ვეძახი ხოლმე — Первый. ჭყიპინი და წრიპინი ესტრადას არ უხდება. ძალიან გული მწყდება, ჩვენს ესტრადაზე „ცისფერმა“ რომ იმძლავრა. ეს საშინელებაა.

— თქვენს ბავშვობაში ან ყრმობაში თბილისში იყო ვინმე „ცისფერი“?

— მთელ ქალაქში იყო ხუთი „ცისფერი“. მათ შორის ორი გენიოსი იყო და ძალიან ცნობილი გახლდათ. მორიდებულად იქცეოდნენ. მაგრამ ბიჭები, სადაც დაინახავდნენ, სცემდნენ. მათ ვინ მიჰბაძავდა?!

— თქვენი ცხოვრების პირველი რომანის ეპიზოდი როგორ გახსენდებათ?

— ჩვენი სახლის სხვენზე ვეებერთელა კასრი იყო, რომელშიც სილა ეყარა იმისთვის, რომ ბომბს თუ ჩამოაგდებდნენ, ადვილად ჩაექროთ. იმ კასრს სალტე მოვაშორე. წავიღე და №5 ტრამვაის რელსზე დავდე. ასე გავაკეთე ხმალი. ჩამოვიკიდე და წავედი რუსუდანის მოსატაცებლად. მის სახლთან რომ მივედი, დავიძახე: „რუსუდან!“ დედამისმა გამოიხედა. გამოუშვი რუსუდანი, უნდა მოვიტაცო-მეთქი, — ვუთხარი თამამად. შვილო, ჯანუკი, ამოდი — იცი, როგორი „პეჩენიები“ გვაქვსო! — გადმომძახა დედამისმა. სულ დამავიწყდა, რისთვის ვიყავი მისული. ავედი. „პეჩენია“ ვჭამე, ჩაიც დავლიე, მაშინ ათი წლის ვიყავი... შემდეგაც მიყვარდა ერთი გოგო, მაგრამ მის სიყვარულში ერთი ბიჭი მეცილებოდა. მას ზურიკო ერქვა. წავიყვანე კიროვის ბაღში (ვერის პარკი), ვცემე და ჩამოვიშორე. ვჩხუბობდი ხოლმე. მეორე ყოჩი ვიყავი, პირველი — მამია ფაცურია იყო, შემდგომში ცნობილი ფეხბურთელი. ჩვენს შორის ჩხუბი არ მომხდრა — ვიცოდი, რომ მაჯობებდა.

გალაკტიონის საიუბილეო საღამოზე

ნოდარ დუმბაძესთან ერთად

— ჩხუბთან დაკავშირებით რაიმეს განსაკუთრებულს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— გაგანია ომია. თორმეტი წლის ვარ. ქუჩაში ჩემ წინ ულამაზესი გოგო მიდის. უკან მიჰყვება ორი კაცი. ვერაზე რომ სამშობიარო სახლია, იქ უწინ ჰოსპიტალი იყო. ის ორი კაცი სწორედ ჰოსპიტლიდან იყო გამოსული. ერთი ისევ ყავარჯნებით დადიოდა. დავინახე — მიეპარნენ ეს კაცები იმ გოგოს და „ბრიტვით“ ნაწნავები მოაჭრეს. მე მეგობარიც მახლდა. გავშმაგდით. გადავწყვიტე იმ კაცისთვის ყავარჯენი წამერთმია. მართლაც ასე მოვიქეცი. დავცხეთ იმ კაცებს. მოსაშველებლად ჩვენზე უფროსი ბიჭებიც მოვიდნენ. ისე გავლახეთ, კიდევ ორი კვირა იწვნენ

ჰოსპიტალში. კარგი ქალაქი იყო თბილისი, ვაჟკაცური და რაინდული.

— მამუკასთვის ხელი არ შეგიშველებიათ? თქვენი სახელი თუ გამოუყენებია?

— მან გვიან დაიწყო სიმღერა. მე წავაქეზე. ჩემმა მეგობრებმაც. სულ ვეუბნებოდით: სიმღერა შენი გზაა და მიხედე მაგ გზას-თქო. სხვა მხრივ, ჩემი ხელის შეშველება არ დასჭირვებია. მან თავისით გაიკაფა გზა. თუ არ ჩავთვლით ჩემს იუბილეს: ზუსტად აღარ მახსოვს მაშინ, 60 წლის გავხდი თუ სამოცდახუთის. მამუკას ჰქონდა ჩემს ლექსზე დაწერილი სიმღერა და მერაბ სეფაშვილს შესთავაზა: იმღერეო. მერაბი არ მოეშვა (იცოდა, რომ მამუკაც მღეროდა) და დააძალა — ერთად ვიმღეროთო. ასე იმღერა მამუკამ პირველი სიმღერა მერაბთან ერთად. ამის შემდეგ დაიწყო სიმღერა. ძირითადად ჩემს ლექსებზე დაწერილ სიმღერებს მღერის.

— ისევ თქვენს წარსულს დავუბრუნდეთ. როგორი იყო გარშემომყოფთა დამოკიდებულება თქვენდამი, როგორც ახალგაზრდა პოეტისადმი? როგორი იყო მანამდე და როგორ შეიცვალა მას შემდეგ, რაც შეიტყვეს — ეს ბიჭი თურმე პოეტი ყოფილაო?

— მართალი გითხრათ, ყურადღება მაგისთვის არ მიმიქცევია. მე მიყვარდა შეხვედრები — როცა ახალგაზრდა პოეტებს საშუალებას გვაძლევდნენ, სკოლებში გაკვეთილები ჩაგვეტარებინა... როცა პირველი წიგნი გამოვეცი, 28 წლის ვიყავი. სიხარულით მივუტანე ეს წიგნი ქალბატონ პისტი გელოვანს — დედაჩემს და ვაჩუქე. უი, შვილო, მე პოეტი, აკაკი მეგონა და შენც პოეტი ხარო?! — მითხრა...

— თუ დაგამახსოვრდათ რომელიმე შეფასება, თქვენ მიმართ რომ გამოუთქვამს ახალგაზრდობაში?

— გიორგი ლეონიძეს მისმა სიძემ წაუღო ჩემი ლექსები. მაშინ მეთერმეტე კლასში ვიყავი. მან წაიკითხა და ერთი ჩასწორება გააკეთა. ფურცელზე დამიწერა: ბიჭო, „ჯანსულ, ოხშივარი კი არა, ოშხივარი“. გამიკვირდა, თურმე თავის ლექსებში უწერია „ოშხივარი“ ის პოეტი იყო და მას შეეძლო ასე, კახურად დაეწერა. სწორედ გიორგი ლეონიძემ მომწერა: „ბიჭო ჯანსულ, ჩემი ჯილა ხარ“. ეს უდიდესი შეფასება იყო ჩემთვის. არასდროს დამიფიცავს, რომ მიყვარდა მისაბაძი ხალხი. სულ მქონდა ურთიერთობა ასეთ ხალხთან. მისაბაძი კაცი იყო ჩემთვის ნოდარ დუმბაძე. სულ ახლახან, მისმა მეუღლემ წერილები მიჩვენა — მე და ნოდარი სულ ლექსად ვწერდით ხოლმე ერთმანეთს. არ ჰქონდა მნიშვნელობა, სად ვიყავით — საავადმყოფოში თუ დასასვენებლად, მაგრამ ამ წერილების გამოქვეყნება არ შეიძლება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შიგ ბევრი ბილწსიტყვაობაა.

— თქვენი ოჯახის შესახებაც მიამბეთ, თქვენი მეუღლის შესახებ.

— მე და ჩემი მეუღლე ახლა მარტონი ვართ. ეტყობა, ჩვენს შვილებს უნდათ, ისეთივე სიყვარული გვქონდეს, როგორიც ადრე გვქონდა, როცა მარტონი ვიყავით. მიგვატოვეს. ახლა გოგო მეუბნება: გადმოდით ჩვენთანო. დროებით ყველგან შემიძლია წასვლა, ბოლომდე კი ჩემს სახლში უნდა ვცხოვრობდე. ჩემი მეუღლე გახლავთ ჩემი პირველი ნამდვილი სიყვარული. მე მასზე ხუთი წლით უფროსი ვარ. რომ გავიცანი, მეცხრე კლასში იყო. ყველაფრით გამორჩეული გოგო იყო. ჩემზე ორჯერ მეტი წიგნი აქვს წაკითხული. მამაც საოცრად წიგნიერი ჰყავდა. მოსკოვში ერთი ჩემოდნით მიდიოდა, იქიდან კი, ორით ბრუნდებოდა. ყველას უკვირდა — ამდენი რა ჩამოაქვსო? მას მხოლოდ წიგნები ჩამოჰქონდა. ოჯახში კარგი ბიბლიოთეკა გვაქვს. ეს ჩემი დამსახურებაცაა და ირმას მამისაც. სამი ათასი ძალიან კარგი წიგნი გვაქვს. მე ასთმიანი კაცი ვარ. მთხოვენ, წიგნებს მოვცილდე. ჩემი ალერგენებია წიგნის მტვერი, ძაღლის ბეწვი და ლუდი. მე წიგნებში მძინავს, ძაღლს იანჩოს (პუდელს) სძინავს ჩემს ლოგინში და ყოველდღე ვსვამ ლუდს — თითო კათხას. ასე რომ, ასთმა ვერაფერს მიშვება.

მეუღლესთან ერთად

— რამდენი წლის იყავით, როცა დაოჯახდით?

— ირმა იყო ცხრამეტი წლის, მე — ოცდაოთხის. მანამდე წლების მანძილზე გვიყვარდა ერთმანეთი. ნამდვილი სიყვარულით შევუერთდით ერთმანეთს. ერთხელ ვუთხარი: მზადა ვარ, მალე მოვკვდე, რადგან ვიცი, როგორ დამიტირებმეთქი. აი, ასეთი ურთიერთობა გვაქვს. მიხარია მისი წარმატებები. სამოცდახუთი წლის ქალია და მაინც სთხოვენ — ინსტიტუტში კიდევ დარჩიო. ირმა მეცნიერ-მუშაკია, ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობს. სხვათა შორის, ირმა არის პირველი ქალი, რომლის სადისერტაციო თემა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაა. ბატონი კონსტანტინეც ესწრებოდა დაცვას. გამოვიდა და მოითხოვა: სადოქტორო მიანიჭეთო... მე მივედი და ვუთხარი: ბატონო კონსტანტინე, დაანებეთ თავი — საკანდიდატოც არ ჩაგვეშალოს-მეთქი; ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვუთხარი... მერე თავისთან, შინ მიგვიწვია. ძალიან მოგვეფერა... ჰალსტუხიც მაჩუქა... ახლა სჯობს, ჩემი ბოლო ლექსი წაგიკითხოთ. გვეყო სევდიანი მოგონებები...

სიბერე ავი ხარია
რაღაც მომესმა ჩარგლიდან
სულ ბოლო დაძახილივით,
ალარ ალვრება ჩანგლიდან,
არც ცრემლი, არცა ღიმილი.
წყვარამში ბიხარ ნიადაგ,
სიბერე ავი ხარია,
ღამდება, მიხარია და
თენდება _ არ მიხარია.

ადრე ასეთ ლექსებს არ ვწერდი. ადრე გათენება მიხაროდა. აღმართში სიარული მიყვარდა. ახლა „დაშვებული“ ვარ და თავდაღმართში მივდივარ. ადრე ვწერდი: „სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა“... ახლა ვწერ: „სულ ქეიფ, ქეიფ, დაბლა და დაბლა...“

ასე, სევდიან განწყობაზე დავამთავრეთ საუბარი. არ მიცდია ბატონი ჯანსულის გამხიარულება, რადგან მას დაბადების დღე ჰქონდა — 30 სექტემბერს 71 წლის გახდა. პოეტები კი ამ დღეს განსაკუთრებთი ნაღვლობენ თურმე და

„სევდას გულში ქარბორბალა
ახვევს რითმებად.
ჰოეს სნაღია, ვეკონძის
ყოფა სიზმრებად...“

■



გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სიკვდილიანობის მაჩვენებლით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოშიც ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ გულ-სისხლძარღვთა დაავადებისგან იტანჯება. დაავადების გამომწვევ მიზეზს, პაციენტების 70%-ში, ათეროსკლეროზი წარმოადგენს. რა არის ათეროსკლეროზი? როგორ დავიცვათ მისგან თავი? რისგან ჩნდება სისხლჩაქცევები და წარმოადგენს თუ არა მომატებული პროთრომბინი ინფარქტის ან თრომბის განვითარების რისკ-ფაქტორს? ამ და სხვა შეკითხვებზე ანგიოლოგიურ და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მამუკა ბოკუჩავა გვიპასუხებს.

ნანა ქიბიშაური

საქართველოში სისხლძარღვთა პათოლოგიით 200.000 ადამიანია დაავადებული

რას გვირჩევს ექიმი?!



მამუკა ბოკუჩავა

— ბატონო მამუკა, რა არის ათეროსკლეროზი და როგორ დავიცვათ ამ დაავადებისგან თავი?

— ათეროსკლეროზი არის ლიპიდური, ანუ ცხიმოვანი ცვლის მოშლა ორგანიზმში, რომლის შედეგადაც ხდება სისხლძარღვების სანათურში ქოლესტერინის დალექვა. სისხლძარღვების შევიწროებას იწვევს კვების არასწორი რეჟიმი, თამბაქოს წევა, არაჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა რისკ-ფაქტორები. დროთა განმავლობაში იხურება სისხლძარღვები, ფერხდება სისხლის მიწოდება იმ კონკრეტულ ორგანოში, რომელსაც ეს სისხლძარღვები კვებავდა და ჩნდება ახალი დაავადება. მაგალითად, გულის კუნთის მკვებავი სისხლძარღვების ფუნქციის მოშლის დროს — მიოკარდიული ინფარქტი; თავის ტვინში მიმდინარე ამ პროცესს ჰქვია თავის ტვინის ინსულტი; ზემო და ქვემო კიდურებში მიმდინარე ანალოგიურმა პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს განგრენის საშიშროება, რაც ხშირ შემთხვევაში, კიდურის დაკარგვით მთავრდება. დღეს მსოფლიო მედიცინის ყურადღების ცენტრში, სწორედ ათეროსკლეროზის პროფილაქტიკა და მისი გამომწვევი რისკ-ფაქტორების უვნებელყოფა დგას. სისხლძარღვთა დაავადებები ხშირ შემთხვევაში, ისე ვითარდება, რომ პაციენტი ვერ ხვდება, თუ რა საშიში დაავადება ისადგურებს მის ორგანიზმში. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, 40-45 წლის ასაკის ყოველმა ადამიანმა, შესაბამისი ანალიზის მეშვეობით, განსაზღვროს სისხლში ლიპიდური ცვლის მდგომარეობა.

— ათეროსკლეროზის გარდა, კიდევ რა დაავადებები იწვევს სისხლძარღვთა ფუნქციის მოშლას?

— ხშირად ვხვდებით აორტოარტერიიტით გამოწვეულ სისხლძარღვთა დაავადებას. უმეტეს შემთხვევაში, ეს დაავადება ახალგაზრდა ასაკში გვხვდება. აღსანიშნავია შაქრიანი დიაბეტი. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ გენერალიზებული ფორმის ათეროსკლეროზი, რომელიც პრაქტიკულად, ორგანიზმის ყველა მკვებავ სისხლძარღვს მოიცავს; სისხლძარღვთა დაავადების განვითარების პროცესი სხვადასხვა ორგანოში სხვადასხვაგვარად ვითარდება. დაავადების ტიპის განსაზღვრა იმის მიხედვით ხდება, თუ რომელ ორგანოთა მკვებავ აუზის სისტემაში მიმდინარეობს პროცესი. თუ ზედა და ქვედა კიდურებში მიმდინარე პროცესის დროს პათოლოგიას სისხლძარღვების ჯერ შევიწროება, შემდეგ კი დახურვა წარმოადგენს, თავის ტვინის შემთხვევაში, საქმე სულ სხვაგვარადაა. ბოლო დროს, წარმოებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ თავის ტვინში მიმდინარე პროცესის დროს, მნიშვნელობა აქვს არა იმდენად სისხლძარღვთა შევიწროების ხარისხს, არამედ სისხლძარღვთა კედლებზე დალექილი ქოლესტერინიდან წარმოქმნილ რბილ ფოლაქს, რომელზეც რჩება მიკროთრომბული მასა, შემდეგ ეს მასა სწყდება ფოლაქს და ხდება მისი ემბოლიზაცია თავის ტვინში. ეს ნიშნავს იმას, რომ თავის ტვინის გარკვეული უბანი სისხლის დეფიციტს განიცდის.

— ამ დროს რა სიმპტომები აღენიშნება პაციენტს?

— დაავადებას, ძირითადად, 50-60 წლის პაციენტებში ვხვდებით. მათ აღენიშნებათ თავბრუსხვევები, გონების წამიერი დაკარგვა, მხედველობის გაუარესება, მეხსიერების დარღვევა... თუ დასახელებული სიმპტომები გამომჟღავნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს მაინცდამაინც ინსულტის საშიშროება ემუქრება, მაგრამ დაფიქსირებს თუ არა ამ ნიშნებს, აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს და ჩაიტაროს თავის ტვინის დოპლეროგრაფიული გამოკვლევა. ეს არ არის იმდენად ძვირად ღირებული მომსახურება, რომ ჩვენს პირობებშიც კი, ადამიანმა ვერ ჩაიტაროს. ინსულტით დაავადება კი, ინვალიდობას ნიშნავს და

საკმაოდ ძვირად ღირებულ მკურნალობას მოითხოვს.

— სამედიცინო ტექნიკის განვითარებამ ალბათ ძალიან გაუადვილა თქვენი დარგის სპეციალისტებს ზუსტი დიაგნოზის დასმა...

— ამ კითხვის პასუხად მაგალითს მოვიყვან. ისეთი მძიმე დაავადება, როგორიცაა ანევრიზმა, წლების განმავლობაში ძალიან ძნელი გამოსავლენი იყო. ერთი შეხედვით ჯანმრთელი ადამიანის გარდაცვალება ხდებოდა უეცრად, თითქოს უმიზეზოდ და გაკვეთის გარეშე ვერც ადგენდნენ, თუ რამ გამოიწვია სიკვდილი. დღეს ექოსკოპიური გამოკვლევით შესაძლებელია მუცლის ღრუს ყველა ორგანოს დათვალიერება და მაგისტრალური სისხლძარღვების გამოკვლევა; არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს ანევრიზმის დროული დიაგნოზის დასმაც. ანევრიზმა არის არტერიის შრეების სისტემის დარღვევა. ამ დროს აორტა გაფართოებულია, სისხლძარღვთა კედელი კი, ნორმასთან შედარებით — გათხელებული. მძიმე შედეგი, რაც ამ პათოლოგიას შეიძლება მოჰყვეს, ანევრიზმის გასკდომაა. ხშირ შემთხვევაში, ექიმი ჩარევას ვერ ასწრებს და პაციენტი იღუპება.

— სისხლძარღვთა პათოლოგიებს მიეკუთვნება ისეთი დაავადებებიც, რომელიც ვიზუალურადაც შესამჩნევია.

— სამწუხაროდ, როდესაც დაავადება თვალით შესამჩნევი ხდება, მკურნალობა უკვე რთულდება. ვიზუალურად შესამჩნევია ვენური პათოლოგიები. მისი სიმპტომებია: კიდურებზე სიმძიმის შეგრძნება, კიდურების შეშუპება, დაღლილობის შეგრძნება, რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა საღამოს, დილით კი ქრება, ე.წ. „განასკვები“ ანუ კრუნჩხვები, რომელსაც პერიოდული ხასიათი აქვს და, რა თქმა უნდა, გაფართოებული და კანზე ზემოდან ამობურცული ვენები. ამ დროს სასურველია, პაციენტმა სპეციალური ელასტიკური ბანდით გადაიხვიოს კიდური. ამ ბანდს აქვს როგორც სამკურნალო ეფექტი, ასევე კომპრესის ფუნქციაც. ბევრი პაციენტი ამბობს, რომ კიდურების დასასვენებლად, ფეხებს მაღლა აწყობს ხოლმე. ვენური დაავადების მიზეზით გამოწვეული დაღლილობისა და სიმძიმის შეგრძნებას ეს მეთოდი ვერაფერს უშველის. აუცილებელია მედიკამენტების მიღება, მაგრამ ეს მედიკამენტები უეჭველად ექიმის მიერ უნდა იყოს დანიშნული. რაც შეეხება იმის მოთხოვნილებას, რომ კიდურები დავასვენოთ მაშინ, როდესაც დაღლილობას ვგრძნობთ, მცდარი აზრია, რომ ეს პანაცეაა. თუმცა ქრონიკული ვენური პათოლოგიის დროს, უკეთესია მაქსიმალურად დავტვირთოთ კუნთები. რაც შეეხება არტერიულ პათოლოგიებს — ის ქირურგებს დიდ პრობლემას უქმნის. ავადმყოფები ხშირ შემთხვევაში ძალიან დაგვიანებით მიდიან ექიმთან — მაშინ, როდესაც სისხლის მიწოდების უკმარისობა იმ დონემდეა მისული, რომ კიდურის გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

— რასთან გვაქვს საქმე, როდესაც უმიზეზოდ ჩნდება სისხლჩაქცევა? როგორც ვიცი, ამ დროს, სისხლის გათხელების მიზნით, ბევრი იყენებს ლიმონის წვენს, კომშის ფოთლის ნახარშს, ან სვამს მჟავე ტყემლის საწებელს. რამდენად ეფექტურია, ხალხში გავრცელებული ეს საშუალებები?

— ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კაპილარული სისხლის მიმოქცევის პრობლემასთან. სისხლჩაქცევის წარმოქმნა, როგორც ანგიოლოგიური, ასევე ჰემატოლოგიური დარღვევით შეიძლება იყოს გამოწვეული. პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს კოაგულოგრამა, ანუ სისხლის შემდედებელი სისტემის შესწავლა-გამოკვლევა. თუ სილურჯეების გაჩენა მკვეთრად არის ვიზუალურად გამოხატული, უნდა დადგინდეს, თუ ვის კომპეტენციას განეკუთვნება ეს პაციენტი, — ანგიოლოგის თუ ჰემატოლოგის. თუ სილურჯე შესამჩნევია, პაციენტი წუხს და დროულად მიდის ექიმთან, მაგრამ გაცილებით საშიშია, როდესაც პროცესი ფარულად მიმდინარეობს. მჟავე საკვებს ხალხი ძირითადად მაშინ ეტანება, როდესაც მაღალი აქვთ პროთრომბინი. არადა, ეს ორგანიზმის თავისებურებაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ პროთრომბინის მაჩვენებელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის 100 ან 100-ზე მაღალია, ნორმას წარმოადგენს. მას სხვა კომპონენტები არეგულირებს. ასე რომ, მაღალი პროთრომბინი პათოლოგიად არ ითვლება. ლიმონით, ტყლაპით და მჟავე საწებლით შეიძლება ხელოვნურად გამოვიწვიოთ კუჭის დაავადება და ეს მაშინ, როდესაც იმ ადამიანს საერთოდ არ სჭირდება სისხლის „გათხელება“. ბევრი, ექიმის დანიშნულების გარეშე იწყებს ისეთი მედიკამენტების მიღებას, როგორიცაა: სინკუმარი, ფენილინი, პელენტანი და სხვა. მათი მიღება უექიმოდ არაფრით არ შეიძლება. ექიმის მიერ დანიშნული წამლის მიღების დროსაც კი, პაციენტი განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. სისხლძარღვები ძალიან რთული სისტემაა და თვითმკურნალობა დაუშვებელია.

— რას ამბობს სტატისტიკა — მთლიანად საქართველოში რამდენი ადამიანია სისხლძარღვების პათოლოგიით დაავადებული და როგორია თანაფარდობა ქალთა და მამაკაცთა შორის?

— აორტის სისხლძარღვების სხვადასხვა დაავადება საქართველოში მთლიანად 200.000-მდე ადამიანს აწუხებს. ვენური დაავადების მქონე პაციენტი, არტერიული სისხლძარღვებით დაავადებულზე, გაცილებით მეტია, მაგრამ მათი აღრიცხვა ჭირს, რადგან ისინი სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებენ. არტერიული პათოლოგიის დროს, ქალის და მამაკაცის შეფარდება ასეთია — 1:10-თან. ამ განსხვავებას, სიმართლე გითხრათ, ვერც მე ვხსნიდი და ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგებიც გაოცებას გამოთქვამდნენ, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს თანაფარდობა ცხოვრების წესიდან გამომდინარეობს (საზღვარგარეთ ქალთა და მამაკაცთა შორის არტერიული პათოლოგიის სიხშირე თანაბარია). მაგალითად, გერმანიაში, საქართველოსთან შედარებით, გაცილებით მეტია მწეველი ქალების რიცხვი. იქაური ქალები ჭარბი რაოდენობით იღებენ ცხოველურ საკვებს და ცხიმებს. სამაგიეროდ, საქართველოში ვენური პათოლოგიები ქალთა შორის უფროა გავრცელებული. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენს ქალებს გაცილებით მეტად დატვირთული დღის რეჟიმი აქვთ და მამაკაცებთან შედარებით, უფრო დიდხანს დგანან ფეხზე.

— საქართველოშიც უკვე ძალიან ბევრი ქალბატონია სიგარეტის მწეველი. ასე რომ,

შეიძლება, მალე დავეწიოთ და გავუსწროთ გერმანიას?

— ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან სიგარეტი ადამიანის პირველი მტერია. განსაკუთრებით მაშინ, როცა სისხლძარღვთა ფუნქცია დარღვეულია. ბევრი ჩვენი პაციენტი, ექიმის კატეგორიული გაფრთხილების მიუხედავად, ვერ ელევა სიგარეტს. არადა, თუ ადამიანი ეწევა, იმ მედიკამენტებს, რომელსაც დაავადების შემთხვევაში ექიმი უნიშნავს, არანაირი შედეგის მოტანა არ შეუძლია. წამლის დანიშნულება ის არის, რომ მაქსიმალურად გააფართოოს სისხლძარღვები, ნიკოტინი კი ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. საქმეს ისიც კი არ შველის, პაციენტმა ნელ-ნელა რომ შეამციროს ნიკოტინის მიღება — ძალზედ სასურველია, ერთბაშად შეწყვიტოს თამბაქოს მოწევა.

— როგორი უნდა იყოს კვების რაციონი, რომ თავი ავარიდოთ გართულებებს?

— ჩემი რჩევაა, მივიღოთ ნაკლებად ცხიმიანი საკვები. სასურველია, მცენარეული პროდუქტებისა და მცენარეული ცხიმების გამოყენება. ხორცი მხოლოდ მოხარშული უნდა მივიღოთ. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ძროხის ნაწარმი და რძის პროდუქტები მაქსიმალურად უნდა შევზღუდოთ. განსაკუთრებით უნდა მოვერიდოთ ერბოს, კარაქს, მოხრაკულს და ცხარე საჭმელს; ასევე — შაქარსა და ტკბილეულს, რომელიც ორგანიზმში ცხიმოვან ცვლილებებს იწვევს. ძირითადი აქცენტი უნდა გადავიტანოთ ნახშირწყლებზე, სასურველია, რომ ხშირად მივირთვათ თევზეული.

— რისგან მზადდება ხელოვნური კაპილარები და არტერია? რა შესაძლებლობები არსებობს ჩვენში ქირურგიული თვალსაზრისით და რამდენად ეფექტურია აქ გაკეთებული ოპერაციები?

— იყო დრო, როდესაც სისხლძარღვთა ქირურგია იმით შემოიფარგლებოდა, რომ სისხლძარღვის სანათურის აღდგენის ნაცვლად, ექიმები მხოლოდ მისი გადაკვანძვით კმაყოფილდებოდნენ. ეს არა მარტო გამოცდილების და ცოდნის ნაკლებობით, არამედ სპეციალური საკერი მასალის, ე.წ. ატრავმული იარაღისა და სისხლძარღვების შემცვლელების არარსებობით იყო გაპირობებული. სისხლძარღვთა ქირურგიაზე საუბარი ცოტა შორიდან იმიტომ დავიწყე, რომ მინდა აღვნიშნო იმ ქართველ ექიმ-მეცნიერთა წვლილი, ვისაც სწორედ ამ დარგში ეკუთვნის პირველობა მსოფლიო მასშტაბით. XX საუკუნის I ნახევარში მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში ქვეყნდება სისხლძარღვების დაზიანების ქირურგიული მკურნალობის მცდელობის ერთეული შემთხვევების აღწერა. აი, ამ დროს, ივლიანე ჯანელიძე იყო ის ექიმი, რომელმაც 1913 წელს, მსოფლიოში პირველმა წარმატებით გაკერა აღმავალი აორტის ჭრილობა. ამის შემდეგ წამოვიდა ქართველ მეცნიერ-მედიკოსთა მთელი პლეადა, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის სისხლძარღვთა ქირურგიის განვითარებაში. ხელოვნურ სისხლძარღვთა შემცვლელების თაობაზე ჩვენს მეცნიერებს შორისაც იყო გამართული დიდი პოლემიკა. იყო საუბარი იმაზე, რომ სისხლძარღვების შესაქმნელად ყველაზე კარგ მასალას პლაცენტა და ჭიპლარი წარმოადგენდა. საუბრობდნენ ძროხის სისხლძარღვებზეც, რომელიც სათანადო დამუშავების შემდეგ, ადამიანის სისხლძარღვებს უახლოვდებოდა. მაგრამ დღეს ძირითადად ბიოშემცვლელებს იყენებენ. არის ხელოვნური პროთეზები, რომელიც სინთეტიკური მასალისგანაა დამზადებული და 40-55 წლის გარანტია აქვს. ეს მასალა ადამიანის ორგანიზმში მოხვედრიდან 1 წლის შემდეგ რომ ნახოთ, პრაქტიკულად ვერ განასხვავებთ ბუნებრივისგან. ინტერვენციული რადიოლოგიის განვითარებამ იმის შესაძლებლობა მოგვცა, რომ გაკეთდეს არატრავმული ოპერაციები, ენდოპროთეზირება. რენტგენის აპარატის ქვეშ, თვით სისხლძარღვიდან ორგანიზმში პროთეზის შეყვანა და მისი სათანადო ადგილას მოთავსება ხდება. საქართველოშიც წარმატებით კეთდება ასეთი ოპერაციები და საჭიროების შემთხვევაში, პაციენტს შეუძლია, თავისი სისხლძარღვები და ჯანმრთელობა მშვიდად მიანდოს გამოცდილ ექიმს. ■

მართული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. საიდან არის წამოშობით რუსული ესტრადის ვარსკვლავი დიანა ღურწკაია?

ა) გალიდან;
ბ) მოსკოვიდან;
გ) სანკტ-პეტერბურგიდან.

2. რა ჰქვია ვახუშტი კოტეტიშვილის მეუღლეს?

ა) მთვარისა;
ბ) მზეო;
გ) თეონულდი.

3. სად მდებარეობს კეთილმორწმუნე გერის, მამა გაგრიელის საფლავი, სადაც უამრავი სასწაული აღესრულება?



ა) შუამთის მონასტერში;
ბ) სამთავისის ტაძარში;
გ) მცხეთის დედათა მონასტერში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



წინდა

ქალის გარდერობის შეუცვლელი ატრიბუტი

საინტერესოა, რა გვეშველებოდა, ინგლისელ მღვდელს, უილიამ ლის 1589 წელს, საქსოვი დაზგა რომ არ გამოეგონებინა?! სწორედ მისი გამოგონების წყალობით მივიღეთ სრულყოფილი მაღალყელიანი წინდა. მანამდე კი შუა საუკუნეების ლამაზმანებს, სამხედროების ფეხსახვევების მსგავსი, ქსოვილის ვიწრო ზოლები ჰქონდათ ფეხზე შემოხვეული.

პირველად ნაქსოვი წინდა ჩვ.წ.აღ-მდე V საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ მოგვიანებით, ქსოვის ხელოვნება დავიწყებას მიეცა და XVI საუკუნემდე წინდები უხეში ტილოსაგან ან შალის ქსოვილისაგან იკერებოდა. უილიამ ლის გამოგონების შემდეგ, მისი ნაწარმი კონკურენციას უწევდა აბრეშუმისა და ხავერდისაგან შეკერილ წინდებს, რომლის შეძენაც მხოლოდ შეძლებულ ადამიანებს შეეძლოთ. XVIII საუკუნეში „წინდების ომი“ ახალი ტექნოლოგიების გამარჯვებით დამთავრდა.

თავდაპირველად, წინდა საკმაოდ მოკლეყელიანი იყო და მუხლს ქვემოთ, წვივსაკრავით მაგრდებოდა. გადიოდა დრო, წინდის ყელი თანდათან მაღლდებოდა და მის დასამაგრებლად სპეციალური ქამრები გამოიგონეს.

თანდათან მაღალყელიანი წინდის წარმოებაც იხვეწებოდა და ბაზარზე აჟურული და აბრეშუმის წინდებიც გამოჩნდა. ქალებს კი, პრობლემები მაინც არ ელეოდათ, რადგან მიუხედავად ხარისხისა, ამ ტიპის წინდები ნაოჭს მაინც იყრიდა. ამ პრობლემამ XX საუკუნის 50-იან წლებამდე იარსება. 1959 წელს ელექტრა ირენეა დიუპონის (უმსხვილესი ქიმიური წარმოების დამაარსებელი) ღირსეულმა მემკვიდრეებმა ელასტიკური ბოჭკო — ლიკრა გამოიგონეს. ამ გამოგონებამ წინდის სამყაროში გადატრიალება მოახდინა.

კოლგოტი, რომლის გარეშე ვერც ერთ თანამედროვე ქალს არსებობაც კი ვერ წარმოუდგენია, მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა. ეს კი მოდაში შემოსული მინი კაბების წყალობით მოხდა. სიახლეს ყურადღება პირველებმა დიორისა და კარდენის მოდების სახლებმა მიაქციეს. მათ ერთდროულად გამოუშვეს პირველი კოლექციები, რომელზედაც ზომაც მითითებული იყო. მათ თავიანთი ნაწარმი პლეკსიგლასის ლამაზად გაფორმებულ კოლოფებში მოათავსეს და არა პლასტიკატის პაკეტებში, როგორც ეს იმ პერიოდში იყო მიღებული. ამჟამად საქონლის ასეთი შეფუთვით ვერავის გააკვირვებ. მაშინ კი...

კოლგოტი ქალის შეძლებულობის ერთ-ერთ გამოხატულებად იქცა. მდიდარი ქალ-ბატონები ცნობილი დიზაინერების მიერ გამოშვებულ, ლამაზ კოლოფებში მოთავსებულ კოლგოტებს ეტანებოდნენ. მოდის სახლებიც, რაღა თქმა უნდა, შემოსავლის ასეთ წყაროს ხელიდან არ გაუშვებდნენ და ბაზარი ნებისმიერი ფერის, მოხატული, სახიანი, ამობურცულზოლიანი თუ ბადე-კოლგოტით აივსო. შავი ფერის, მაღალყელიანი წინდისა თუ კოლგოტის ტარებისას საზოგადოება ერთ დაუწერელ კანონს იცავდა, რომლის მიხედვითაც ამ ფერის კოლგოტი (თუ წინდა) დღისით არავის უნდა ჩაეცვა (მხოლოდ საღამოს). „შავი კოლგოტი დღისით?! რას ამბობთ, ეს ხომ ცუდი ტონია! ეს ხომ ვულგარულია!“ — გაისმოდა 60-იანი წლების დასაწყისში.

როდესაც პიერ კარდენმა პრეტ-ა-პორტეს კოლექციის დემონსტრირებისას პოდიუმზე შავკოლგოტიანი მოდელები გამოიყვანა, მისი ეს ნაბიჯი საზოგადოების გემოვნებისათვის სილის გაწვნად იყო აღქმული. დრომ გვიჩვენა, რომ კარდენის მიერ შემოთავაზებული, ყოველდღიური შავი კოლგოტები საოცრად პრაქტიკული აღმოჩნდა. რეიტინგის მიხედვით, სწორედ ამ ფერის კოლგოტი სარგებლობს ყველაზე დიდი მოთხოვნით.

კოლგოტისა და მაღლაყელიანი წინდის უკანასკნელი კოლექციები ყველაზე დახვეწილი და პრეტენზიული მყიდველის გემოვნებასაც კი აკმაყოფილებს. გამჭვირვალე წინდები და კოლგოტები ძირითადად, გამოსასვლელად ან ყოველდღიურადაც გამოიყენება. გაუმჭვირვალი, ბამბანარევი და შალნარევი კოლგოტების შეხამება კი საშემოდგომო-საზამთრო ყოველდღიურ ტანსაცმელთანაა სასურველი. ■

მცენარე, რომელსაც ეტანება შუტკარი	ხის ქოში	უფულოდ წამოღებული საქონელი	„... ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ“	„ძაღლი ..., ქარავანი მიდის“	ა. ყაზბეგის ნაწარმოების გმირი	„ვაქცე, ვაქცე, ... დავაქცე“
ფრინველი	პორტუგალიის დედაქალაქი	ტაილანდის ძველი სახელწოდება	შინაური პირუტყვი	თბილისის ძველი უბანი	თამაშის დროს ჩასული თანხა	სათამაშოების ქა... დირექტორი ... წე...

კოსმოსური სტუმრები

ცნობები ჩვენს პლანეტაზე არამიწიერი ცივილიზაციების წარმომადგენელთა სტუმრობის თაობაზე, უძველეს წყაროებშიც დასტურდება. ერთ-ერთი ასეთი დამაინტრიგებელი გადმოცემა, თითქოსდა „ციდან მოსულ არსებათა“ შესახებ, ლიონის (საფრანგეთი) არქიეპისკოპოს აგობარს ეკუთვნის. მის მიერ დაახლოებით 820 წელს დაწერილ წიგნში – „სეტყვასა და ქუხილზე“ მოთხრობილია ამბავი, როცა ლიონის ცრუმორწმუნე მოსახლეობამ სამი მამაკაცი და ერთი ქალი შეიპყრო. მათ ბორკილები დაადეს და რამდენიმე დღე ტყვეობაში ჰყავდათ. აღგზნებული ლიონელები ირწმუნებოდნენ, რომ ეს ოთხეული დედამიწაზე ღრუბლებზე მცურავი ხომალდებიდან დაეშვა, რათა მათი მოსავალი მეთვისებინა. ტყვეები კი იფიცებოდნენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ უბრალო გლეხები იყვნენ და ხომალდზე იდუმალი უცნობების წყალობით აღმოჩნდნენ, რომლებმაც იქ უამრავი საოცარი რამ აჩვენეს. ბრბომ ტყვეები გასასამართლებლად აგობართან მიიყვანა. არქიეპისკოპოსმა დაადგინა, რომ ორივე მხარე სიმართლეს ამბობდა და ტყვეები გაათავისუფლა.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ზოგიერთ ბიბლიურ სიუჟეტსაც კი, ზოგჯერ უცხოპლანეტელთა სტუმრობას უკავშირებენ. თეოლოგი ბარი დაუნინგი თავის წიგნში – „ბიბლია და მფრინავი თეფშები“, განიხილავს წინასწარმეტყველ ეზეკიელის (ჩვ.წ.აღ-მდე დაახლოებით 600 წ.) ხილვებს. ეზეკიელის მონათხრობი ბორბლებზე შემდგარი ცეცხლოვანი ღრუბლით ადამიანის მსგავსი არსებების გამოცხადების შესახებ, რომლებმაც ის იმქვეყნიურ სამყაროში წაიყვანეს, საოცრად ჰგავს უცხოპლანეტელთა მიერ, ადამიანთა გატაცების თანამედროვე ამბებს. ინდურ „ვედებშიც“ მოხსენიებულია მფრინავი მანქანები – ვიმანასები, რომელსაც რაღაც ძლიერი იარაღის მქონე ადამიანის მსგავსი არსებები მართავდნენ.

თავის ნაშრომში პლუტარქე (ჩვ.წ.აღ-ით I ს.) ეგოსპოტამში მომხდარი ბრძოლის (405 ჩვ.წ.აღ-მდე, როცა სპარტელთა მთავარსარდალმა ლისანდრმა ათენელთა ფლოტი დაამარცხა) თანამედროვის ციტირებას ახდენს: „75 დღის მანძილზე ცაზე ჩანდა დიდი, ცეცხლოვანი ღრუბელი, რომელიც განუწყვეტლივ რაღაც გაურკვეველი ტრაექტორიით მოძრაობდა“. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს კომეტა იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ცნობას ობიექტის რთული, მოუწესრიგებელი ტრაექტორიით მოძრაობის შესახებ, ეს ვარაუდი ნაკლებდამაჯერებელი იქნება.

უცხოპლანეტელთა მიერ შორეულ წარსულში ჩვენი ცივილიზაციის სტუმრობის ვერსია, პირველად 1954 წელს, ინგლისელმა მწერალმა, ჰაროლდ ტ. უილკინსმა (წიგნში – „მთვარიდან მოსული მფრინავი თეფშები“) გამოთქვა. უილკინსის აზრით, ნასკას უდაბნოს (პერუ) ცნობილი „ნახაზები“, რომლის გარჩევაც მხოლოდ ჰაერიდანაა შესაძლებელი, უცხოპლანეტელთა კოსმოსური ხომალდებისთვის საორიენტაციოდ იყო განკუთვნილი. მოგვიანებით, მის იდეას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ და არაერთმა ავტორმა ეგვიპტის პირამიდები, აღდგომის კუნძულის ქანდაკებები და „ასტრონავტთა“ გამოსახულებები (ნაპოვნია საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, ჩინეთისა და ავსტრალიის გამოქვაბულებში), არამიწიერი ცივილიზაციის წარმომადგენელთა მიერ შექმნილად მიიჩნია.

მიუხედავად საინტერესო თემატიკისა, ამ ტიპის ლიტერატურა დიდი პოპულარობით სულაც არ სარგებლობდა. 1969 წელს ინგლისურ ენაზე თარგმნილი ერიხ ფონ დენიკენის წიგნი – „ღმერთების ეტლები?“ კი ბესტსელერად იქცა. თავის ნაშრომში ავტორი ავითარებდა აზრს, რომ უცხოპლანეტელები დედამიწელ ქალებთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად ჩამოდიოდნენ მიწაზე, რათა ამ გზით დედამიწელებისათვის თავიანთი ცოდნა და სიბრძნე გაეზიარებინათ.

1976 წელს გამოვიდა რობერტ ტემპლის წიგნი – „სირიუსის საიდუმლოება“, სადაც აღწერილია აფრიკის პრიმიტიული ტომის – დაგონების გასაოცარი განსწავლულობა ასტროლოგიის საკითხებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ტომი განსაკუთრებულად ზუსტ ინფორმაციას ვარსკვლავ სირიუსზე და მის თანავარსკვლავედზე ფლობს. ტემპლი ამ საფუძვლიან ცოდნას დაგონებში ფრიად გავრცელებულ მითს უკავშირებს, რომლის მიხედვითაც სირიუსის სისტემის ერთ-ერთი პლანეტის წარმომადგენლები მიწაზე „კიდობნით“ დაეშვნენ, ირგვლივ მტვრის კორიანტელი დააყენეს, ამას კი ხომალდიდან გამოსული „სისხლის ღვარი“ მოჰყვა; „სისხლის ღვარი“ სავარაუდოდ, ძრავის მიერ რაღაც წითელი, თხევადი ნივთიერების გამოყოფას უნდა უკავშირდებოდეს. დაგონებს მტკიცედ სწამთ, რომ მათი ცივილიზაცია სირიუსიდან მოსულთა ცოდნაზეა დამყარებული. დაგონთა საკულტო ტაძარს ამკობს ორნამენტი, რომელშიც ასახულია ტომის მითოლოგიაც და ასტრონომიის ღრმა ცოდნაც.

ზოგიერთი ავტორი ეჭვს გამოთქვამს, რომ შორეულ წარსულში უცხოპლანეტელთა სტუმრობის დაფიქსირებული შემთხვევები, იორკშირში აღმოჩენილი უცნაური მანუსკრიპტის მსგავსად, უბრალო ბავშვური ხუმრობაა. მანუსკრიპტში „დიდი, მრგვალი, ვერცხლისფერი დისკოსებური სხეულია“ აღწერილი, რომელმაც 1290 წელს მონასტერს გადაუფრინა და ადგილობრივი ბერები გვარიანადაც დააფრთხო. სინამდვილეში კი ეს „დოკუმენტი“ სკოლის ორი მოწაფის მიერ თავშესაქცევად დაწერილი აღმოჩნდა. აგრეთვე ცნობილია პაპირუსის გრაგნილი, რომელშიც ჩვ.წ.აღ-მდე 1500 წელს მომხდარი მოვლენაა აღწერილი, როცა ვეებერთელა ცეცხლოვანმა ეტლმა ზეცაზე რამდენჯერმე გაიფრინ-გამოიფრინა. ამჟამად მეცნიერების მიერ პაპირუსის ამბავი მისტიფიკაციადაა მიჩნეული. ■

| | | |

ფიფა წესების დახვეწას განაგრძობს,

ფეხბურთელები კი ტრავმებს იშუშებენ და მომავალ კარიერაზე ზრუნავენ

ალექსი რეხვიაშვილი

ჟურნალ „გზის“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ ფიფამ ცვლილება შეიტანა წითელი ბარათის მიღების შედეგად ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციის წესებში, რომელიც უკვე ოქტომბერში შევიდა ძალაში. რამდენიმე დღის წინ კი, უმთავრესმა მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაციამ საკმაოდ საინტერესო და ამავე დროს, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. ამიერიდან, საფეხბურთო მატჩების მსვლელობისას, მოედანზე სამის მაგივრად, ხუთ მსაჯს ვიხილავთ: მთავარი არბიტრისა და ორი გვერდითის გარდა, თამაშს კარს უკან მდგომი დამკვირვებლებიც მიადევნებენ თვალს, რომელთა უმთავრესი საზრუნავი ის იქნება, რომ ზუსტად დაფიქსირდეს, გადაკვეთს თუ არა ბურთი კარის ხაზს: ეს იდეა წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა და ამჟამად ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, მიშელ პლატინიმ წამოაყენა. აღსანიშნავია, რომ ხშირად, ვიდეოჩანაწერის მეშვეობითაც ვერ ადგენდნენ — მართლა გადაკვეთა ბურთმა ხაზი თუ არა. ალბათ სწორედ ამიტომ, ფიფას ხელმძღვანელობამ საჭიროდ მიიჩნია ექსპერიმენტის ჩატარება და მომავალ საფეხბურთო სეზონში არაერთ საერთაშორისო ტურნირს (მათ შორის, ჩინეთში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატისა) და საფრანგეთში კონფედერაციის თასის გათამაშების მატჩებს, ხუთ-ხუთი მსაჯი მოემსახურება.

ევროპის ჩემპიონთა ლიგის პირველი სამი ტურის შემდეგ გამოკვეთილ ფავორიტ გუნდებს შორის, ერთ-ერთი „მილანია“, რომელიც ბრწყინვალე თამაშით ახარებს თავის გულშემატკივრებს. მილანელთა გოლეადორმა, ფილიპო ინძაგიმ კი, სამ შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად გახდომის შანსიც მიეცა, თუმცა „ბავარიასთან“ მესამე ტურის მატჩში მარცხენა ფეხზე ტრავმა მიიღო, რის გამოც ექიმებმა ვარჯიშზე ხელის აღება ურჩიეს და ორკვირიანი დასვენება „გამოუწერეს“. სუპერპოსათვის საბედნიეროდ, გასულ სამშაბათსა და ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში შესვენება იყო, მომავალ უიქენდზე კი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩების გამო, სერია A-ს ტური არ გაიმართება. ამ ხნის განმავლობაში „ბავარიასთან“ მიღებულ ტრავმებს მოიშუშებენ რივალდო და ალესანდრო ნესტაც.


გაბრიელ ბატისტუტა

„მილანი“-„ბავარიის“ შეხვედრას კვლავ გაუკეთა კომენტარი კახა კალაძემ. მან თავისი გუნდის რიგებში ინძაგის გარდა, ზეედორფი და სერჟინიოც გამოყო, რომელთა ზუსტი პასების წყალობითაც გაიტანა სუპერპოპმ ორივე გოლი. „მილანისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ მის კლუბს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე „ბავარიასთან“ გამარჯვება, სერია A-ში „ლაციოსთან“ ჩატარებული დაძაბული და მომქანცველი მატჩის შემდეგაც კი არ გასჭირვებია. „გარდა ამისა, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტი, – განაცხადა კახა კალაძემ, – გოლის გატანის ორი შესაძლებლობიდან, ჩვენ ორივე გამოვიყენეთ. ვფიქრობ, ეს მაჩვენებელი პირველ რიგში, გუნდის მაღალ კლასზე მეტყველებს“.

ფილიპო ინძაგი

ანდრეი შევჩენკო

„მილანის“ წარმატებული თამაშის მიუხედავად, შესაძლებელია, ლომბარდიელი ტიფოზები კლუბის პრეზიდენტს, სილვიო ბერლუსკონის მაინც გაუნაწყენდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ გავრცელებული ხმების თანახმად, იტალიის ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრსა და ტრავმირებულ უკრაინელ ფორვარდ, ანდრეი შევჩენკოს შორის, ურთიერთობა გაუარესებულა და „მილანის“ თავკაცი დეკემბრისათვის მის გაყიდვას აპირებს. შევჩენკოს შეძენის სურვილი გამოთქვა მადრიდის „ატლეტიკომ“, თუმცა, უკრაინელ ვარსკვლავს „მილანის“ ხელმძღვანელობა 45 მილიონ ევროდ აფასებს, ესპანურ კლუბს კი, ისღა დარჩე-

კლაუდიო ლოპესი

ნია, რომ იტალიელთა სუპერფორვარდის ოჯარით აყვანას დასჯერდეს, რის სანაცვლოდაც, ლომბარდიის დედაქალაქის გუნდს, ფერნანდო ტორესს დაუთმობს. ასე რომ, მომავალი წლიდან, შესაძლებელია, ანდრეი შევჩენკო არა „მილანის“ შავ-წითელ, არამედ მადრიდის „ატლეტიკოს“ თეთრ-წითელ მაისურში ვიხილოთ.

ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსი“-„ნიუკასლის“ მესამე ტურის მატჩში ენდი ობრაიენთან შეჯახების გამო, ტრავმა მიიღო მიმდინარე საფეხბურთო სეზონის წინ ტურინულ კლუბში „პარმიდან“ გადასულმა მარკო დი ვაიომაც, რომელიც ამ არასასიამოვნო შემთხვევის შემდეგ, საავადმყოფოში მოათავსეს. საბედნიეროდ, დი ვაიოს ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა. „მას ძალიან მცირე ხნის განმავლობაში ჰქონდა გონება დაკარგული. ჩვენ ჟანგბადის ბალონი გამოვიყენეთ, რათა მას სუნთქვა არ დაეძაბა. მალე იგი სრულიად გამოჯანმრთელდება“, — განაცხადა ტურინული კლუბის თავდამსხმელის ერთ-ერთმა ექიმმა. ალესანდრო დელ პიერომ კი, „ნიუკასლის“ კარში გატანილი ორივე გოლი მარკო დი ვაიოს მიუძღვნა.

„იუვენტუსში“ მარკო დი ვაიოს გადასვლის შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს ტურინელთა ჩილელი ფორვარდი, მარსელო სალასი, რომელიც მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დაწყებიდან უმეტესად, სათადარიგოთა სკამზე ზის. სალასს უკვე გუნდიდან წასვლა განუზრახავს. მისი შეძენის სურვილი „ტოტენჰემმა“ და „ბარსელონამ“ გამოთქვეს. თავად „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობა კი, ჯერჯერობით ანდრეს დ'ალესანდროსა და ფერნანდო კავენაგის გადმოსაბირებლად არგენტინულ „რივერ პლეიტთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას.

ინგლისის პრემიერ-ლიგაში მოასპარეზე „მიდლსბრომ“ „რომას“ ფორვარდ, გაბრიელ ბატისტუტასთან, მომავალ საფეხბურთო სეზონში კონტრაქტის გაფორმების სურვილი გამოთქვა. მკითხველს ვაც-

მარსელო სალასი

ნობებთ, რომ რომაულ კლუბთან ბატიგოლის კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურება, არგენტინელისადმი ინტერესს კი, „მიდლსბროს“ გარდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „ინტერი“ და „მილანიც“ ამჟღავნებენ. რაც შეეხება თავად სამხრეთამერიკელ ვარსკვლავს, მას ბრიტანეთში სურს კარიერის გაგრძელება.

არგენტინის ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრი — კლაუდიო ლოპესი, რომელიც ბოლო დროს არცთუ ისე დამაჯერებლად თამაშობს, იმედს გამოთქვამს, რომ მიმდინარე საფეხბურთო სეზონი მისთვის წარმატებული იქნება. „დარწმუნებული ვარ, რომ ამ სეზონში წარმატებას მივაღწევ, — ამბობს რომის „ლაციოს“ ფორვარდი. — თუ თავად ვერ შევძლებ ბევრი გოლის გატანას, ვეცდები ჩემმა პარტნიორმა, ენრიკო კიეზამ გაიუმჯობესოს სნაიპერული მაჩვენებელი. მიმდინარე ჩემპიონატამდე არავინ მიგვიჩნევდა სერია A-ს ფავორიტად, მაგრამ ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ, კლუბს „სკუდეტო“ მოაგებინონ“.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა „ლივერპულის“ პორტუგალიელ მცველს, აბელ შავიერს, რომელსაც რაღაც უცნობი და უცნაური სენი შეეყარა. ბოლოს, შავიერი ერთი თვის წინ გამოჩნდა „ლივერპულის“ შემადგენლობაში. მას შემდეგ კი, ინგლისური კლუბის სამედიცინო სამსახური ამაოდ ცდილობს პორტუგალიელი მოთამაშისათვის დიაგნოზის დასმას. „ეს რაღაც ვირუსია. ჩვენი ექიმები ტესტებს ატარებენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრის დადგენა ვერ შეძლეს“, — განაცხადა ლივერპულელთა თავკაცმა, ჟერარ ულიემ. აქვე მკითხველს იმასაც ვაცნობებთ, რომ ბრიტანული კლუბის კიდევ ერთმა მცველმა, გერმანელმა მარკუს ბაბელმა იშვიათი ვირუსული სენის გამო, მთლიანად გამო-

აბელ შავიერი

ტოვა განვლილი საფეხბურთო სეზონი.

გერმანული ფეხბურთის კიდევ ერთ წარმომადგენელს, ბუნდეს-ნაკრების ყოფილ ლიდერს, ლოთარ მათეუსს, რომელსაც მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავებას დონეცკის „შახტიორის“, „ცსკა“-სა და „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა სთავაზობდა, დიდი სურვილი ჰქონია, რომელიმე იტალიურ გუნდს ჩასდგომოდა სათავეში. „საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იტალიური ფეხბურთის მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი და თუ იქიდან წინადადებას მივიღებ, დაუფიქრებლად დავთანხმდები, თუმცა მშვენივრად მესმის, რომ ოტმარ ჰიცეფელდი არა ვარ, ამიტომ წამყვანი კლუბებისაგან მიწვევის მიღების ძალიან მცირე შანსი მეძლევა. მიუხედავად ამისა, დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში, სამწვრთნელო საქმიანობას დავუბრუნდები“, — განაცხადა გერმანული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, რომელიც ადრე ავსტრიულ „რაპიდს“ წვრთნიდა. ■

ლოტარ მატეუსი



ამ მიმზიდველი ქალის წარმომავლობას ადვილად ვერ გამოიცნობ. არც არის გასაკვირი: მის ძარღვებში ჰავაიური, ჩინური, ესპანური და ფილიპინური სისხლი ჩქეფს. მისი ნამდვილი სახელია ალთეა ჟანეირო. დაიბადა ჰავაის კუნძულებზე, 1967 წლის 2 იანვარს. კინოსამყაროში კი, თია კარერეს სახელითაა ცნობილი.

თია კარერე:

უმამაკაცოდ ცხოვრება არ შეიძლება...

მსახიობის კარიერა ტელესერიალებით დაიწყო. ეგზოტიკური სილამაზის თიას იმთავითვე შესთავაზეს მთავარი როლი ტელეფილმში „სიძველეებზე მონადირენი“, რომელიც დღესაც დიდი წარმატებით გადის ბევრი ქვეყნის არხებზე.

ამ ფილმში მის მიერ განსახიერებულმა პროფესორმა ქალმა, სიდნი ფოქსმა, დიდი როლი შეასრულა კარერეს სამსახიობო კარიერაში. თიამ ეკრანზე გააცოცხლა უჩვეულო ბიოგრაფიის ადამიანი, რომელიც ახალგაზრდობაშივე აღმოჩნდა ფანატიკოსი მოგზაურების გარემოცვაში, გაეცნო სხვადასხვა ერის კულტურას, შეისწავლა უამრავი ენა და წეს-ჩვეულებანი. ამასთანავე, ცხოვრებისაგან საკუთარი თავის დაცვის მეთოდებსაც დაეუფლა, საბრძოლო ხელოვნებვაც შეისწავლა და ექსტრასენსული უნარჩვევებიც გამოიმუშავა. ყოველივე ამის შემდეგ, სინდიმ ბრწყინვალედ დაამთავრა უნივერსიტეტი და ისტორიის მასწავლებელი გახდა. თავის მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას მომხიბლავი პროფესორი კულტურულ ფასეულობათა გადასარჩენად წამოწყებული ავანტიურების დროს იყენებს.

მაგრამ სინდის არ მარტო სახიფათო თავგადასავლების, არამედ მამაკაცების გარეშეც არ შეუძლია ცხოვრება. არადა, ვერა და ვერ პოულობს მისთვის ღირსეულ ერთადერთ კაცს და დაუსრულებლად იცვლის პარტნიორებს...

ასეთი ქალი განასახიერა თია კარერემ თავის პირველ დიდ ფილმში „სიძველეებზე მონადირენი“, მაგრამ თავად როგორია თია – ალთეა ჟანეირო? როგორ ყალიბდებოდა როგორც ადამიანი და მსახიობი?

მისი ბავშვობა არაფრით გამოირჩეოდა ჰავაის კუნძულებზე მცხოვრები მოზარდების სიყრმის წლებისგან. ალთეას ბიძის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ჯაზის მუსიკოსები და სწორედ მათ შეაყვარეს გოგონას სიმღერა. ალთეა სულ ნორჩი იყო, როცა რამდენიმე სერიალში, მცირე როლებში გადაიღეს, მაგრამ მაშინაც კი, მსახიობის კარიერაზე არ უფიქრია. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ გოგონა სურსათის მაღაზიაში არ შეხვდა ერთ ხანდაზმულ წყვილს. ცოლ-ქმარი დიდხანს აკვირდებოდა კუნძულის ნორჩ მკვიდრს, შემდეგ კი მისამართი გამოართვა მას.

როგორც შემდგომ გაირკვა, ისინი ფილმის – Aloha Summer-ის პროდიუსერის მშობლები აღმოჩნდნენ. მათ ალთეას შესახებ თავიანთ შვილს უამბეს. ამ შემთხვევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა გოგონას ცხოვრებაში: ის ფილმში მიიწვიეს, შემდეგ კი, როლი როლს მოჰყვა და მალე, თიამ სახელი გაითქვა. კინოს პარალელურად, მუსიკასაც მიჰყო ხელი და როგორც მოდელმა, სარეკლამო ბიზნესშიც სცადა ბედი. ფილმის – „უეინის სამყაროს“ შემდეგ კი, ის მოზარდთა ნამდვილ კერპად იქცა, რასაც მომდევნო წელს, ამ სურათის გაგრძელების გადაღებაც მოჰყვა.

რაც შეეხება მოზრდილთა აუდიტო-

სიდნი ფოქსის ზურგს უკან, მამაკაცებიც კი გულდამშვიდებულად გრძნობენ თავს...

ყოფილ ქმართან – ელი სამახასთან
თიას ახლაც საუცხოო ურთიერთობა აქვს





რიას, მან თია კარერეს „ამომავალი მზის“ გამოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება. ამ სურათში თია შონ კონერისა და უესლი სნაიფსის საოცნებო ქალს განასახიერებს. თუმცა, ნამდვილ ვარსკვლავად მსახიობი ჯეიმს კამერონის ფილმში „მართალ სიცრუეში“ გადაღების შემდეგ იქცა, სადაც განასახიერებს ბოროტებით შეპყრობილ ქალს, რომელიც არნოლდ შვარცენეგერის პერსონაჟს დასდევს. ეროტიკული ტანგოსთვის, რომელსაც ის ამ ფილმში არნოსთან ერთად ასრულებს, თია კარერე MTV-ის პრიზზე იყო წარდგენილი ნომინაციით — „საუკეთესო ცეკვა“. სხვათა შორის, შვარცენეგერმაც, რომელიც მანამდე დიდად არ გამოირჩეოდა ქორეოგრაფიული მონაცემებით, იმდენად მგზნებარედ შეასრულა ეს ცეკვა, რომ ხალხში უმალ

გავრცელდა ხმები, თიასა და არნის რომანის შესახებ.

არადა, კარერეს კარგა ხნის მანძილზე, ყველაფერი რიგზე ჰქონდა პირად ცხოვრებაში. 1992 წელს მან გაიცნო პატარა კლუბის მეპატრონე ელი სამახა, რომელიც სწორედ იმ პერიოდში ცდიდა ბედს, როგორც პროდიუსერი. თავდაპირველად, ისინი მუსიკისა და კინოს სიყვარულმა დააკავშირა, ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და მალე დაქორწინდნენ კიდეც. ცოლ-ქმარმა ერთობლივი საპროდიუსერო კომპანია შექმნა.

თია, რომელიც ვერ აუდიოდა მიმზიდველ წინადადებებს კინოსა თუ ტელეკომპანიებისგან, მყარ ოჯახზე ოცნებობდა, მაგრამ შვილის გასაჩენად ვერა და ვერ მოიცალა. სინანულნარევი გაკვირვებით კითხულობდა, თუ როგორ ახერხებდნენ მელანი გრიფიტი და დემი მური ყველაფრის მოსწრებას. ამასობაში კი, გრძელდებოდა „სიძველეებზე მონადირეთა“ მორიგი სერიების გადაღება, რომელიც ხან ტორონტოში გადაისვრიდა მსახიობს, ხან საფრანგეთში და... თიას ოჯახი დაენგრა. თუმცა, კარერემ და სამახამ მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება მოახერხეს, რაც ძალზედ ეხმარება მათ ერთობლივი საკუთრების მართვაში.

თავის რომანებს მსახიობი აფიშირებას არ უწევს, თუმცა, არც რაიმის დაფარვით იწუხებს მეტისმეტად თავს. „არა, მარტო ნამდვილად არა ვარ, — ამბობს თია. — უმამაკაცოდ ცხოვრება არ შემიძლია. თუმცა, ახლა ეს ჩემთვის მთავარი არ არის. მთავარია კარიერა, რაც შეეხება დიდ სიყვარულს — ვიმედოვნებ, ის მომავალში იჭნება“.

თია მართლაც ძალზედ გადატვირთულია. მის სახლსა და საქმეებს ლოს-ანჯელესში მსახიობის უცროსი და პატრონობს, ტორონტოში კი ყველა წამოწყებაში ჰავაიდან გადასული დედა უდგას მხარში. მათი შემწეობით თია ახერხებს „სიძველეებზე მონადირეების“ ახალ სერიებში პროფესორ სინდი ფოქსის განსახიერებასაც, ახალი დისკების ჩაწერასაც, დიდ კინოში გადაღებასაც და დოკუმენტური ფილმების გადაღებასაც კი. და კიდევ: მან — შესაძლოა, თავისი პერსონაჟის გავლენით, — სერიოზულად მოჰკიდა ხელი კულტურულ ფასეულობათა მოვლა-პატრონობის საქმეს — ნაციონალურ გეოგრაფიულ საზოგადოებასა და რამდენიმე საქველმოქმედო ფონდშიც აქტიურად საქმიანობს და ამ პრობლემათა შესახებ სატელევიზიო გადაცემათა ციკლსაც უძღვება.





ორლანდო ბლუმი

ელფების პრინცი

შისთვის ერთ ფილმში მონაწილეობა საკმარისი აღმოჩნდა, რათა მეორე დილას საქვეყნოდ ცნობილს გაეღვიძა. ეს სურათი 360-მილიონიანი ბლოკბასტერი „ბეჭდების მბრძანებელი“ გახლდათ. ორლანდო ბლუმმა ამ სურათში ელფი ლეგოლასის როლი განასახიერა და ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მსახიობად იქცა. მეორე ფილმში – „შავი ქორის დაცემა“ (რეჟ. რიდლი სკოტი), მან ახალგაზრდა ჯარისკაცის ეპიზოდური როლი შეასრულა, რომელმაც დამწყებ მსახიობს უფრო მეტად გაუთქვა სახელი.

— ერთხელ აღნიშნეთ, რომ მსახიობი იმიტომ გახდით, რათა პოპულარობა მოგეპოვებინათ ქალებში. მოლოდინი გაგიმართლდათ?

– მე მგონი, ეს არცთუ ისე ურიგო მიზეზია სამსახიობო კარიერის ასარჩევად. თუმცა, ჩემი ციტირება არასწორად მოახდინეს. ბავშვობაში ძალზე მიზიდავდნენ ძლიერი ხასიათის გმირები, რომლებიც კინოში, ტელეეკრანებსა თუ თეატრებში მინახავს. როცა წამოვიზარდე, გავაცნობიერე, რომ ეს ყველაფერი თამაში იყო და მეც შემეძლო სუპერმენი მეთამაშა და ასევე სუპერმენი გავმხდარიყავი. ჩემი საყვარელი ფილმი The Hustler-ი გახლდათ, რომელშიც პოლ ნიუმანი თამაშობდა, მე მას ვაღმერთებდი.

— თქვენ გარშემო უამრავი საოცარი რამ ხდება. ამასთან დაკავშირებით არარეალობის შეგრძნება ხომ არ გეუფლებათ ხოლმე?

– საკუთარ ცხოვრებას ისეთად აღვიქვამ, როგორიც არის. თუმცაღა, ზოგჯერ არარეალობის შეგრძნებაც მეუფლება ხოლმე. მე მთელ მსოფლიოში ვმოგზაურობ, ჩემგან ინტერვიუებს იღებენ, აინტერესებთ ჩემი პიროვნება – ეს, მართალი გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ ცოტა არ იყოს, მაინც შევკრთი. მე ვცდილობ, ყველაფერს გავუმკლავდე, ვმოქმედებ ფრთხილად და მოვლენების განვითარებას არ ვაჩქარებ.

— თქვენ მსოფლიოში მეტად ცნობილი პერსონაჟის როლის შესრულება მოგიწიათ. ამან ალბათ რაღაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობაც დაგაკისრათ...

– რაღა თქმა უნდა, აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით. 1999 წლის ოქტომბერში, როცა ახალ ზელანდიაში გადაღებებზე ჩავედი, საოცრად დამფრთხალი ვიყავი იმით, რაც წინ მელოდა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული გახლდით, რომ ყველაფერი გამომივიდოდა. ფიზიკურ მომზადებას დიდ დროს ვუთმობდი. ისიც მინდა გითხრათ, რომ იმ ხანებში კუროსავას „სამურაის სიკვდილს“ გამუდმებით ვუყურებდი ხოლმე, რათა მისი გმირების სიარულის მანერა თუ ჟესტები სრულად შემეთვისებინა და ლეგოლასის გმირის განსახიერებისას გამომეყენებინა.

— რეჟისორმა ჯექსონმა როგორ აღმოგაჩინათ?

– რეჟისორმა ვეებერთელა კასტინგი ჩაატარა. მე ჩავწერე სინჯები და ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს უამრავმა სხვა მსახიობმა, ფილმის შემქმნელებს გავუგზავნე. თავდაპირველად, ფარამიდის როლისათვის მოვამზადე სინჯები, მაგრამ მოულოდნელად, ჩემმა აგენტმა დამირეკა და შემატყობინა, რომ ეს როლი უკვე განაწილებული იყო; შემდეგ ისიც მკითხა, ლეგოლასის როლზე ხომ არ ცდიდი ბედსო? თავიდან ჩავწერე კასეტა, ამჯერად უკვე ლეგოლასის როლისათვის, გადამღებმა ჯგუფმა ნახა იგი და რეჟისორი ჩემი სიმაღლით დაინტერესდა. ამის შემდეგ, მივხვდი, რომ უკვე პროექტში ვმონაწილეობდი. ორ თვეში კი პირადად შევხვდი პიტ ჯექსონს.

— არის ჰოლივუდში ვინმე ისეთი, ვინც ძალიან მოგწონთ და გსურთ, რომ მას ჰგავდეთ?

– შესაძლოა, ეს ჯონი დეპი იყოს. იგი არაერთ საინტერესო ფილმშია გადაღებული და ყველგან საკუთარი სტილი აქვს შენარჩუნებული. მე მისით აღფრთოვანებული ვარ, ისევე როგორც ედუარდ ნორტონით – მას საოცრად საინტერესო კარიერა აქვს და ძალზე ნიჭიერი მსახიობია.

— რა არის თქვენთვის ყველაზე ღირებული იქიდან, რაც ბოლო ორ წელიწადში ისწავლეთ?

– უმთავრესია ის, რომ მე შევიტყვე, თუ როგორ იღებენ ფილმებს. ახლა ჩემს ცხოვრებაში დადგა საინტერესო მომენტი, მე ვიზრდები, როგორც მსახიობი და როგორც ადამიანი.

— თქვენ პრესასთან შესანიშნავი დამოკიდებულება გაქვთ, ჟურნალისტების საყვარელი რესპონდენტი ხართ. როგორ ფიქრობთ, ამისათვის განსაკუთრებული ტალანტია საჭირო?

– შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ საქმეში გულწრფელობამ საუკეთესო სამსახური გამიწია. უკანასკნელ ხანებში ჩემგან უამრავი ინტერვიუ ჩაიწერეს და ყოველი მათგანი „ბეჭდების მბრძანებელს“ ეხებოდა. ამ ფილმში 18 თვის მანძილზე მიღებდნენ და სათქმელი ნამდვილად მაქვს. მე საოცრად საინტერესო ცხოვრებით ვცხოვრობ და ამისთვის ღმერთის მადლობელი ვარ. ხვალაც რომ მოვკვდე, ისეთი შეგრძნება მექნება, რომ ჩემმა სიცოცხლემ ამაოდ არ ჩაიარა. ბოლო ხანებში უამრავი ადამიანი გავიცანი, უამრავი რამ შევისწავლე.

— რისკიანი ხართ?

– მიყვარს, როცა სისხლში ადრენალინი მიდუღს. მიყვარს სისწრაფე სპორტში.

— ამბობენ, რომ თქვენ რამდენიმე წლის წინ, ხერხემალი გქონდათ მოტეხილი...

– დიახ, ფანჯრიდან გადმოვვარდი. სასწაულმა გადამარჩინა. ოთხი დღის მანძილზე ექიმები მიიჩნევდნენ, რომ სამუდამოდ პარალიზებული დავრჩებოდი. წარმატებით გაკეთებული ოპერაციის შემდეგ კი, 12 დღეში გავეწერე საავადმყოფოდან. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან ხიფათიანი ადამიანი ვარ. უამრავი მოტეხილობა მქონია: ნეკნების, ფეხის, ხელის, თითების, ყბისაც კი, თანაც სამჯერ.

— თქვენთვის იქნებ, შინ ჯდომა უკეთესიც კი იყოს... თავისუფალ დროს რითი ერთობით?

– რა თქმა უნდა, ფილმებს ვუყურებ.

— უკანასკნელი ფილმი, რომელიც მოგეწონათ?

– ახლახან ვნახე ფრანგული სურათი – „ამელი“. შესანიშნავი ფილმია, აღფრთოვანებული ვარ.

ორლანდო ბლუმის კარიერა მხოლოდ ახლა იწყება, ვინ იცის, ეს ახალგაზრდა მსახიობი, მომავალში რა როლებს შეასრულებს ან რა ჯილდოების მფლობელი გახდება, მაგრამ ერთი რამ ნათელია – მას არ დაივიწყებენ, ყოველ შემთხვევაში, მის ლეგოლასს. ■

დოსიე:

დაბადების თარიღი: 1977 წლის 13 იანვარი

დაბადების ადგილი: დიდი ბრიტანეთი, კენტის საგრაფო, კენტბერი

განათლება: გილდჰოლდის მუსიკისა და დრამის სკოლა (ლონდონი)

ფილმები: „უაილდი“, „ბეჭდების მბრძანებელი“, „შავი ქორის დაცემა“

საცხოვრებელი ადგილი: ლონდონი

სიმაღლე: 180 სმ

ჰობი: წყალში ხტომა, სერფინგი, სნოუბორდინგი

მეგობარი გოგონა: ჯოან მორლი, რომელმაც სხვისი გულისთვის ორლანდო მიატოვა

აკაკი გეგენავა



ამერიკული თავგადასავლების ძიებაში «სულიკოს» თანხლებით...

არავინ იცის, ვის როდის გაუღიმებს ფორტუნა, ვის როდის შეაჩეჩებენ ხელში სამოთხის ვაშლს, ან კიდევ, ვის როდის შეუცურებენ ბუმბულის ლეიბების ქვეშ მუხუდოს მარცვალს...

მით უფრო ძნელია, როდესაც კაცს საკუთარი ადგილის დამკვიდრება გინდა, მაგრამ არ იცი, რომელი სფერო აირჩიო. კიდევ უფრო ძნელია, როცა არჩევანი მრავალი გაქვს და ვერ გადაგიწყვეტია, რა გზას დაადგე.

ვიდექი ახლა გზაჯვარედინზე ამერიკაში ფულის საშოვნელად გადახვეწილი კაცი და ვერ გადამეწყვიტა, საით წავსულიყავი. რომელიღაც ზღაპრის გმირს ვგავდი, აქეთ-იქით მიმავალი ბილიკები რომ აუწყებდა — ამ გზას თუ დაადგები, დაიღუპებიო, — და ვეძებდი იმ ერთადერთ ბილიკს, რომელიც ბოლოს და ბოლოს, სასურველ მიზნამდე მიმიყვანდა.

ერთი სიტყვით, თავგზა მქონდა არეული. არ ვიცოდი, ზიზო-ზემფირასთან ფიქტიურად მომეწერა ხელი თუ ხელოვნური ავარია მომეხდინა და მერე სადაზღვევო კომპანიას შევჭიდებოდი... და კიდევ, იყო მესამე გზაც — ტრაილერის მართვის კურსებზე მევლო და პატიოსანი გზით მეშოვა სარფიანი სამუშაო... პირველ ორ შემთხვევაში, კანონის დარღვევასთან მექნებოდა საქმე, თან ავარიული სიტუაცია საკმაო რისკთანაც ასოცირდებოდა, სამაგიეროდ, სოლიდური თანხა მოჩანდა ჰორიზონტზე. აი, ტრაილერს რაც შეეხებოდა, დღედაღამ უნდა მეშრომა და დიდი ენერგიის ფასად მეგროვებინა თითო-თითო დოლარი...

გაკაპასებული თამარა სასტუმროდან მაგდებს...

ეს ფიქრები მიმყვებოდა ზიზოს სახლიდან წამოსულს და მაშინ სრულიადაც ვერ წარმოვიდგენდი, რა „სიურპრიზი“ მელოდა საერთო საცხოვრებელში. უკვე გვიანი იყო, შენობაში რომ შევედი. ასეთ დროს ჩვეულებრივ, ოთახებში სინათლე გამორთული იყო ხოლმე — უბრალოდ, ყველას ეძინა. ახლა კი, სასტუმროს მეპატრონეს, მკითხველისთვის კარგად ნაცნობ თამარას, თავისი კაბინეტის კარი ბოლომდე გაეღო, საიდანაც პროჟექტორივით ანათებდა შუქი, რაც საშუალებას იძლეოდა, იქ მყოფს თავისუფლად შეენიშნა ყოველი ახალმოსული. როგორც ჩანს, სასტუმროს მეპატრონე ვიღაცას ელოდა...

ფოიეში ფეხი შევდგი თუ არა, კაბინეტიდან თამარაც გამოვარდა. ეჭვი არ იყო — თამარა ჩემს მოსვლას ელოდებოდა... ხუთი თვე იყო, რაც იქ ვცხოვრობდი და უკვე ხუთი თითივით მქონდა შესწავლილი ამ ქალის ფსიქოლოგია — ერთი თვალის შევლებითაც ვხვდებოდი, თუ რა განწყობით დამხვდებოდა. მისი ხასიათის უკიდურეს ცვალებადობასაც ისე შევეჩვიე, რომ ადრე თუ ვნერვიულობდი და ვღელავდი — არ გავანაწყენო-მეთქი, — ახლა ამ მოვლენას თითქმის აღარც ვაქცევდი ყურადღებას. მაგრამ ამჯერად, სულ სხვა შემთხვევასთან მქონდა საქმე. როგორც კი თამარას შევხედე, თითქოს დენმა დამარტყაო, — ისე აშკარად ჩანდა, რომ მტრულად განწყობილი, საომრად შემართული, გაკაპასებული ქალი იდგა ჩემ წინ.

— მობრძანდი, არა?.. შენს ადგილას ამ სასტუმროში შემოხედვასაც ვერ გავბედავდი! — ისეთი მჭახე ხმით მითხრა, გულახდილად რომ ვთქვა, ლამის შემეშინდა.

— რა მოხდა, დეიდა თამარა? — შევეცადე, რაც შეიძლება ზრდილობიანი ვყოფილიყავი.

— რა ხდება? „რა ხდებას“ გიჩვენებ მე შენ! როგორ მიბედავთ?! ჩემი „გადაგდება“ მოინდომეთ, არა?! უჩემოდ გინდათ, ხომ, ჩაიჯიბოთ ფული!.. — მომაყარა და მომაყარა ქოქოლა.

— არა, ქალბატონო თამარა, როგორ გეკადრებათ?!. უბრალოდ, გავისეირნეთ მე და ზიზომ, ერთმანეთი რომ უკეთ გაგვეცნო... — დავიწყე უაზრო თავის მართლება. მაგრამ ამავე დროს ვგრძნობდი, რომ რაც არ უნდა მეთქვა, თამარას გულს მაინც ვერ მოვიგებდი. იგი ისე იყო მომართული საჩხუბრად, რომ ათი კაციც ვერ გააჩერებდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი მისი მრისხანება ზიზო-ზემფირასკენ იყო მიმართული.

— ეგ კახპა, ხალხში მე გავრიე, ქალად ვაქციე და უჩემოდ უნდა, არა, საქმის კეთება?! მე მაგას ვუჩვენებ, როგორ უნდა დოლარების „მოტეხვა“. შენ თუ იცი, რომ ჩემი კლიენტი ხარ?! ახლა ორივემ მომინდომეთ, ხომ, „აყირავება“?! დამაცადეთ, ისეთ საქმეს დაგმართებთ, ამერიკას კი არა, ციმბირს ჩამოგატოვებინებთ უკან!..

— მისმა ბოლო სიტყვებმა ღიმილი მომგვარა, ჯერაც ვერ დაევიწყებინა, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა ოდესღაც და საბჭოთა კატორღა მისთვის დღესაც „ახლობელი“ იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ამ კატორღით მემუქრებოდა. რომ აღარ დაწყნარდა, იძულებული გავხდი, ახლა მე გადავსულიყავი შეტევაზე:

— იცით, რა, დეიდა თამარა, თქვენი „აყირავება“ არავის ნდომებია და ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, რა გინდათ? დაწყნარდით და ადამიანურად ამიხსენით, რას ითხოვთ ჩემგან?!

ასეთ წინააღმდეგობას ეტყობა, ნამდვილად არ ელოდა. უცებ გაჩუმდა და ისე დამიწყო თვალიერება, თითქოს პირველად მხედავდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, უკვე მშვიდად მითხრა:

— ხვალიდანვე იზრუნე, რომ სხვაგან გადახვიდე. შენი ადგილი ჩემს სასტუმროში აღარ არის! მადლობა მითხარი, რომ მეცოდები და ახლავე არ გაგდებ ქუჩაში!

— დიდი მადლობა, დეიდა თამარა, მოწ-



ყალებისთვის. თქვენი ბრძანება დაუყოვნებლივ იქნება შესრულებული! — ოფიცერივით გამოვეჭიმე და ჩემი ოთახისკენ წავედი. ზურგს მისი მზერა მიხვრეტდა... არადა, თურმე მაშინვე უნანია — ეს რამ მათქმევინაო (ამის შესახებ მოგვიანებით მითხრა მუსამ)?!. მეც უკვე ყელში მქონდა ამოსული ამ ბალაგანში ცხოვრება. ახლა, იძულებული ვიყავი, ახალ საცხოვრებელ ადგილზე მეფიქრა და ეს მახარებდა კიდეც. ამ ფიქრით შევედი ლუდისა და სიგარეტის სუნით გაჟღენთილ ოთახში...

ახალ ბინაში „სულიკოს" სიმღერის თანხლებით...

ხომ გახსოვთ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"? მაშინ ის მომენტიც გეხსომებათ უთუოდ, ზურიკელას თბილისელი სახლმმართველი რომ უყვება პირველი სახლის აშენების ამბავს. როგორ აიღო ჩვენმა წინაპარმა კვესაბედი, როგორ „დაანთო ცეცხლი და მიუჯდა გვერდში. მერე ხომ იცი, ბუნება სასტიკია. დაუბერა ქარმა აღმოსავლეთიდან, აიღო იმ კაცმა და აუშენა ცეცხლს კედელი აღმოსავლეთიდან. დაუბერა ახლა დასავლეთიდან. არ გასულა დიდი ხანი და დაარტყა ორპირმა ქარმა ჩრდილოეთიდან სამხრეთში. აუშენა ახალი კედელი ჩრდილოეთიდან. არ მოეშვა ქარი სამხრეთიდან, აუშენა აქედანაც კედელი და მოისვენა კაცმა"... მერე გადახურა სახლი, გაუკეთა სახურავი, საკვამური, ფანჯარა, კარი... და ასე იქცა ადამიანი კაცად თუ კაცი ადამიანად. ხედავთ? ილია ჭავაჭავაძის ლუარსაბიც გამოვიყვანეთ ასპარეზზე... ჰოდა, მეც ასე, ამ გადასაკარგავ ამერიკაში ზურიკელასავით მაწუხებდა უბინაობის პრობლემა...

ამ თამარას სასტუმრომ ხომ მთლად მომიღო ბოლო. მართალია, არც ქარი მიბერავდა და არც წვიმა მასველებდა, მაგრამ ყოველდღე იმდენ ლოთსა და ნარკომანს ვხედავდი ჩემ გვერდით, რომ აუტანელი ხდებოდა იქ დარჩენა. თანაც, ამას მეპატრონის მუქარაც დაემატა...

ახლა რომ ვიხსენებ, იმ საგიჟეთში იმდენ ხანს რამ გამაძლებინა, ჩემი თავი თვითონვე მეცოდება. მართალია, ბინას გამუდმებით ვეძებდი, მაგრამ ეტყობა, მაინცდამაინც თავს არ ვიკლავდი, ასე თუ ისე, ვეგუებოდი იაფფასიან სასტუმროს. ახლა კი სხვა გზა ნამდვილად არ მქონდა — ბინის ძებნა უნდა დამეწყო.

მკითხველისთვის, ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება იმ ვარიანტების გაცნობა, რომელიც ბინის ძებნისას გამომადგებოდა:

პირველი — და ყველაზე სასურველი, ის ვარიანტი იქნებოდა, მე თვითონ რომ შემძლებოდა ბინის დაქირავება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიამოვნება ერთობ ძვირი ჯდებოდა. ერთ ან ოროთახიანი ბინის ქირა შესაბამისად, თვეში 800-1.000 დოლარი ჯდებოდა. ჩემი მწირი შემოსავალი ამხელა თანხას ვერ გასწვდებოდა. ვინმე, მეწყვილე უნდა მეპოვა, ვინც ჩემთან ერთად იცხოვრებდა და ხარჯებში შემეზიარებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი კაცი არ ჩანდა. ვახო დეტროიტიდან არ ჩამოდიოდა (იმედი მაქვს, მკითხველს ისევ ახსოვს ვახო — ჩემი თბილისელი მეგობარი, რომელთან ერთადაც ჩავედი ამერიკაში); გივის, ამერიკაში ნაპოვნ ჩემს კახელ მეგობარს კი თავისი გზა ჰქონდა. ჩეჩნებთან ძნელად თუ გამოვნახავდი საერთო ენას...

მეორე ვარიანტი, სხვა საერთო საცხოვრებელში გადასვლა იყო, მაგრამ უკვე ისეთი უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა ამ ტიპის სასტუმროების მიმართ, რომ ძნელად თუ ვინმე დამითანხმებდა. უფრო სწორად, ასეთ საცხოვრებელში ქუდიც რომ შეეგდოთ ჩემთვის (თუნდაც ძვირად ღირებული), გამოსატანად ნამდვილად არ შევიდოდი!

ბინის შოვნის მესამე და ყველაზე რეალური ვარიანტი, ვინმე ხანში შესული ქალის პოვნა იყო, რომელიც თავის ბინაში ერთ-ერთ ოთახს აქირავებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო არ ყოფილიყო. თუ ასეთ ბინას ვიპოვიდი, გადასახადიც დიდი არ მექნებოდა და შვებითაც ამოვისუნთქავდი.

განცხადებების გაზეთში მართლაც მივაკვლიე სასურველ კანდიდატურას: ერთი სანდომიანი მოსკოველი ქალბატონი გავიცანი, 70 წელს მიტანებული დეიდა სვეტა, რომელსაც ათიოდე წლის წინ ლატარიით „მწვანე ბარათი" მოუგია და სამოთახიან ბინაში მარტო იყო. მართალია, ორი ქალიშვილი ჰყავდა, მაგრამ ორივენი სხვადასხვა შტატში ცხოვრობდნენ და დედის მარტოობა დიდად არ ანაღვლებდათ. ასე რომ, მოხუცს ერთი სული ჰქონდა, ვინმე შეესახლებინა თავისი ბინის ერთ-ერთ ოთახში. მას იმდენად ფული არ აინტერესებდა, რამდენადაც საღამოობით მარტო ყოფნა ეზარებოდა — მონატრებული იყო ადამიანებთან ურთიერთობას. როცა ვესტუმრე, ისე შემეხვდა, თითქოს დიდი ხნის უნახავი ნათესავი ვყოფილიყავი, ხოლო როდესაც შეიტყო, რომ ქართველი ვიყავი და თანაც თბილისელი, მთლად გადაირია და „სულიკოს" სიმღერით შემიყვანა თავის ბინაში. სხვათა შორის, სიმღერისას მეორე ხმით მეც ავყევი და უნდა გენახათ, რა ბედნიერი იყო...

— ძალიან მიხარია თქვენი მოსვლა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს სახლში!.. — ისეთი ამაღლებული ტონით მითხრა, გუნებაში გავიფიქრე — ეს ქალი საბჭოთა რუსეთში, პარტბიუროს მდივანი თუ არა, პროფკომიტეტის თავმჯდომარე მაინც იქნებოდა-მეთქი.

ამასობაში, დეიდა სვეტამ ერთ-ერთი ოთახის კარი გამიღო და ისევ ამაღლებული ტონით მომმართა:

— აი, ეს იქნება თქვენი ოთახი. თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში! — ამ სიტყვებს ღიმილიც მოაყოლა და ერთბაშად მშვენიერ დიდ და ნათელ ოთახში ამოვყავი თავი.

იატაკი ისე პრიალებდა, კაცს ფეხის დადგმა დაგენანებოდა. იმ შუაზიელი თამარას საერთო საცხოვრებლის შემდეგ, თავი სამოთხეში მეგონა. ვიდეო, ტელევიზორი, ტელეფონი, მუსიკალური ცენტრი, რუსული ლიტერატურით გამოტენილი წიგნების კარადა, მოხერხებული დივანი და სავარძლები... ყველაფერი იმდენად გემოვნებანად განეთავსებინათ ოთახში, რომ აღფრთოვანება ნამდვილად ვერ დავფარე. ამჯერად აშკარად მიღიმოდა ფორტუნა, სხვაგვარად რომ ვთქვა — ტუზი დამეცა, მაგრამ მაინც ძნელი იყო ასე იოლად ყველაფრის დაჯერება. ბინის ფასი მიახლოებით კი ვიცოდი, მაგრამ მაინც ეშმაკს არ სძინავს და მეც დაეჭვებით ვიკითხე:

— ქალბატონო სვეტა, თვეში რამდენი უნდა გადაგიხადოთ? — ეს სიტყვები რომ წარმოვთქვი, პასუხის მოლოდინში გავ-

იტრუნე, რაღაც კატასტროფულ ციფრს ველოდი, მაგრამ მოხდა სასწაული:

— შვილო, მე ფულის გულისთვის არ შემომიშვიხარ ჩემს ბინაში. უბრალოდ, რასაც მთავრობა მაძლევს, იმ თანხით მიჭირს კომუნალური გადასახადების გადახდა. შემეშველე ამ თანხის გადახდაში და მადლობელი დაგრჩები... — ისეთი ხმით მიპასუხა სვეტამ, მივხვდი, რომ ჩემზე ნაკლებად, არც ის ნერვიულობდა.

— მაინც რამდენია ეს კომუნალური გადასახადი, დეიდა სვეტა? — ეჭვი კვლავ არ მასვენებდა, კვლავ დიდი ციფრის დასახელებას ველოდი.

— 200-250 დოლარი. ნახევარს მე გადავიხდი, ნახევარი თქვენ გადაიხადეთ, — მითხრა და ისევ გამიღიმა. ალბათ დამიჯერებთ, თუ ვიტყვი, რომ ასეთი მშვენიერი ღიმილით ამერიკაში ჩემთვის არავის გაუღიმია... თავი ზღაპარში მეგონა. თვალს არ ვუჯერებდი. ასეთ კომფორტულ ბინას თბილისში ვერ ვიშოვიდი თვეში 100-125 დოლარად, არათუ შუა ბრუკლინში!.. ამაზე ამ ცოტა ხნის წინ ოცნებაც არ შემეძლო. ღამის გათევა ამერიკაში, ფაქტობრივად, რაღაც უმნიშვნელო გროშები დამიჯდებოდა!.. ჩემზე ბედნიერი კაცი იმ მომენტში ნამდვილად არავინ მეგულებოდა...

სვეტას ხელზე კოცნით დავემშვიდობე, რითაც საბოლოოდ მოვიგე მისი გული და ვუთხარი, რომ შაბათს უკვე მასთან გადავიდოდი...

მშვიდობით, საერთო საცხოვრებელო!..

იმ მძიმე საღამოს შემდეგ, რაც საერთო საცხოვრებლის მეპატრონემ მიბრძანა, რომ უახლოეს დღეებში უნდა დამეტოვებინა მისი „რეზიდენცია“, სამი დღე მაინც გავიდა. ბირჟაზე კარგ სამუშაოს წავაწყდი და „ბუნაგში“ ადრე მისვლას ვერ ვახერხებდი, თანაც გადასვლას შაბათისთვის ვაპირებდი. ასე რომ, დრო მქონდა და არც მე ვჩქარობდი, ჩემი გადაწყვეტილების შესახებ მეთქვა რაიმე თამარასთვის. იმ დღეს კი, ჩვეულებრივზე ადრე მომიხდა სასტუმროში მისვლა და დაღლილ-დაქანცული შევლასლასდი ოთახში.

— კაკო, ერთი მითხარი, რით გადარიე ეს ქალი, რომ ველარ ვცნობთ?.. — გამეკრიჭა მორფინისტი ჩეჩენი მუსა.

— რა ხდება, მუსა? — ზერელედ ვკითხე — მასთან ლაზღანდარობის თავი ნამდვილად არ მქონდა.

— როგორ თუ რა ხდება?! რაც შენ წასვლა დააპირე, იმ დღის შემდეგ ხილი და ნამცხვარი თავზე საყრელად გვაქვს. ყოველ საღამოს შემოვა ჩვენი ანგელოზი თამარა, უფრო სწორად — შენი ანგელოზი, იკითხავს — კაკო თუ მოვიდაო? — და მაგიდაზე დაგვიწყობს ხილსა და ნამცხვარს... — მუსამ მაგიდისკენ გაიშვირა ხელი. მის ხელს თვალი გავაყოლე და... მაგიდა ნამცეცებით იყო სავსე.

— მერე სად არის ის ხილი და ნამცხვარი? — ალბათ ასეთი უაზრო კითხვა არასდროს დამისვამს.

— კარგი, რა, კაკო, მთვარიდან ხომ არ ჩამოფრინდი?! — შეიშმუშნა მუსა და თავის საწოლზე ჩამოჯდა. მერე აღსარებასავით დაიწყო:

— კაკო, ხომ იცი, როგორ პატივს გცემ... მაგრად მიტყდება, სხვაგან რომ გადადიხარ. თან მიხარია. ბოლოს და ბოლოს, ჩემს კუთვნილ ადგილს დავიბრუნებ, შენ რომ ჩამომართვი...

— რაებს როშავ, მუსა? როდის რა ჩამოგართვი?

— ჰო, კარგი ახლა, გეყოფა თავმდაბლობა! ჩვენ, ჩეჩნებმა ვიცით ვაჟკაცების ფასი. ჩვენ, პირველ რიგში, ნამდვილ ვაჟკაცებს ვცემთ პატივს!.. — ლაპარაკობდა მუსა, მე კი თითქოს გონება გადამეკეტა, ვერ გავრკვეულიყავი, რა ვაჟკაცობა ჰქონდა მხედველობაში.

— ნუ დამტაჯე, მუსა! მოკლედ მითხარი, რა გინდა?

— კაკო, სანამ შენ აქ მოხვიდოდი, პირველი მე ვიყავი, ახლა შენ მიდიხარ და პირველობა ისევ მე მრჩება! ამას რა ახსნა უნდა?! — მიღიმოდა ნარკოტიკებისგან გაბრუებული მუსა და მხარზე ხელს ძველბიჭურად მიტყაპუნებდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ახალ ნოტზე გადაერთო:

— კაკო, ჩვენ აწი ყოველდღე ველარ შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ დამშვიდობებისას იქნებ, კიდევ გვცე პატივი და წამლისთვის ცოტაოდენი ფული დაგვიტოვო... — ამოღერღა სათქმელი მუსამ.

რას ვიზამდი? — ორი ათდოლარიანი გავუწოდე მუსას. ალბათ ერთი-ორი კვირა ეყოფოდა. სხვათა შორის, ალბათ არც ერთ ქვეყანაში ისეთი იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი არ არის ნარკოტიკი, როგორიც ამერიკაშია...

— კაკო, თამარასთან გეძახიან! — დამიბარა ერთ-ერთმა მობინადრემ.

ახლა ნამდვილად არ მინდოდა თამარას ნახვა.

— წადი, კაკო, ის შენი ლამაზი „უზბეჩკაც“ იქ არის, გელოდებიან!.. — შემომცინა ჩემი გულუხვობით გახარებულმა მუსამ.

ზიზოს ხსენებამ ყველაფერი დამავიწყა. ეს მაღალი, უსაშველოდ ლამაზი უზბეკი ქალი ჩემზე ბანგივით მოქმედებდა. სასწრაფოდ გამოვიცვალე ტანსაცმელი და თამარას კაბინეტში შევედი.

იქ ისეთივე სუფრა დამხვდა გაშლილი, როგორიც ზემფირას პირველად ნახვისას — ტკბილეულისა და ხილის სუფრა, ფრანგული კონიაკითა და რუსული შამპანურით... ზიზო-ზემფირაც თავის ამპლუაში დამხვდა. უძვირფასესი კაბა ეცვა და მზეთუნახავს ჰგავდა. დამინახა თუ არა, მაშინვე წამოხტა და ყელზე ჩამომეკიდა. ლოყაზე მისი კოცნის სურნელს ვგრძნობდი... ზიზოს სილამაზე თავისას შვრებოდა... უკვე მერამდენედ, ეს ქალი ჯადოსავით მოქმედებდა ჩემზე, თავი ბურანში მეგონა...

ბოლოს, ზიზოს მკვლავების ტყვეობიდან თამარას სიტყვებმა „მიხსნა“:

— კაკო, შვილო, იმ საღამოს ვერ მოვზომე და ზედმეტი მომივიდა. ვიცი, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და მომიტევებ. ბოლოს და ბოლოს, დედად გეკუთვნი!.

— არა უშავს, დეიდა თამარა, მართალია, თქვენგან იმდენ საყვედურს არ ვიმსახურებდი, მაგრამ გეფიცებით, არ მწყენია! — დავამშვიდე სასტუმროს მეპატრონე.

— კარგი, რახან ასეა, მეც მინდა ხელი შეგიწყო. ცალკე ოთახში გადაგიყვან, შენთვის იქნები წყნარად, ქირასაც არ მოგიმატებ...

ეს უკვე სიურპრიზი იყო ჩემთვის, მაგრამ — დაგვიანებული სიურპრიზი. მთელი საღამო მომიწია იმის მტკიცება, რომ თამარაზე ნაწყენი არ ვიყავი, მაგრამ ვერც ამ სასტუმროში დავრჩებოდი, რადგან ჩემი ახლობელი (იძულებული ვიყავი, ტყუილი მეთქვა) თავისთან მეპატიჟებოდა და უარს ვერ ვეტყოდი.

ამ ტყუილის თქმაში ერთი მხრივ, ფრანგული კონიაკი მშველოდა, ხოლო მეორე მხრივ, ზიზო-ზემფირას მაცდური ღიმილი... ■



რუსუდან ბერიძე

ქალური იდეალი
ანუ ჯიბეში ფრთები

დასაწყისი იხ. „გზა“, №40

მშობლები მიყრუებულ სოფელში გაზრდილ ნინის თბილისში, მანამდე უნახავ ბიძასთან საცხოვრებლად და სამუშაოდ გზავნიან — ხალხს გაიცნობს და ცხოვრებას ისწავლისო. გზაში ნინი მართლაც გაიცნობს ახალგაზრდა კაცს, დიტოს, რომელიც თბილისში საკუთარი მანქანით წაყვანას შესთავაზებს. ნინის დიტო მოეწონება, მანქანაშიც ჩაუჯდება და შემდეგ ერთ-ერთ გზისპირა კემპინგში დასასვენებლადაც შეჰყვება. მალე ნინი და დიტო ლოგინშიც ერთად აღმოჩნდებიან.

გოგონა მომხდარზე ფიქრს მხოლოდ მაშინლა იწყებს, როცა დიტოს მოულოდნელად მობილურზე რაღაც ამბავს შეატყობინებენ და სასწრაფოდ წასვლას გადაწყვეტს. ნინის კი შესთავაზებს, — თბილისისკენ მიმავალ რომელიმე მანქანას გავაჩერებ და ვთხოვ, ბიძაშენის სახლამდე მიგიყვანოსო.

ნინს, დიტოს სიტყვების არ სჯერა და აღარც მის წინადადებას თანხმდება. ბოლოს, დიტოს მაინც თავისი გააქვს. ნინს რაღაც მისამართს აძლევს და თბილისში პაემანს უნიშნავს. თან ჰპირდება, თუ სამი კვირის შემდეგ დათქმულ ადგილზე მოხვალ, მუდამ ერთად ვიქნებითო. ნინი დიტოს გულდამძიმებული ემშვიდობება...

ნინიმ მძღოლს მანქანა სადარბაზოსთან გააჩერებინა, გადმოვიდა და სახლის სართულებს ააყოლა თვალი: შალვა ბიძია მეოთხე სართულზე ცხოვრობდა. მძღოლმა საბარგულიდან ჩემოდანი ამოიღო, სადარბაზოში შეიტანა, ნინის დაემშვიდობა და მაშინვე თვალს მიეფარა. ნინი კიბეს ნელ-ნელა აუყვა.

ის ხვდებოდა, რომ თვრამეტ წელიწადში შალვა ბიძია, ყველაფერთან ერთად, გარეგნობითაც შეიცვლებოდა, მაგრამ როგორც არ ეცადა, თვალწინ მაინც, ოჯახში შემორჩენილ, ერთადერთ, დროჟამისაგან გაცრეცილ ფოტოზე აღბეჭდილი, მაღალი, ძალიან გამხდარი და თვალებგადმოკარკლული ქოჩორა ტიპი ედგა.

კაკუნზე კარი ყრუ ხმაურით გაიღო და ზღურბლზე საკმაოდ ჩასუქებული და აბსოლუტურად მელოტი, სიბერეშეპარული კაცი გამოჩნდა. მის დანახვაზე ნინიმ გულში მაშინვე სინანულით დაასკვნა, რომ ერთადერთი, რაც ბიძამისს წარსულიდან უცვლელად შემორჩენოდა, გადმოკარკლული თვალები იყო. თუმცა, ნინისთვის ამ დასკვნაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ ბიძა შინ დახვდა და, შესაბამისად, ღამის გასათევიც გარანტირებული ჰქონდა.

შალვა გრძელიშვილმა აქამდე უნახავი ძმისშვილი კარგა ხანს გულმოდგინედ ათვალიერა და ბოლოს ისე გულიანად გაუღიმა, რომ ნინიმ იფიქრა — ცოტაც და ნამდვილად პირი გაეხევაო.

— ნინი?.. შენა ხარ?.. როგორც იქნა! მე შენ ჯერ კიდევ დღისით გელოდი, ასე რატომ დაიგვიანე?..

— მე კი არა, ავტობუსმა დაიგვიანა, — ურცხვად იცრუა ნინიმ.

— კარგი, კარგი, შვილო... — აქამდე კარში ძეგლივით მდგარი შალვა გვერდზე გადგა და ძმისშვილი სახლში შეუშვა.

მამაპაპისეულ დიდ სახლში ლაღად გაზრდილ, სივრცეს შეჩვეულ ნინის, შალვა ბიძიას ბინა სასტიკად არ მოეწონა: „ეს არის ოროთახიანი „ასობნიაკი“? „ასობნიაკი“ კი არა, ნამდვილი თაგვის სოროა...“ — აწუწუნდა ის გულში.

ბინის შესასვლელში, ტანსაცმლის ძველი კარადის გვერდით, კუსტარულად ნაკეთი ელექტროქურა იდგა. მის თავზე კედელზე ჩამოკიდებულ პატარა თაროზე კი, ერთჯერადი ჩაის მუყაოს კოლოფი, ყურმოტეხილი ფინჯანი, ყავის ელექტრომადუღარა და გაურკვეველი წარმომავლობის, სანახევროდ დაცლილი ყავის ქილაც „იწონებდნენ თავს“.

ნინის აშკარად უკმაყოფილო სახის შემხედვარე შალვა ბიძიამ სასწრაფოდ თავის მართლება დაიწყო:

— ეს „პლიტა“ აქ დროებით მიდგას. ზამთარში, როცა ძალიან ცივა, ბინის გასათბობად ვიყენებ... ხოლო თუ ჩაის ან ყავის დალევა მინდა, „მინუტკას“ პირდაპირ აქვე ვაერთებ ხოლმე, — მან ნინის თაროს ქვეშ შემალული შტეფსელი დაანახვა, — და წუთში ყველაფერი მზად მაქვს...

„ხოლო თუ ტაფამწვარი მოუნდა, ეტყობა, ტაფას პირდაპირ უკან იერთებს ხოლმე“... — გაიფიქრა ნინიმ.

— სადილს სახლში არასოდეს ვამზადებ, — თითქოს, ფიქრს მიუხვდაო, ისე განაგრძო შალვა ბიძიამ, — ჩვენთან, რესტორანში, გვაჭმევენ ხოლმე. თუ გინდა, შენც იქ დაგაწყებინებ მუშაობას და...

— ჯერ არ ვიცი, ვნახოთ... — უპასუხა ნინიმ და ბიძის „აპარტამენტების“ თვალიერება უკვე აშკარად ამრეზილმა განაგრძო.

ნინიმ ყველაზე სერიოზული დარტყმა, მაინც, მაშინ მიიღო, როცა მიხვდა, რომ ბინას, მართალია, ფართო და ნათელი, მაგრამ მხოლოდ ერთადერთი ოთახი ჰქონდა, რომელსაც, ბიძამისი სასტუმროდ და საძინებლად, ეტყობოდა, ერთდროულად იყენებდა.

— კი, მაგრამ მე?.. მე სადღა უნდა

დავიძინო? – ნინის ხმაში უკვე აშკარა სასოწარკვეთა დაეტყო.

შალვა ბიძიამ ის ოთახის კუთხეში ჩამოფარებულ ფარდასთან მიიყვანა. ფარდის იქით საკმაოდ მოზრდილი ნიში გამოჩნდა. იქ ძველებური, ფართო საწოლი და კომოდი იდგა. კომოდის გვერდით, კედელზე კი, ლამაზჩარჩოიანი, დიდი ოვალური სარკე ეკიდა. ,,მადლობა ღმერთს, სარკე მაინც ჰქონია...'' – შვებით ამოისუნთქა ნინიმ.

შალვა ბიძიას არ უთქვამს და აბა, ნინი როგორღა მიხვდებოდა, რომ მის გამოჩენამდე ეს ნიში თავად შალვა ბიძიას საძინებელი იყო, რომელიც მან ძმისშვილს დიდსულოვნად დაუთმო.

ერთადერთი ადგილი მთელ ბინაში, რომლითაც ნინი ნამდვილად კმაყოფილი დარჩა, სააბაზანო იყო. ზღვისფერ კაფელში ჩასმულ კედლებს კრიალი გაუდიოდა, რძისფრად დაბინდულ მინის თაროებზე კი ერთი მაღაზიის სამყოფი კოსმეტიკა იყო დალაგებული.

– აი, ეს მესმის! – ტაში შემოჰკრა ნინიმ და ბიძას გაოცებული თვალები შეანათა: – ეს ყველაფერი მართლა შენია?

– ახლა შენიცაა. რაც მოგეწონება, შეგიძლია, ყველაფერი აიღო, – უპასუხა აშკარად გახარებულმა შალვა ბიძიამ. თუმცა, ნიშის დათმობისა არ იყოს, ნინისთვის არც ის გაუმხელია, რომ მთელი ეს ,,ავლადიდება'', მის ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე, მეზობლად მდებარე პარფიუმერიული მაღაზიის გამყიდველის ,,კომპეტენტური'' რჩევით იყიდა.

– აბა, შენ იცი, თავი შინაურულად იგრძენი, მოწესრიგდი და დაისვენე, მერე კი შეგიძლია, ჩემთან, რესტორანშიც ჩამოხვიდე, იქ ვივახშმებთ, – შალვა ბიძიამ ნინის ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე მდებარე რესტორნის გაკაშკაშებული ფასადი დაანახვა.

– მაგრამ შაქრო ბიძიამ რომ გვითხრა შენზე, კაზინოში მუშაობსო?.. – ჰკითხა კიდევ ერთხელ იმედგაცრუებულმა ნინიმ.

– კაზინოც მანდვეა, – დაამშვიდა შალვა ბიძიამ, – აბა, წავედი, თორემ სამსახურში დამაგვიანდება...

როგორც კი შალვა ბიძიამ კარი გაიხურა, ნინი მაშინვე ფანჯარასთან მივიდა და საკმაოდ ხმაურიანი ქუჩის გულმოდგინედ თვალიერება დაიწყო. მალე ქუჩა შალვა ბიძიამაც გადაჭრა, რესტორნის კიბეს აუყვა და მის ფართო შესასვლელში გაუჩინარდა. ცოტა ხანში კი უკან ლურჯ საფირმო პიჯაკში გამოწყობილი გამოვიდა. მელოტ თავზეც ასეთივე საფირმო ქუდი ეხურა და საკმაოდ ეფექტურადაც გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, ნინი მაშინვე მიხვდა, რომ ბიძამისი რესტორნის ერთი უბრალო კარისკაცი იყო და მეტი არაფერი.

ამასობაში, რესტორნის მისასვლელები ათასნაირი მარკის უცხოური მანქანით აივსო. მანქანებიდან გადმოსული, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები და მამაკაცები რესტორნის კიბეს დინჯად მიუყვებოდნენ.

– აუ-უ-უ, რა ლამაზია!... – აღფრთოვანება ვერ დამალა ნინიმ, – ყველაფერი ისეა, როგორც კინოში – არა, მგონი, უფრო ლამაზიც კია...

რესტორნის კლიენტების უმეტესობა, შალვა ბიძიას მეგობრულად ართმევდა ხელს, ზოგი რაღაცის სათქმელადაც ჩერდებოდა. ერთმა, თავისი ასაკისთვის ცოტა შეუფერებლად გამოწკეპილმა, ხანდაზმულმა მამაკაცმა კი, მხარზე ხელი მოუთათუნა.

– ოჰო!.. ბიძაჩემი სულ მთლად წყალწაღებული არ უნდა იყოს, თუკი ამდენ დიდ კაცს იცნობს... – დაასკვნა ნინიმ და, როგორც იქნა, ფანჯარას მოშორდა.

მან საძინებლად მიჩენილ ნიშში თავისი ჩემოდანი შეათრია, იქიდან ამოლაგებული ტანსაცმელი და სხვა ნივთები კომოდის უჯრებში გაანაწილა. შემდეგ ხელჩანთიდან ჭრელყდიანი ბლოკნოტი ამოიღო და ბოლო გვერდზე გადაშალა. ბლოკნოტში ამ ადგილზე კალენდარი იყო დაბეჭდილი. ნინიმ კალენდარზე ჯერ თბილისში თავისი ჩამოსვლის პირველი დღე მონიშნა, შემდეგ რამდენჯერმე გულმოდგინედ გადათვალა, დიტოსთან დათქმული დღე და რიცხვიც საგულდაგულად შემოხაზა და ჩაფიქრდა: როცა დიტო მას თბილისისკენ მომავალ მანქანაში სვამდა, – მითხარი, ხომ გჯერა ჩემიო? – რამდენჯერმე ისე ჰკითხა, თითქოს, ყველაფერი მართლა მხოლოდ ნინის პასუხზე იყო დამოკიდებული. ,,როგორც შენ – ჩემი!'' – უპასუხა ნინიმ და იმწუთას ეს ყველაზე ეშმაკური პასუხიც ეგონა. მაგრამ ახლა, ამის გახსენებაზე, მხოლოდ სევდიანად გაეღიმა, ბლოკნოტი კომოდში შეინახა და სააბაზანოში შევიდა.

თბილი წყლით სავსე აბაზანაში ნინიმ თითქმის მთელი ბოთლი შამპუნი ჩააპირქვავა, საგულდაგულოდ ააქაფა, შიგ ტყაპანი მოიღო და ქაფში ჩაძირულმა, თავი მაშინვე თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულ, უზომოდ მომხიბვლელ ქალად წარმოიდგინა.

– ღმერთო, რა იქნება, ამ წუთში დიტოც ჩემ გვერდით იყოს?! – ამოიოხრა ნინიმ. – მაგრამ არა უშავს... სულ მალე მე და დიტო შალვა ბიძიას ქუჩაზე, გალაპლაპებული ,,ფირმა'' მანქანით ჩამოვივლით, რესტორანში ამაყად შევალთ და ოფიციანტს ხბოს ჩახოხბილსა და მარწყვისმურაბიან ნაყინს შევუკვეთთ!

ოცნებაში და შამპუნის ქაფში ერთდროულად ჩაძირული ნინი გვიან, მაგრამ მაინც გამოერკვა, აბაზანიდან ამოძვრა და თაროებზე გამოფენილი კოსმეტიკის ,,დეგუსტაციას'' შეუდგა.

სოფელში ნინი იშვიათად იღებებოდა. ეს, როგორც წესი, მაშინ ხდებოდა, როცა დედასთან ერთად, მეზობელ სოფელში გახსნილ მაღაზიაში ანდა რაიონულ ცენტრში მიდიოდა საყიდლებზე. სხვა დროს კი, მისი ბუნებრივად ლამაზი ცხვირ-პირი მთლიანად მისი უდიდებულესობა ბუნების იმედად იყო მიტოვებული. თანაც, კაცმა რომ თქვას, კოსმეტიკიდან ნინის ბევრი არც არაფერი ებადა: ერთი ქილა მათეთრებელი კრემი, იაფფასიანი ტუალეტის წყალი და პომადა – ეს იყო და ეს.

ახლა კი ნინის განკარგულებაში კოსმეტიკის მთელი არსენალი აღმოჩნდა. ისიც მანამდე ვერ დაწყნარდა, სანამ ყველაფერი, რისი შეღებვაც შეიძლებოდა, გულმოდგინედ არ შეიღება.

ამის შემდეგ, ჩაცმის დრო დადგა. ნინიმ ნიშში შეირბინა და კომოდიდან მთელი თავისი ,,გარდერობი'' ამოალაგა. თუმცა, ამოსარჩევი ბევრი ვერაფერი ნახა და ისევ ერთადერთ საგარეო კაბაზე შეჩერდა. კაბა ძვირფასი ქსოვილისაგან, მაგრამ საკმაოდ ძველმოდურად იყო შეკერილი. ნინიმ კაბა გულზე მიიხუტა, სარკის წინ ერთი-ორჯერ შეტრიალ-შემოტრიალდა და თავში სასწრაფოდ ახალი იდეაც მოუვიდა. კომოდის უჯრიდან შინიდან წამოღებული მაკრატელი, ნემსი და ძაფი ამოიღო, კაბას თითქმის ერთ მტკაველზე შემოაჭრა ბოლო და ფაქიზად შემოუკეცა. შემდეგ ჩაიცვა და სარკის წინ უკვე აშკარად კმაყოფილმა გაიარ-გამოიარა.

შინიდან გამოსულმა ნინიმ ქუჩა სასწრაფოდ გადაირბინა და სულმოუთქმელად აუყვა რესტორნის მარმარილოს კიბეს. რესტორნის წინ ისევ ისე საფირმო ნიშანივით გამოდგმული შალვა ბიძია კიბეზე ამომავალ ნინის გაოცე-

ბული მისშტერებოდა.

„ოჰო, ეტყობა, ბიძაჩემი საბოლოოდ დავშოკე!“ — დაასკვნა მისი სახის შემხედვარე ნინიმ და კმაყოფილი დაერჭო რესტორნის კართან.

— მდაა... გასაგებია... — ჩაიბურტყუნა შალვა ბიძიამ და ნინი ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. — ცოტა გვერდზე დადექი, ნახევარ საათში ჩემი „სმენა“ დამთავრდება და შეგვიძლია, კიდეც ვივახშმოთ, — დასძინა მან ბოლოს.

— კარგი, — უპასუხა ნინიმ და რესტორნის კარს მოსცილდა, — ნახევარ საათს ნამდვილად მოვითმენ.

რესტორნის წინ უკვე მანქანების ტევა აღარ იყო, მაგრამ კიდევ მოდიოდა და მოდიოდა. მათ შორის ნინიმ რატომღაც, თეთრი ქათქათა „მერსედესი“ გამოარჩია. „მერსედესი“ ზედ რესტორნის კიბესთან გაჩერდა და იქიდან თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, სახეზე ჭკნობაშეპარული მამაკაცი, ბიჭივით მკვირცხლად გადმოხტა და კიბეზე ამოირბინა.

— შალვას გაუმარჯოს, შალვას! — მამაკაცმა შალვა ბიძიას ხელი მეგობრულად ჩამოართვა და მაშინვე ნინის დააშტერდა: ნეტავ, ეს ჩიტუნია საიდანღა მოგვიფრინდა?

— ეს ჩემი ძმისწულია, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა შალვა ბიძიამ, თუმცა, მამაკაცს რესტორნის კარი მაინც თავაზიანად შეუღო: მობრძანდით, ბატონო გოგი.

— თუ ამისთანა მშვენიერი ძმისშვილი გყავდა, აქამდე რას გვიმალავდი, შე კაი კაცო? — ნინის თვალს ვეღარ სწყვეტდა ბატონი გოგი. შემდეგ თავიც თავაზიანად დაუკრა: ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე გოგი გახლავართ, გორგილაძე.

— მე კი, ნინი გრძელიშვილი ვარ. — არ დაიბნა ნინი და მამაკაცს ხელი თავმომწონედ გაუწოდა.

ბატონმა გოგიმ ნინის ხელზე ხელი ვნებიანად მოუჭირა თან, აქეთ-იქით მიმოიხედა და ის იყო, კიდევ რაღაც ქათინაური უნდა ეთქვა, რომ კიბეზე ამომავალი, საკმაოდ სიმპათიური ქალი დაინახა.

— სამწუხაროდ, უნდა დაგტოვოთ, მაგრამ იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით. — უთხრა ბატონმა გოგიმ ნინის, თავი ისევ თავაზიანად დაუკრა და მაშინვე იმ ქალს შეეგება:

— თეო, ჩემო ძვირფასო, როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ გამოიყურები...

ნინი ქალს აშკარად უტიფრად მიაშტერდა: თეო, ალბათ, ორმოცი-ორმოცდახუთი წლის იქნებოდა. საკმაოდ ახალგაზრდულ, მოქნილ ტანზე საუცხოოდ მორგებული მუქი ლურჯი კაბა ეცვა, ყელს კი რამდენიმე წყებად შემოხვეული მარგალიტის მძივი უმშვენებდა.

„ჩემო ძვირფასო... ბრწყინვალედ გამოიყურები... — გულში გესლიანად გამოაჯავრა ნინიმ ბატონ გოგის. — ნეტავ, რა აქვს ბრწყინვალე?.. იქნებ, ეს, ძაღლის საყელოსავით ყელში წაჭერილი მძივი?!“

— შალვა ბიძია, — ჰკითხა შემდეგ ნინიმ ბიძამისს, — ვინ არის ეს გოგი გორგილაძე? თითქოს, გვარი და სახელი საიდანღაც მეცნობა, მაგრამ მაინც ვერაფრით ვიხსენებ..

— არ ვიცი, შენ საიდან გეცნობა, მაგრამ გოგი გორგილაძე, თბილისში საკმაოდ ცნობილი მსახიობი და რეჟისორია. ყველა მაგის კლიპებსა და ტელესერიალებზე ლაპარაკობს... მაგრამ შენ კი ყველანაირად უნდა მოერიდო...

— ვითომ, რატომ?

— იმიტომ, რომ შენისთანა პატარა და გამოუცდელი გოგონებით ეგეთი კაცები შემთხვევით არ ინტერესდებიან...

— რას მეუბნები?! — ნინის შალვა ბიძიას ლაპარაკი უკვე აშკარად ართობდა.

— გეუბნები და კარგად დაიმახსოვრე: ეგ კაცი, დიდი „ბაბნიკია“ და შენ მაგის ნაცნობობა ხეირს ნამდვილად არ დაგაყრის.

მაგრამ ნინიმ ბიძის რჩევა ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან, სასწრაფოდ უკან გამოუშვა.

„ეს ბიძაჩემი მთლად ყოჩაღად ვერ უნდა იყოს... — ფიქრობდა იგი, — ჯერ ერთი დღეა, რაც თბილისში ვარ და უკვე ცნობილი რეჟისორი დავაინტერესე. ეს კიდევ მეუბნება, ყველანაირად ერიდეო... არა, არა, მართალი იყო დედა, რომ მეუბნებოდა, — ბიძაშენი ნამდვილი მუდოა...“

ამასობაში რესტორნის კიბე ქშენით ამოათავა პატარა, პუტკუნა კაცმა და მათ წინ შედგა:

— კაი გამარჯობა, თქვენი...

— ნეტავ, ამ ლოტოს კოჭს რაღა უნდა? — შუბლი შეიკრა ნინიმ და შალვა ბიძიას გადახედა. თუმცა, ამ უკანასკნელმა მოსულს მეგობრულად გაუღიმა:

— გაგიმარჯოს, ჩემო მათე!

— ესაა ხომ, შენი ძმისშვილი? — ჰკითხა მათემ. — ჩამოვიდა, როგორც იქნა?

— ჰო, ჩამოვიდა. ნინი, ეს მათე ბიძიაა, ჩემი „სმენა“.

— გამარჯობათ, მათე ბიძია, — აშკარად გამხიარულდა ნინი, რადგან მიხვდა, რომ შალვა ბიძიას „სმენის“ გამოჩენით, რესტორანში შესვლის დრო ახლოვდებოდა.

— ჩემს გოგოსაც ნინი ჰქვია, უფრო სწორად — ნინო. ალბათ, ტოლები იქნებით. შენ რამდენისა ხარ? — ჰკითხა მათემ

ნინის.

— თვრამეტის.

— ჰო-ო-ო, ჩემი ნინო ჯერ თექვსმეტისაა... აბა, არ მოიწყინოთ... — ამ სიტყვების შემდეგ მათეც რესტორნის კარში გაუჩინარდა და მალე უკან ისიც უნიფორმაში გამოწყობილი გამოვიდა. თუმცა, როგორც ნინიმ დაასკვნა, მას, შალვა ბიძიასგან განსხვავებით, არც პიჯაკი უხდებოდა და არც ლამაზი საფირმო ქუდი...

ნინის ეგონა, რომ შალვა ბიძია მას რესტორნის ფართო კარში შეუძღვებოდა, გაჩახჩახებულ დარბაზში ლამაზად გაწყობილ სუფრასთან დასვამდა და ხბოს ხორცის ჩახოხბილსა და მარწყვისმურაბიან ნაყინს შეუკვეთდა — ნინის გასტრონომიული მოთხოვნილებები, ჯერჯერობით მხოლოდ ამ ორი დელიკატესით ამოიწურებოდა...

მაგრამ, ნინის კინაღამ გული გაუსკდა, როცა დაინახა, შალვა ბიძიამ რესტორნის ფართო კარს გვერდი როგორ აუარა და შენობის კუთხეში, თითქმის შეუმჩნეველ ვიწრო კარში შეუძღვა, საიდანაც საკმაოდ დიდ, მაგრამ სხვა მხრივ ნამდვილად არაფრით გამორჩეულ ოთახში აღმოჩნდნენ. იქ კედელთან მიდგმული — თევზით, ხორცით, საწებლითა და ღვინის ბოთლებით სავსე გრძელ მაგიდას, რამდენიმე ქალი და მამაკაცი უჯდა. ქალებს გახამებული წინსაფრები ეკეთათ, მამაკაცებს ასეთივე ქათქათა პერანგები ეცვათ, ისინი გემრიელად ვახშმობდნენ და ზედ ღვინოსაც მხიარული შეძახილებით აყოლებდნენ. თუმცა, სახეზე ყველას საკმაო დაღლა ეტყობოდა.

ოთახის მოპირდაპირე კედელთან ჭურჭლის სარეცხი და საშრობი მანქანები იყო ჩამწკრივებული.

„გამოდის, რომ რესტორანში კი არა, სამრეცხაოში ვვახშმობ, — გული დასწყდა ნინის და როგორც კი მაგიდასთან მსხდომების დაჟინებული მზერა იგრძნო, შალვა ბიძიას ინსტინქტურად პიჯაკის სახელოში ჩააფრინდა.

— შალვა, — შორიდანვე დაუძახა შალვა ბიძიას მაგიდასთან მჯდომმა, საკმაოდ სანდომიანმა გამხდარმა ქალმა. — რა კარგი ძმისშვილი გყოლია! რაღას უცდით? მოდით, შემოგვიერთდით!..

ქალის გვერდით გაჯგიმულმა ახალგაზრდა კაცმა, ნინი აშკარად მუშტრის თვალით შეათვალიერა და თვალი ჩაუკრა. მაგრამ ნინიმ სასწრაფოდ კოპები შეკრა, ქალმა კი — რომელიც როგორც ნინიმ შემდეგ გაიგო, შეფმზარეულის თანაშემწე იყო და ნუცა ერქვა — ახალგაზრდას შეუტია:

— რა იყო, აჩიკო, ბებერი კახპები აღარ გაკმაყოფილებენ?.. აქ მაინც იჯექი წყნარად...

ამ სიტყვების შემდეგ, ნუცამ ბიძა-ძმისშვილს მაგიდასთან ადგილი მოუთავისუფლა, წინ სუფთა თეფშები და ჩანგლები დაუწყო და საჭმელი შესთავაზა:

— მერე ღვინო? — ნუცას შენიშვნა არად ჩაგდო აჩიკომ და შემოსწრებულებს წინ ღვინის ჭიქებიც დაუდგა.

— ნინი არ სვამს, — მოკლედ მოუჭრა შალვა ბიძიამ, — მე — მით უმეტეს...

— ეჰ, ჩემო შალვა, — სევდიანად გაულიმა ნუცამ, — ეს გოგო, შენ ბევრ თავსატეხს გაგიჩენს! თანაც, თვალებშიც რომ ჭინკები ჰყავს ჩასახლებული... მაგან თუ გაიწია...

— ჩვენთან გამოუშვით, სასწრაფოდ მოვათვინიერებთ! — გამოსძახა შალვა ბიძიას მაგიდის ბოლოში მჯდომმა მკერდსავსე ქალმა.

— სად „თქვენთან“? — ხმა დაეძაბა შალვა ბიძიას.

— ჯერ აგერ აქ, — მკერდსავსემ ხელი ჭურჭლის სარეცხი მანქანებისკენ გაიშვირა, — ცირას დამხმარე სჭირდება. შემდეგ „კუხნაში“ გადავა, იქიდან კი ბარიც ხელის გაწვდენაზეა... არ მიიღებენ თუ?..

თეფშში თავჩარგული ნინი ქათმის ხორცის დაბრაწულ ნაჭრებს გემრიელად შეექცეოდა და ხანდახან, სუფრასთან მსხდომთ, ქვეშ-ქვეშ გახედავდა ხოლმე. მის შემდგომ ბედზე გამართული მსჯელობიდან კი ყურადღების ღირსად მხოლოდ ბარში მუშაობის პერსპექტივა ჩათვალა. თანაც, ერთი რამ აქედანვე დაასკვნა: „შალვა ბიძია ვერაფერი დამხმარე იქნება, ამიტომ, ბარშიც თავად უნდა მოვეწყო და საზოგადოებაშიც დამოუკიდებლად გავიდე. ამისთვის კი ბებრუხანა გოგი გორგილაძეს კი არა, თუნდაც ეშმაკს შევეკვრები“...

სუფრიდან პირველი ნუცა წამოდგა. ის სამსახურიდან ყოველთვის პირველი მიდიოდა, რადგან ყველაზე შორს ცხოვრობდა და შინ ავადმყოფი დედ-მამა ელოდა. სანამ ნუცა კარს გაიხურავდა, დანარჩენებს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა:

— წავედი, თორემ ჩემებს ალბათ, ლოდინით თვალები გამოუღამდათ. შენ კი, — სევდიანად გადახედა მან შალვა ბიძიას, — შენი ძმისშვილი ხვალაც მოიყვანე. შეფს დაველაპარაკები... დარდი ნუ გაქვს, რაიმე საქმეს გამოვუნახავთ. ოღონდ, კარგი იქნება, თუ კაბას ცოტათი მაინც დაიგრძელებს, თორემ ჩვენი ბიჭები რომ ხელებს არ დაიმოკლებენ, წინასწარ ვიცი. — ამ სიტყვებზე, ნუცამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა აჩიკოს.

ნინის სახეზე ეწერა, რომ ნუცას შეგონებებს არად აგდებდა და მოწყენილობისგან მალე მთქნარებასაც დაიწყებდა. თუმცა, მანამდე შალვა ბიძიამ დაასწრო და აქაოდა, ნამგზავრია და მოსვენება სჭირდებაო, ძმისშვილი წინ ურჩი ჩოკინასავით გაიგდო...

— შალვა ბიძია, ნუცამ აჩიკოს ბებერი კახპები რატომ უხსენა? — ჰკითხა ნინიმ შინ მობრუნების შემდეგ.

— იმიტომ, რომ აჩიკო, ხანში შესულ კლიენტ ქალებს განსაკუთრებით მოსწონთ.

— აჩიკოს კიდევ ისინი, ხომ?

— არა, აჩიკოს მხოლოდ მათი ფულები მოსწონს.

— ისე, ძალიან საზიზღარი ტიპი უნდა იყოს...

— ნამდვილად ეგრეა. ასე რომ, უფრთხილდი.

— ნეტავ, მე რა უნდა დამიშავოს?

— თუ დასჭირდა, რამეს მოიფიქრებს. თანაც, ყველაფერთან ერთად, ძალიან ბოროტიცაა და შეიძლება, შეფთანაც დაგასმინოს.

— შეფი ვინღაა?

— ჩვენი შეფმზარეული, მიხო კუბლაშვილი... „კუხნაში“ ყველაფერს ის განაგებს.

— ბარშიც?

— ბარშიც.

— აღარ ყოფილა საშველი და ეგაა! ისე, მაინც, აჩიკომ შეფს ჩემზე რა უნდა უთხრას?

— რაც მოეპრიანება.

— ტყუილსაც ეტყვის?

— ეტყვის და მერე როგორ?! მაგასაც სირცხვილით ყურები არ გაუწითლდეს...

— ტყუილი მეც მეხერხება. თუ დამჭირდა, ისეთ რამეს დავაბრეხვებ, შენს მამლაყინწა აჩიკოს არც კი დაესიზმრება!

— რა-ა-ა? — გაოცებისგან პირი დააღო შალვა ბიძიამ.

— კარგი, კარგი, გეხუმრე, — დაამშვიდა ნინიმ შალვა ბიძია, — მერედა, ეგ თქვენი შეფი ყველას ყველაფერს უჯერებს?

— არ უჯერებს, მაგრამ იმახსოვრებს.

— დაიმახსოვროს რა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრას...

გაგრძელება იქნება

Jaguar XK8

Jaguar: სისწრაფე და ალუმინის „საჭუჭველი

წარმომადგენლობითი კლასის ავტომობილს – Jaguar XK8-ს 1996 წლიდან აწარმოებენ. მაგრამ ახლახან გამოცხადდა, რომ 2003 წლიდან მისი განახლებული ვერსია გამოვა. ცვლილებები არა იმდენად დიზაინს, არამედ ტექნიკურ აღჭურვილობას შეეხება. საერთო ჯამში, მოდერნიზებულ ვერსიაში 900-მდე ახალი ელემენტი გაჩნდება. მოდერნიზება ძირითადად, ძრავებს შეეხო. V ტიპის 8-ცილინდრიანი აგრეგატის სამუშაო მოცულობა 4-იდან 4,2 ლ-მდე გაიზარდა, სიმძლავრე კი – 284-იდან 298 ცხ.ძ-მდე. რაც შეეხება კომპრესორით აღჭურვილ ძრავას – 363-ის ნაცვლად, ის ახლა 395 ცხ.ძ-ს ავითარებს. ამის შესაბამისად გაუმჯობესდა ავტომობილის ჩქაროსნული და დინამიკური მახასიათებლები. მაგალითად, კუპე XK8 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,4 წმ-ში აღწევს, კუპე XKR-ი კი – 5,4 წმ-ში. ყველა მოდიფიკაციის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ს შეადგენს (თითოეულს ელექტრონული შემზღუდავი აქვს დაყენებული).

ავტომობილები 6-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი, რომელსაც გერმანული ფირმა ZF-ი აწარმოებს. სხვათა შორის, ასეთივე კოლოფებით, გერმანიაში გამოშვებული BMW-ს მე-7 სერიაა აღჭურვილი.

XK8-ს მინიმალური ფასი 72.140 ევრო, XKR-ისა კი – 83.170 ევროა. მათთვის, ვისაც უფრო მძლავრი „იაგუარის“ შეძენა სურს, უამრავი სატიუნინგო ფირმა ზრუნავს. ერთ-ერთი – გერმანული Arden-ი – XKR-ის ძრავის სიმძლავრეს 363-დან 462 ცხ.ძ-მდე აიყვანს. ასეთი „იაგუარი“ 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,3 წმ-ში განავითარებს, 200 კმ/სთ-ს კი – 18,2 წმ-ში.

სიჩქარის შეზღუდვის თაობაზე ევროპელ ავტომწარმოებელთა ურთიერთშეთანხმება სატიუნინგო ფირმებზე არ ვრცელდება, ამიტომ „არდენის“ მანქანა 280-დან 295 კმ/სთ-მდე სიჩქარეს ავითარებს. ბუნებრივია, ამგვარი მოდერნიზება სოლიდური თანხაც ღირს: სატიუნინგო „იაგუარი“ დამკვეთს 152.000 ევრო დაუჯდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ძრავის გადაკეთება 30.000 ევრომდე ღირს. მაგრამ ლეგენდარული ინგლისური მარკის თაყვანისმცემლებს შორის ბევრი ავტომოყვარულია, რომელსაც სურს, ამგვარი სპორტული შიგთავსით აღჭურვილი მანქანა ჰყავდეს.

ამ ცოტა ხნის წინ, კომპანიამ წარმომადგენლობითი კლასის ლიმუზინის მოდ-

დიზელი ჯაბჩიოლეტისთვის შეუფერებელი აღარ არის

Opel Astra

წინათ კონსტრუქტორებს მიაჩნდათ, რომ კაბრიოლეტი და დიზელი ერთიმეორესთვის შეუთავსებელი იყო. და მართლაც – დიზელი ვერ პასუხობდა დინამიკურობისა და ჩქაროსნობის იმ სტანდარტებს, რომელსაც თავახდილ ავტომობილებს უყენებდნენ. მაგრამ ბოლო წლებში სიტუაცია შეიცვალა და აი, ფირმა „აუდი“ მომხმარებელს A4-ის ბაზაზე შექმნილ კაბრიოლეტს სთავაზობს, რომელიც 2,5 ლ მოცულობის, 6-ცილინდრიანი, 163 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავითაა აღჭურვილი. ეს მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 9,9 წმ-ში „ასწევს“ და მისი მაქსიმალური სიჩქარე 217 კმ/სთ-ს მიაღწევს. ახალი კაბრიოლეტი 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება, ავტომატური კოლოფი კი, მომხმარებელს ოპცი-



Jaguar XJ

ერნიზებაც მოახდინა და საყოველთაო აზრით, სწორედ ამ ავტომობილთან იქნება დაკავშირებული პარიზის მოახლოებული ავტოსალონის ერთ-ერთი გამორჩეული პრემიერა. „იაგუარის“ ლიმუზინი ელეგანტური ფორმითა და უამრავი ტექნიკური სიახლით იპყრობს ავტომოყვარულთა ყურადღებას. მაგალითად, ის „იაგუარის“ ავტომობილების იმ ოჯახის პირველი ნიმუშია, რომლის ძარაც ალუმინისგანაა დამზადებული. აქამდე ამ ტექნოლოგიას მხოლოდ „ფოლკსვაგენის“ კონცერნში შემავალი გერმანული ფირმა „აუდი“ იყენებდა. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ „იაგუარის“ ინჟინრებმა გულდასმით შეისწავლეს კოლეგა-კონკურენტების გამოცდილება ქალაქ ნეკარზულმში მდებარე ტექნიკურ ცენტრში. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მანქანის მასა 1760 კგ-ით შემცირდა, თუმცა „იაგუარის“ ლიმუზინი გაბარიტებით არ ჩამოუვარდება „მერსედესის“ S კლასისა და „ბე-ემ-ვე“-ს მე-7 სერიის ავტომობილებს.

Jaguar XJ – სპორტული ავტომობილის მახასიათებლების მქონე რესპექტაბელური მანქანაა. ის აღჭურვილია ორი 8-ცილინდრიანი ძრავით – 3,5 ლ-იანი – 258 ცხ.ძ-ს, ხოლო 4,2 ლ-იანი – 395 ცხ.ძ-ს ავითარებს. ყველაზე „სუსტი“ „იაგუარი ექს ჯეი“, 3 ლ მოცულობის, 6-ცილინდრიანი ძრავით დაკომპლექტდება, რომელიც 238 ცხ.ძ-ს განავითარებს. საინტერესოა, რომ გერმანული ფირმა ZF-ის მიერ წარმოებული ძრავების გარდა, 2004 წლიდან „იაგუარი“ ფრანგულ კომპანია PSA-სთან ერთად შემუშავებულ აგრეგატსაც გამოიყენებს.

სხვა ტექნიკური სიახლეებიდან, აღსანიშნავია ავტომატური რეგულირების სისტემით აღჭურვილი, გაზის ამორტიზატორები და ანტიბლოკირების სისტემით აღჭურვილი მუხრუჭები. ლიმუზინის სალონი ავტოწარმოების ინგლისური სკოლის საუკეთესო ტრადიციების მიხედვითაა მოწყობილი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს, „იაგუარს“ მთლიანად ინგლისურს ვერ უწოდებ, რადგან როგორც ცნობილია, ეს მარკა ახლა ამერიკულ კომპანია „ფორდს“ ეკუთვნის და მის სპეციალურ დანაყოფში – PAG-ში (Premium Automotive Group) შედის, რომლის პირდაპირი დანიშნულება, პრესტიჟული ავტომობილების შემუშავება-წარმოებაა. ■

ის სახით შეუძლია მიიღოს.

დიზელის ძრავის მთავარი კოზირი, ეკონომიურობაა. Audi A4 Cabrio TDI ყოველ 100 კმ-ზე საშუალოდ, 7,2 ლ საწვავს მოიხმარს. მანქანას 70 ლ-იანი საწვავის ავზი აქვს, რომელიც მიუნხენიდან რომამდე შეუჩერებლად ჩასვლის საშუალებას მისცემს ავტომოყვარულს.

„აუდის“ დიზელისძრავიანი კაბრიოლეტის მინიმალური ფასი გერმანიაში 35.250 ევროა. მასზე უფრო ხელმისაწვდომია „ოპელ ასტრას“ თავახდილი ვარიანტი, რომელიც ასევე 2,2 ლ-იანი დიზელის ძრავითაა აღჭურვილი, 125 ცხ.ძ. სიმძლავრე აქვს, 205 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს, 100 კმ/სთ-ს კი 10,9 წმ-ში აღწევს და 100 კმ-ზე 6,4 ლ საწვავს ხარჯავს. საბაზო კომპლექტაციაში დიზელისძრავიანი Opel Astra გერმანიაში 27.520 ევრო ღირს. ■

Audi A4 Cabrio TDI

„ლოს-ანჯელეს ლეიკერზი“ ზედიზედ მეოთხედ გაჩემპიონდას აპირებს



NBA-ს ახალ საკალათბურთო სეზონში, რომლისთვისაც კლუბებმა, ინდიანაპოლისში ცოტა ხნის წინ გამართული მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დაიწყეს მზადება, მაიკლ ჯორდანიც ითამაშებს. პროფესიონალური კალათბურთის ცოცხალმა ლეგენდამ უკვე განაცხადა, რომ „ვაშინგტონ ვიზარდზის“ 82-ვე მატჩში მონაწილეობას აპირებს და თუ სეზონის ბოლოს სასურველ სპორტულ ფორმაში იქნება, გუნდთან კონტრაქტის ვადას კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ბოლო მომენტამდე უცნობი იყო, დაუბრუნდებოდა თუ არა მოედანს გასულ საკალათბურთო სეზონში ტრავმირებული „მფრინავი მაიკლი“.

ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, ვარჯიშს შეუდგა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერზის“ ცნობილი ლიტველი „ცენტრი“, არვიდას საბონისი. ლიტველი ვარსკვლავის სპორტული ფორმით კმაყოფილები დარჩნენ კლუბის მწვრთნელი, მორის ჩიკსიც და მოთამაშეებიც. მათი აზრით, საბონისი დიდად დაეხმარება „ბლეიზერზს“ მომავალში წარმატების მიღწევაში. „მას ყოველთვის შეეძლო ჩინებული პასების გადაცემა, – განაცხადა მისმა თანაგუნდელმა, დეიმონ სტაუდმაირმა, – საბონისი უკვე ახლა, მშვენივრად გამოიყურება. ვარჯიშის დროს იგი საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობდა“.

ორი უსიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოჩნდა „ნიუ-იორკ ნიკზის“ ხელმძღვანელობა. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ლეტრელ სპრიუელი მოტეხილი მარჯვენა ხელით გამოცხადდა შეკრებაზე. ხოლო სასტარტო შემადგენლობის „ცენტრმა“, კურტ ტომასმა, ცოლზე თავდასხმის გამო, პოლიციის განყოფილებაში ამოყო თავი. ასე რომ, სპრიუელი იძულებულია, ოპერაცია გაიკეთოს, რის შემდეგაც ოთხი კვირის განმავლობაში, ხელი თაბაშირში ექნება ჩასმული, ხოლო ვარჯიშის დაწყებას მხოლოდ 6 კვირის შემდეგ შეძლებს. მთავარი კი ის არის, რომ კალათბურთელმა ვერასგზით ვერ აუხსნა თავისი კლუბის ხელმძღვანელობასა და სამედიცინო პერსონალს, თუ სად და რა ვითარებაში მიიღო ტრავმა. გულმავიწყმა ლეტრელ სპრიუელმა მხოლოდ ის გაიხსენა, რომ ხელი ზაფხულში მოიტეხა. რაც შეეხება ცოლთან მოჩხუბარ ტომასს, იგი პოლიციიდან 1.000 დოლარის გადახდის შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს და ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ წარიმართება მის წინააღმდეგ აღძრული საქმე.



ტრავმირებული მოთამაშის სახით დანაკლისი აქვს „ინდიანა პეიზერზსაც“: გუნდის ფორვარდმა, ოსტინ კროშირმა მარჯვენა ფეხი მოიტეხა, რის გამოც იძულებული იქნება, რომ სეზონისწინა ყველა მატჩი გამოტოვოს. კროშირს კიბეზე ჩამოსვლის დროს მიუღია ტრავმა. შეგახსენებთ, რომ იგი 1997 წელს დრაფტის პირველ რაუნდში ამოირჩია „პეიზერზმა“.

სამწუხაროდ, ზურგის მძიმე ტრავმის გამო, შეიძლება, საერთოდ გამოეთხოვოს აქტიურ სპორტს „ტორონტოს“ ნიგერიელი მოთამაშე, ჰაკიმ ოლაჯუონი, რომელიც ამჯერად ექიმთა საბოლოო დასკვნის მოლოდინშია. „ტორონტოს“ გენერალურმა მენეჯერმა, ლენ გრიუნვალმა უკვე განაცხადა, რომ ჰაკიმი ახალ საკალათბურთო სეზონში კლუბს ვეღარ დაეხმარება.

იმ კლუბებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ახალი სეზონის წინ სხვადასხვა პრობლემა შეექმნათ, მშვენიერ განწყობაზე არიან NBA-ს მოქმედი ჩემპიონის – „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის“ ხელმძღვანელებიც და მოთამაშეებიც, რომელთაც ეჭვი არ ეპარებათ, რომ ჩემპიონობას ზედიზედ მეოთხედ მოიპოვებენ. რამდენიმე დღის წინ, ჟურნალისტებთან საუბრისას თავის ოპტიმისტურ განწყობას ვერ მალავდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის“ ერთ-ერთი ლიდერი, კობი ბრაიანტი, რომელიც იმედოვნებს, რომ მისი გუნდი NBA-ს პირველობას კვლავ არავის დაუთმობს. თუ ბრაიანტის პროგნოზი გამართლდა, „ლეიკერზი“ „ბოსტონ სელტიკზის“ მიერ 60-იან წლებში დაფიქსირებულ რეკორდს გაიმეორებს (ვგულისხმობთ NBA-ს პირველობის ზედიზედ ოთხჯერ მოგებას). ■

ЦСКА-ს თავკაცი საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა

ცოტა ხნის წინ, ЦСКА-ს (არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი რუსეთში) ხელმძღვანელისა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი შეფის, ნიკოლაი ნინოს გვამი აღმოაჩინა მილიციამ, რის შემდეგაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი უცაბედად გარდაიცვალა. მოგვიანებით კი გამოირკვა, რომ ნინომ ჭაღის ჩამოსაკიდ კავზე ჩამოიხრჩო თავი. ექსპერტიზამ აგრეთვე ისიც დაადგინა, რომ გარდაცვლილს მარცხენა ხელის ვენები ჯიბის დანით ჰქონდა გადაჭრილი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ნინოს გვამთანვე მილიციამ ხელნაწერიც აღმოაჩინა. „მე დავიღალე. მეჩვენება, რომ განუკურნელი სენით ვარ დაავადებული", – ეწერა ЦСКА-ს თავკაცის მიერ ნათესავებისთვის დატოვებულ წერილში, რომელშიც გარდაცვლილი სიყვარულით იხსენიებდა ყველა ახლობელს და ითხოვდა, რომ მისი ცოლი და ქალიშვილი „ცოდვის ადგილისთვის" გაერიდებინათ. ნინოს ახლობლები და კოლეგები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული შემთხვევის თვითმკვლელობად მონათვლა, ცოტა არ იყოს უცნაურია, რადგან ЦСКА-ს ხელმძღვანელს ასეთი უკიდურესი ქმედებისათვის არავითარი საბაბი არ გააჩნდა და თანაც, იგი თავის ჩამოსახრჩობად, მოსკოვიდან ნოვგოროდში არ გაემგზავრებოდა, რადგან საკუთარი პისტოლეტი ჰქონდა.

■

ძმები კლიჩკოები ორთაბრძოლებისათვის ემზადებიან, ტაისონი კი კვლავ განაგრძობს მაყურებლის გართობას



მიმდინარე წელს, ცნობილი უკრაინელი პროფესიონალი მოკრივეების, ძმები ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოების მონაწილეობით ორთაბრძოლების გამართვაა დაგეგმილი. ვიტალი კლიჩკო 23 ნოემბერს დორტმუნდში, კრივის მსოფლიო ასოციაციის მიერ მისდამი მინიჭებული საკონტინენტთაშორისო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას ეცდება. სავარაუდოდ, მისი მეტოქე ლარი დონალდი (The Legend) იქნება. კრივის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ დონალდთან ორთაბრძოლა ვიტალი კლიჩკოსათვის, ლენოქს ლუისთან უკვე დაგეგმილი შეხვედრის წინ საკუთარი ძალების მოსინჯვის საუცხოო საშუალება იქნება.

რაც შეეხება ვლადიმირ კლიჩკოს, იგი 30 ნოემბერს ან 7 დეკემბერს კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ვერსიით, ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ალბათ კირკ ჯონსონს შეხვდება. „კირკი სულაც არ ფიქრობს იმაზე, თუ რა თანხას გადაუხდიან ვლადიმირთან ორთაბრძოლისთვის. იგი დარწმუნებულია, რომ კლიჩკოსთან მატჩში გამარჯვება შეუძლია, რითიც ყველას დაუმტკიცებს თავის უძლეველობას", – განაცხადა ჯონსონის მენეჯერმა, კენ ლილინმა.

ვლადიმირ კლიჩკოსთან თავის უპირატესობას კირკ ჯონსონი ჯერ კიდევ სექტემბერში ამტკიცებდა. „მე ვიცი, როგორ უნდა მოვუგო კლიჩკოს. ის ვერაფრით გაექცევა ჩემს დარტყმებს, მე კი ვეცდები, რომ მანამდე ვდიო, ვიდრე ნოკაუტში არ ჩავვდებ", – დაიქადნა მაშინ კირკმა, თუმცა მისი ეს განცხადება კლიჩკოს უპასუხოდ არ დაუტოვებია. „შეიძლება, ბევრი ილაპარაკო და შენი უპირატესობა ამტკიცო. ვფიქრობ, რომ კირკ ჯონსონს ორთაბრძოლის შემდეგაც ექნება რაღაცის თქმის სურვილი", – თქვა კლიჩკო-უმცროსმა, რომელმაც თავისი ქომაგების დასამშვიდებლად ისიც დასძინა, რომ კირკ ჯონსონის მიერ წელს ქვემოთ დარტყმის მცდელობის შემთხვევაშიც კი მზად იქნება თავდაცვისათვის (როგორც ჩანს, ჯონსონი გამარჯვების მისაღწევად არც მამაკაცისათვის ყველაზე მტკივნეულ ადგილას დარტყმას მოერიდება). „მე ვიზრუნებ იმაზე, რომ კირკ ჯონსონმა ცხოვრების ინტერესი არ დამაკარგვინოს", – იხუმრა ვლადიმირ კლიჩკომ.



ცოტა ხნის წინ, საშუალო წონითი კატეგორიის მექსიკელი მოკრივე, ფერნანდო ვარგასი, რომელმაც 14 სექტემბერს WBA-ს (კრივის მსოფლიო ასოციაცია) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება ვერ შეძლო, აკრძალული დოპინგის პრეპარატის – სტანაზოლის მოხმარებაში დაადანაშაულეს. როგორც დოპინგ-ტესტის შედეგმა დაადასტურა, ვარგასს აკრძალული პრეპარატი 14 სექტემბრის მატჩისათვის მზადებისას გამოუყენებია.

რამდენიმე დღის წინ კი, საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში მაიკ ტაისონიც მოექცა. როგორც ჩანს, „რკინის მაიკი", რომელმაც თავისი „რკინის ტიტული" რამდენიმე თვის წინ, ლენოქს ლუისთან გამართული ორთაბრძოლისას დათმო, ამიერიდან მხოლოდ სკანდალებითღა შეახსენებს საზოგადოებას თავს. ამჯერად ტაისონს მეუღლესთან გაყრა არ სურს, თუმცა, ნუ იფიქრებთ, რომ იგი ჯორჯთაუნის კლინიკის პედიატრ მონიკა ტერნერთან განქორწინებაზე, მისდამი დიდი სიყვარულის გამო ამბობს უარს. გამოუსწორებელ მაიკს მხოლოდ იმ 10 მილიონი დოლარის დაკარგვა არ სურს, რომელიც ექსმეუღლეს, ქორწინებისწინა შეთანხმების საფუძველზე, გაყრის შემდეგ უნდა გადასცეს. გარდა ამისა, მონიკა ტერნერს, რომელიც მსოფლიო ექსჩემპიონს ღალატში სდებს ბრალს, მაიკისაგან დარჩა 4 მილიონი დოლარის ღირებულების სახლი, რომელშიც ორ შვილთან ერთად ცხოვრობს. ტაისონსა და ტერნერს შორის დაწყებული დავა დეკემბრისათვის დაგეგმილ სასამართლო პროცესზე გადაწყდება.

■

აპოლონ თაბუაშვილი

ღირსი ბატონიშვილი

ქვეყნისათვის თავდადებულ იმ სახელოვან მამულიშვილებს შორის, ვისი ღვაწლიც თითქმის უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, ერთ-ერთი უპირველესია ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც 40 წლის განმავლობაში თავგანწირვით ებრძოდა რუსეთის იმპერიალიზმს და სჯეროდა, რომ შეეძლო იმპერიის კლანჭებიდან ჩვენი ქვეყნის გამოხსნა.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია მას, როგორც რეაქციონერსა და სამშობლოდან გაქცეულ მოღალატეს, ისე გვიხატავს. რეალობა კი ასეთია: 1770 წელს დაბადებული ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი, უკვე 1790 წლებიდან მნიშვნელოვან სახელმწიფო მოღვაწედ გვევლინება. იგი წარმატებით ართმევს თავს მამის დავალებებს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში. აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას, ის შუშის ციხეს (მდებარეობს თანამედროვე ყარაბაღში) ამაგრებს და ირანის 8000-კაციან ავანგარდსაც ამარცხებს. კრწანისის ბრძოლის დროს კი, არაგვის ხეობაში სამეფო ოჯახის გადასვლის ორგანიზება ევალება, რასაც ასევე წარმატებით ართმევს თავს.

ერეკლე მეორის სიკვდილის შემდეგ, ალექსანდრე ჩაება იმ დამღუპველ ბრძოლაში, რომელიც ბატონიშვილებს შორის ტახტის დაუფლების მიზნით გაჩაღდა. მას მერე, რაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა, ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის იმპერიის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ხალხის მთავარ მებაირახტრედ იქცა. საქართველოში მეფობის აღდგენის მიზნით, მან მონაწილეობა მიიღო ყველა აჯანყებაში, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებამდე მოეწყო. ამ ბრძოლაში ალექსანდრე ერეკლეს ძის ინტერესებს აშკარად ემთხვეოდა იმდროინდელი ირან-ოსმალეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესები, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი უმაგრებდა ზურგს. მაშინ, როდესაც ერთმორწმუნე მეფის რუსეთმა ჩვენი ქვეყნის სამეფო-სამთავროები გააუქმა, ჩვენი ქვეყნის ისტორიული მტერი — ირანის შაჰი, საქართველოს მეფედ აღიარებდა ალექსანდრეს და ქრისტიანულ მრწამსის უარყოფასაც არ მოითხოვდა მისგან. აქედან გამომდინარე, ალექსანდრე, როგორც ნებისმიერი, საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი, თვალს ხუჭავდა რელიგიურ ფაქტორსა და ისტორიულ მტრობაზე და ფიქრობდა, რომ ირანისა და ოსმალეთის თავისი სამშობლოს ინტერესებისთვის სასიკეთოდ გამოყენებას შეძლებდა. აი, რას წერდა ის თავად, ამასთან დაკავშირებით: „მე იქ *(ირანში. — ავტ.)* თავისუფალიცა ვარ და პატივიც შესაფერი ჩემი შთამომავლობისა მაქვს, მაშინებს კი მდგომარეობა ჩემი ძმებისა და დედოფლებისა, რომელნიც თქვენთან *(რუსეთში. — ავტ.)* არიან. ესენი *(სპარსელები. — ავტ.)* მუდმივი მტრები ყოფილან ჩვენი, მაგრამ მეფობის კვერთხი ჩვენგან არასოდეს მოუტაცნიათ“.

ამ მწარე სინამდვილის გამო, მას ირანში მოუხდა ცხოვრების უდიდესი ნაწილის გატარება. ცხადია, ნათლად ხედავდა, რომ სპარსელები მას საკუთარი ინტერესების გამო უფრთხილდებოდნენ, მაგრამ თავისი მიზნების მისაღწევად, ის იძულებული ხდებოდა, ირან-რუსეთის ომების მსვლელობისას ირანის მხარეს დამდგარიყო. ალექსანდრე, ირანის ჯარის ავანგარდით საქართველოს საზღვრებთან მოქმედებდა და თავგამოდებით, მეტ-ნაკლები წარმატებებით ებრძოდა რუსეთის არმიას.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილი თითქმის ყოველ წელს ცდილობს საქართველოს საზღვრებში შემოჭრას და ხალხის ამხედრებას იმპერიის ჯარების წინააღმდეგ.

მისი სახელოვანი ბიოგრაფიის ერთ-ერთი გამორჩეული ეპიზოდია 1812 წლის კახეთის აჯანყება. აგვისტოს ბოლოს, რამდენიმე ათეული კაცის თანხლებით ალექსანდრე შემოდის საქართველოში. უკვე 6 სექტემბერს თიანეთში იყო. მისი მეთაურობით კახეთისა და ქართლის მთიანეთში მოეწყო მძლავრი აჯანყება, რომელმაც რუსეთის იმპერიას მთელი ამიერკავკასიის დაკარგვის საფრთხე შეუქმნა. მის გარშემო მთელი ერი შეიკრა. დაიწყო აღტკინებული ბრძოლა ბაგრატიონთა ათასწლოვანი ტახტის აღდგენისა და დაკარგული ეროვნული მეობის დასაბრუნებლად. იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად გარკვეული ბატონიშვილი, სწორედ მაშინ ანთებს აჯანყების ცეცხლს, როდესაც ნაპოლეონი მოსკოვში შედის, ოსმალეთი ომის გაგრძელებას აპირებს, ხოლო სპარსეთი უკანასკნელ ძალებს იკრებს ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის ჯარების გასანადგურებლად. ბატონიშვილი იყენებს აგრეთვე ჩრდილოკავკასიელ მთიელებს. იგი მთის ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ბრძოლებში გამობრძმედილი ბატონიშვილი ხედავდა, რომ სახალხო რაზმებით იმპერიის რეგულარული ჯარის დამარცხება შეუძლებელი იყო, ამიტომ მან მტერს პარტიზანული ომი მოახვია თავს. ალექსანდრეს გეგმა ითვალისწინებდა ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელების ჩაკეტვას, რომ ამიერკავკასიაში მოქმედი რუსეთის ჯარის ნაწილები იზოლაციაში მოექციათ და ასე, უფრო ადვილად გამკლავებოდნენ.

აჯანყება რამდენიმე თვე გაგრძელდა. ბატონიშვილის პარტიზანული მანევრები დიდ ზარალს აყენებდა მტერს, თუმცა ჩრდილო კავკასიიდან დაძრულმა ბატალიონებმა მოღალატე ქართველი თავადის, გაბრიელ ყაზბეგის დახმარებით აღკვეთეს დამაკავშირებელი გზის გადაკეტვა. ასევე სამარცხვინოდ დამარცხდა ირანის ჯარი აბას-მირზას მეთაურობით. ალექსანდრე საკუთარი ძალების იმედზეღა დარჩა. წარმატებით დაწყებული ბრძოლის მიუხედავად, ზოგიერთი ქართველი თავადისა და დაღესტნელი მეომრის ღალატის გამო, ის 26 ნოემბერს, მანავის მახლობლად დამარცხდა. ბატონიშვილმა ხევსურეთისკენ დაიხია. ამის შემდეგ ბრძოლები ხევსურეთის მთებში გაგრძელდა. პატარა ხევსურეთის მოსახლეობის თავგანწირვის

მიუხედავად, რუსეთის ჯარმა 1813 წლის 3 ივნისს მოახერხა შატილის აღება. 600 ხევსურის თავგანწირვას უშედეგოდ არ ჩაუვლია: არტილერიის ცეცხლითა და რუსეთის ბატალიონებით გარშემორტყმულ პირიქითა ხევსურეთიდან მათ თავიანთი საყვარელი ბატონიშვილი — ერეკლე მეფის ძე, უვნებლად გაიყვანეს დაღესტანში, ანწუხის თემში.

ირან-რუსეთის ომი 1813 წელს ირანის არმიის სრული განადგურებით დამთავრდა. ირანმა ისღა მოახერხა, რომ გულისტანის ზავში (ზავი რუსეთსა და ირანს შორის) შეეტანა პუნქტი, რომლის ძალითაც რუსეთი ვალდებულებას იღებდა, უვნებლად გაეტარებინა დაღესტნიდან ირანამდე ალექსანდე ბაგრატიონი. თუცა ის დაღესტანში, ანწუხის თემში 1818 წლამდე დარჩა. საქმე ის იყო, რომ იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკური ბატალიები, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით კომპრომისის მიღწევისა და რუსეთის პროტექტორატით საქართველოში მეფობის აღდგენის იმედს აძლევდა ბატონიშვილს; ამის სანაცვლოდ, ის რუსეთს სთავაზობდა, გამოეყენებინა მისი ავტორიტეტი და საბრძოლო გამოცდილება ჩრდილოკავკასიელი ხალხების საბოლოოდ დასამორჩილებლად. სწორედ ამიტომ დარჩა ის დაღესტანში და შაჰის სურვილის საწინააღმდეგოდ, დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საიმპერიო კართან.

ალექსანდრეს ასეთი მოქმედება აბათილებს მოსაზრებას, თითქოს ის პროირანული ორიენტაციის მოღვაწე იყო. იგი მყარად იდგა იმ პოზიციაზე, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ნებისმიერი ძალისთვის შეიძლებოდა მიემართა, ამ წლებით დათარიღებული წერილებიდან კარგად ჩანს „უგვირგვინო მეფის“ — ალექსანდრე ბატონიშვილის დიდი დიპლომატიური გამჭრიახობა. სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებული ბატონიშვილი, მთავარმმართებლად ძალზედ ჭკვიანი პოლიტიკოსის და იმპერიის გამოჩენილი მსახურის — ერმოლოვის დანიშვნის შემდეგ წყვეტს ყოველგვარ დიალოგს იმპერიის კურიასთან, რადგან ეს ყოველგვარ აზრს კარგავს. ერმოლოვს საიდუმლო ინფორმაცია ჰქონდა, რომ ბატონიშვილი ირანში გადასვლას აპირებდა, ამიტომ მან ერთიორად გააძლიერა ყველა საგუშაგო, მაგრამ ალექსანდრე ყველაზე სახიფათო გზით — ქართლზე გავლით უვნებლად ჩავიდა ახალციხეში, იქიდან კი — ირანში. განრისხებულმა ერმოლოვმა ისღა მოახერხა, რომ რამდენიმე პოლიციის ჩინოვნიკი საპყრობილეში გამოკეტა.

1819-20 წლებში დასავლეთ საქართველოში მორიგი აჯანყება მოეწყო. ამბოხებულებმა მეფედ „ლეგენდარული ალექსანდრე ბატონიშვილი“ მოიწვიეს, მაგრამ მან ბრძოლებში მონაწილეობა ვერ მოახერხა, რადგან აჯანყება მალე ჩაახშეს.

აქტიური ბრძოლა ბატონიშვილმა 1826-27 წლების რუსეთ-ირანის ომის დროს განაახლა. ის კვლავ ირანის არმიით საქართველოს საზღვრებთან მოქმედებდა. თავრიზის აღების დროს კი, რუსეთის არმიას ხელში ჩაუვარდა ბატონიშვილის მეუღლე და ვაჟიშვილი ირაკლი. იმპერიამ მოითხოვა, რომ მას შეეწყვიტა ბრძოლა და რუსეთის იმპერიაში ეცხოვრა საკუთარ ოჯახთან ერთად. მაგრამ ბატონიშვილმა ეს ულტიმატუმი უარყო.

იგი იძულებულია თურქეთში გადავიდეს, სადაც 1828-29 წლებში გურიის სამთავროს უკანასკნელ წარმომადგენელს — დედოფალ სოფიოს ეხმარება სამთავროს აღდგენაში. 1832 წელს ირანში ალექსანდრეს დაუკავშირდა ეგვიპტის ფაშა, რომელმაც ყაზი-მოლასთან შუამავლობა და კავკასიის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება სთხოვა, რასაც დიდი გულისყურით მოეკიდა ბატონიშვილი. პარალელურად ის უკავშირდება ქართველ თავადებს — ალექსანდრე ორბელიანსა და სხვებს, რომლებიც ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ და ბატონიშვილის დიდი ავტორიტეტით ცდილობდნენ ხალხის დარაზმვას. თავად ალექსანდრეს კი, რომელსაც წარმატების შემთხვევაში მეფედ კურთხევას უპირებდნენ, სთხოვეს — ირანში მყოფი ინგლისელი და სხვა ევროპელი დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთათვის, რომლებთანაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდა, ეთხოვა დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

მაგრამ, შეთქმულება გამჟღავნდა და თბილისში მისი ყველა მონაწილე დააპატიმრეს. ამის შემდეგ, ალექსანდრეს ოცნება, რომ აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, სრულიად უპერსპექტივო გახდა. მიუხედავად ამისა, ის სიცოცხლის ბოლომდე არ დათანხმდა საძულველი იმპერიის ქვეშევრდომობას.

საგანგებოდ აღსანიშნავია ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფა ირანში. ის ერთერთი მიღებული პიროვნება იყო შაჰის კარზე. მაგრამ უიღბლობა იქაც ეწია: მისი მეგობრის, შაჰის ძის, აბას-მირზას გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მამულები, რომელიც ირანში უბოძეს, კრედიტორების ხელში გადავიდა, სიცოცხლის ბოლოს კი, შაჰის უკანასკნელი წყალობა — პენსიაც კი შეუწყვიტეს. მისი გულის, რომელიც „სალი კლდისა ნაპრალს დამსგავსებია“, ერთადერთი სიამოვნება „უძვირფასესი და უსანატრელესი“ შვილის წერილები იყო: „... შემდგომად ამისა, თქუენის ხელით მოწერილმან წერილმან, — წერდა ალექსანდრე შვილს, ირაკლის, — ფრიად გვასიამოვნა. ასე რომ მწუხარება ჩვენი განაქარნა და ჩუენთვის დაუფასებელმან პატრეომან თქუენმან გაგვაჭაბუკა და მიგვცა მხიარულებას“.

1844 წელს, ალექსანდრემ თეირანში უკიდურეს სიღარიბეში დალია სული. მან რუსეთის ჩინ-მედლებს, ძვირფას სასახლეებში ცხოვრებასა და ამავდროულად მონობას, „თავისუფლების ძებნაში სიკვდილი“ არჩია. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოახერხა მიზნის მიღწევა, მისი ბრძოლები და მოღვაწეობა ერთ-ერთი ნათელი წერტილია ჩვენი ქვეყნის ისტორიისა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ხალხის რჩეული იყო. მასზე მრავალი ლექსი და ლეგენდა შეითხზა. არსებობს ვერსიაც, რომლის თანახმად ალექსანდრე შამილის მამა იყო. ამ მოსაზრების შესახებ თვით შამილსაც სცოდნია, რომელსაც 1856 წელს, კახეთზე ლაშქრობის წინ უხსენებია კიდეც. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ კავკასიელ ხალხთა ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის შამილის წინამორბედი ალექსანდრე ერეკლეს ძე იყო.

სადღეისოდ, ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის შესახებაც კი მწირი ინფორმაცია არსებობს. იგი სომხური ეკლესიის გალავნის წინაა დაკრძალული (რადგან თეირანში ქართული ეკლესია არ იყო. — ავტ.). თუმცა ქვა, რომელიც საფლავის ზუსტ ადგილმდებარეობას განსაზღვრავს, აღარ არსებობს. ამის დადგენა საშუალებას მოგვცემდა ქართველებს, სამშობლოსთვის თავდადებული ბატონიშვილის საფლავისთვის მაინც მიგვეგო სათანადო პატივი, თუ მისი ანდერძის — მამის გვერდით მისთვის ადგილის მიჩენის — აღსრულებას ვერ მოვახერხებდით...

■

ᲓᲐᲗᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲘᲥᲣᲚᲓᲐ

ᲓᲐᲗᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲓᲘᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲤᲝᲠᲛᲔᲑᲔᲚ, ᲒᲔᲚᲐ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

თეატრალურმა სარდაფმა დათო ევგენიძეს უმასპინძლა. დათომ ახალი დისკი – „ჰოროსკოპი“ წარმოგვიდგინა. ის სამი თვის წინ პარიზში გამოვიდა. მასზე ჩაწერილია 12 კომპოზიცია, რომელიც ზოდიაქოს ნიშნებს ესადაგება.

საღამოს უმეტესად, ჟურნალისტები ესწრებოდნენ. მათ შორის დავით კიკალიშვილიც ვიხილეთ, რომელიც საკმაოდ ჩააფიქრა ევგენიძის კომპოზიციებმა. რამდენიმე წუთით მაია ჯაბუა გამოჩნდა. სარდაფს დუტა სხირტლაძეც ესტუმრა. როცა შენიშნა, ფოტოკორესპონდენტები და ტელეოპერატორები მისკენ შეტრიალდნენ, ჩვეული იუმორით შეუდგა პოზირებას...

დათო ძალიან ნერვიულობდა. ხან სცენაზე იჯდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ხანაც ბართან ბოლთას სცემდა. ყოველი კომპოზიციის დაწყებისას აუდიტორიას ახსენებდა, თუ რომელი ზოდიაქოს ნიშნის შესაბამისი კომპოზიცია ჟღერდა.

ამ მართლაცდა არაჩვეულებრივი მუსიკით აღფრთოვანებულს, რამდენიმე კითხვა გამიჩნდა:

— დათო, როგორ ქმნიდი ამ კომპოზიციებს? ასტროლოგიას სწავლობდი?

— მე დიდი ხანია ვკითხულობ ასტროლოგიურ ლიტერატურას, მაგრამ არა იმ ყვითელ წიგნებს, სადაც წერენ, როგორ უნდა მოიქცე სამსახურში და როგორ უნდა დაბა ქალი... ეს უდიდესი მეცნიერებაა. შტაინერსაც კი აქვს ზოდიაქური სახელებით 12 ეპიზოდად დაყოფილი ახალი აღთქმა. ყველანაირი რელიგიაა დაკავშირებული კოსმოსთან. მართალია, დოგმატური რელიგია არ იღებს ამას, მაგრამ მეცნიერულ დონეზე ბევრი სამუშაოა ჩატარებული. მე რომ დავიბადე, ვარსკვლავები ერთ კონკრეტულ მდგომარეობაში იყვნენ. ყოველ ორ დეკემბერს ისინი დაახლოებით იმავე მდგომარეობაში არიან (მე მშვილდოსანი ვარ). ხომ არსებობს გრაფიკული, სიტყვიერი და ინფორმაციული ზოდიაქოები. მე მინდოდა მუსიკალური, გრძნობიერი ზოდიაქოები შემექმნა.

— აქამდე თუ ჰქონია ვინმეს მსგავსი მცდელობა?

— „წელიწადის დროები“ დაწერა ჩაიკოვსკიმ, მაგრამ ეს იყო სეზონები: შემოდგომა, გაზაფხული და ა.შ. მე უფრო ღრმად წავედი. თითოეულ ზოდიაქოს თავისი მეტალი, თავისი ფერი აქვს. სანამ ცალკეულ ნაწარმოებს დავწერდი, ეს გრაფიკა ფურცელზე მქონდა გადატანილი, ვუყურებდი და ისე ვმუშაობდი. ძალიან ბევრი ლიტერატურა წავიკითხე, სანამ ამას გავაკეთებდი. თუმცა, ამით არ დამთავრებულა ჩემი ზოდიაქური ძიებები...

— წარმატებებს გისურვებთ.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝ ᲢᲣᲠᲜᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

მას შემდეგ, რაც მამუკა ონაშვილმა Five lines production-თან გააფორმა კონტრაქტი, დაიგეგმა მისი ტურნე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ის მოივლის რუსთავს, მცხეთას, საგარეჯოს, თელავს, წნორსა და სხვა ქალაქებსა და რაიონებს. მამუკასთან ერთად კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ: ჯგუფი „ისინი“ და გოგონების ახალჩამოყალიბებული ჯგუფი Five lines. მომღერალი აპირებს ასევე, დაეხმაროს დამწყებ შემსრულებლებსა და ჯგუფებს, როგორც მას თავის დროზე მხარში დაუდგნენ მერაბ სეფაშვილი, გია მაჭარაშვილი და სხვები.

ტურნე დაიწყება 10 ოქტომბრიდან, მანამდე მამუკამ რამდენიმე შოუში მიიღო მონაწილეობა – მათ შორის „ბასტიბუბუს“ კონცერტში, სადაც „ნახევარქათამას სიმღერა“ შეასრულა.

ტურნეს დასრულებისთვის შეიქმნება მამუკას ალბომი და დაიწყება მზადება სოლო კონცერტისთვის.

განხეთქილება ჯგუფში „ისინი“

ჯგუფი „ისინი“ სულ რაღაც ნახევარი წლის წინ ჩამოყალიბდა. სიმღერები: „რას შობი და“, „ძიდი, მალე გაიხადე“ და „ისინი“ ამ ჯგუფის სავიზიტო ბარათი გახდა, სიმღერაზე „ისინი“ კი, კლიპიც გადაიღეს, რომლის რეჟისორია კახა ეფრემიძე. სამწუხაროდ, ხანმოკლე ბიოგრაფიის მიუხედავად, ჯგუფში განხეთქილება მოხდა – ხუთეულს ერთი მონაწილე – გიორგი სოლუღაშვილი გამოეყო და ჯგუფიდან წასვლა გადაწყვიტა. „ისინი“ კი, მის ნაცვლად, დიმა აბზიანიძეს მიიწვევენ, რომელიც ადრე დათო ფორჩხიძესთან ერთად მუშაობდა. ■

სარდათში ელიფა მილწსიტყვაობით ხალისობდა

თეატრალურ სარდაფში ახალგაზრდა რეჟისორის, გოგა ჭყონიას ლიტერატურული საღამო გაიმართა. გოგა თავის პირველი კრებულით – Репетиция, смерть и сон წარდგა აუდიტორიის წინაშე. საღამოს გია ჯოხაძე უძღვებოდა.

გოგა ჭყონია ქართველია, საქართველოში ცხოვრობს, მაგრამ დაიბადა და წლები გაატარა მოსკოვში, ამიტომ მისთვის რუსული წინა პლანზე წამოიწია და ამ ენაზე წერს.

რადგან გოგამ გადაწყვიტა, რომ ეს საღამო მხოლოდ მას არ ეკუთვნოდა, ლექსებს ჩვენთვის კარგად ცნობილი პოეტებიც კითხულობდნენ. პირველი, ნიკო გომელაური გახლდათ, რომელიც ძალიან ჩქარობდა. ის სონეტებში შექსპირს გაეჯიბრა და ყველა ლექსში რატომღაც, მზეს ედავებოდა. ბოლოს უკვე კარგად ნაცნობი ლექსი – „ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა“ წაგვიკითხა და გაუჩინარდა. შემდეგი გამომსვლელი კოტე ყუბანეიშვილი იყო. ამ ბოლო დროს, ანეკდოტების წერას მივეჩვიეო, – გამოგვიცხადა მან. „ჩვეულებისამებრ, საკმაოდ „ხულიგნური“ ლექსები შემოგვთავაზა. საღამოს პოეტურმა განწყობამ ეტყობა წამყვანსაც გაუღვიძა „მადა“ – მუზა მოუვიდა და ლექსი – „კონიაკის წრუპვა ერთად ყოფნის მეექვსე წელს“ წაგვიკითხა, რომელიც თავის დროზე, მეულლეს მიუძღვნა. ჩვენი სასიქადულო პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი, მისთვის უჩვეულო ამპლუაში ვიხილეთ. ამჯერად ის ახალგაზრდა პოეტებს ჰბაძავდა და ბილწსიტყვა სტრიქონების წაკითხვასაც არ მოერიდა. ჩვენ მაინც თავს შევიკავებთ და მხოლოდ ორ უწყინარ ექსპრომტს შემოგთავაზებთ.

„ვაუმარ ჯოს ევას,
ადამ რომ ევას“.
„ჩვენთან სტალინი ოსია,
პუტინი კიდევ – ქართველი“.

ჯანსულ ჩარკვიანი: – ასეთი ლექსები სერიოზულ აუდიტორიაში რომ წავიკითხო, გადმომიღებენ და მცემენ. მთავარი ის არის, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა. ხუმრობას – ხუმრობა, შაყირს – შაყირი, სერიოზულს – სერიოზული. ნახეთ, როგორ გაუხარდათ ჩემი ახალი ლექსები? აქ მე ძალიან ხშირად ვივლი. ასეთი ლექსი უამრავი მაქვს. მოვალ და წავიკითხავ.

ჩვენდა გასაოცრად, ამ საღამოზე კომპანია „არტ-იმედის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ნინო ცაგარელიც ვიხილეთ. აღმოჩნდა, რომ ნინო, გოგა ჭყონიას მეგობარი ყოფილა და საკმაოდ კარგად იცნობდა მის ლექსებსაც და სიმღერებსაც.

რუსა მორჩილაძე: – მე არა ვარ სარდაფის ხშირი სტუმარი. ჩემი მარშრუტი სულ სხვა მისამართით – საკონცერტო დარბაზებისკენ და სტუდიებისკენ მიდის. მაგრამ დღეს ემოციებით დავიტვირთე. გოგა ჩემთვის ძალიან ახლობელია და მიხარია, რომ მისი ლექსების პრეზენტაციამ კარგად ჩაიარა. თუმცა, როცა გადამეტებული ბილწსიტყვაობაა, აღარ ვიცი, რა ჰქვია ამას. ეს ჩემს ყურს არ სიამოვნებს, მაგრამ თუ ეს ყველაფერი „ლაითურია“ და ყურს არ ჭრის, შეიძლება მიიღო.

მამუკა არეშიძე: – აქამდე უცხო იყო გოგა, როგორც პოეტი, მაგრამ როგორც რეჟისორს, ოპერატორს, მეგობარს და სხვა ღირსებების მქონე კაცს, უკვე იცნობდა საზოგადოება. ეტყობა, მისი ცხოვრება ახალ სტადიაში შედის, რამაც ის აიძულა, მობილიზებული ყოფილიყო პოეზიის თვალსაზრისით. ის წიგნი, რომელიც დღეს ჩვენს საშჯავროზე გამოვიდა, მიწმობს, რომ გოგა, ყველაფერთან ერთად, კარგი პოეტიც ყოფილა.



გია ჯოხაძე: – გოგას ლექსების დიდი ნაწილი ჩემ თვალწინ ითხზვებოდა. საზოგადოებას მინდა შევატყობინო, რომ კიდევ ერთი ნიჭიერი და უსაზღვროდ განათლებული ადამიანი წარდგა მის წინაშე და არცთუ ხელცარიელი: წიგნით, ლექსებით, ესკიზებით, თარგმანებით. ბევრი რამ კიდევ ვერ შევიდა ამ წიგნში. გოგას სპეციალობა არის რეჟისურა: გადაცემები მზადდება, ჰეპელასავით წუთიერი სიცოცხლით ცოცხლობს. მერე მიფრინავს ან კვდება... პოეზია რჩება. ეს წიგნი სწორედ ამ პრეტენზიითაა შექმნილი.

— ქართველი პოეტების ბილწსიტყვაობაზე რას იტყვით?

— ეს მათ არ დაუწყიათ. ეს მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი ტალღა გახლავთ – სკაბრეზული ლიტერატურა, სადაც ისე ამბობენ სათქმელს, როგორც სურთ. მე თვითონ არასოდეს დამიწერია ასეთი ლექსი, თუმცა, მაინცდამაინც ასკეტურად არ ვცხოვრობ – ალბათ მაინც კარგია, როგორც გსურს და რაც გსურს, იმას რომ ამბობ. ხომ ხედავთ – ამას ჰყავს თავისი აუდიტორია და მკითხველი.

— თქვენი კრებული როდის გამოვა?

— ჯერჯერობით, ყველასათვის ნაცნობი მიზეზების (უსახსრობის) გამო ვერ ხერხდება. თან ახლა ინტენსიურად ვთარგმნი რუს ნობელიანტ პოეტს იოსიფ ბროდსკის. ■

მოამგადა ნინო მჭედლიშვილმა

ᲑᲝᲜᲝ — ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ

„როიტერის“ სააგენტო იტყობინება, რომ ირლანდიური ჯგუფის U2-ის ლიდერი — ბონო (ნამდვილი სახელია პოლ ჰიუსონი) ყველაზე გავლენიან მუსიკოსთა სიას სათავეში მოექცა. რეიტინგი, რომელიც ბრიტანეთის სამუსიკო ჟურნალ Q-ში გამოქვეყნდა, მუსიკალური ინდუსტრიის ყველაზე ცნობილ მოღვაწეთა გამოკითხვის საფუძველზეა შედგენილი. ბონომ პირველი ადგილი დაიკავა არა მარტო სიმღერებით, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც. იგი ხშირად ხვდება ხოლმე პოლიტიკოსებს და კაცობრიობისათვის მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით, საკუთარი აზრის გამოთქმასაც არ ერიდება. ერთხელ U2-ის ლიდერმა, რომის პაპთან, იოანე-პავლე

მეორესთან შეხვედრაც მოახერხა. ჟურნალ Time-ის ერთ-ერთი ნომრის გარეკანს კი ასეთი წარწერა ამკობდა: „შეძლებს თუ არა ბონო მსოფლიოს გადარჩენას?“

მეორე ადგილი უმსხვილესი ხმის ჩამწერი სტუდიის — Universal-ის ხელმძღვანელმა, დაგ მორისმა დაიკავა. მესამეზე თეთრკანიანი რეპერი, ემინემი აღმოჩნდა, რომელიც საკუთარი სიმღერების ტექსტების წყალობით მიიჩნიეს გავლენიანად.

პირველ ათეულში ასევე შევიდნენ ამერიკული კორპორაცია Clear Channel-ის დამაარსებელი, ლოური მეისი; ჯგუფ „ნირვანას“ აწ გარდაცვლილი ლიდერი, კურტ კობეინი; სერ პოლ მაკარტნი; ჯონ ლენონის ქვრივი — იოკო ონო და პოპ-ჯგუფ Spice Girls-ის შემქმნელი, პროდიუსერი — საიმონ ფულერი.

ბონომ ყველაზე გავლენიანი მუსიკოსის სახელის გარდა, გასული წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოღვაწის სახელიც დაიმკვიდრა. ჟურნალ Rolling Stone-ში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მან შარშან U2-თან ერთად, 62 მილიონ დოლარამდე გამოიმუშავა. ■

ᲒᲕᲘᲜᲔᲗ ᲰᲔᲚᲢᲠᲝᲣᲡ ᲛᲐᲛᲐ, ᲑᲠᲘᲣᲡ ᲰᲔᲚᲢᲠᲝᲣ, ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ, 58 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐ ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘᲓᲐᲜ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲠᲝᲛᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲠᲘᲣᲡᲘ ᲧᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲑᲝᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲛᲐ-ᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲜᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲰᲭᲝᲜᲓᲐ. 2000 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲤᲘᲚᲛᲖᲔ — Duets, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲙᲐᲠᲐᲝᲙᲔᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲨᲝᲣᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡᲐᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲘᲝᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲛᲘᲡᲘ — „ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ“: „ᲛᲐᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲐᲠ ᲕᲣᲧᲕᲐᲠᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲛᲔ ᲣᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲛᲧᲐᲕᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲝᲢᲐᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲓᲘ. ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘ ᲡᲬᲝᲠᲘᲐᲠᲘ“.

■

ᲒᲘᲛᲡᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ „ᲛᲝᲡᲐᲚᲘᲡᲔ“



მელ გიბსონის ახალ ფილმში მასობრივ სცენებში მონაწილეობაზე 5 ათასი ადამიანი დათანხმდა. რომაელი ჯარისკაცების როლის შემსრულებელთა შერჩევა იტალიის ქალაქ მატერაში მიმდინარეობს. მასობრივი სცენების ყოველი მონაწილე, 50 დოლარს მიიღებს. გიბსონის სურათი The Passion („ვნება“) მაცხოვრის ცხოვრების ბოლო 12 საათის შესახებ მოგვითხრობს. ფილმს ლათინურ და არამეულ ენებზე გაახმოვანებენ სუბტიტრების გარეშე. მთავარ როლს ჯიმ კევიზელი განასახიერებს.

„ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, პირისპირ მეხილა მელ გიბსონი და მის ფილმში მეთამაშა, თუნდაც სულ რამდენიმე წამი“, — განაცხადა 60 წლის ადგილობრივმა მცხოვრებმა კასტინგის დროს.

თავისი სარეჟისორო კარიერის მანძილზე, მელ გიბსონმა ორი ფილმი გადაიღო: 1993 წელს — „ადამიანი სახის გარეშე“ და 1995 წელს — „მამაცი გული“. ■

ᲞᲐᲛᲔᲚᲐ ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲝᲜᲘ ᲢᲝᲛᲘ ᲚᲘᲡ ᲩᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

სასამართლო განიხილავს მსახიობ პამელა ანდერსონისა და როკ-მუსიკოსის ტომი ლის ორი ვაჟიშვილის — ექვსი წლის ბრენდონისა და ოთხი წლის დილანის მეურვეობის საკითხს. ანდერსონმა სასამართლოში სარჩელი, ჯერ კიდევ შარშან შეიტანა და მშობლის უფლებების მხოლოდ მისთვის მინიჭება მოითხოვა, რადგან მისი ყოფილი ქმარი „ძალიან ბოროტი და თავშეუკავებელი ადამიანია, რომელიც გარშემომყოფებს საფრთხეს უქმნის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ნასვამია“. ლიმ თავის გასამართლებლად სასამართლოს განუცხადა, რომ იგი უკვე ორი წელია სასმელს აღარ ეკარება და ვაჟიშვილების მეურვეობის საკითხის გადაწყვეტა ორივე მშობლისთვის თანაბარი უფლებებით მოითხოვა.

ტომისა და პამელას ადვოკატებმა განაცხადეს, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით, კლიენტებმა ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს შეთანხმება. ვარაუდობენ, რომ ამ დღეებში ადვოკატები მიღწეული შეთანხმების შესახებ სასამართლო პროცესზეც განაცხადებენ. ■

პეაიფერის აღსარება

მსახიობმა მიშელ პფაიფერმა ათი წლის შემდეგ განაცხადა: იმისათვის, რომ ჩემს გოგონას (კლოდია, პფაიფერის აყვანილი შვილია) დედობრივი მზრუნველობა არ მოჰკლებოდა, ორ, ძალზედ მომგებიან პროექტში („ძირითადი ინსტინქტი“ და „კრავთა დუმილი“) მონაწილეობაზე ვთქვი უარიო. მოგვიანებით კი, როცა თავადაც დაორსულდა, მეშვიდე თვეში მყოფი მსახიობი, ფილმ „ევიტას“ სინჯებში მონაწილეობდა. ამ სურათში მთავარი როლის შესრულება მისი სანუკვარი ოცნება გახლდათ. მას ფილმში უნდა ეთამაშა და ემღერა კიდეც, მაგრამ სიმღერის – „ნუ სტირი ჩემთვის, არგენტინავ!“ ჩაწერისას პფაიფერმა იგრძნო, რომ მუცელში მყოფ მის პაწიას დედის სიმღერა არ ესიამოვნა: მომეჩვენა, რომ პირველივე ნოტის აღებაზე – „არრრგ!“ – ბავშვი მუცელში მოუსვენრად ამოძრავდა“. საბოლოოდ, ეს როლი მადონას ხვდა წილად, მიშელმა კი ბიჭუნა გააჩინა. ჯონი ახლა 8 წლისაა. ■

ანა ნიკოლ სმიტი ასაულ ქმარს ეძებს

„ფლეიბოის“ ექსვარსკვლავმა, ანა ნიკოლ სმიტმა, ახალი პარტნიორის საპოვნელად საქორწინო სააგენტოს მიმართა. ყოფილი სტრიპტიზიორი აცხადებს, რომ მისი 90 წლის მილიარდერი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, შესაფერისი მამაკაცის პოვნის იმედი თითქმის გადაეწურა.

„ბი-ბი-სი“-სათვის მიცემულ ინტერვიუში სმიტმა თქვა, რომ სააგენტოში განცხადების შეტანის შემდეგ, მას ერთი ახალგაზრდა კაცი დაუკავშირდა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ: „იგი კარგი ადამიანია. რომელიღაც კომპანიაში მუშაობს თუ მისი მფლობელია, არ მახსოვს; მან თავისი ფირმის წარმოების, საცურაო კოსტიუმების მთელი შეკვრა მომიტანა; აშკარაა, მან კარგად იცოდა, თუ რა ზომის სამოსს ვატარებ, რადგან ყველა კოსტიუმი ჩემთვის იყო ზედგამოჭრილი“.

შეგახსენებთ, რომ სმიტმა თავისი ყოფილი ქმარი იმ სტრიპტიზ-კლუბში გაიცნო, სადაც თავად ცეკვავდა. იგი გათხოვებისას 26 წლის იყო, მეუღლე კი, ტეხასელი ნავთობის მაგნატი, ჯეი ჰოვარდ მარშალი 89 წლის გახლდათ. ქორწინებიდან 14 თვის შემდეგ, მარშალი გარდაიცვალა. სმიტის სახელი ანდერძში მოხსენიებული არ იყო... მას სასამართლოს მეშვეობით მოუხდა იმის მტკიცება, რომ ანდერძი გაყალბებული იყო. ხანგრძლივი სასამართლო პროცესის შედეგად, სმიტმა 88 მილიონი დოლარი მიიღო, მაგრამ ამით ფრიად უკმაყოფილო დარჩა. ამჟამად კვლავ სასამართლოში აქვს შეტანილი სარჩელი და დამატებით, 30 მილიონს მოითხოვს. ■

მადონას სიმღერა მოჰპარეს

მადონა განაგრძობს მუშაობას აგენტ 007-ისადმი მიძღვნილ, საიუბილეო ფილმის („მოკვდეთ, მაგრამ არა ახლა“) სიმღერაზე. სიმღერის პრემიერა 10 ოქტომბერს უნდა შემდგარიყო, მაგრამ კომპოზიცია ამერიკული რადიოსადგურების ეთერში უკვე კარგა ხანია ჟღერს. ამ ფაქტმა თავად მომღერალი ძალზე გააკვირვა. სავარაუდოა, რომ სიმღერა სტუდიიდან მოიპარეს.

ამ ფილმისთვის მადონას მხოლოდ სიმღერა არ ჩაუწერია – მან ფილმის ეპიზოდებშიც მიიღო მონაწილეობა და ფარიკაობის ინსტრუქტორის როლი განასახიერა. საუნდტრეკის რელიზი 12 ნოემბრისთვისაა დაგეგმილი. ■

მსოფლიოს ულამაზესი მამაკაცი ცოლმა მიატოვა

თითქმის მთელი მსოფლიოს ქალების საყვარელი მსახიობი, ალენ დელონი ცოლმა მიატოვა. როზალი ვან ბრემენი თავის ორ შვილთან ერთად ჰოლანდიაში გაემგზავრა. ამის შესახებ „გზის“ წინა ნომერში უკვე მოგაწოდეთ ინფორმაცია, მაგრამ თავდაპირველად, ლეგენდარული მსახიობი ამ თემაზე კომენტარისაგან თავს იკავებდა და მხოლოდ ამ დღეებში ალაპარაკდა.

„ერთად გატარებული 15 წელი, ორი ბავშვი. ქალიშვილი, 55 წლის რომ ვიყავი, მაშინ შემეძინა, ვაჟი – 59 წლის ასაკში. მე ამაზე მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი. ჩემი ცხოვრების არსს სწორედ ისინი წარმოადგენენ. და აი, ყველაფერი გაქრა, კვამლივით გაიფანტა...“ – ამბობს დელონი. მისი ვარაუდით, გაყრის მიზეზი ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს. „მე და ჩემი ცოლი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ვართ – 32 წელი გვაშორებს ერთმანეთს. 20 წლის როზალიმ თავისი საუკეთესო წლები მე მომიძღვნა. ახლა კი დაკარგულის ანაზღაურება სურს, – ამბობს 66 წლის მსახიობი. – ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, საკუთარ თავს ვეკითხები – არიან კი მამაკაცები შექმნილნი იმისათვის, რომ ქალებთან ერთად იცხოვრონ? მე დღემდე არ მესმის მათი და ალბათ ისე მოკვდები, რომ ვერც გავუგებ. უმჯობესია, იცხოვრო არა მათთან ერთად, არამედ მათ გვერდით“, – განაცხადა განაწყენებულმა დელონმა.

საზოგადოებაში ერთად ყოფნისას, მეუღლეები ბედნიერი წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ როზალი მანამდეც წასულა შინიდან. კერძოდ, როცა დელონი ფილმის – „ერთი შანსი ორისათვის“ გადაღებებზე იმყოფებოდა. მსახიობს ეს ამბავი, მობილური ტელეფონით, პირდაპირ გადასაღებ მოედანზე შეატყობინეს და გარშემომყოფთა თვალწინ, მსოფლიოს ულამაზეს მამაკაცს ისტერიკა დაემართა.

შინიდან როზალის წასვლის ნამდვილი მიზეზი მაშინ ვერავინ დაადგინა. გავრცელებული ხმების თანახმად, მსახიობის მეუღლემ ქმრის მიერ თავს მოხვეულ ცხოვრების წესს ველარ გაუძლო, რომელიც მისგან მხოლოდ საოჯახო საქმიანობით შემოფარგვლას მოითხოვდა. ყოფილი მანეკენისათვის კი ცხოვრების ასეთი წესი აუტანელი აღმოჩნდა. ■

რუბრიკა მოამზადა ნანა ცომაიამ

როგორ შევარჩიოთ ხარისხიანი შამპუნი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

შამპუნის ძირითადი დანიშნულება თავის კანიდან და თმიდან ჭუჭყის მოშორებაა. შამპუნების მთავარი კომპონენტი კი ქიმიური სარეცხი ნივთიერებები — დეტერგენტებია. მყიდველთა უმრავლესობისთვის გარეკანზე აღნიშნული სამეცნიერო ტერმინები „ჩინურს" წარმოადგენს, მაგრამ ყურადღებით მისი წაკითხვა აზრს მოკლებული ნამდვილად არ არის. არსებობს დეტერგენტთა რამდენიმე სახეობა და შესაძლებელია მათი განლაგება ხარისხის ზრდის მიხედვით: ამონიუმის ლაურილ სულფატი — ამონიუმის ლაურეტ სულფატი — ნატრიუმის ლაურილ სულფატი — ნატრიუმის ლაურეტ სულფატი — ტეა ლაურილ სულფატი — ტეა ლაურეტ სულფატი. ამ სიის პირველი დეტერგენტები იაფფასიან შამპუნებში, უფრო ხშირად კი, საბაზანო ქაფებსა და საშხაპე ჟელეებში შედის, ხოლო ბოლო სამს, მხოლოდ საუკეთესო ხარისხის შამპუნებში იყენებენ.



თმის მოცულობის გაზრდა, მტვრისადმის მისი მდგრადობის გაძლიერება, თმის გამაგრება, აღდგენა და კვება, ამა თუ იმ შამპუნით მართლაც შესაძლებელია, მაგრამ — მხოლოდ მაშინ, როცა საუბარია მაღალხარისხიან შამპუნზე. იმისათვის, რათა ცრუ რეკლამაზე არ წამოეგოთ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. შამპუნის თვისებები მის შემადგენლობაზეა დამოკიდებული. ამიტომ ვიდრე მოწონებულ ფლაკონში ფულს გადაიხდით, ყურადღებით წაიკითხეთ, თუ ზემოაღნიშნული დეტერგენტებიდან რომელს შეიცავს იგი.

2. შამპუნის „ნატურალურობა" და „ორგანულობა", თუ ის ხარისხიანი პროდუქციის მწარმოებელი ფირმის პროდუქტს წარმოადგენს, მითი არ გახლავთ. ბალახების, ხილის, ვიტამინებისა და სხვა ნატურალური ინგრედიენტების გამწმენდი თვისებები მართლაც კარგი და სასარგებლოა. ცნობილი ფირმები თავიანთ პროდუქციაში ხარისხიან ექსტრაქტებს იყენებენ.

3. რაც შეეხება თმის გამაგრებას, აღდგენასა და კვებას — შამპუნი შეიძლება



შეიცავდეს ასეთი მოქმედების მქონე ნივთიერებებს. თუ შამპუნი თმის ზედაპირზე გარკვეული დროით გაჩერდება, ეს ნივთიერებები აღწევს თავის კანის ფორებში თმის ბოლქვებამდე და არეგულირებს მათ მუშაობას. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, ქაფი თმიდან მაშინვე არ უნდა ჩამოიბანოთ.

4. შამპუნის სიბლანტე და მისი სადაფისებური შესახედაობა მასზე ისეთი ნივთიერებების დამატებით მიიღწევა, რომელიც გავლენას არ ახდენს თმის მდგომარეობაზე.

5. შამპუნის გამწმენდი თვისებები ქაფის მოცულობაზე არ არის დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ლამაზ ქაფში ბანაობა ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მისგან სარგებელი არაფერია.

იმის გამოცნობა, მოუხდება თუ არა შამპუნი თქვენს თმას, ეტიკეტით შეუძლებელია, მაგრამ შედეგის პროგნოზირება კი

სურდო — ყურების მტერი

სასმენი მილი, რომელიც შუა ყურს ცხვირ-ხაჩასთან აერთებს, პატარებში უფრო მოკლე და განიერია, ვიდრე დიდებში, ამიტომ ინფექცია ადვილად გადადის ცხვირხახიდან ყურში. ამასთან, 3 წლამდე ბავშვებში დაუმთავრებელია ლორწოვანი გარსის დაცვითი ფუნქციის ფორმირება. ყურების ყველაზე დიდი მტერი სურდოა. ბევრი მშობელი მას არასერიოზულად უდგება და ჰგონია, რომ თავისთავად გაივლის. სინამდვილეში, განუკურნებელი სურდო ორგანიზმისთვის ინფექციის კერას წარმოადგენს. კიდევ ერთი მტერია ადენოიდების ანთება. გადიდებული ჯირკვლები ახშობს სასმენი მილის შესასვლელს და არღვევს მათ გამავალობას, რაც ასევე ხელს უწყობს შუა ყურის ანთების განვითარებას.

მატყუარა ტკივილი

ზოგჯერ ოტიტის (ყურის ანთების) დროს ტკივილი მხოლოდ ორი დღე გრძელდება ხოლმე, ხოლო ანთება — ორ კვირამდე, ამიტომ მხოლოდ ტკივილზე ორიენტირება, დიდი შეცდომაა: ანთებას შეიძლება მოჰყვეს დაჩირქებითი პროცესი, შეხორცებები წარმოიქმნას დაფის აპკში ან დაქვეითდეს სმენა. ამიტომ, მწვავე ოტიტს აქტიურად უნდა ვუმკურნალოთ, რათა ანთება მთლიანად ჩაქრეს. შემდგომი ორი თვის განმავლობაში, ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ პატარა არ გაცივდეს, არ დაიტვირთოს ზედმეტად ფიზიკურად, არ შეხვდეს ახალი ინფექცია.

ზოგჯერ ოტიტი იმდენად მძიმედ მიმდინარეობს, რომ დაფის აპკი ჩირქის წნევის ზემოქმედებით სკდება. ეს ხვრელი მკურნალობის შემდგომაც რჩება ხოლმე და ინფექციის შეღწევის დამატებით წყაროს წარმოადგენს. ამიტომ ბავშვი, რომელმაც ოტიტი გადაიტანა, 1 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ უნდა გაუფრთხილდეს ყურებს. მისთვის არ შეიძლება ზღვაში ან აუზში ბანაობა, მით უმეტეს, ჩაყვინთვა. ■

შეიძლება, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

● შეარჩიეთ ცნობილი მწარმოებლების პროდუქცია. მათი მისამართი აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გარეკანზე.

● ყურადღება მიაქციეთ მთავარ დეტერგენტს: თუ ის იაფფასიანია, მაშინ იმის შანსი, რომ თქვენი თმა მტვრევადი და მშრალი გახდება, საკმაოდ დიდია. არავითარ შემთხვევაში არ დაიბანოთ თავი ასეთი შამპუნით ყოველდღე.

● თვალყური ადევნეთ სიახლეებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ახალი შამპუნი თქვენს თმას ძველზე უფრო მეტად მოუხდეს.

თმა რომ ყოველთვის ლამაზად გამოიყურებოდეს:

● შეარჩიეთ რბილი, ნატურალური მასალისგან დამზადებული ჯაგრისი თმისთვის.

● თმის შესაკრავად რბილი ქსოვილის რეზინები გამოიყენეთ.

● ყოველი სეზონის დადგომისას, შელებვისას ან ქიმიური დახვევისას, აგრეთვე ჭაღარის გაჩენისას, ყურადღებით მოეკიდეთ თმის მდგომარეობას.

● ხშირი გაკრეჭა ხელს უწყობს თმის ბოლოების, კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

● ნუ გაგიტაცებთ მზის აბაზანები: მზე აშრობს თმას.

● თუ შეწყვიტეთ თმის შელებვა, თმის ძირების ფერის დასაფარავად შეგიძლიათ, დროებითი საღებავი გამოიყენოთ.

● არასოდეს ჩაიტაროთ ქიმიური დახვევა და შელებვა ერთდროულად. ჯერ დაიხვიეთ და მინიმუმ ერთი კვირის შემდეგ შეიღებეთ.

● დაბანის წინ, გრძელი თმა კარგად დაივარცხნეთ ზედაპირული ჭუჭყის მოსაშორებლად.

● შამპუნის ეფექტი თავის დაბანისას მის სწორად გამოყენებაზეა დამოკიდებული: ჯერ კარგად დაისველეთ თმა, შემდეგ ხელისგულზე დაისხით მცირე რაოდენობით შამპუნი და მოსრისეთ თითებს შორის; მხოლოდ ამის შემდეგ წაისვით თავზე, ზერელე, წრიული მოძრაობებით. არასოდეს დაისხათ შამპუნი პირდაპირ თავზე.

● თუ თავზე ქაფის ქუდი წარმოიქმნა, ესე იგი, თქვენ ძალიან ბევრი შამპუნი გამოიყენეთ.

● ხშირი დაბანის შემთხვევაში, შამპუნი მხოლოდ ერთხელ წაისვით.

● გაიჩერეთ შამპუნი ნახევარი წუთით და შემდეგ კარგად ჩამოიბანეთ წყლით.

● ნუ დაიბანთ თავს ძალიან ცხელი წყლით.

● თავი რაც შეიძლება დიდხანს იბანეთ. შამპუნის ჩამობანას შხაპით ერთი წუთი მაინც სჭირდება.

● კვირაში ერთხელ მაინც გარეცხეთ

თმის ჯაგრისი და სავარცხელი.

● არასოდეს დაივარცხნოთ ჯაგრისით სველი თმა. ასეთ დროს სავარცხელი გამოიყენეთ.

● დაბანილ თმას ნუ დაისრესთ პირსახოცით, არამედ იგი თავზე შემოიხვიეთ და შემდეგ ზერელე მოძრაობებით გაიმშრალეთ.

● თუ ხშირად გიწევთ თავის დაბანა, ეცადეთ, იშვიათად გამოიყენოთ ფენი, რათა თმა ბუნებრივად გაშრეს. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ჯერ პირსახოცით კარგად შეიმშრალეთ თმა და შემდეგ იხმარეთ ფენი.

● ფენის გამოყენებას არ გირჩევთ, თუ მშრალი თმა გაქვთ ან თუ ქიმიური დახვევა გაიკეთეთ. თუ მას მაინც იყენებთ, ჩართეთ საშუალო სიმძლავრეზე და თბილი ჰაერის ნაკადი შორი მანძილიდან მიმართეთ თავისკენ. ■

მშობლების საყურადღებოდ

● ნუ ატარებთ ცივ ამინდში ბავშვს უქუდოდ. თავის კანზე ბევრი რეფლექსოგენური ზონაა, რომელიც ცხვირისა და ყურების მდგომარეობაზე ახდენს გავლენას.

● როცა დედა და მამა სხედან მანქანის წინა სავარძლებში და აღებენ ფანჯრებს, ორპირი ქარი უკანა სავარძელში მჯდარ ბავშვს პირდაპირ ყურებში ურტყამს. ასეთ დროს, ყოველთვის გახსოვდეთ ოტიტის საშიშროება.

● ოტიტის ან სურდოსაგან თავის დაღწევის შემდეგ, მშობლებს თავიანთი პირმშო გასაკაჟებლად აუზზე მიჰყავთ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში დაავადების განმეორებაც არ დააყოვნებს. უმჯობესია, მოიცადოთ 4-5 კვირა მაინც.

● სუსტი ბავშვი, რომელიც ხშირად ავადმყოფობს, ბუნებრივია, ვერ იტანს ტემპერატურის მკვეთრ ცვალებადობას, კლიმატის გამოცვლას. თუ ჯანმრთელი ადამიანისთვის ასეთი ცვლილებები სასარგებლოა, დასუსტებული ორგანიზმის შემთხვევაში, საწინააღმდეგო ეფექტს მიიღებთ. ■

კითხვა პასუხი



კითხვა: აქვს თუ არა გულის იშემიურ დაავადებას გეოგრაფიული და ეთნიკური თავისებურებები?

პასუხი: ინფარქტისაგან სიკვდილიანობის შემთხვევებს მართლაც აქვს გარკვეული „გეოგრაფიული თავისებურებები". იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობაში ახალგაზრდობა სჭარბობს, სიკვდილიანობა ნაკლებია, ვიდრე იქ, სადაც იგი დაბერებულია. მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს გარემოს დაბინძურება და ამინდის პირობები წარმოადგენს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ატმოსფერული წნევა, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს პარციალურ წნევას და ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობას.

რაც შეეხება ეთნიკურ ჯგუფებს, ამ მიმართულებით გამოკვლევები ნაკლებად წარმოებს, მაგრამ იმ სტატისტიკის მიხედვით, რომელიც უკვე არსებობს, მსოფლიოში ყველაზე „გულნატკენები" მამრობითი სქესის ებრაელები არიან. შავკანიან ამერიკელებსაც თითქმის 30%-ით მეტი შანსი აქვთ, დაავადდნენ ჰიპერტონიული დაავადებით, ვიდრე თეთრკანიანებს.

კითხვა: ვცხოვრობ რაიონში. ცოტა ხნის წინ, მკერდზე პატარა ზომის სიმაგრე შევნიშნე. მიჭირს თბილისში ჩამოსვლა. იქნებ არსებობს იმის განსაზღვრის რაიმე ხერხი, რომლითაც დავადგენ, მაქვს თუ არა კიბო?

პასუხი: ასეთი ხერხი არ არსებობს და გირჩევთ, დროის დაკარგვის გარეშე, დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს. მანამდე კი გეტყვით: ნუ შეგეშინდებათ, თუკი რაღაც უჩვეულო შენიშნეთ. ჯერ ერთი, მკერდში სიმაგრე, შესაძლოა, უბრალო ცხიმულა აღმოჩნდეს, მეორეც — სარძევე ჯირკვლის სიმსივნის 80% კეთილთვისებიანია.

ყველა ქალი 20 წლის შემდეგ თავად უნდა ისინჯავდეს სარძევე ჯირკვლების მდგომარეობას. ამისთვის ყოველთვიურად უნდა ჩაიტაროთ მათი თვითგამოკვლევა. სარძევე ჯირკვლების დათვალიერება უმჯობესია, მენსტუალური ციკლის დამთავრებიდან პირველ კვირაში, როცა ჯირკვლები მოდუნებულია.

დადექით სარკის წინ. დააკვირდით ორივე ჯირკვალს — ხომ არ ამჩნევთ რაიმე უჩვეულოს: ხომ არ არის დარღვეული სიმეტრია, ხომ არ არის დაჭიმული დვრილი, ხომ არ აღინიშნება კანზე ჩაღრმავება ან შეშუპება.



ამის შემდეგ კეთდება ხელით გასინჯვა: ასწიეთ მაღლა მარცხენა ხელი და მარჯვენა ხელის თითების ბალიშებით შეასრულეთ წრიული მსუბუქი მოძრაობები მარცხენა ჯირკვლის არეში. იგივე გაიმეორეთ მარჯვენა ჯირკვალზეც. შემდეგ ფრთხილად მოუჭირეთ ხელი თითოეულ დვრილს და დააკვირდით — ხომ არ არის გამონადენი.

ჯირკვლების გასინჯვის შემდეგ გადადით იღლიების შემოწმებაზე, რათა დარწმუნდეთ, რომ არც აქ აღინიშნება გამკვრივება. ბოლოს კი, მკერდსა და კისერს შორის არეც გასინჯეთ.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ შენიშნავთ რაღაც უჩვეულოს, ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს, რადგან დროული დიაგნოსტიკა წარმატებული მკურნალობის წინაპირობაა.

კითხვა: ჩვენს ოჯახში ბულიონის მოსამზადებლად ხშირად ვიყენებთ კუბურებს, ჩემს გოგონას კი ძალიან უყვარს მშრალი წვნიანი, რომელიც ადუღებულ წყალში იხსნება. მავნებელი ხომ არ არის მსგავსი საკვების ყოველდღიურად მიღება?

პასუხი: ბულიონის კუბურებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი სრულებით უვნებელია, მაგრამ იგი მხოლოდ საგემოვნო დანამატს წარმოადგენს. მის გემოს განაპირობებს უვნებელი ნივთიერება, მრავალ ნატურალურ პროდუქტში შემავალი ამინმჟავა — ნატრიუმის გლუტომატი. რაც შეეხება მშრალ წვნიანებს, მათში შედის ორგანიზმზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედების მქონე ნივთიერებები. მაგალითად, მრავალ მათგანში შედის პალმის ზეთი, რომელიც არღვევს ლიპიდურ ცვლას და ზრდის ათეროსკლეროზის განვითარების რისკს. საერთოდ, უმჯობესია, მოხარშოთ ნატურალური ბოსტნეულის წვნიანი, რომელიც კალორიულიცაა და ვიტამინიზებულიც.

კითხვა: ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ კაფეში ასეთ სცენას შევესწარი: მამაკაცს სასუნთქში ლუკმა გადასცდა, ვეღარ ამოისუნთქა და იხრჩობოდა. შეგროვდა ხალხი, დაუწყეს ზურგზე ხელების ტყაპუნი, მაგრამ სულ უფრო და უფრო უჭირდა სუნთქვა. უეცრად, ერთმა ახალგაზრდა კაცმა განმუხტა სიტუაცია: იგი ზურგიდან დაუდგა თითქმის გალურჯებულ მამაკაცს, ხელები შემოხვია, სადღაც მუცლის არეში თითი მიაჭირა და მანაც მაშინვე ამოისუნთქა. გთხოვთ, გვიამბოთ, რა მეთოდია ეს და როგორ შეიძლება მისი გამოყენება?

პასუხი: როგორც ჩანს, მკითხველი „ჰაიმლიხის მეთოდის" გამოყენების მოწმე გახდა. ეს იმ ადამიანების გადარჩენის ერთ-ერთი ხერხია, რომელთაც სასუნთქ გზებში საჭმელი გადასცდათ. ხერხი ძალზედ მარტივია: უნდა დადგეთ სუნთქვაშეკრულის ზურგს უკან, შემოხვიოთ მას ხელები, ერთ-ერთი ხელის ცერა თითი მიაჭიროთ მუცელზე ჭიპსა და მკერდის ძვალს შორის, თითის დაჭერა უნდა გააძლიეროთ მეორე ხელის [illegible]ოლით. [illegible] მიმართული უნდა იყოს ზევით. დაწოლის შედეგად მატულობს ჰაერის წნევა სასუნთქ გზებში და საკვების ნაჭერი ამოვარდება. ამ მეთოდს ავტორის — ქირურგ ჰაიმლიხის სახელი ეწოდება და ეფექტურად გამოიყენება როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებშიც.

შორენა მერკვილაძე

ვირწმუნოთ თუ არა სიზმრის?

მამა დავითი (ქვლივიძე)

ძველ ხალხებს — ეგვიპტელებს, ბაბილონელებს, ასურელებს სიზმრები უდიდესი ყურადღების ღირსად მიაჩნდათ. რადგან მიიჩნევდნენ, რომ ღმერთები, ადამიანებს თავიანთ ნებას სიზმრებით უცხადებდნენ. მათივე წარმოსახვით, კერპებსა და ადამიანებს შორის, ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალება სიზმარი იყო.

ადამიანთა დიდ ნაწილს, სიზმრები დღესაც იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ სიზმარში ცუდად დაცდილი, ნივთის ან მოვლენის ნახვით გამოწვეული მღელვარება, ზოგჯერ მთელი კვირა მიჰყვება. ზოგიერთი „ცუდ" სიზმარს გამდინარე წყალს უამბობს. მიაჩნიათ, რომ მოსალოდნელი განსაცდელი წყალს გაჰყვება. ზოგიერთი კი თავზე ქაღალდს ივლებს, შემდეგ წვავს, რადგან თვლიან, რომ სიზმარი ქაღალდივით დაიწვება...

მაინც რა არის ეს იდუმალებით მოცული მოვლენა — სიზმარი, რომელსაც მეცნიერება და ფსიქოლოგია, ამომწურავად დღემდე ვერ განმარტავს. რატომ ნახულობენ ადამიანები სიზმრებს? სასურველია თუ არა სიზმართა დაჯერება და საერთოდ, რა უნდა იცოდნენ, მორწმუნე ადამიანებმა სიზმრებთან დაკავშირებით? — ჩვენთვის საინტერესო კითხვების განმარტება, წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელს, მამა **დავით (ქვლივიძეს)** *ვთხოვეთ.*

— როგორ ხსნის ეკლესია სიზმარს და რატომ ნახულობენ ადამიანები მას?

— ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ღებულობს — იქნება ეს ნანახი, მოსმენილი, წაკითხული თუ ნაფიქრალი, ქვეცნობიერად რჩება გონებაში, რომელიც ძილშიც აგრძელებს მუშაობას. თუკი ადამიანის გონებას, რაიმე მოვლენა ან განცდა მძაფრად ჩაებეჭდა, შეიძლება ძილის დროს, წარმოსახვაშიც ნახოს, ანუ სიზმარშიც იხილოს. აქედან გამომდინარე, სიზმარი მთელი დღის, ან ჩვენ მიერ განვლილი ცხოვრების მანძილზე მიღებული ინფორმაციის ამოტივტივებაა გონებაში. სიზმარი შეიძლება იყოს ორი სახის: ბუნებრივი, ანუ ჩვეულებრივი და ზებუნებრივი (სულიერი). ბუნებრივი სიზმრები ძირითადად ფიზიკური მიზეზებითაა გამოწვეული, მაგრამ ადამიანს შეიძლება სიზმარი მოევლინოს ზებუნებრივი სამყაროდან, ანგელოზთა ან ეშმაკთა მიერ. ეკლესიური სწავლებით, სამი კატეგორიის სიზმარი გვხვდება: ჩვეულებრივი, ღვთისგან და ეშმაკისგან.

— როგორ უნდა გავარჩიოთ, სიზმარი ღვთისგანაა მოვლენილი თუ ეშმაკისგან?

— ზრდასრულმა ადამიანმა თუ მოინდომა, პატარა ბავშვს უბრალო სათამაშოთიც კი მოატყუებს და საითაც მოისურვებს, იქით წაიყვანს, მაგრამ როდესაც ასაკოვან და გამოცდილ ადამიანს, დიდი თანხით დასაჩუქრებას ჰპირდებიან იმ პირობით, რომ ფულის მისაღებად ღამით უღრან ტყეში უნდა მივიდეს, ასეთ დროს მას ეჭვი უჩნდება და იმ ადგილას არ მივა, რადგან არ იცის, რისთვის იბარებენ. ასევეა სიზმრის შემთხვევაშიც, შეიძლება ღმერთმა მოგვივლინოს, შეიძლება — ეშმაკმა. მორწმუნეს აუცილებელია, ახსოვდეს, რომ ჩვენ სულიერებაში, პატარა ბავშვივით გამოუცდელნი ვართ. ამიტომ სიზმართა გარჩევა ჩვენს ძალებს აღემატება. პავლე მოციქული ბრძანებს: „არა საკვირველ არს, რამეთუ თვით იგიცა ეშმაკი, იცვალვიდეს ანგელოზად ნათლისა". დაცემულ ანგელოზს — ეშმაკს, ამის ძალა შესწევს და არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ადამიანს საცდუნებლად სატანა ანგელოზის სახითაც კი შეიძლება გამოეცხადოს.

— არსებობს აზრი, რომ სატანას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახის მიღების ძალა არ შესწევს. როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც ღვთისმშობელი გამოეცხადება?

— ეშმაკს ღვთისმშობლის სახით გამოცხადებითაც ბევრი უცდუნებია, რადგან წმინდა მამათა სწავლებით, ეშმაკს არ შეუძლია მიიღოს მხოლოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახე, ყრმით ხელში.

— მაგრამ ხომ არსებობს ერთმნიშვნელოვნად აღიარებული სიზმრები? მაგალითად, ბიბლიის მიხედვით, პავლე მოციქულის, მართალი იოსების თუ სხვათა სიზმრები, ღვთივმომადლებულად არის მიჩნეული...

— ღვთისგან მოვლენილი სიზმრები იშვიათია და მას ძირითადად, წმინდანები ნახულობენ. ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით, ღვთისგან მოვლენილი სიზმრები, უფლის მიმართ მართალ და წმინდა ადამიანებს ჰქონდათ, რომელთა სხეულიც, უფლისგან ნაბრძანები მცნებების დაცვით, სულიწმიდის სავანეებად იყო ქცეული და მათი ბაგეებით თვით უფალი ლაპარაკობდა. ამიტომ შეეძლოთ გაერჩიათ სიზმრის წარმომავლობა.

სიზმრის გარჩევის უნარი, წმინდა მამებსაც ჰქონდათ, რომლებიც, სულიერ სიმაღლეებს მტკიცე ქრისტიანული ცხოვრებით აღწევდნენ. ისინი მთელი ცხოვრება აიძულებდნენ თავს, დაეთრგუნათ ამქვეყნიური ვნებები (გემოთმოყვარეობა, ვერცხლმოყვარეობა (ფულის მიმართ ლტოლვა), მრისხანება თუ სხვა). ეს მართლა წმინდა მამები, სულიერების ისეთ სიმაღლეებზე ადიოდნენ, რომ გონებასაც და თვით სიზმრებსაც კი აკონტროლებდნენ. სწორედ ასეთი ცხოვრების გამო იყო დავანებული მათში სულიწმიდა და ბუნებრივია, შეეძლოთ გაერჩიათ, სიზმარი ღვთისგან იყო მოვლენილი თუ ეშმაკისგან. თუმცა სიზმარს მაინც დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ.

ათონის მთაზე, სადაც დღესაც ჭეშმარიტად სულიერი ცხოვრება მიმდინარეობს, სიზმრებს დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. როდესაც რომელიმე ბერს ან მონაზონს, შთამბეჭდავი სიზმარი დაესიზმრება, უპირველესად, მოძღვარს უამბობს. მაგრამ ყურადღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქცევენ, როდესაც შთამბეჭდავი სიზმარი, ერთი და იგივე სახით, სამჯერ განმეორდება.

— აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ სიზმრები, რომელსაც ჩვეულებრივი

ადამიანის ფიქრები

მოკლედ თქმული ზნეობრივი აფორიზმები განამტკიცებს ადამიანში მოვალეობის გრძნობას, ცხოვრებისეულ სიბრძნეს, ამკვიდრებს თვალსაზრისს.

ჰეგელი

ხშირად კარგავენ დროს უსარგებლო ამბების კითხვაში. კაცმა მხოლოდ ის უნდა იკითხოს, რაც აღტაცების ღირსია.

გოეთე

იყავი სამართლიანი, ნუ გაცხარდები, მიეცი მავედრებელს — ის ხომ ბერს არ გთხოვს! ამ სამი მცნებით წმინდანებს მიუახლოვდები.

ბუდისტური სიბრძნე

არ უნდა უსმინოთ უნიჭო, უნიათო და მეშურნე ადამიანებს. თავად უბადონი და უბადრუკნი, სხვათა შრომებში ეძებენ ნაკლოვანებებს, რათა ამით შენიღბონ საკუთარი ნაკლოვანებანი.

მირზა ფათალი ახუნდოვი

უბედურნი ბუდამაც დამნაშავენი არიან: დაამავეს, რომ არსებობენ, რომ მეტყველებენ, რომ სხვათა სამსახურს არ ითხოვენ და არ ძალუძთ ან არ სურთ, მათ დაეხმარონ.

ონორე მირაბო

არა არის რა იმაზე უფრო სირცხვილი, რომ იყო უსარგებლო საზოგადოებისათვის და თავისთვის, გეყოს გონება მხოლოდ იმისთვის, რომ არაფერი აკეთო.

ბლეზ პასკალი

ჭკვიანი კაცი ხშირად ჩქარობს, მაგრამ ნაჩქარევად არაფერს აკეთებს.

ფილიპ ჩესტერფილდი

მოკვდავები ნახულობენ, ძირითადად ეშმაკისგანაა მოვლენილი?

— ჩვეულებრივ მოკვდავს, ღვთაებრივი სიზმარი ხშირად არ დაესიზმრება. შესაძლებელია ადამიანს, მოქცევის მიზნით, უფალმა ჯოჯოხეთი დაასიზმროს. შეიძლება მართლაც უფლის ანგელოზები გამოეცხადონ, მაგრამ რადგან ჩვენ ამას ვერ გავარკვევთ, უმჯობესია, წმინდა მამების სწავლება გავითვალისწინოთ, რამეთუ ისინი ამბობენ, რომ — თვით ღვთისგან მოვლენილ სიზმარსაც თუ არ მივიღებთ, მოწყალე უფალი, ამის გამო არ განგვირისხდება, რადგან იცის, რომ ამგვარ კადნიერებას მისი შიშით და სიყვარულით ვაკეთებთ, რათა ეშმაკისგან მოვლენილი სიზმარი, ღვთივმომადლებულად არ მივიჩნიოთ. თუკი ადამიანი ეროტიკულ სიზმრებს ნახულობს, ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ყოველივე ეშმაკისგანაა. ეკლესიურად, სიზმარში ბიწიერებათა ნახვას, „ძილსა შიდა დაცემა“ ეწოდება. როდესაც მორწმუნე ძილში „დაეცემა“, უნდა წაიკითხოს სპეციალური ლოცვები — „დაცემულთათვის“ და აღსარება ჩააბაროს მოძღვარს. ამასთანავე, ეკრძალება მწუხრის (საღამოს) ლოცვამდე სიწმინდეებთან მიახლოება. ნაკურთხი წყლის და სეფისკვერის მიღება. იმ დღეს ვერ მიიღებს ზიარებას.

— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეკლესია სიზმართა დაჯერებას კრძალავს?

— როდესაც მაგიდაზე სამ ვაშლს გვიდებენ და დანამდვილებით ვიცით, რომ ერთ-ერთი მოწამლულია, ბუნებრივია, ეჭვი გვიპყრობს და არც ერთს არ ავიღებთ. ასევეა სიზმრის შემთხვევაშიც, შეგვიძლია ვენდოთ ან არ მივიღოთ, მაგრამ ეკლესია გვაფრთხილებს, რომ არ ვირწმუნოთ სიზმრის. რაც შეეხება მორწმუნე ადამიანს, სიზმართა დაჯერება და სიზმართა განმარტება, ცოდვად ეთვლება და სინანულის საიდუმლოს (აღსარების) დროს, სხვა ცოდვებთან ერთად უნდა მოინანიოს. სხვათა შორის, სიზმართა დაჯერება საშიშიცაა.

— რატომ?

— სიზმრებით ეშმაკებს წმინდანებიც კი უცდუნებია. მაგალითისთვის შეიძლება ერთ-ერთი ბერის შემთხვევა მოვიყვანოთ: — მონასტერში, სადაც ეს ბერი მოღვაწეობდა, ერთ დღეს რაღაც ნივთი დაიკარგა, რომელიც ვერ იპოვეს. ბერს სიზმარში ანგელოზის სახით გამოეცხადა ეშმაკი და ნივთის ადგილსამყოფელი მიანიშნა. მან მართლაც იპოვა დაკარგული ნივთი, რომლის შემდეგაც პირდაპირ ღვთის რჩეულად ჩათვალა თავი. ფიქრობდა, რომ სხვებზე აღმატებული იყო და ამპარტავნებამ შეიპყრო. ბერის დალუპვის მოსურნე ბოროტი სული, მას ხშირად მოუვლენდა სიზმრებს, რომელიც ყოველთვის სრულდებოდა. დაბნეულ ბერს, ეშმაკმა ბოლოს, თითქოსდა სასუფეველი ანახვა სიზმრად, სადაც ქრისტიანები სამოთხის გარეთ იყვნენ და იტანჯებოდნენ, იუდეველები კი ბრწყინვალე ნათელში დავანებულიყვნენ. ბერმა გაღვიძებისთანავე უარყო ჭეშმარიტება და განუდგა მონასტერს, რითაც სული წაიწყმიდა. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, რომ სიზმართდამჯერე, ამპარტავნების მომაკვდინებელ ცოდვაში ჩავარდეს.

— არსებობს თუ არა ლოცვა, რომელიც სიზმრებისგან გაგვათავისუფლებს?

— საღამოს ლოცვაში პირდაპირ წერია: „მშვიდობისა ძილი და უშფოთველობა მომანიჭე მე; ანგელოსი შენი მფარველი მომივლინე, მფარველი და დამცველი ჩემი ყოველისაგან ბოროტისა!“ — მორწმუნეს უნდა სწამდეს, რომ გულწრფელი ლოცვა ეშმაკისგან დაიცავს, რამეთუ მაცხოვარი ბრძანებს — ბოროტი ძალა ლოცვით, მარხვით და ზიარებით უნდა დავამარცხოთ.

— როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა ბავშვი ნახულობს სიზმრებს?

— მშობელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ბავშვს, თუ რა ინფორმაციას ღებულობს. ზოგიერთი მშობელი შვილს დასაძინებლად დაშინების სხვადასხვა ხერხს მიმართავს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამასთანვე სასურველია ნაკლებად ვაყურებინოთ ნახატი ფილმებისთვის, განსაკუთრებით თუ ჯადოქრებზე და ეშმაკებზეა. რადგან შეიძლება ბავშვის გონებას, ეს იმდენად მძაფრად ჩაებეჭდოს, რომ ძილის დროს წარმოსახვაშიც კი გაგრძელდეს. ნახატი ფილმების გმირები, ზოგჯერ პირდაპირ დემონურ, მაგიურ სიტყვებს წარმოთქვამენ. ასევე აუცილებელია, ბავშვები ვატაროთ ეკლესიაში, ხშირად ვაზიაროთ, რადგან ნაზიარები ბავშვები არც ასეთი ნახატი ფილმების მიმართ იჩენენ ყურადღებას და არც სხვა არაქრისტიანული საქციელისადმი და თავისთავად დაცულნი არიან ბოროტისგან.

— უნდა ვუამბოთ თუ არა სიზმარი ვინმეს?

— აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიზმართდაჯერება სულისთვის სახიფათოა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სიზმრის მოყოლა, რადგან თუ ჰყვები, მისი გჯერა კიდეც. ■



					თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი	ადგილი სამკურნალო ბუნებრივი პირობებით		გუსტავ ფლობერის რომანი	ფერმწერი იმპრესიონისტი			ტერენტი გრანელის ნამდვილი გვარი		
												სასწორის თეფში		
					მეფეთა ტიტული ეგვიპტეში								შიშველი სხეული მხატვრობაში	
					ფრანგი ფილოსოფოსი					ბოროტი სული ევროპელელ მითოლოგ.				
					სამებიანი ხემიანი საკრავი				ჩეხური ბროლი	ქალაქი საფრანგეთში, პარიზის ავიაპორტი			შტატი აშშ-ში, ატლანტის სანაპიროზე	
საბრძოლო მანქანა														
ბელინის ოპერა							ორცოლიანობა ან ორქმრიანობა						ქართული ვაზის ...	
საზღვაო მოგზაურობა							ძეროვ ქა საქართველოთა უძველესი ლეგენდა	მღრნელი ძუძუმწოვარი						
მეცნიერული ისტორიული წყაროების შესახებ														
ნობელის გამოგონება	...	...								„მის დეიზის ძმეოლი" (მსახიობი)				რუსი პოეტი ქალი
მესოპოტამიის უძველესი ქალაქი														
საფრანგეთის ნაციის ...				მარინადში ჩადებული საშწავლე ზორცი										
					ცეცხლგამძლე თიხა									
					შეუღიბრი ცხენოსნობაში									
გაერთიანებული ემირატები აბუ-...	პლანეტა იუპიტერი ძველ ქართულად			იტალიური ავტომობილი										



შეადგინა რამაზ ალანიამ

31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-გ.

კვირის (14 – 20 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

სასწორი – 24/IX-23/X



ამ კვირაში მცირე ტაიმ-აუტის აღების შესაძლებლობა გაგიჩნდებათ, რაც საკმარისი იქნება, რომ მიიხედ-მოიხედოთ, შეაფასოთ შექმნილი სიტუაცია, გეგმებიც დასახოთ, მაგრამ თუ ქვეყნიერების მომავალზე დაფიქრების სურვილი გაგიჩნდათ, სჯობს, თავი შეიკავოთ, რადგან ამ შემთხვევაში, 3-4 კვირით მაინც შეიძლება ამოვარდეთ რიტმიდან.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

კვირის დასაწყისშივე, ხანმოკლე და ძალზედ სასიამოვნო მოგზაურობაში შეიძლება მოგიწიოთ წასვლამ. ამის შემდეგ, რომელიმე ახლობელი ბავშვი ან უბრალოდ, ასაკით თქვენზე უმცროსი ადამიანი მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. სწორედ მას მოახმართ თქვენი თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს. გირჩევთ, კვირა დღის საღამო მაინც თქვენს პირად ცხოვრებას დაუთმოთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII



კონფლიქტები, რომელშიც ჩაგითრევენ, დაგანახვებთ, რა და როგორ უნდა შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში. სხვათა შორის, თქვენთვის ეს ძალიან დროულია, ვინაიდან პარასკევისთვის სასარგებლო ცვლილებების დრო დაგიდგებათ. უქმეებში ბუნების წიაღში გასვლას გირჩევთ – და თუ ტყეში გასეირნებას ვერ მოახერხებთ, ზოოპარკს მაინც ეწვიეთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ახლობელთა წრიდან ვინმეს ძალიან დასჭირდება თქვენი დახმარება. ასეც რომ არ მოხდეს, თქვენ თავად გაგიჩნდებათ გულისხმიერებისა და ვინმეს მხარდაჭერის მოთხოვნილება. ცხადია, ამაში ცუდი არაფერია, ასე რომ – იმოქმედეთ.

მერწყული – 21/I-19/II



თქვენს ოჯახში ფაქიზ გრძნობათა აქტიურად გამოვლინების ხანაა. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ კვირაში შინ უფრო კომფორტულად იგრძნობთ თავს, ვიდრე სადმე სხვაგან, – თუმცა სახლის ზღურბლს მიღმაც არანაირი განსაკუთრებული განსაცდელი არ გელით.

თევზები – 20/II-20/III



ამ კვირაში ფიქრის, რთული ამოცანების ამოხსნის, შორს გამიზნული გადაწყვეტილებების მიღების სურვილი შეგიპყრობთ. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამის მიღწევაში ისეთი წვრილმანები დაგეხმარებათ, რომელსაც ადრე ყურადღებას არც აქცევდით. გარდა ამისა, გამორჩეული ადამიანების გაცნობის სურვილიც მოგეძალებათ. გაბედულად იმოქმედეთ გარშემომყოფებთან ურთიერთობისას, თორემ თქვენს შანსს დაკარგავთ.

ვერძი – 21/III-20/IV



კვირის დიდ ნაწილს იმ ადამიანთან დაპირისპირება წაიღებს, ვინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თქვენს ცხოვრებაში, მაგრამ თქვენი საპირისპირო შეხედულებები აქვს. აღნიშნული სიტუაციის შეცვლა მხოლოდ ხუთშაბათისთვის მოხერხდება. უქმეები კი, დახარჯული ძალების აღსადგენად დაგჭირდებათ.

კურო – 21/IV-21/V

ჯილდო ან დაწინაურება გელით. თქვენ მიერ შემუშავებულ სამუშაოს კარგ შეფასებას მისცემენ – როგორც კოლეგები, ისე ხელმძღვანელები. მთავარია, არ მოეშვათ და განცხრომას არ მიეცეთ: აქტიურობისა და მიღწევათა პერიოდი გრძელდება!

მარგვანი – 22/V-21/VI



ამ კვირაში რეალობად შეიძლება იქცეს ბევრი რამ, რისთვისაც დიდი ხნის მანძილზე ვერ იცლიდით: მოგზაურობა, დაუგეგმავი შვებულება, საყვარელ ადამიანთან განმარტოება. ვარსკვლავები კეთილგანწყობას გამოიჩენენ ყველა თქვენი სურვილისადმი, ამიტომ თავს ნუ შეიზღუდავთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ძალზედ კონტაქტური და მომხიბლავი იქნებით, რაც ახალი წარმატებების მომტანი იქნება, როგორც სამსახურში, ისე სასიყვარულო საქმეში. განმარტოებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იქნება თქვენთვის, სამაგიეროდ, ნებისმიერ კომპანიაში თავს საუცხოოდ იგრძნობთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ამ კვირაში წინა პლანზე, თქვენი ფიზიკური მდგომარეობა შეიძლება წამოიწიოს. არ შეშინდეთ – მძიმე ავადმყოფობა არ გემუქრებათ. უბრალოდ, თუ, მაგალითად, დიეტას აპირებდით, ეს კვირა საუკეთესო იქნება ამის დასაწყებად, ან კიდევ – შესაძლოა, ექიმთან აპირებდით კონსულტაციისთვის წასვლას და ვერ იცლიდით...

ქალწული – 24/VIII-23/IX



ცვლილებების სურვილი, ენერგია და ოპტიმიზმი, რომელსაც იგრძნობთ, ძალზედ აფორიაქებულ და იღბლიან კვირას გიქადით. შესაძლოა, პერსპექტიული შეხვედრებიც გქონდეთ იმ ადამიანებთან, რომელთა გაცნობასაც ესწრაფოდით. ასეა თუ ისე, ამ კვირაში აუცილებლად გაგიმართლებთ და ყველა წამოწყებულ საქმესაც წარმატებით დააგვირგვინებთ.

ქალებისთვის

ხართ თუ არა მგრძნობიარე?

1) როგორ მოიქცევით, თუ მოულოდნელად დაქალი დაგირეკავთ და გაცნობებთ, რომ საქმე გამოუჩნდა და თქვენთან ერთად თეატრში წამოსვლას ვეღარ შეძლებს?

ა) ამ ამბავს მშვიდად შეხვდებით და საღამოს ტელევიზორის წინ გაატარებთ – 1;

ბ) შეეკითხებით, როდის ეცლება თეატრში წასასვლელად – 3;

გ) ეცდებით გაიგოთ, სინამდვილეში რამ გამოიწვია მისი უარი – 0;

დ) არაფერს ეტყვით, მაგრამ აუცილებლად გაიფიქრებთ, რომ უსინდისოდ მოგექცათ – 2.

2) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ წვეულებაზე წასასვლელად გამზადებულს ოჯახის წევრები პომადის ფერის შეცვლას მოგთხოვენ?

ა) განაწყენდებით, რომ ოჯახის წევრებს ისევ პატარა ჰგონიხართ – 0;

ბ) უპასუხებთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ შეგაქებენ ხოლმე – 1;

გ) პრინციპულად არ შეიცვლით პომადას – 3;

დ) გაიღიმებთ და იტყვით: „შევცვლი, რა თქმა უნდა“ – 2.

3) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად სამსახურში კოლეგები გრანდიოზულ ზეიმს მოგიწყობენ?

ა) გესიამოვნებათ და თავს უხერხულად იგრძნობთ – 0;

ბ) გაგიკვირდებათ – თურმე როგორ ჰყვარებიხართ თანამშრომლებს – 3;

გ) შეიფერებთ და ღირსების გრძნობით აღვსილი, მადლობას გადაუხდით – 2;

დ) ძალიან გაგეხარდებათ – 1.

4) როგორ მოიქცევით, თუ მეზობელს, დაბადების დღეზე თქვენი მიწვევა დაავიწყდება?

ა) ყურადღებას არ მიაქცევთ – 2;

ბ) კედელზე ბრახუნს აუტეხთ და მოსთხოვთ, რომ არ იხმაურონ – 3;

გ) თავს მარტოსულად იგრძნობთ – 0;

დ) მეზობელს გაამართლებთ – იქნებ მან მხოლოდ ახლობლები დაპატიჟა – 1.

5) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ დაქალთან ტელეფონით საუბრისას შეიტყობთ, რომ ის ამავე დროს, ოჯახის რომელიმე წევრს ელაპარაკება?

ა) განაწყენდებით – ის თურმე თქვენ არ გისმენთ – 0;

ბ) მაშინვე მოიკითხავთ მისი ოჯახის წევრებს – 1;

გ) მწარედ ეტყვით: ალბათ გაცდენო, – და ყურმილს დაუკიდებთ – 3;

დ) ეტყვით: „უმჯობესია, რომ მოიცლი, თავად დამირეკო“ – 2.

6) როგორ მოიქცევით, თუ სამსახურში უფროსი დაგიბარებთ და გეტყვით, რომ თქვენს ნამუშევარში ბევრი შეცდომა აღმოაჩინა?

ა) იტირებთ – 0;

ბ) თავის მართლებას მიჰყოფთ ხელს – 1;

გ) კრიტიკას მიიღებთ და შეცდომებს მაშინვე გაასწორებთ – 2;

დ) მოსთხოვთ უფროსს, ზუსტად აგიხსნათ, თუ კონკრეტულად რა შეცდომები დაუშვით – 3.

7) რას იტყვით, თუ მეგობარი შეგხვდებათ და შეჰკივლებს: „ღმერთო, როგორ გამხდარხარ!“, — მაშინ, როცა წონაში დაკლებული ნამდვილად არ ხართ?

ა) „მადლობელი ვარ კომპლიმენტისთვის“ – 2;

ბ) „ნუთუ ოდესმე მსუქანი ვიყავი?“ – 0;

გ) „არა, სულაც არ დამიკლია“ – 3;

დ) მხოლოდ გაიღიმებთ – 1.

8) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ ძვირად ღირებული ნივთების მაღაზიაში შესულს, გამყიდველები საერთოდ არ მოგაქცევენ ყურადღებას?

ა) მაშინვე გარეთ გახვალთ და დემონსტრაციულად გაიჯახუნებთ კარს – 3;

ბ) მოითხოვთ, ყურადღება მოგაქციონ – 1;

გ) ბოდიშს მოიხდით და მოწონებული ნივთის ფასს იკითხავთ – 2;

დ) მშვიდად დაათვალიერებთ ყველაფერს და არაფერს იყიდით – 0.

დაჯამეთ ქულები

0-6 ქულა: მეტისმეტად მგრძნობიარე ადამიანი ხართ, ყველაფრის გაბუქება გჩვევიათ. ეცადეთ, ნებისმიერი უსიამოვნება პირად შეურაცხყოფად არ მიიღოთ და საერთოდ, ყველაფერი გულთან ახლოს ნუ მიგაქვთ.

7-12 ქულა: სხვისთვის თანაგრძნობის გაწევა ნამდვილად შეგიძლიათ, თანაც ამ დროს, საკუთარი ემოციებიც არ გავიწყდებათ. კრიტიკა არ გიყვართ და თუ მეგობრები თქვენს ახალ ვარცხნილობას ვერ შეამჩნევენ, ეს ძალიან გეწყინებათ. შეიძლება ითქვას, რომ მგრძნობიარე ხართ, მაგრამ არა მეტისმეტად.

13-18 ქულა: როცა სხვები ბჭობენ, ვინ არის ნაწყენი და ვინ გაანაწყენა მათი მეგობრები, თქვენ ეს საკითხი საერთოდ არ გაღელვებთ. მტკიცე ხასიათის ადამიანი ხართ და ემოციებს აყოლა არ გჩვევიათ, ამიტომ უსიამოვნების გადატანაც დიდად არ გიჭირთ. ზოგჯერ კი იმდენად ცივი და უგრძნობი ხართ, რომ ახლობლების ემოციასაც კი ვერ ამჩნევთ.

19-24 ქულა: თქვენნაირი უგრძნობი ადამიანი იშვიათობაა. იმ სიტუაციებშიც კი, როცა ჩვეულებრივ, სხვა ბოდიშს მოიხდის და იტირებს, თქვენ შეტევაზე გადადიხართ და ჩხუბს იწყებთ. ყველას სასტიკ და ულმობელ ადამიანად მიაჩნიხართ და ამ წარმოდგენის შეცვლა ძალიან გაგიჭირდებათ. მაგრამ საკმარისია, საკუთარ თავს ჩაუღრმავდეთ, შეცდომებს მაშინვე აღმოაჩენთ და არც მათი აღმოფხვრა გაგიძნელდებათ.

მაჰარაჯის ყელსაბამის იდუმალებით მოცული დაბრუნება

ამ სამიოდე წლის წინ საიუველირო სამყაროში სენსაციური ცნობა გავრცელდა: ნაპოვნია ყელსაბამი, რომელიც 50 წლის მანძილზე, უიმედოდ დაკარგული ეგონათ. ევროპელ ოსტატთა მიერ დამზადებულმა საშშვინისმა, რომელიც თავის დროზე ინდოელ საჭეთმპყრობლებს ეკუთვნოდა, მხოლოდ შავ-თეთრი ფოტოსურათის სახით მოაღწია დღევანდელ თაობამდე.

ამ საოცარი ძვირფასეულობის ისტორია 1888 წლით იწყება. მაშინ, სამხრეთ აფრიკაში 428,5-კარატიანი ალმასი აღმოაჩინეს. ცოტა ხანში კი, ის მსოფლიოში ერთ-ერთმა უმდიდრესმა კაცმა — რაჯენდრა სინგჰმა — პატიალის მაჰარაჯამ და პენჯაბის თავადმა შეიძინა. 1925 წელს მისმა ვაჟიშვილმა ძვირფასი თვალი პარიზში ჩაიტანა და კარტიეს უძველეს საიუველირო სახლს ახალი ნაკეთობა დაუკვეთა: მას სურდა, ალმასისთვის ექსტრავაგანტური ჩარჩო დაემზადებინათ. იუველირებმა მსოფლიოში უძვირფასესი ყელსაბამი დაამზადეს: მასზე 2930 ბრილიანტი იყო თავმოყრილი, რომლის საერთო წონა 962,25 კარატს შეადგენდა, გვერდს კი, პლატინაში ჩასმული ორი დიდი ლალი უმშვენებდა. სამკაულის დამზადებამ 3 წელი გასტანა და შემდეგ ის პარიზში, გამოფენაზე წარადგინეს საზოგადოების სამსჯავროზე.



20 წლის შემდეგ, ინდოეთის გაყოფის დროს, სამკაული უკვალოდ გაქრა და მხოლოდ ადამიანების მეხსიერებას შემორჩა ის, როგორც უსაზღვრო სიმდიდრისა და პატივმოყვარეობის სიმბოლო. 1999 წელს, კარტიეს სახლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ ამ უნიკალური ნაკეთობის აღდგენა დაუკვეთეს; მათ ისიც დასძინეს, რომ ყელსაბამი, თუმცა ოდინდელი სილამაზე არ დაუკარგავს, საკმაოდ დაზიანებული ყოფილა, აკლია ცენტრალური ბრილიანტი და ორივე დიდი ლალი, რომლის ადგილსაც ცირკონი და ხელოვნური ქვები დაიკავებს. ყელსაბამის მფლობელი ვერვერობით ცნობილი არ არის, მაგრამ თვით საშშვინისი, ამ დღეებში გამოიტანეს მზის სინათლეზე კარტიეს სახლის ერთ-ერთ სადემონსტრაციო დარბაზში. ■

ყველაზე სასაცილო, ფსიქიატრის ხუმრობა აღმოჩნდა

ინგლისელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს მსოფლიოში ყველაზე სასაცილო ანეკდოტის გამოსავლენად. ჰერტფორდშირის უნივერსიტეტის ფსიქოლოგის, რიჩარდ უაიზმენის დაარსებულ ვებსაიტზე — „სიცილის ლაბორატორია", ერთი წლის მანძილზე, ნებისმიერი მსურველისაგან, ხუმრობისა და მახვილსიტყვაობის ნიმუშებს იღებდნენ. საბოლოოდ, 40 ათასზე მეტი ანეკდოტი დაგროვდა. ექსპერიმენტატორებმა საიტის „სტუმრებს" ანეკდოტების შესაფასებლად ხუთბალიანი სკალა შესთავაზეს. გამოკითხვაში დაახლოებით ორმა მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ხმათა უმრავლესობით, პირველ ადგილზე 31 წლის მანჩესტერელი ფსიქიატრის ანეკდოტი გავიდა. მასში საუბარია ღამით ტყეში მიმავალ ორ მონადირეზე. უეცრად ერთი მათგანი ეცემა, თვალებს ხუჭავს და სუნთქვას წყვეტს. მეორე, მობილური ტელეფონით სამაშველო სამსახურს უკავშირდება და ყვირის: „ჩემი ამხანაგი მოკვდა! რა შემიძლია გავაკეთო?" — მას პასუხობენ: „დაწყნარდით, ჩვენ დაგეხმარებით! თავდაპირველად, უნდა დარწმუნდეთ, რომ ის ნამდვილად მკვდარია". ყურმილში სიჩუმე ისადგურებს, შემდეგ კი სროლის ხმა ისმის. მონადირე ისევ ყურმილს იღებს: „შევასრულე! ახლა რაღა ვქნა?"

ექსპერიმენტის მეშვეობით ისიც გაირკვა, რომ გერმანელები საიტზე განთავსებულ თითქმის ყველა ხუმრობაზე სიცილით იხოცებოდნენ. ირლანდიელებს, ავსტრალიელებსა და ახალზელანდიელებს სიტყვების თამაშით შედგენილი ანეკდოტები უფრო მოსწონთ. შოტლანდიელები ყველაზე სასაცილოდ შემდეგ გამოთქმას მიიჩნევენ: „მინდა, ბაბუაჩემივით ძილში მშვიდად მოვკვდე და არა მისი მგზავრებივით, რომლებიც შიშისაგან გულგახეთქილები დაიხოცნენ".

ამერიკაში საუკეთესო იუმორად გოლფის მოთამაშეთა ამბავი აღიარეს. ორი მამაკაცი გოლფის მოედანზე აუჩქარებლად აგორებს ბურთს. დამკრძალავი პროცესიის დანახვაზე ერთ-ერთი მოთამაშე უეცრად ქუდს იხდის, თვალებს ხუჭავს, ქედს იხრის და შესანდობარ ლოცვას აღავლენს. მისი გაკვირვებული პარტნიორი გულაჩუყებული ეუბნება, რომ მსგავსი სინაზისა და თანაგრძნობის გამოვლინება არასოდეს უნახავს. „დიახ, ის ხომ 35 წლის მანძილზე ჩემი ცოლი იყო", — პასუხობს მოთამაშე. ■

დათუნია თედი თავის მე-100 დაბადების დღეს ოსაკაში აღნიშნავს

„როიტერის" ცნობით, იაპონიაში პლუშის დათუნია თედის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა მოეწყობა. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით, ოსაკაში მთელი მსოფლიოდან ხუთი ათასზე მეტ პლუშის დათუნიას მოუყარეს თავი. გამოფენაზე პლუშის სათამაშოებით მოვაჭრე 130 მაღაზიის მფლობელიც ჩავიდა, რომელმაც დათუნია თედის საკუთარი, ახალი ვერსიები შექმნა და იმედი აქვს, რომ ამ სიახლით მყიდველებსაც დააინტერესებს. წინასწარი მონაცემებით, გამოფენას ორი დღის მანძილზე ათი ათასზე მეტი დამთვალიერებელი ეყოლება. ოფიციალური ვერსიით, პლუშის დათუნია 1902 წელს აშშსა და გერმანიაში, პრაქტიკულად ერთდროულად გამოჩნდა. თუმცა, ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ უფრო გავრცელებულია მეორე ვერსია, რომლის მიხედვითაც სათამაშო ამერიკაში გაჩნდა მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა, თეოდორ რუზველტმა, რომელიც ნადირობის დიდი ტრფიალი გახლდათ, არ ესროლა ბელებიან ძუ დათვს. პლუშის სათამაშო დათუნიას სწორედ ამერიკის პრეზიდენტის პატივსაცემად დაერქვა თედი. ■

ფოტოკუთხეები

ვნახეთ ეფრინეთ ჭრიჭინის გურმანებისთვ

ყოველ ორშაბათს!